N49 (495) 3/XII-9/XII-2009 ფასი 1 ლარი

„ეს იყო ფანტასტიკა!..“

ადამიანი, რომელიც სოფო ბედიას გვერდიდან არ შორდება

ვინ არის ზურა ყიფშიძის ახალგაზრდა პარტნიორი

რა ურთიერთობა აქვს ნოდიკო ტატიშვილს ყოფილ შეყვარებულთან

ნესტან კირთაძის „მიჯაჭვულობის“ მიზეზი

ნიაზ დიასამიძის ოხუნჯობა, წავკისში აყვანილი გოგოები და სოფი ლორენის ქართული ძირები

უჩვეულო საჩუქარი უშიშროების სამინისტროს ყოფილი გამოძიებლისგან

ISSN 1987 - 5029

მედია-დანაზოგი

ანტიკრიზისული პროექტი

მათ უკვე ნახეს ჩვენი ფასები

თქვენ?

30 ნოემბრიდან 7 დეკემბრამდე

WELEDA

კალენდულას ლოსიონი და შამპუნი ჩვილისა და ბავშვის თმისა და ტანისათვის. ეკოლოგიურად სუფთა ნედლეული ბიო მეურნეობიდან დამზადებულია გერმანიაში

ფასი: ~~22~~ 16.50

ციფრული თერმომეტრი
microlife MT 100

1 კუპონი

ფასი: ~~18~~ 9.99

ციფრული თერმომეტრი
microlife FR 100

2 კუპონი

ფასი: ~~54~~ 35

- შვეიცარიული ხარისხი
- სიცხის გაზომვა წამიერი სკანირებით
- ტემპერატურის სახიფათო ნიშნულები
- წინა 12 გაზომვის დამახსოვრება
- კლინიკურად ტესტირებულია და რეკომენდირებულია ექიმების მიერ

„სიტუაცია და საქმის“ პირველ გვერდზე დაბეჭდილია კუპონი,

ამოჭერით 1 ცალი და მიიტანეთ
გამსახურდიას 45 (ქვანიას მოედანთან) ტელ: 38 21 28

შეაგროვეთ და მიიტანეთ „მირკოს“ აფთიაქებში
პეკინის 13 ტელ: 37 98 73

ანონსი

NewPC
კომპიუტერის აქსესუარები

მომავალი ორშაბათიდან

7-14 დეკემბერი

იხილეთ „მედია-დანაზოგის“ ახალი შემოთავაზება

ბავშვის სამოსი ცნობილი ბრენდებისგან მაღაზია „ბიბალო“

ხელოვნურად ბრინჯოლი ოვსანი

№49 (495)
3 — 9 დეკემბერი, 2009 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
მიხეილ მრისხანე
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ ინფორმაცია 7
■ ფაქტი და კომენტარი 8
■ საზოგადოება 10
ბავშვები ძალადობის წინააღმდეგ და სოფელი, რომელიც ოჯახის სითბოს აზიარებს
■ მასმედია 11
„ერთხელ მითხრეს, ზოგჯერ თქვენი ხელისუფლება ისე იქცევა, თითქოს საქართველო სუპერსახელმწიფო იყოსო“
■ კრიმინალი 14
მკვლელმა ნინუების სახლში მოყრილი წიწაკით ყველა მტკიცებულება გააქრო
■ დაიჯესტი 16
■ შემოქმედი 19
თბილ ქვეყანაში გატარებული 5 წელი
■ ჟურნალისტის როლში 21
■ დიზაინერი 24
ზალიკო ბერგერის ეკლექტიკური აქსესუარები
■ ეკრანს მიღმა 25
ქართული კომედიური მელოდრამა ყველაზე კრიტიკული მაყურებლის სამსჯავროზე
■ ფსიქოპორტრეტი 27
ნესტან კირთაძის „მიჯაჭვულობა“ და ერთდროულად გახსნილი რამდენიმე „ფაილი“
■ ვარსკვლავები 29
■ თემა 31
ყოველთვის — მეორე...
■ სიტუაცია 34
■ შთამომავლობა 36
51 წლის შემდეგ ნაპოვნი და კვლავ ტკივილად ქცეული საქართველო

ქვეყანა

მკვლელმა ნინუების სახლში მოყრილი წიწაკით ყველა მტკიცებულება გააქრო

„ის იყო ყველაზე ხელსაყრელი კანდიდატი დასადანაშაულებლად. თუ არ გინდა, მოსახლეობა ფიქრობდეს, რომ მკვლელობა პოლიტიკასთანაა დაკავშირებული, მაშინ ერთადერთი მოტივი — ბიზნესი უნდა იყოს“.

6

სახე

„ᲐᲘ/ᲕᲝ/ᲐᲘ ანუ გოგონა სლაიდიდან“

„ბოლოს და ბოლოს, გოგონას მამას ეს ყველაფერი ყელში ამოუვა და შვილს ეჩხუბება. ჩხუბის სცენის პირველი დუბლი ჩავწერეთ თუ არა, ყველამ აღნიშნა, რომ ფანტასტიკური იყო! მიხარია, რომ ისეთ მსახიობთან ვიმუშავე, როგორიც ზურა ყიფშიძეა. საკუთარ როლს ალღო ნათიამაც კარგად აუღო.

19

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ყოველთვის — მეორე

ბევრ ქალს გამოცდილი აქვს, რას ნიშნავს, იყოს „მეორე“. ცოლიან მამაკაცთან ურთიერთობის დაწყებისას ის კმაყოფილია და ჰგონია, რომ სწორედ ეს სჭირდებოდა, მაგრამ თუ ქალს მართლა შეუყვარდება, მაშინ სიტუაცია აუტანელი ხდება თუნდაც იმიტომ, რომ მან საყვარელი მამაკაცი სხვას უნდა გაუნაწილოს.

31

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲡᲐᲢᲘᲠᲐᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ

„ჰოდა, ამ ყოფაში იყო ჩვენი (ჩემი) დათო, რომ ქალაქიდან ძმაკაცმა დაურეკა და ჰკითხა, როგორ ხარო? დათოს თავისდა უნებურად უთქვამს, აუ, ძმაო, მაგარ პონტში ვარო. ვაა, ქალები და რამეო? აღფრთოვანებულა ძმაკაცი. ჰო, ძმაო, ახლა არ მცალიაო, უთქვამს და გაუთიშია. არადა, საბრალო, როგორ პონტშიც იყო, ყველამ კარგად ვიცით უკვე“.

85

- თქვენთვის, ქალბატონებო! 39
- ნამდვილი ამბავი 40
- ოსტატი 41
  უცხოელების მოსაზიდად „დაგებული მახე“
- ავტო 42
- ეს სამყაროა 44
- საკითხავი ქალებისათვის 46
- ფავორიტები 48
  ახალგაზრდა ბრაზილიელმა პორტუგალიელის გამოხდომას დელიკატურად უპასუხა...
- შეჩერებული წამი 49
- ანტიდეპრესანტი 50
- პობი 50
  უჩვეულო საჩუქარი უშიშროების სამინისტროს ყოფილი გამომძიებლისგან
- ტაძარი 52
  მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრება და VI საუკუნეში არსებული რელიგიები
- ჯანმრთელობა 54
- კოლორიტი 57
- ფსკერი 60
  „იმედი მაქვს, რომ ღმერთი ამ ცოდვას შემინდობს“...
- მისია 62
  ტაძრების კარზე გატარებული 30 წელი...
- თინეიჯერული პოლტები 64
- ნვეთი პოეზია 67
- მინირომანი 68
- გულახდილი დღიური 71
  მე — ფსიქოლოგი (გაგრძელება)
- ქართული დეტექტივი 72
  გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)
- რომანი 76
  სვეტა კვარაცხელია. აკრძალული ოცნებები (გაგრძელება)
- რეალური 81
- დოკუმენტური პროზა 84
  შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)
- გზავნილები 85
- ყველა ერთისათვის 91
- მობილი-ზაცია 92
- მოზაიკა 97
- გამოფენა 99
- ერუდიტი 100
- გასართობი 102
- ასტროლოგია 104
- სკანვორდი 105
- საფირმო კროსვორდი 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



იისფერი რასის წარმომადგენლები

იისფერი ბავშვების დაბადების მრავალი ვერსია არსებობს, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია სამი მათგანი: ინდიგო ბავშვი უცხოპლანეტელთან შერწყმით იბადება, ღვთის საჩუქარია და ადამიანის ბუნებრივი მუტაციაა.

41

ადამიანი



ყოფილი ნარკომანის აღსარება

„კიდევ უამრავი ცოდვა მაქვს. ბოლოს და ბოლოს, ჩემ გამო, რამდენი ადამიანი დაიტანჯა. ყველაზე მთავარი ხომ სულიერი სიმშვიდეა. ჰოდა, მინდა, რომ დარჩენილი წლები ამქვეყნად სუფთა სულით გავატარო“.

57

ბიბლუსი

ამით ძიება დასრულდა. პოლიციამ დაასკვნა, რომ დამსვენებელი შემთხვევით დაჭრა რომელიღაც წყალქვეშა ნადირობის მოყვარულმა. შემდეგ პასუხისგებას გაერიდა და ვიდრე გოგა დაჭრილის გადარჩენას ცდილობდა, იქაურობას გაეცალა. მისი ვინაობა კი ასევე გაურკვეველი დარჩა.

67

ტაიმ-აუტი

გამდიდრების მარტივი ფორმულა

1986 წელს მან პლუშის დათუნიების გაყიდვა დაიწყო. ცოტა ხანში მილიონერი გახდა და საკუთარი სასტუმრო — „ოთხი სეზონი“ ააშენა, სადაც ერთი ღამის გათენება 30 ათასი დოლარი ღირს.

97

მიხეილ მრისხანე

შესავლის ნაცვლად „ცალთვალა იყო, შე აბდალა, კუტუზოვი, მარა დედამიწის გულში რა იყო, იმას ხედავდა“, — ასე ამშვიდებდა ილიკო ჩიგოგიძე თავის მეგობარ ილარიონ შევარდნაძეს მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ილიკოსავით „მოირგო“ შუშის თვალი.

ავტორი აღარაფერს ამბობს იმაზე, კუტუზოვივით „გაუნათა“ თუ არა გონება ილარიონს თვალის დაკარგვამ. მისი გვარი რომ შევარდნაძეა — ეს დამთხვევაა, რადგან „ჩვენმა“ შევარდნაძემ ორი თვალითაც ვერ განჭვრიტა, „რა იყო დედამიწის გულში“...

ჰოდა, იმიტომაც ზის ახლა კრწანისში და მოგონებებით ტკბება (ისე ვამბობ, თითქოს ცუდ ადგილას იჯდეს).

...სამაგიეროდ, მის მემკვიდრეს — ჩვენს ამჟამინდელ პრეზიდენტს აღმოაჩნდა „მიწის ქვეშ ხედვის“ ნიჭი! ამ დღეებში „თბილისი ცენტრალის“ გახსნაზე პირდაპირ განაცხადა: აქ მიწის ქვეშ უამრავი პროექტია და არ ჩანს, მე ვარ ის მიწის მთხრელი, ვინც ამას ხედავს და მალე ყველაფერი ამოიფურჩქნებაო (ამოვა და გაიფურჩქნებაო — ასე თქვა, მე „გავაერთსიტყვავე“)!

მოკლედ, ეს კაცი ყოველდღე ახერხებს ჩვენს გაოცებას! ჯერ სად ხართ — კარგად, დაჟინებული მზერით რომ დააკვირდება ქართულ მიწას, იქნებ ნავთობი და ოქროც აღმოაჩინოს?! მერე გვიყუროს პუტინმა შორიდან...

მომავლის განჭვრეტის უნარზე აღარაფერს ვამბობ — ეს ადრეც ვიცოდით: რუსეთ-საქართველოს ომში გამარჯვებაც ხომ იწინასწარმეტყველა?! ახლაც — თბილისი ევროპაში ყველაზე კომფორტული მილიონიანი ქალაქი გახდებაო! ძალიან მაგარია! არა, ის კი არა, რომ თბილისს მართლა კარგი მომავალი აქვს, არამედ „მილიონიანი“. ანუ — ქუთაისს, ბათუმს, ხაშურსა და ხონს რომ არ ეწყინოთ! ხვალ იქნება განცხადება: „საუკეთესო 210-ათასიანი ქალაქი ევროპაში — ქუთაისი!“ ზეგ: „საუკეთესო 24-ათასიანი ქალაქი მსოფლიოში — ხონი!..“ და ა.შ.

ჰო, ქუთაისზე გამახსენდა: ამ კვირაში მხოლოდ კარგი რამეები კი არ უთქვამს, იმრისხანა კიდეც. სწორედ ქუთაისის მერი აღმოჩნდა ის კაცი, რომელიც თურმე ლამის ერთპიროვნულად უშლის ხელს მშობლიური ქალაქის ევროპულ ლიდერად გახდომას (ისე, ბოროტი ენები ამბობენ, ნინო ბურჯანაძის ნათესაობა „ჯანმრთელობისთვის საშიშია“ და ამ კაცმა კიდევ დიდხანს „გაქაჩაო“...)!

თუ გაიქცა ახლა ქუთაისის მერი ოპოზიციაში... არადა, იქაც რომ არაფერი ხდება საინტერესო?!. შატბერაშვილმა პრესკონფერენცია ჩაატარა და „ფარდა ახადა“ „ვარდების რევოლუციას“! ისე, მეც მქონდა ეჭვი, რომ მთელი ის ამბები იმისთვის მოხდა, რომ „შალიკო და ძმანი მისნი“ ხელისუფლებაში არ მოსულიყვნენ! მეც ვიცოდი, რომ ბუში და მიშა ისხდნენ თეთრი სახლის სარდაფში და ბჭობდნენ, — შალვა მოვკლათ თუ „ვარდების რევოლუცია“ მოვახდინოთო?..

ვითომ ვშაყირობთ და „ვარდების“ ამბებიდან ექვსი წლისთავზე ისე დალაგდა ქვეყანა, პოლიციას საქმე აღარ აქვს და ფეხბურთის თამაშზე გადავიდა — ჩემპიონატი ჩაატარეს, სადაც საპატრულო პოლიციამ პირველი ადგილი ვერ დაიკავა და მისი შეფი ისე ნერვიულობდა, — მგონი, აწი მერაბიშვილი ამ ტურნირში მიღწეული წარმატებებით აფასებს თანამშრომლებს... ისე, დასაჭერი აღარავინაა და რა ქნას?!.

P.S. სახუმარო და საქილიკო კი არა, თავშესაცემია, თორემ პოლიციისა და ფეხბურთის ხსენებაზე, გასულ კვირაში მომხდარ სამარცხვინო ფაქტს გაიხსენებდა კაცი (ნარკომან ფეხბურთელებს ვგულისხმობ)...

სამაგიეროდ, „ჩვენმა მიწის მთხრელმა“ ახალი „პრიორიტეტი“ დასახა: სტადიონები და შადრევნები წარსულია, ახლა აუზების დროაო! ანუ როგორც ძველთაძველ ანეკდოტშია: არჩევნებამდე — აუზები, მერე (თუ არჩევნებზე „კარგად“ მოვიქცევით) — წყალსაც ჩაასხამენ!

P.P.S. დამთხვევაც არის და დამთხვევაც: ილარიონ შევარდნაძე იყო, ცალთვალა მიწის გულში მხედველ კუტუზოვს კი მიხეილი ერქვა!..

პროვოკატორი

სილვიო ბერლუსკონი „რვაფეხას“ ავტორებს დახრჩობით ემუქრება

იტალიის პრემიერი სილვიო ბერლუსკონი თავისი პარტიის ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას ტელესერიალ „რვაფეხას“ ავტორებს დახრჩობით დაემუქრა. მისი აზრით, იტალიური მაფიის შავბნელი საქმიანობის ამსახველი „მსგავსი ქმნილებები“ მსოფლიოს თვალში სახელმწიფოს ავტორიტეტს აკნინებს. იტალიელმა ჟურნალისტებმა მაფიასთან კავშირში თავად ბერლუსკონიც არაერთხელ დაადანაშაულეს, მაგრამ მან ამ ბრალდებებს პოლიტიკური ოპონენტების მიერ შეთხზული მონაჩმახი უწოდა. ■

„მის არგენტინა“ პლასტიკურ ოპერაციას ემსხვერპლა

38 წლის მოდელი, სოლანჟ მანიანო, რომელმაც 1994 წელს „მის არგენტინის“ ტიტული მოიპოვა, წარუმატებელი პლასტიკური ოპერაციის შედეგად დაიღუპა. მანიანოს გლუტეოპლასტიკა — დუნდულების შემცირების ოპერაცია ბუენოს-აირესის ერთ-ერთ კლინიკაში ჩაუტარეს. მეორე დღეს მას ფილტვის უკმარისობა განუვითარდა, რის გამოც მოდელი ქალაქის ერთ-ერთი საავადმყოფოს სარეანიმაციო განყოფილებაში გადაიყვანეს. მოგვიანებით მანიანო ფილტვის არტერიის ემბოლიისგან გარდაიცვალა. ■

ვარშავის ზოოპარკში ადამიანები ცხოვრობენ

პოლონეთის დედაქალაქის ზოოპარკის ხელმძღვანელმა ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა და ერთ-ერთ გალიაში ორი მოხალისე — 24 წლის მამაკაცი და 18 წლის ქალიშვილი მოათავსა. ახალგაზრდებს ნადირის ტყავით შეკერილი სამოსი ჩაცვეს და პირველყოფილი ადამიანის როლის მორგება დაავალეს. ზოოპარკის დირექტორის მოადგილე ევა ზბორნიკოვსკას თქმით, ექსპერიმენტი იმისთვის ჩატარდა, რომ ხალხი სამყაროში ადამიანის არსებობის მნიშვნელობაზე უკეთ დაფიქრდეს და ყოველთვის ახსოვდეს, რომ ის ცხოველისაგან დიდად არ განსხვავდება. ■

რობინ ჰუდი გერმანიაშიც ყოფილა

გერმანიის ბანკის თანამშრომელს, რომელიც სოლიდური კლიენტების ანგარიშებიდან გაჭირვებულ მოქალაქეებს საიდუმლოდ ურიცხავდა თანხებს, 22 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 62 წლის ქალმა, რომელსაც „ბანკირი-რობინ ჰუდი“ შეარქვეს, საერთო ჯამში, ღარიბებს 11 მლნ დოლარზე მეტი გადაურიცხა. როგორც გაირკვა, ეს ქალბატონი, რომლის ვინაობაც არ ხმაურდება, თავისთვის არაფერს იტოვებდა. ამ ყველაფრის შედეგად, ბანკმა 1,5 მლნ დოლარი იმის გამო დაკარგა, რომ ზოგიერთმა მიმღებმა მოულოდნელად მიღებული თანხის უკან დაბრუნება ვერ შეძლო. ■

ანტიკვარმა ჰიტლერის ნაქონი „მერსედესი“ აღმოაჩინა

გერმანელი ანტიკვარი — მიქაელ ფროილიხი ირწმუნება, რომ ეს იშვიათი ნივთი დასავლეთ გერმანიაში ავტომობილების ერთ-ერთი კოლექციონერის ავტოფარეხში აღმოაჩინა. ფროილიხი ძველი საბუთებისა და ფოტოების მეშვეობით მიხვდა, თუ ვინ იყო ამ მუქი ლურჯი „მერსედესის“ მფლობელი წარსულში. მისი თქმით, ომის შემდგომ, კაბრიოლეტი ავსტრიაში მოხვდა, შემდეგ — ლას-ვეგასში, ავტომობილთა მუზეუმში გაგზავნეს, იქიდან კი გერმანიაში დააბრუნეს. გაირკვა ისიც, რომ ავტომობილი 1935 წელს შეკვეთით შეიქმნა და მას შემდეგ გამუდმებით ხვდებოდა სამხედრო აღლუმების ამსახველ კადრებში, რომელსაც ნაცისტების ლიდერი მართავდა. ■

ქვეყანა

ოპოზიციონერები შეთანხმდნენ

ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ლეიბორისტული პარტიის ინიციატივას — გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით არჩევნების ჩატარების შესახებ. როგორც ცნობილია, ეს ინიციატივა ეხება არა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, არამედ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებსაც. „ბენ გი მუნის სახელზე მომზადებულ მიმართვაში, რომელიც შალვა ნათელაშვილმა ოპოზიციას წარუდგინა, ნათქვამია, რომ საქართველოში დამყარებულია ერთპარტიული დიქტატორული ტოტალიტარიზმი პრეზიდენტის პირადი რეჟიმის სახით. შედეგად, განადგურებულია ძირითადი დემოკრატიული ინსტიტუტები, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება, თავისუფალი მედია, თავისუფალი ბიზნესი. არჩევნების მასობრივი ფალსიფიცირების შედეგად, სრულიად ერთპარტიულია არა მარტო მთავრობა, არამედ სახელმწიფო მმართველობისა და საჯარო საქმიანობის ყველა რგოლი, ადგილობრივი თვითმმართველობის ჩათვლით. საქართველოში არ არსებობს არანაირი სამართლებრივი და პოლიტიკური გარანტიები ნებისმიერი არჩევნების თავისუფლად, ოდნავ დემოკრატიულ გარემოში გამართვისა, რაც გარდაუვალად გახდება ქვეყნის შემდგომი რღვევის, სამოქალაქო დაპირისპირებისა და რეგიონში დესტაბილიზაციის საფუძველი“. შეხვედრა საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო, მაგრამ მას არ ესწრებოდნენ ედპ-ს, გია თორთლაძის, ნინო ბურჯანაძის, პაატა დავითაიასა და ზურაბ ნოღაიდელის პარტიების წარმომადგენლები. დავით ბერძენიშვილის თქმით, დოკუმენტი, რომელიც ლეიბორისტებმა მოამზადეს, ძალიან კორექტულადაა შედგენილი და ტაქტიკაში განსხვავებების მიუხედავად, ისეთია, რომ უხერხულობას არც ერთ პარტიას არ უქმნის. ■

რუსები ქართლსა და სამეგრელოს ზვერავენ

ბოლო დროს რუსული უპილოტო სადაზვერვო საფრენი აპარატები სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებიან ქართული დასახლებული პუნქტების თავზე. ჟურნალ „არსენალის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ოკუპირებული ახალგორისა და გალის რაიონებიდან რუსეთის სამხედრო დაზვერვა სხვადასხვა ტიპის უპილოტო თვითმფრინავს გზავნის თბილისი-გორის ავტოსტრადისა და მიმდებარე ტერიტორიების დასაზვერად, სავარაუდოდ — ქართული არმიის თავდაცვითი პოზიციების აღმოსაჩენად. იგივე ხდება სამეგრელოს თავზე, სადაც დაზვერვას გალის რაიონიდან შემოფრენილი რუსული უპილოტო აპარატები ახორციელებს. „რუსული უპილოტო სადაზვერვო საფრენი აპარატების გააქტიურება კარგს არაფერს უნდა მოასწავებდეს“, — წერს გამოცემა. ■

ბიზნესმენებს მკვდრეთით აღმდგარი ფინანსური პოლიციის ეშინიათ

პარლამენტის მიერ მიღებული კანონი — ფინანსური პოლიციის აღდგენის შესახებ — ძალაში შევიდა. 2004 წელს შექმნილი და 2007 წელს გაუქმებული ფინანსური პოლიცია ახლა სრული უფლებამოსილებით აღდგება და ყველა იმ ფუნქციას იკისრებს, რომელსაც ადრე არაერთხელ მიუცია ოპოზიციისა თუ ბიზნესმენებისთვის, უფლებათა დარღვევასა და ტერორში მისი დადანაშაულების საბაბი. ფინანსური პოლიცია ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი საქვეუწყებო ერთეული იქნება და დაქვემდებარებაში სპეცდანიშნულების რაზმიც ეყოლება, რომელსაც უფლება აქვს, გამოიყენოს ფიზიკური იძულება და ჩაატაროს ექსპერტიზა. ძველი პოლიციური სტრუქტურის „ექსჰუმაციით“, ბიზნესმენები ტერორის გაძლიერებას ელოდებიან, სახელმწიფო კი — ბიუჯეტის გაზრდას. ■

ბარონესა უმაღლესი კომისრის სავარძელში

საგარეო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისრის თანამდებობაზე ჰავიერ სოლანას ბრიტანელი ბარონესა — კეტრინ ეშტონი შეცვლის. ლისაბონის ხელშეკრულების ნორმების შესაბამისად, მისი ფუნქციები მნიშვნელოვნად გაფართოვდება, ევროკავშირის შემადგენლობაში შევა და თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას მიიღებს. ეშტონს, როგორც სრულფასოვანი ევროპული პოლიტიკური სამსახურის წარმომადგენელს, საზღვარგარეთ მისიების გახსნის უფლება ექნება. საგარეო ურთიერთობათა ევროპული სამსახურის თანამშრომელთა საერთო რაოდენობა 5 ათას ადამიანს მიაღწევს. „ამ თანამდებობაზე ჰავიერ სოლანას მუშაობის დასრულება ევროპის საგარეო პოლიტიკის მთელი ეპოქის დასრულებას ნიშნავს“, — განაცხადა ევროპული სტრატეგიული კვლევების ექსპერტმა კონრად შულცმა. მისი თქმით, ჰავიერ სოლანას მთავარი წარმატება — ბალკანეთში სტაბილიზაციის მიღწევა გახდა, ხოლო წარუმატებლობა — ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ არსებული სიტუაცია. ■

„დედაქალაქის მერს მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე თავად პრეზიდენტს“

გასულ კვირას საზოგადოება თბილისის მერობის კანდიდატებზე ალაპარაკდა. თბილისელებს „ნაციონალების“ მიერ გიგი უგულავას დასახელება არ გაჰკვირვებიათ, მათი გაოცება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ოპოზიციამ ისევ ვერ შეძლო საერთო კანდიდატის არჩევა. თავად ოპოზიციონერი ლიდერები კი ამბობენ, ჩვენ შორის ყველაზე ღირსეულს ე.წ. პრაიმერი გამოავლენსო, მაგრამ მსგავსი დაპირებების ქართველებს ისევე აღარ სჯერათ, როგორც „მოსკოვს — ცრემლების“... ირაკლი ალასანია — „ალიანსი საქართველოდან“, დავით იაკობიძე — „საქართველოს დემოკრატიული პარტიიდან“, გია ჭანტურია — „ქრისტიან-დემოკრატებიდან“, ზვიად ძიძიგური — „კონსერვატორებიდან“ და კობა დავითაშვილი — „ხალხის პარტიიდან“ — ეს მერობის ოპოზიციონერი კანდიდატები არიან. ალბათ, მკითხველისთვის საინტერესოა, რას ფიქრობს მათ შესახებ ხალხი და როგორ აფასებს ამ კანდიდატების შესაძლებლობებს პოლიტიკური ექსპერტი, სოსო ცისკარიშვილი.

„საქართველო“ და „არჩევნების გაყალბება“ სინონიმებია“

ხათუნა გახტურიძე

თამრიკო ჭოხონელიძე, *მომღერალი:*

— სიმართლე გითხრათ, ძალიან დავიბენი. ვეღარ გავიგე, ვინ ვის მხარეს დგას და ვინ რას აკეთებს ან საერთოდაც, რატომ ჰყავს ოპოზიციას ამდენი მერობის კანდიდატი? თუ ოპოზიცია საერთო ძალით არ იბრძოლებს, გამარჯვება ისევ გიგი უგულავას დარჩება.

ეთერ კაკულია, *მომღერალი:*

— მე ძალიან მომწონს გიგი უგულავა. ნახეთ, როგორი მეურნე კაცია, ქალაქი როგორ გაალამაზა და თავადაც, ძალიან სიმპათიურია... რა ვქნა, თანამდებობის პირის გარეგნობას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

სოსო ჯაჭვლიანი, *მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი, რეჟისორი:*

— არ მიკვირს, ოპოზიციონერებს რამდენიმე კანდიდატი რომ ჰყავთ, მაგრამ იმედია, შიდა არჩევნების (არაქართულ სიტყვას — „პრაიმერს“ შეგნებულად არ ვიტყვი) შედეგად საერთო კანდიდატს წარმოგვიდგენენ. ჩვენ, პირველ რიგში, იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ საარჩევნო გარემო ჯანსაღი იყოს. ძალიან მაფიქრებს ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული 30%-იანი ბარიერი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არჩევნებში უგულავას გამარჯვება წინასწარვე აქვთ გათვლილი.

ლუიზა შაკიაშვილი, *ყოფილი პარლამენტარი:*

— თუ ოპოზიცია გამარჯვებაზე ფიქრობს, არჩევნებზე ერთიანი კანდიდატი უნდა წარადგინოს. პირადად მე, დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი დავით იაკობიძის მიმართ. როდესაც პარლამენტარი ვიყავი, ეგ ფინანსთა მინისტრი იყო და ვიცი, რომ არაჩვეულებრივი ფინანსისტი, ეკონომისტი და პატრიოტი კაცია... თუ ოპოზიცია ერთ კანდიდატს არ წარადგენს, ქალაქის მერად ისევ უგულავა შეგვრჩება. ძალიან მომწონს ირაკლი ალასანიას ინიციატივა — 50%-იანი ბარიერის შესახებ. ხელისუფლებას 30%-იანი ბარიერი იმიტომ უნდა, რომ მეტის იმედი არ აქვს...

ზაიბული ჩაკვეტაძე, *დიასახლისი:*

— მართლაც, მერობის კანდიდატების ფართო არჩევანი გვაქვს, მაგრამ საინტერესოა, მას მართლა ჩვენ აგვარჩევინებენ თუ არა? ძალიან მინდა, ქალაქის მერი პოლიტიკური ფიგურა არ იყოს, მაგრამ როგორც ვატყობ, ამ არჩევნებში ორი პოლიტიკური ფიგურა — გიგი უგულავა და ირაკლი ალასანია — დაეძგერება ერთმანეთს.

— ფიქრობთ, რომ უგულავას კონკურენტი მხოლოდ ირაკლი ალასანიაა?

— თუ ოპოზიცია ე.წ. პრაიმერს ჩაატარებს, დარწმუნებული ვარ, მერობის კანდიდატად ირაკლი ალასანია დასახელდება და ამ შემთხვევაში, გიგი უგულავას სერიოზული მუშაობა მოუწევს, არჩევნების გასაყალბებლად.

დათო კაცაძე, *გეოგრაფი:*

— მართალია, სულით და გულით ოპოზიციონერი ვარ, მაგრამ მინდა, თბილისის მერი ისევ უგულავა იყოს. გუბაზ სანიკიძე, ირაკლი ალასანია და კიდევ რამდენიმე ოპოზიციონერი, ვისაც მე მხარს ვუჭერ, კარგი მერი ვერ იქნება. უგულავა წელებზე ფეხს იდგამს, რათა ხალხს თავი მოაწონოს. ხომ ხედავთ, როგორ გაალამაზა თბილისი?! ეს კაცი, მართალია, ბევრს წვალობს, მაგრამ რადგანაც „ნაციონალების“ სახეა, ხალხი მას ხმას მაინც არ მისცემს და გამარჯვების მოსაპოვებლად, თავის გუნდთან ერთად, არჩევნების გაყალბება მოუწევს და ეს ლოგიკურიც იქნება, რადგანაც „საქართველო“ და „არჩევნების გაყალბება“ სინონიმებია.

ლია მასხარაშვილი, *მხატვარი:*

— ოპოზიციამ რამდენიმე მერო-

ბის კანდიდატი შემოგვთავაზა. ძალიან უცნაურად მეჩვენება ის ფაქტი, რომ ერთ კანდიდატზე ისევ ვერ შეთანხმდნენ. არ მჯერა ამ „პრაიმერის“ და ასეთი რაღაცების. აჯობებდა, თავად შეთანხმებულიყვნენ ერთმანეთთან და ხალხისთვის ერთიანი კანდიდატი წარმოედგინათ. ვატყობ, ეგენი ვერც ე.წ. პრაიმერს ჩაატარებენ და არჩევნებშიც ცალ-ცალკე იყრიან კენჭს. აი, მაშინ მართლა დასაცინები იქნებიან.

გია ფირცხალავა, *ინჟინერი:*

— ოპოზიციონერი ლიდერების საქციელი სასაცილოა. ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი კანდიდატი ყოველთვის სჯობდა ოპოზიციის „რჩეულს“, ახლა კი ცალ-ცალკე მომინდომეს კენჭისყრა. რა დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე!..

— თქვენ მხარს ვის დაუჭერთ?

— გიგი უგულავას.

— რატომ?

— ქალაქს მისი ხელი დაეტყო. ადრე სულ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდა და არ მომწონდა, მაგრამ ბოლო დროს თბილისს სერიოზულად მიხედა.

ეკა დამენია, *ექიმი:*

— დაბნეული ვარ. ოპოზიციამ ერთი კანდიდატის შერჩევა როგორ ვერ შეძლო? ნუთუ ასე ძნელია საკუთარი ამბიციების მოთოკვა? იმედი მაქვს, იმ ე.წ. პრაიმერს მაინც ჩაატარებენ და ბოლოს და ბოლოს, ერთ კანდიდატს წარმოგვიდგენენ. ისე, სიმართლე გითხრათ, მერის არჩევნებში ირაკლი ალასანიას მონაწილეობა არ მომწონს. ქალაქის მერობა — ეს სამეურნეო საქმიანობაა, ალასანიასგან კი მეტს ველი.

სოსო ციხკარიშვილი, *პოლიტიკური ექსპერტი:*

— ჩემი აზრით, ის ოპოზიციური პარტიები, რომელთაც ხალხის მხარდაჭერა აქვთ, ადრე თუ გვიან, საერთო კანდიდატის არჩევას შეძლებენ, 2-3 პარტია კი თავის კანდიდატს დამოუკიდებლად დაასახელებს.

— ასეთ ნაბიჯს რომელი პარტიებისგან ელით?

— მათგან, რომლებიც თავს სერიოზულ პოლიტიკურ ძალად მიიჩნევენ, მაგრამ სინამდვილეში, „ნაციონალური მოძრაობის“ დავალებების შემსრულებლები არიან.

— საპარლამენტო ოპოზიციას გულისხმობთ?

— თუ „ქრისტიან-დემოკრატებს“ არ ჩავთვლით, საპარლამენტო ოპოზიციას არანაირი მხარდაჭერა არა აქვს. იქ თითო კაცი თითო პარტიას წარმოადგენს და მათზე ლაპარაკი არ ღირს.

— თქვენი აზრით, გიგი უგულავასთვის რეალური კონკურენტი ვინ იქნება?

— უგულავა ცალკე აღებული ფიზიკური პირი კი არა, „ნაცმოძრაობის“ სახეა და ნებისმიერი სხვა კანდიდატი, რომელიც მას დაუპირისპირდება, უპირატეს მდგომარეობაში იქნება. თუ ოპოზიცია ერთიანი კანდიდატის არჩევას შეძლებს, მაშინ უგულავას, არჩევნების გაყალბების თვალსაზრისით, სერიოზული სირთულე შეხვდება.

— ეი. წინასწარვე აცხადებთ, რომ არჩევნები გაყალბდება?

— ყოველ შემთხვევაში, ამის მცდელობა იქნება. დღეს არანაირი წინა პირობა არ არსებობს, ვიფიქროთ, რომ ხელისუფლება არ გააყალბებს არა მარტო 2010 წლის თვითმმართველობის, არამედ ყველა სხვა არჩევნებს. მეტსაც გეტყვით, ჩვენ გაყალბების ახალი ტექნოლოგიების მოწმენი გავხდებით.

— ამის ფიქრის საბაბს ის საარჩევნო კანონმდებლობა გაძლევთ, რაც დღეს გვაქვს?

— არა, ამ კანონმდებლობით ნორმალური არჩევნების ჩატარება შესაძლებელია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მმართველ პოლიტიკურ ძალას ქვეყანაში სამართლიანი არჩევნების ჩატარება არ სურს.

— თუ ოპოზიცია საერთო კანდიდატზე შეთანხმდება, თქვენი აზრით, ვინ შეიძლება იყოს ის?

— ალბათ ირაკლი ალასანია, მაგრამ არა მგონია, მისი გადაწყვეტილება — იყაროს კენჭი მერის თანამდებობაზე, კარგი აზრი იყოს.

— რატომ?

— როდესაც რამდენიმე პოლიტიკური პარტიისგან ალიანსი ყალიბდება, არ არის კარგი, რომ ყველა ვაკანტურ თანამდებობაზე ერთი და იგივე პიროვნება წარადგინონ. ჩემი აზრით, ამ ალიანსში არიან სხვა ადამიანებიც, რომლებსაც ალასანიას მსგავსად, სერიოზული გამოცდილება და ხალხის მხარდაჭერა აქვთ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს არჩევნები ირაკლი ალასანიასა და გიგი უგულავასთვის პრეზიდენტობისთვის ბრძოლის საწყისი ეტაპია?

— ჯერ ერთი, მერობა ისეთი ხელწამოსაკრავი თანამდებობა არ არის, რომ ის მხოლოდ „ტრამპლინად“ განვიხილოთ. ზოგიერთ ქვეყანაში დედაქალაქის მერს მეტი პოლიტიკური დატვირთვა აქვს, ვიდრე თავად პრეზიდენტს.

— კი, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს ასე ნამდვილად არაა. გარდა ამისა, ქართველი ხალხის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მერი პოლიტიკური ფიგურა არ უნდა იყოს...

— თბილისში, სადაც საქართველოს მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს, არჩეული მერი ყველა შემთხვევაში, პოლიტიკური ფიგურა იქნება და იმის მცდელობა, რომ ამ პოსტზე მყოფი ადამიანი სამეურნეო მუშაკად წარმოგვიდგინონ, ამ იდეის ავტორებს ძალიან საცოდავ მდგომარეობაში აყენებს. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მერობის ყველა კანდიდატი სანტექნიკოსის ან დურგლის პოზიციიდან განიხილებოდეს, მაგრამ როგორც უნდა ეცადოს მავანი, უგულავას ოპონენტებს ბრძოლის ხალისს ვერ დაუკარგავს. ■

ბავშვები ძალადობის წინააღმდეგ

და სოფელი, რომელიც ოჯახის სითბოს აზიარებს

ბავშვთა და მოზარდთა უფლებები და ამ უფლებების დარღვევა — ეს პრობლემა, უწინდელთან შედარებით, სულ უფრო ხშირად ხდება საჯარო განხილვისა და მასმედიის ყურადღების ობიექტი. ძალადობა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სკოლაში, ოჯახში, მოზარდების ჩაგვრა — მოზრდილებისა თუ თანატოლების მხრიდან, მოზარდთა სატკივრისადმი გულგრილობა — ეს ყველაფერი მართლაც, სერიოზულ სოციალურ პრობლემას წარმოადგენს. სწორედ ამ პრობლემისაკენ მეტი ყურადღების მიპყრობას ისახავს მიზნად საერთაშორისო დღე — ბავშვთა ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც წლეულს ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კონვენციის 20 წლისთავს დაემთხვა.

თამთა დადეშელი

უკვე მეორე წელია, ამ დღეს ასოციაცია — „საქართველოს ბავშვთა სოფელი“ — სხვადასხვა ღონისძიებით გვახსენებს. მანიფესტაციაზე, რომელიც ფილარმონიასთან პერფორმანსით დაიწყო, ბავშვებს მოზარდ-მაყურებელთა თეატრის მსახიობები შეუერთდნენ და საბოლოოდ, ის ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრში სპექტაკლით დამთავრდა. ამ ყველაფრის ორგანიზატორი, გამოჩენილი მწერლის — ნოდარ დუმბაძის შვილიშვილი და ამ ასოციაციის ერთ-ერთი თავკაცი, ნოდარ თოფურიძე გახლდათ, რომელსაც რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

— უპირველესად, თქვენი ასოციაციისა და მისი მიზნების შესახებ მოგვიყევით.

— ეს არასამთავრობო ორგანიზაცია უკვე 10 წელზე მეტია, მოქმედებს საქართველოში და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვების დასახმარებლად სხვადასხვა პროგრამას ახორციელებს. ერთი სოფელი თბილისში გვაქვს, ერთი — ქუთაისში; მოქმედებს აგრეთვე ახალგაზრდული ცენტრები. ბავშვთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი აქციის მიზანი იყო, ამ ბავშვების პრობლემებისადმი საზოგადოების ყურადღება მიგვეპყრო.

— რამდენი ბავშვია თქვენს ასოციაციაში გაწევრებული?

— 800-მდე ბავშვი გვყავს, ასე ვთქვათ — ბენეფიციარი, ვისაც ვეხმარებით, ხოლო ორივე სოფელში თითქმის 80 ბავშვი ცხოვრობს; ახალგაზრდულ ცენტრებში 15 წლის შემდეგ გადადიან და იქ დაახლოებით 30 ადამიანია. მათგან ზოგს ჰყავს მშობლები, ზოგს — არა... კონვენცია, რომელიც ადამიანის უფლებათა კონვენციის ანალოგს წარმოადგენს, ბავშვს საზოგადოების სრულუფლებიან წევრად აღიარებს; მასში ხაზგასმულია, რომ მოზარდს უფლება აქვს, ყველაფერზე გამოხატოს საკუთარი აზრი, ჩვენ კი ვალდებულები ვართ, ეს აზრი გავითვალისწინოთ.

— ძირითადად, რა პრობლემებს აწყდებით, ბავშვთა უფლებების დარღვევის მხრივ?

— მთავარი პრობლემა — ძალადობაა, რომელსაც ხშირად ვხვდებით, და ამ აქციით არა მხოლოდ ბავშვთა ძალადობის, არამედ ზოგადად ძალადობის წინააღმდეგ გამოვედით. მანიფესტაცია ცხინვალის რეგიონში დაპატიმრებულ ბავშვებსაც ეხმაურებოდა და დარწმუნებული ვართ, რომ ეს პრობლემა აუცილებლად გადაწყდება, სხვანაირად არ შეიძლება მოხდეს... ძალიან ცუდია და თვითონ გაეროს ბავშვთა კომიტეტიც წინააღმდეგია იმისა, რომ საქართველოში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკმა იკლო: თუ ადრე 14 წლიდან აძლევდნენ ბავშვს პასუხისგებაში, ახლა ეს 12 წლის ასაკიდან ხდება. თავისთავად, ბავშვი ციხეში — უკვე ძალადობაა...

— რამდენად ხშირად მიმართავენ ბავშვები შესაბამის ორგანიზაციებს? შეიძლება, ბავშვს ან მოზარდს ჰქონდეს რაღაც პრობლემები, ვთქვათ, ოჯახში, მაგრამ მშობლების შიშით, არც ერთ ასოციაციას არ მიმართოს.

— სწორედ ეს წარმოადგენს დიდ პრობლემას მთელ მსოფლიოში. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენში ძალიან ხშირია ბავშვის უფლებების დარღვევა, დიდ ქვეყნებში გაცილებით მრავლადაა. მაგალითად, ცოტა ხანს ამერიკის საბრალდებო დაწესებულებაში მომიწია მუშაობამ და საქმეების 75-80% ბავშვთა მიმართ ძალადობასთან, მათ შორის, ხშირად — სექსუალურ ძალადობასთან იყო დაკავშირებული, რაც საქართველოსთვის დამახასიათებელი არ არის. მაგრამ პრობლემა ჩვენშიც მრავლადაა. უპირველესი მაინც ისაა, რომ მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვი ისეთ გარემოში იზრდებოდეს, როგორიც ჩვეულებრივ ოჯახებშია. ამიტომ, ჩვენი ასოციაცია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მათ არაფრის დეფიციტი არ ჰქონდეთ: ჩვენი სოფლის ბავშვებს ვერ გაარჩევთ იმ ბავშვებისგან, რომლებიც ჩვეულებრივ ოჯახებში იზრდებიან, ვერც განათლებით, ვერც ზრდილობით, სიტყვა-პასუხით, ჩაცმულობით და ა.შ. გვინდა, რომ ყველა მათგანმა უზრუნველად, ჯანსაღად და მათთვის შესაბამის პირობებში, ბედნიერად იცხოვროს. ■

ჩეხეთიდან დანახული ქართული დემოკრატია, გადაბირებული გერმანელი პოლიტიკოსები

და „სადაზღვევო პოლისი“ ხელისუფლებისთვის

ბოლო დროს ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ხშირად გვესმის, რომ საქართველო ევროპული დემოკრატიის კვალდაკვალ მიდის და ეს სიტყვის თავისუფლებაში, ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიისთვის აუცილებელი პრინციპების დანერგვაში აისახება. მაგრამ თუ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ საქმე არც ისე კარგად არის, რადგან სწორედ დემოკრატიულ ფასეულობებს ექმნება საფრთხე... დავინტერესდი, როგორი მსგავსებაა სინამდვილეში, საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, სიტყვის თავისუფლების მხრივ და როგორ აფასებენ ახალ ევროპაში ქართულ დემოკრატიას. ამის გასარკვევად, პრაღაში რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის ჟურნალისტს, კობა ლიკლიკაძეს დავუკავშირდი, რომელსაც ქვეყანაში არსებულ აქტუალურ თემებზეც ვესაუბრე.

ლალი პაპასკირი

— ბატონო კობა, რამდენად განსხვავდება ქართული და ჩეხური ჟურნალისტიკა ერთმანეთისგან? ვგულისხმობ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ინფორმაციის მოპოვებისა და გადამოწმების საშუალება, პოლიტიკოსებთან ურთიერთობა.

— გამიჭირდება შედარება, რადგან პრაღაშიც ძირითადად, ქართული თემატიკით ვარ დაკავებული და არ მაქვს დრო, თვალი ვადევნო, თუ რა ვითარებაა ჩეხეთის ჟურნალისტიკაში, რამდენად ერევა მთავრობა მედიის მუშაობაში. იქაც არის მემარცხენე თუ მემარჯვენე მიმართულების გაზეთები; შესაძლოა, ჟურნალისტებისთვის ყოველთვის დაუბრკოლებლად არ იღებოდეს მთავრობის წარმომადგენელთა კაბინეტების კარები, მაგრამ ჩეხეთი ნატოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა, დამკვიდრებული აქვს დემოკრატიის მაღალი სტანდარტები, სიტყვისა და გამოხატვის უფლება გარანტირებულია და რამდენადაც ვიცი, არ არსებობს ისეთი დაუბალანსებელი სატელევიზიო მედია, როგორიც საქართველოშია, — როცა 5 საერთო ეროვნული სატელევიზიო არხი ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესის ხელშია, ხოლო დანარჩენი ორისთვის, — „მაესტრო“ და „კავკასია“ მაქვს მხედველობაში, — სარეკლამო ბაზარიც შეზღუდულია და მაუწყებლობის დაფარვის არეალიც.

— საქართველოში პრესის ჟურნალისტებს ხშირ შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის მიღების პრობლემაც კი გვექმნება. იქ რა ვითარებაა ამ მხრივ?

— რაც უნდა დაუჯერებელი იყოს, არც იქ არის იდეალური ვითარება. საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ ბოლო გამოკვლევამ უჩვენა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში პრესის თავისუფლების მხრივ, ბოლო წელს საფუძვლიანი უკუსვლაც კი შეიმჩნევა. ფინანსური კრიზისი გაზეთების ტირაჟებსა და სარეკლამო ბაზარსაც დაეტყო, თუმცა ეს მოვლენები, კრიზისთან ერთად, სხვა ფაქტორებმაც განაპირობა. იქ არის ირიბი ზეწოლა ჟურნალისტებზე, ამასთან, შესაძლოა, იწერებოდეს დაკვეთილი სტატიებიც ან რედაქტორები „მახვილი კუთხეებისთვის“ გვერდის ავლას ცდილობდნენ. სამაგიეროდ, როცა საქმე ადამიანის უფლებების დაცვას, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს ან საზოგადოებრივ პროტესტს ეხება, მასმედია ობიექტურობას იჩენს. ერთ მაგალითს გავიხსენებ: დაახლოებით თვე-ნახევრის წინ ჩეხმა ფერმერებმა სოფლის მეურნეობის სუსტი სუბსიდირების გამო პროტესტი გამოხატეს — ცისტერნებიდან პირდაპირ მინდორში ღვრიდნენ რძეს — და ეს მოვლენა ყველა ტელეარხმა გააშუქა. ახლა თავად განსაჯეთ — უჩვენებდა თუ არა რომელიმე, ე.წ. ქართული ნაციონალური ტელეარხი ჩვენი მეღვინეების მსგავს პროტესტს?.. არ მინდა, კატეგორიული ვიყო, მაგრამ მეჩვენება, რომ ქართული ტელეარხები ახალ ამბებს იგონებენ, დასავლეთის ქვეყნებში კი ჟურნალისტები პოლიტიკურ მოვლენებს აშუქებენ.

— სახელისუფლებო და ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენელთა მხრიდან სხვადასხვა ტელეარხის, პრესისა და რადიოჟურნალისტების მიმართ ბოიკოტი იქაც მიღებულია?..

— ამ შეკითხვაზე მგონი, ნაწილობრივ უკვე გავეცი პასუხი. საერთოდ, დასავლეთში ამბობენ, რომ სახელმწიფო მოხელეებს სურთ, რაც შეიძლება ნაკლები ინფორმაცია გასცენ, ხოლო ჟურნალისტებს უფრო და უფრო მეტი ინფორმაციის მიღება სწადიათ. ასე გაგრძელდება ყოველთვის. მაგრამ ევროპის ქვეყნებში კარგი დღე არ დაადგებათ პოლიტიკოსებს, თუკი ჟურნალისტებს ბოიკოტს გამოუცხადებენ. ასეთ დროს ჟურნალისტი ყოველთვის გამარჯვებულია. პოლიტიკოსი კი, რომლის დანიშნულება საჯარო მოღვაწეობაა, წაგებული რჩება და რეიტინგს კარგავს. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ იქ ჟურნალისტები ისე აშკარად არ ერევიან პოლიტიკურ ბრძოლაში რომელიმე მხარის სასარგებლოდ, როგორც ეს საქართველოში ხდება. პრაღიდან შვებულებით 16 ნოემბერს ჩამოვედი და ჩემთვის აღმოჩენა გახლდათ ის ფაქტი, რომ შეიქმნა კიდევ ერთი ტელევიზია, რომელიც ლამის მთლიანად, ოპოზიციის დისკრედიტაციას ემსახურება. იმედია, მკითხველი მიხვდება, თუ რომელ ტელევიზიაზე მაქვს ლაპარაკი, — რადგან მხოლოდ გამოკვეთილ ტენდენციაზე ვლაპარაკობ, მისი დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ... ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების მხრიდან მედიის მონოპოლიზება ქართული დემოკრატიის საუკეთესო მხარეს ნამდვილად არ წარმოადგენს. თუმცა არც იმას დაგიმალავთ, რომ პრობლემები თვით ქართულ მედიაშიც არსებობს: კადრების პროფესიონალიზმის დონე, ხელფასები, ტირაჟი და პრესის გავრცელება. ასევე პრობლემაა, ამა თუ იმ თემის გაშუქების დროს ბალანსის დაცვაც... იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქართველოში ჟურნალ-

ისტების უმრავლესობა სოციალურად დაუცველია, რის გამოც, სახელისუფლებო ტელეარხების მიერ მათი გადაბირება იოლია.

— თქვენი შეფასებით, სად უფრო ენდობიან პრესას?

— სხვადასხვაგვარი სურათია — ამას არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევა მოწმობს. ნდობა ძალიან ცვალებადი და მყიფე რამ გახლავთ და მედიას ყველა ქვეყანაში ნდობის მოპოვება ბრძოლით უწევს. გლობალური ტერორიზმის ეპოქაში, მოსახლეობა უფრო მეტად მიდრეკილია იმისკენ, რომ ენდოს პოლიციასა და უსაფრთხოების სტრუქტურებს, ვიდრე მედიას, რომელშიც ნეგატიური ინფორმაცია სჭარბობს პოზიტიურს. თუმცა სინამდვილის შელამაზების ხელოვნური მცდელობაც წარუმატებელია, მით უმეტეს, რომ დასავლეთის სამყარო სულ უფრო ინტეგრირებული ხდება და ის, რაც ერთგან შეიძლება, დაიმალოს, სხვაგან აუცილებლად გამოაშკარავდება. გარდა ამისა, მედიისადმი უნდობლობას სწორედ ინფორმაციის დამალვა იწვევს და არა მისი გავრცელება. რა თქმა უნდა, თუკი ინფორმაცია გადამოწმებულია და მისი ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს.

— ბატონო კობა, პოლიტიკურ საკითხებსაც შევეხოთ. ჩვენი ხელისუფლებისგან ხშირად გვესმის, რომ ევროპული (გნებავთ, „ახალი ევროპის“) ქვეყნების ლიდერები საქართველოს — ახალგაზრდა დემოკრატიულ სახელმწიფოდ მოიხსენიებენ. თქვენ ხშირად გიწევთ ევროპელ პოლიტიკოსებთან ურთიერთობა. როგორია მათი „არაეტიკეტური შეფასება“?

— ევროპული დიპლომატია იმდენად დახვეწილია, რომ პირდაპირ შენიშვნას ან არაეთიკურ შეფასებას ვერ გაიგონებთ. თავად განსაჯეთ — საქართველოში სტუმრად ჩამოსული პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოხელეები ძირითადად, პოზიტიურად აფასებენ ქართულ დემოკრატიას და საქებარ სიტყვებს არ იშურებენ. ასეთია დიპლომატიის არსი. გახსოვთ ალბათ ფრთიანი გამოთქმა, — პოლიტიკოსს ენა იმისთვის აქვს, რომ საკუთარი აზრები დამალოსო. მაგრამ როცა ძალიან გაქებენ, სწორედ მაშინ უნდა დაფიქრდე იმაზე, თუ რას აკეთებ ცუდად. ჩვენი ხელისუფლება და მისი კონტროლირებადი მედია კი ამ დიპლომატიური „ფერუმარილის გამო“ ნათქვამ საქებარ სიტყვებს აზვიადებენ და ზოგად სურათს ისე წარმოაჩენენ, თითქოს საქართველოში ყველაფერი კარგად არის. ოპტიმიზმის დოზა ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს და შეუძლებელია, აქცენტი ნეგატიურზე გააკეთოს. თუმცა ჩვენში არც უმაგისობაა, ოღონდ — სხვების მიმართ: მაგალითისთვის გეტყვით — უბრალოდ, არ შეიძლება, ევროპის კავშირის ელჩებს ნიშნის მოგებით ელაპარაკო და ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად, მათ ქვეყანაში ქართველი ექსპერტების ჩაყვანა ურჩიო; ან კიდევ, „ტალიავინის კომისიის“ დასკვნის გამო, რომელიც რუსეთისთვის გაცილებით უარყოფითი იყო, დაუნდობლად გააკრიტიკო მისი გერმანელი წევრები, მერე მათ მიაყოლო გერმანული მედია და საგარეო საქმეთა მინისტრი. ალბათ მიხვდებით, თუ რა მაქვს მხედველობაში... ამას წინათ ერთ-ერთმა ჩეხმა ჟურნალისტმა მითხრა, — ზოგჯერ თქვენი ხელისუფლება ისე იქცევა, თითქოს საქართველო სუპერსახელმწიფო იყოსო.

— რა გახდა მათი მხრიდან ასეთი შეფასების საფუძველი?

— ევროპის ქვეყნების, განსაკუთრებით — გერმანიისა და საფრანგეთის კრიტიკა, მთელი რიგი ევროპელი პოლიტიკოსის ლამის „გაზპრომის“ მიერ გადაბირებულად გამოცხადება, ტირძნისელი მოზარდების გამო, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრის, თომას ჰამარბერგის უმოქმედობაში დადანაშაულება... როცა არ იცი, შენივე ქვეყანაში რას აკეთებს შენი სახალხო დამცველი, ევროპისთვის იმის დაბრალება, რომ ეკონომიკური კრიზისის გამო შეშინდნენ და სოციალიზმში გადაეშვნენ, უბრალოდ, არაეთიკურია... თუმცა ბევრი ისეთი ფაქტის მომსწრენიც ვართ, რომლებისთვისაც გვერდის ავლა არ შეიძლება: მართლაც საგანგაშოა, საფრანგეთის მიერ რუსეთისათვის ვერტმფრენმზიდების მიყიდვა, რომლის გამოყენებასაც მოსკოვი პირველ რიგში, საქართველოს წინააღმდეგ შეეცდება (და ამას ლამის ახლავე აღიარებს). მაგრამ დიპლომატიაში ასეთი პირდაპირი ტექსტით ლაპარაკი არ შეიძლება, მით უმეტეს, იმ ქვეყნების მიმართ, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ როგორც საქართველოს პრეზიდენტი ამბობს, — „საქართველო არ ჩამოშლილიყო“.

— რამდენად იჩენენ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე საშინაო პოლიტიკური პროცესების მიმართ ინტერესს?

— თუ ევროპულ ქვეყნებზე, კონკრეტულად კი ჩეხეთზე მეკითხებით, გიპასუხებთ — ნუ გვექნება იმის ილუზია, რომ რომელიმე ჩეხი პოლიტიკოსი საქართველოზე ფიქრში იძინებს და იღვიძებს. მათ საკუთარ ქვეყანაში თავზე საყრელად აქვთ პრობლემები, ჩვენში განვითარებულ მოვლენებს კი თვალყურს იმ დოზით ადევნებენ, რამდენსაც დიპლომატიური სამსახური მოითხოვს, ერთგვარი შეფასებისთვის... რაც შეეხება რუსეთის ინტერესს ჩვენში მიმდინარე პროცესების მიმართ, — მათი გაკონტროლების სურვილი მოსკოვს ყოველთვის ექნება. თუმცა, რამდენად შესაძლებელია ეს რეალურად, ძნელი სათქმელია, რადგან საქართველოს შს სამინისტრო რუსეთიდან შემოსულ ნებისმიერ სატელეფონო ზარსა და ფულად გზავნილს აკონტროლებს. თანაც, თუ ე.წ. „პატრიოტის აქტიც“ მიიღეს, თითოეული სიტყვა, რომელიც „რუ“-თი იწყება, შესაძლოა, სოდი-ს კავშირგაბმულობის პლანშეტზე მოხვდეს...

— დასასრულ, ბატონო კობა, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხსაც შევეხოთ: ბოლო დროს ოსი სეპარატისტებისა და რუსი ოკუპანტების ქმედებებს, კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლებიდან ადამიანების გატაცების ფაქტებს, სპეციალისტები ოსური მხარისგან წამოსულ პროვოკაციად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ ეს კიდევ ერთი „ომის“ გასაჩაღებლად კეთდება; რუსი ექსპერტების მტკიცებით, ვითარებას ქართული მხარე ართულებს იმ მიზნით, რომ მის მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შესვლას მიაღწიოს. თქვენი აზრით, სად არის სიმართლე და როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?

— ვფიქრობ, ტირძნისელი მოზარდების გატაცება რუსეთის სპეცსამსახურების ნახელავია. მოსკოვს სურს, შეამოწმოს, რამდენად მყარია საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოცხადებული „სტრატეგიული მოთმინება“; ამასთანავე, ცდილობს, ჩვენი ხელისუფლება უუნაროდ წარმოაჩინოს და ქვეყანაში მიხეილ სააკაშვილის მმართველობის მიმართ უნდობლობა და პროტესტი გააძლიეროს. ამიტომ, ამ შემთხვევაში, ხელისუფლებას უმოქმედობა და უუნარობა არ უნდა ვუკიჟინოთ, რადგან თუ მას ნერვები უმტყუნებს და ტყვეების გათავისუფლებას პოლიციური ან სამხედრო ძალით შეეცდება, ეს ხელ-ფეხს გაუხსნის რუსეთს მორიგი აგრესიისათვის. რაოდენ მძიმეც უნდა იყოს იმ უმსგავსობის მოთმენა, რომელსაც მოზარდების გატაცება ჰქვია, როგორმე უნდა ავიტანოთ, ვიდრე ტირძნისელ მოზარდებს ევროპის ქვეყნების შუამავლობით გაათავისუფლებენ... მოვლენების განვითარების განჭვრეტა გამიჭირდება, რადგან რუსეთსა და საქართველოს შორის ახლა არც ომის და არც მშვიდობის მდგომარეობაა, რაც დიდი ოპტიმიზმის იმედს არ იძლევა. მაგრამ თუკი საქართველოს ხელისუფლება დაიცავს საერთაშორისო საზოგადოებისათვის მიცემულ პირობებს, განავითარებს დემოკრატიას, გაათავისუფლებს მედიას და ჩაატარებს სამართლიან და თავისუფალ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, ეს რუსეთის მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად საუკეთესო „სადაზღვევო პოლისი“ იქნება.

■

"ავერსის" აფთიაქებში მედიკამენტები გაიაფდა

კომპანია "ავერსის" საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. ამას არაერთი საქველმოქმედო პროექტი და აქციაც ადასტურებს. სწორედ მომხმარებელზე ზრუნვის მაგალითი გახლავთ ისიც, რომ მიუხედავად მსოფლიოში არსებული ეკონომიკური კრიზისისა 2008 წლის 12 ნოემბრის შემდეგ "ავერსის" აფთიაქებში მედიკამენტებზე ფასები არ გაზრდილა. სულ ახლახანს კი კომპანია "ავერსის" ინიციატივით ფარმაცევტულ კომპანია "სანოფი ავენტისის" წარმომადგენლობასთან (რომელთანაც "ავერსი" უკვე მრავალი წელია აქტიურად თანამშრომლობს) გაიმართა მოლაპარაკება, რომლის თანახმადაც 2009 წლის 20 ნოემბრიდან მომხმარებელს საშუალება მიეცა საკმაოდ მნიშვნელოვანი ფასდაკლებით შეიძინოს ფარმაცევტული კომპანია "სანოფი ავენტისის" მიერ წარმოებული პრეპარატები:

ნო-შპა - სპაზმოლიზური საშუალება რომელიც აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის სპაზმის დროს;

ფესტალი - ფერმენტული საშუალება, რომელიც ხელს უწყობს ცხიმების, ცილების და ნახშირწყლების მონელების პროცესს და აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციურ მდგომარეობას;

ესენციალე ფორტე - ჰეპატოპროტექტორი, რომელიც აუმჯობესებს ღვიძლის ფუნქციასა და მის ფერმენტულ აქტივობას;

კორდარონი (ტაბლეტებში) - ანტიარითმული საშუალება;

მაგნე ბ6 - მაგნიუმისა და ვიტამინ ბ6-ის კომბინირებული საშუალება, რომელიც აუმჯობესებს მეტაბოლურ პროცესებს.

პლავიქსი - ანგიოპროტექტორი და მიკროცირკულაციის გამაუმჯობესებელი პრეპარატი, რომელიც გამოიყენება ათეროსკლეროზული დარღვევების პროფილაქტიკისთვის.

ეს ის ექვსი პრეპარტია, რომელიც მომხმარებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს და რომელთაც მოსახლეობა საკმაოდ ინტენსიურად ყიდულობს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათი ღირებულება მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს. სწორედ ეს გახლდათ კომპანია "ავერსის" ინიციატივის საფუძველი. ასე რომ, თუ ზემოთ აღნიშნულ პრეპარატებს ვერ ყიდულობდით, ახლა მათ შეძენას "ავერსის" ყველა აფთიაქში მნიშვნელოვანი ფასდაკლებით შეძლებთ.

"ავერსი" გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!
აღმაშენებლის 148/2
საინფორმაციო სამსახური: 967-227
WWW.AVERSI.GE

მკვლელმა ნინუების სახლში მოყრილი წიწაკით ყველა მტკიცებულება გააქრო

უშიშროების გენერლის, თამაზ ნინუასა და მისი მეუღლის, ეთერ ნინუას მკვლელობა 27 ნოემბერს გახსნილად გამოცხადდა. ამ უმძიმესი ბრალდებით, ნინუას უახლოესი მეგობარი, ყოფილი ფეხბურთელი, 60 წლის თამაზ გოგია დააკავეს. მას ორი ადამიანის განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება-შენახვაში ედება ბრალი. მკვლელობის მიზეზად ბიზნესი დასახელდა. ეს ფაქტი მოულოდნელი და შოკის მომგვრელი აღმოჩნდა მოკლულის ახლობლებისთვის, რადგან მათ დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ. ისიც ითქვა, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც ოჯახს მიუსამძიმრა, თამაზ გოგია იყო.

თეა ხურცილავა

შეგახსენებთ: 13 ნოემბერს თბილისში, მიცკევიჩის ქუჩაზე, საკუთარ ბინაში დახოცილი მშობლები ქალიშვილმა იპოვა. ორივეს თითო ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი. ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობას რუსულ სპეცსამსახურებს უკავშირებდნენ. ამბობდნენ, ნინუას, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით ინფორმაცია ჰქონდა და პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის შემდეგ ვიღაცამ მისი მოკვლა განიზრახა. კიდევ ერთი ვერსია ბიზნესსაქმიანობას უკავშირდებოდა.

სასამართლომ კი გოგიას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა და უფრო დეტალურად მაშინ გახდა ცნობილი ბრალდების პოზიცია. ოფიციალურად, მკვლელობის მოტივად, გართულებული ბიზნესურთიერთობები დასახელდა. ბრალდების მტკიცებით, 2 წლის წინ თამაზ გოგიამ შპს „კერა“ დააარსა; მასში რამდენიმე მეწილე გაერთიანდა, მათ შორის, თამაზ ნინუა და მისი ოჯახის წევრები. იმის გამო, რომ ობიექტის ამუშავება კარგა ხანს ვერ მოხერხდა, თამაზ გოგიას გარდა, საქმიდან ყველა მეწილე გავიდა... წელს, ზაფხულში გოგიამ ყოფილი დეპუტატის, ვლადიმერ ქარსელაძის ვალის — 600.000 დოლარის 2 წლის განმავლობაში გადახდა იკისრა და შპს „კერას“ 100%-ის მფლობელი გახდა. გამოძიების მტკიცებით, 50%-ს ფაქტობრივად, მაინც თამაზ ნინუა განაგებდა. ფირმას ვალები დაუგროვდა და ნინუასა და გოგიას შორის უთანხმოება წარმოიშვა. გოგიამ, ნინუასგან ფარულად, უძრავი ქონების გაყიდვა და თანხის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. ეს თამაზ ნინუამ გაიგო და ურთიერთობა უფრო დაიძაბაო, — ამტკიცებს ბრალდება და ირწმუნება, რომ გოგიამ ნინუა იმიტომ მოკლა, რომ სურდა, ქონება გაეყიდა და თანხა სრულად მას დარჩენოდა. ამას კატეგორიულად არ ეთანხმება თამაზ გოგია, მკვლელობას უარყოფს და ირწმუნება, რომ სრულიად უდანაშაულოა.

„სად არის ლოგიკა იმაში, რომ თამაზ ნინუას 50% ჰქონდა ფირმაში და ამის გამო მოვკალი? 100%-ს მივცემდი, ის ჩემი მეგობარი იყო. მსგავსი დანაშაული არ ჩამიდენია, მსგავსი არაფერი გამიკეთებია. უმუშევარი იყო და ჩემთან წავიყვანე, იქ მყავდა მოადგილედ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, საქმეს ვერ ხსნიან და ვიღაცას უნდათ, ხელი შეახოცონ“, — აცხადებს ბრალდებული.

ბუნებრივია, გამოძიებას მისი აღიარებითი ჩვენება არა აქვს, მაგრამ ბრალდების მტკიცებით, 11 ნოემბერს საღამოს გოგია მიცკევიჩის 18-ში მანქანით მივიდა, სადარბაზოში ისე შევიდა, რომ არავის შეენიშნა და ორივეს ტყვია თავში ესროლა.

ბრალდებულს ადვოკატი დავით აბესაძე იცავს. მის უდანაშაულობაში დარწმუნებულია. ადვოკატთან საუბრისას, ბევრი საინტერესო დეტალი გავარკვიეთ — თუნდაც ის, რომ თამაზ გოგია ძალოვნებს 27 ნოემბერს კი არ დაუკავებიათ, როგორც ეს გამოაცხადეს, არამედ რეალურად, 18 ნოემბრიდან იმყოფება პატიმრობაში.

დავით აბესაძე, *ადვოკატი:*

„მისი დაკავება გაცილებით ადრე — 18 ნოემბერს მოხდა. იმ მომენტისთვის მისი დაკავების მიზეზი სამართალდარღვევის ჩადენა იყო: ვითომ თამაზ გოგიამ დიღმის მასივში პოლიციელებს უცენზურო სიტყვებით მიმართა. სინამდვილეში კი წერეთელზე აიყვანეს. დანარჩენი კი შეთხზეს; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ამხილეს და სასამართლომ ადმინისტრაციული სასჯელი — 60-დღიანი პატიმრობა შეუფარდა. ეს სენსაციაა; რომც ჩაედინა დარღვევა, 400-ლარიან ჯარიმაზე მეტი რა უნდა ყოფილიყო სასჯელი?! მით უმეტეს, ის არ იყო ქუჩის ბიჭი. ფირმის დირექტორი იყო, კარგი რეპუტაციით სარგებლობს. ქუჩაში გინებას რომ არ დაიწყებდა, ესეც ფაქტია. მაგრამ ეს მიზანმიმართული მოქმედება იყო. მაშინვე მივხვდით, რომ დაკავება მკვლელობას უკავშირდებოდა, რადგან დაკავების მომენტიდან საუბარი მასთან მხოლოდ მომხდარ დანაშაულზე იყო, დაკითხვები სულ ამაზე მიდიოდა. ბატონმა თამაზმა იმდენად ამომწურავად მისცა ინფორმაცია გამოძიებას, რომ ვფიქრობდით, ეს დროებითი ღონისძიება იყო, გაირკვეოდა ყველაფერი და ასეთ აბსურდულ ბრალდებას არ წაუყენებდნენ, მაგრამ სხვაგვარად მოხდა. როგორც ვხვდები, ისე უნდოდათ მაღალჩინოსნის გახმაურებული მკვლელობის საქმე გახსნილად გამოცხადებულიყო, რომ უდანაშაულო კაცი დაადანაშაულეს“.

— მაგრამ რატომ მაინცდამაინც გოგია?

— ის იყო ყველაზე ხელსაყრელი კანდიდატი დასადანაშაულებლად. თუ არ გინდა, მოსახლეობა ფიქრობდეს, რომ მკვლელობა პოლიტიკასთანაა დაკავშირებული, მაშინ ერთადერთი მოტივი — ბიზნესი უნდა იყოს; ბიზნესს თუ მოტივად გამოაცხადებ, მაშინ ადამიანის ბიზნესგარემო უნდა შეისწავლო. ერთადერთი, ბიზნესგარემოში ვისაც შეიძლება, ხელი წაავლო, ეს თამაზ გოგიაა, მეტი არავინ. ისინი 30 წლის მეგობრები იყვნენ, ოჯახებით მეგობრობდნენ. რეალურად, თამაზ ნინუას არავითარი ბიზნესი არ ჰქონია. გოგიას კი „ახმეტელის“

მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „კერა“ ჰქონდა. ვინაიდან მეგობარი არსად მუშაობდა, მოადგილედ წაიყვანა“.

როგორც ცნობილია, მუხიანის ასახვევთან დიდი სავაჭრო კომპლექსი შენდება. თავის დროზე, „ჩემპიონ 2004“ შეიქმნა და ამ ფირმასთან დაკავშირებით, ბევრი ცნობილი ფეხბურთელის გვარი დაასახელეს. ადვოკატის თქმით, ის მიწის ნაკვეთი მთლიანად „ჩემპიონ 2004“-ის იყო, მაგრამ რაიმე რომ აეშენებინათ, ამის საშუალება არ ჰქონდათ. ამის შემდეგ შემოვიდნენ ფირმები, რომლებზეც ოფიციალურად გასცეს მიწის ნაკვეთები და ამ ფირმებმა სავაჭრო ობიექტები ააშენეს. მათ შორის იყო თამაზ გოგიას ფირმა „კერა“.

დავით აბესაძე:

„რამდენიმე სავაჭრო ფართობი აშენდა. გოგიასაც არ ჰქონდა ფული, ბიზნესი რომ გაეგრძელებინა და ამიტომ, საქმის წილში ყოფილი დეპუტატი ვოვა ქარსელაძე შემოვიდა, რადგან მას ჰქონდა ფული. რომ ამუშავდებოდა, ქარსელაძე ფულსაც დაიბრუნებდა და საკმაოდ სერიოზულ შემოსავალსაც მიიღებდა, ამ საქმით ყველა კმაყოფილი იქნებოდა“.

ადვოკატის თქმით, სიტუაცია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ შეიცვალა — ბიზნესი „გაიყინა“.

დავით აბესაძე:

„ქარსელაძეს მშენებლობაში 600.000 დოლარი ნაწილ-ნაწილ აქვს გადახდილი. ფული კიდევ იყო საჭირო, მაგრამ ქარსელაძემ თქვა, მეტს ველარ გადავიხდიო და ბიზნესიდან გავიდა. მისი გადახდილი თანხა „ივალა“ თამაზ გოგიამ და ეს ფული ორი წლის განმავლობაში უნდა დაებრუნებინა. ამ ფაქტის შემდეგ, გოგია ფირმის 100%-ის მფლობელი გახდა და ბუნებრივია, ვალები მისი გადასახდელი იყო“.

ადვოკატის მტკიცებით, არანაირი უთანხმოება ამის გამო გოგიას ქარსელაძესთან არ ჰქონია. არსებობდა რეალური ქონება, რომელიც გაიყიდებოდა და ფული მევალეს დაუბრუნდებოდა.

ადვოკატის თქმით, თამაზ ნინუას ამ ფირმაში არავითარი თანხა ჩადებული არ ჰქონდა და შესაბამისად, არც არაფერი ეკუთვნოდა. მაგრამ საპირისპიროს ამტკიცებს გამოძიება და ირწმუნება, რომ ფირმაში 20% ადრე ნინუას ქალიშვილის სახელზე იყო გაფორმებული. როგორც გავარკვიეთ, ქარსელაძე საქმეში თამაზ ნინუამ ჩართო. მაშინ კიდევ ერთი კითხვა ჩნდება: შუამავალს ამის გამო ხომ არ ჰქონდა გოგიასთან უთანხმოება? მაგრამ ამასაც კატეგორიულად გამორიცხავს ადვოკატი.

დავით აბესაძე:

— ვოვა ქარსელაძე ნინუას მეგობარი იყო და იქ მან მიიყვანა. როცა ქარსელაძემ „კერაში“ ფული შემოიტანა, მაშინ სხვადასხვა პირზე გაფორმდა წილი; ვინაიდან ნინუას მოყვანილი კაცი იყო, 20%-ში ის ჩასვეს და წილი მის შვილზე, ეკა ნინუაზე გაფორმდა, მაგრამ მერე, ვინაიდან ქარსელაძე გავიდა, ბიზნესი დაიშალა, რადგან ქონება ვალებსაც არ ჰყოფნიდა. ამიტომ 100% შარშან მთლიანად გოგიამ გადაიფორმა და ყველა ვალი თავის თავზე აიღო. შეუძლებელია, ამის გამო უთანხმოება ყოფილიყო; თან, ეს ერთი წლის წინ იყო. ქონება ჩადებულია ვალის უზრუნველსაყოფად. ყველაფერი დოკუმენტებით იყო გაფორმებული. რაც ქარსელაძე გავიდა წილიდან, შენობას დაედო აბრა — „იყიდება ფართები“ — და მითითებული იყო თამაზ ნინუას ტელეფონის ნომერი, რადგან იგი გოგიას მოადგილე იყო და ამ საკითხებს აგვარებდა. თამაზს არც წილი ჰქონდა და არც არაფერი. თუ ამუშავდებოდა ეს ყველაფერი, ბუნებრივია, თამაზ ნინუა სარგებელს მიიღებდა, როგორც მეგობარი, და ექნებოდა შემოსავალი. გაიჟღერა, თითქოს ეს ფართობი 900.000 დოლარად უნდა გაყიდულიყო და თითქოს ამის გამო მოხდა მკვლელობა; თითქოს გოგიას მისი „გადაგდება“ უნდოდა. ეს აბსურდია. დასახელებულ ფასად რომც გაყიდულიყო ქონება, 600.000 უნდა მიეცათ ქარსელაძისთვის, 207 ათასი ბანკში უნდა შეეტანათ, ყადაღა რომ მოეხსნათ, რადგან ქონება დაყადაღებულია, და 126 ათასი საგადასახადოში გადასახადი უნდა გადაეხადათ. 33 ათასი

მოკლული თამაზ ნინუა

ვალი რჩებოდათ. რა მიზნით უნდა მოეკლა გოგიას ნინუა? ის ოფიციალურ წილშიც რომც ყოფილიყო, ფირმას მაინც ვალი რჩებოდა, რა მოგებაზეა ლაპარაკი?!. თამაზ გოგია გულით ავადმყოფია, თირკმლები აწუხებს. ეს ბრალი მისთვის ძალიან დიდი დარტყმაა. სისულელეა ამ მოტივის მოყვანა. მერწმუნეთ, ეს იყო სუფთა პიარისთვის გათვლილი. ყველამ გაიგო, თითქოს 900.000 შუაზე რომ არ გაეყო, იმიტომ მოკლა, რაც აბსურდია. ქარსელაძემ თქვა, — მე რომ მოვეკალი, კიდევ მესმის მოტივი, რადგან მე ვიყავი მისი მევალეო. რატომ უნდა მოეკლა ნინუა, გაუგებარია და ამის თავად გამოძიებასაც არ სჯერა“.

ადვოკატის თქმით, გოგიამ მეგობარი ბოლოს, 3 დღით ადრე ნახა და მას რაიმე პრობლემაზე მასთან არ უსაუბრია:

„თამაზ გოგია დადებითად ახასიათებს მოკლულს და ამბობს, რომ ის განათლებული, დარბაისელი კაცი იყო. ამბობს, თავის პროფესიულ საქმიანობაზე ჩვენთან არასდროს არაფერი უთქვამსო. ბიზნესი მომხდარ საქმესთან არანაირ კავშირში არ არის. ფაქტია, ეს მკვლელობა ეხება პროფესიულ საქმიანობას და რომ ცოლ-ქმარი პროფესიონალმა მკვლელმა მოკლა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. თითო გასროლით არის ორივე მოკლული. ტყვია ისეთ ადგილას ესროლა დამნაშავემ, რომ შანსი არ იყო, გადარჩენილიყვნენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მკვლელს ბინაში არანაირი სამხილი არ დაუტოვებია, რომ მტკიცებულებად გამოდგეს — ესეც პროფესიონალიზმზე მიუთითებს — არც თითის ანაბეჭდი, არც სუნი, რომ კინოლოგების მეშვეობით გაეხსნათ საქმე; არც მიკრონაწილაკები და არც სხვა რამ. ამას გოგია რომ ვერ გააკეთებდა, ფაქტია, ასე პროფესიონალი მკვლელი იქცევა. თამაზ გოგიას კი არასდროს ძალოვან სტრუქტურაში არ უმუშავია, იარაღთან შეხება არ ჰქონია. ამბობს, ბავშვობაში ორლულიანი თოფი გამისვრია — ეს არის იარაღთან ჩემი შეხებაო. ასეთი კაცის მოკლული არ არის ცოლ-ქმარი. ისინი ისეთი იარაღით მოკლეს, რომ გამოძიებამ იარაღის დადგენაც კი ვერ შეძლო. ასეთი სახის იარაღსა და ტყვიებს გოგია ვერც იშოვიდა, ამაზე ორი აზრი არ არის. ის უდანაშაულოა“, — *აცხადებს ადვოკატი.*

იმითაც დავინტერესდით, თუ რა ალიბი ჰქონდა გოგიას უდანაშაულობის დასამტკიცებლად და სად იმყოფებოდა იმ ღამით.

დავით აბესაძე:

„იმ ღამით სახლში იყო და ეძინა. ეს საქართველოში ალიბი არ არის — მაინცდამაინც ქვეყნიდან უნდა იყო გასული, ალიბად რომ ჩაგითვალონ. თამაზ გოგია იმ საღამოს მეგობრებთან ერთად იყო ბარ „შატილში“ და სამმა ადამიანმა ლუდთან ერთად სამი ბოთლი არაყი დალია; იმდენად მთვრალი იყო, მანქანით ველარ წავიდა სახლში და ის მეგობარმა მიიყვანა.

— ხომ შეიძლება, განაწყენებულმა, მთვრალ მდგომარეობაში გადაწყვიტა დანაშაულის ჩადენა?

— მეხუმრებით?!. როგორ წარმოგიდგენიათ — მთვრალმა გოგიამ

გენერალ კაცს იარაღი დაადო და მოკლა ისე, რომ პროფესიონალმა ძალოვანმა ვერ მოიგერია? ეს ხომ აბსურდია, ფანტასტიკაა! მთვრალი კაცი ასე პროფესიონალურად ვერ მოკლავდა ორ ადამიანს. არ გამოვრიცხავ, გავიდეს რაღაც პერიოდი და ისე, რომ უკვე ეს საქმე აღარავის აღარ დააინტერესებს, გოგია გამოუშვან და საქმე გაუხსნელი დარჩეს სამუდამოდ. ფაქტია, ეს საზოგადოებრივი ფონის შესაქმნელად გაკეთდა. გოგია სამძიმარზე მივიდა, ეს ბუნებრივია — ისინი მეგობრები იყვნენ. 13 ნოემბერს, როცა მკვლელობის ამბავი გაიგო, ჩოგბურთს თამაშობდა. როგორ ფიქრობთ — ადამიანი ამხელა დანაშაულის შემდეგ ჩოგბურთს ითამაშებს? ეს გამორიცხულია! ეს შეიძლება, მხოლოდ ბუნებით მკვლელმა გააკეთოს. არანაირი სამხილი არ არსებობს, მაგრამ ბრალი წაუყენეს. ეს ხელოვნურად შექმნილი საქმეა“, — *მიიჩნევს ადვოკატი და კიდევ ერთ საყურადღებო გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, თამაზ ნინუას იმ დღეს შვილიშვილისთვის უთქვამს, მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს და ჯობია, დღეს სახლში არ მოხვიდეო. ბუნებრივია, გოგიამ არ იცის, ვის უნდა შეხვედროდა, მაგრამ ადვოკატი ფიქრობს, რომ ნინუასთან სწორედ ის ადამიანი მივიდა და მას კარი უპრობლემოდ გაუღო.*

„გოგიასთან შეხვედრა რომ ჰქონოდა, ნინუა ასე არ ეტყოდა შვილიშვილს, რადგან ბატონი თამაზი მათი ოჯახის მეგობარი იყო და საიდუმლო შეხვედრა მასთან არ სჭირდებოდა. ფაქტია, მკვლელობის რეალური მოტივი სხვა რამეა და უდანაშაულო კაცზე გადატეხეს ჯოხი“.

როგორც ჩანს, მკვლელს მართლაც, ყველაფერი — გათვლილი და მტკიცებულების მოსპობაზე ნაფიქრი ჰქონდა, რაც უპრობლემოდ განახორციელა კიდეც. დამნაშავემ იცოდა, ეს როგორ უნდა გაეკეთებინა. გამოძიების ყველაზე ეფექტიანი მეთოდი — სუნით ცხელ კვალზე გასვლაა. როგორც შევიტყვეთ, ამ შემთხვევაში, ძალოვნებს ეს გზა არ გამოადგათ და მეძებარი ძაღლის გამოყენება ვერ შეძლეს. ვერ მოხერხდა სუნის აღება სავარძელიდან, სადაც სავარაუდოდ, მკვლელი უნდა მჯდარიყო: აღმოჩნდა, რომ დამნაშავემ იმ ადგილებში დაფქული წიწაკა მიმოაბნია და კვალი ამის გამო გაქრა — თურმე წიწაკას ძაღლი აღარ ეკარება. ეს ფაქტიც მკვლელის პროფესიონალიზმზე მიუთითებს.

მართალია, დანაშაული ოფიციალურად, გახსნილად გამოცხადდა, მაგრამ ბევრი კითხვა ისევ რჩება. იმედია, გარკვეული ხნის შემდეგ ამ კითხვებს პასუხი გაეცემა.

■

ჰიტლერის საქმე „რკინის ყუთში“ აღმოაჩინეს

როგორც გაირკვა, 1924 წელს საფრანგეთის სპეცსამსახურები ჰიტლერს უთვალთვალებდნენ. საფრანგეთის ეროვნული არქივების დირექტორ იზაბელ ნეშვანდერის განცხადებით, ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც არქივის თანამშრომლებმა ე.წ. „რკინის ყუთში“ ჰიტლერის დოსიე აღმოაჩინეს.

დოსიეში ჰიტლერი ხან „ადოლფ იაკობად“, ხანაც „ჟურნალისტად“ არის მოხსენიებული. მეტსახელი — „ჟურნალისტი“ იმ დროს ნაცისტების მიერ ნაყიდ მიუნხენურ გაზეთ Volkischer Beobachter-ში ჰიტლერის მუშაობას უკავშირდება, „იაკობი“ კი მას შემთხვევით მიაწერეს.

აგენტების ცნობით, ჰიტლერი, რომელსაც ისინი გერმანელ მუსოლინისაც ეძახდნენ, „ფაშისტური ყაიდის“ ნახევრად გასამხედროებულ ფორმირებას ხელმძღვანელობდა. ინფორმატორების დახასიათებით, „არცთუ ბრიყვი“ ჰიტლერი „ძალზე გაწაფული დემაგოგი“ იყო, მაგრამ ისინი მას სერიოზულ საფრთხედ მაინც არ აღიქვამდნენ. 1923 წლის 8 ნოემბერს, ბავარიაში ჰიტლერის მიერ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაზე საუბრისას ფრანგი აგენტი აღნიშნავს, რომ ის „საცოდავად ჩაფლავდა“.

ეროვნული არქივების ხელმძღვანელობამ ჰიტლერის საქმის „რკინის ყუთში“ მოხვედრის მიზეზი ვერაფრით ახსნა. რამდენიმე თვეში ამ დოსიეს კვლავ იმ ძირითად ფონდში დააბრუნებენ, სადაც ის თავიდან ინახებოდა.

ეროვნული არქივების XX საუკუნის განყოფილების მთავარი მცველის, მიშელ კონშონის განცხადებით, ეს საქმე ვერსალის ზავის შემდეგ შექმნილი უმაღლესი სამოკავშირეო კომისიის ფრანგული განყოფილების უზარმაზარი არქივის ნაწილია. მისივე თქმით, არქივში უშიშროების სამსახურის მიერ განხორციელებული თვალთვალის თაობაზე ანგარიშების დიდი რაოდენობაა დაცული. „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სპეცსამსახურები, ჰიტლერით დაწყებული და სახელმწიფო ღალატში მონაწილეობისთვის გერმანიის ხელისუფლების მიერ ძებნილი გერინგით, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის გავლენიან წევრ გებელსითა და რასისტ ჰიმლერის ჩათვლით, ლამის ყველას უთვალთვალებდნენ. აქ მესამე რაიხის სათავეში მდგომი თითქმის ყველა ადამიანის საქმეა თავმოყრილი“, — დასძენს მიშელ კონშონი. არქივში ინახება ცნობა იმის შესახებაც, რომ საფრანგეთი ნაცისტურ მოძრაობაში თავისი აგენტების „ჩანერგვას“ ცდილობდა. 1924 წლის ივლისში უმაღლესი კომისარი, პოლ ტირარი დარმშტატში, ერთ-ერთ სამხედრო მომზადების სკოლაში „საინტერესო მიგნების“ შესახებ იტყობინება. ერთ-ერთი მოსწავლის თქმით, სკოლაში უნიფორმის, ახალი რევოლვერებისა და შაშხანების დიდი საწყობი იყო, ხოლო თითოეულ მოსწავლეს ორი-სამი რეზინის ხელკეტი ჰქონდა.

საფრანგეთის ხელისუფლების შეშფოთებას მარტო ჰიტლერის მომხრეები როდი იწვევდნენ. როგორც ჩანს, ფრანგი ჩინოვნიკები უკლებლივ ყველა პოლიტიკურ მოძრაობას — როგორც მემარჯვენეებს, ისე მემარცხენეებს უთვალთვალებდნენ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი კანცლერის — კონრად ადენაუერის საქმე, რომელიც იმ დროისთვის კიოლნის ყოფილი ობერბურგომისტრი იყო. სპეცსამსახურების ანგარიშებში ადენაუერის მრწამსი „საეჭვოდ“, თავად კი იმ „კომპეტენტურ, მაგრამ ცივ და ქედმაღალ“ ადამიანადაა მოხსენიებული, რომელიც „ცდილობს, თავი უბრალო კაცად მოგაჩვენოს“ და რომელსაც „საფრანგეთის მიმართ ძალიან მტრული დამოკიდებულება აქვს“. ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ძნელი დასაჯერებელია, რომ 1920-იანი წლების შუა ხანებში ლამის საფრანგეთის პირველ მტრად შერაცხილი კონრად ადენაუერი 30 წლის შემდეგ ფრანგულ-გერმანული შერიგების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი გახდა.

Le Monde ■

ლინკოლნის წერილი

ახლახან, ფილადელფიაში გამართულ ერთ-ერთ აუქციონზე ამერიკის პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნის 1861 წლით დათარიღებული წერილი გამოიტანეს. ამ წერილის ისტორია ასეთია: ილინოისის შტატის ქალაქ სპრინგფილდის სკოლის ხულიგანი მოსწავლეები კარგა ხანს დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ 8 წლის ჯორჯ ევანს პატენს, რომელიც ირწმუნებოდა, მამაჩემთან ერთად (ჯორჯის მამა ჟურნალისტი იყო) ამერიკის პრეზიდენტს შევხვდიო. ბიჭუნას დაცინვა მანამ გრძელდებოდა, ვიდრე მისმა მასწავლებელმა, სიტუაციის ერთხელ და სამუდამოდ გარკვევის მიზნით, თეთრ სახლში წერილი არ გაგზავნა. მალე თეთრი სახლიდან სკოლაში მოკლე ხელნაწერი მივიდა, სადაც შავით თეთრზე ეწერა: „ყველა დაინტერესებულ პირს. მე ნამდვილად შევხვდი და ველაპარაკე ჯორჯ ევანს პატენს ილინოისის შტატის ქალაქ სპრინგფილდში. პატივისცემით, ა. ლინკოლნი“.

ლინკოლნის წერილის სასტარტო ღირებულება 60 ათასი დოლარია და აუქციონის ორგანიზატორებს მისი უფრო ძვირად გაყიდვის იმედი აქვთ.

The Times ■

დასასვენებლად — ჩერნობილში

შვებულებაში გასვლისას, ალბათ, ბევრი თქვენგანი ეკითხება საკუთარ თავს: სად წავიდე, რომ კარგადაც დავისვენო და რაღაც არაჩვეულებრივიც ვნახოო? ასეთი ადგილების სიას კი დროდადრო, ამერიკული ჟურნალი Forbes აქვეყნებს. გაგიკვირდებათ, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე ეგზოტიკური ადგილების სიის სათავეში წელს ჩერნობილი მოექცა. ავტორიტეტული გამოცემის მიმომხილველების აზრით, სწორედ ჩერნობილია ის „ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადგილი“, სადაც აფეთქებული რეაქტორის, ქალაქი-მოჩვენება პრიპიატის, ნარინჯისფერი ტყისა და ფანტასტიკური ფაუნის ნახვა შეიძლება. ამ „ზონაში“ მოხვედრის შემდეგ, ადამიანი თავს ამერიკელების საყვარელი ჟანრის — ფილმი-კატასტროფის უკანასკნელ გმირად აღიქვამს. უცხოელ ტურისტზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას თურმე, უსიცოცხლო ქალაქები და ნასოფლარები ახდენს.

Forbes-ის ვერსიით, არანაკლებ ეგზოტიკურია ფხენიანში მდგარი კიმ ირ სენის ძეგლიც, რომელსაც მხოლოდ საპატიო მანძილზე უნდა მივუახლოვდეთ, ხოლო ფოტო თავის მორჩილად დაკვრის შემდეგღა გადავუღოთ. ■

იაპონელებმა კარგი ქმრების დღე აღნიშნეს

მიეს პრეფექტურაში, ზღვის ნაპირთან ახლოს, ბრინჯის თოკით ერთმანეთზე გადაბმული ორი ფრიალო კლდე დგას. ტრადიციის მიხედვით, ეს ადგილი მათ უნდა მოილოცონ, ვისაც დაქორწინება ანდა საყვარელ ადამიანთან შეხვედრა სურს. ცოტა ხნის წინ იქ რამდენიმე ისეთი ათეული ოჯახური წყვილიც ჩავიდა, ვისაც საკუთარი სასიყვარულო გრძნობებისა და ურთიერთმადლიერების საჯაროდ გამოხატვის სურვილი გაუჩნდა.

საერთოდ, იაპონელ მამაკაცებს საკუთარი გრძნობების აფიშირება არ სჩვევიათ. ჰოდა, ამიტომაც აირჩიეს ერთი დღე, როცა გაბედულების მოკრებასა და მეგაფონში ყველას გასაგონად იმ სიტყვების დაყვირებას შეძლებდნენ, რომელთა წარმოთქმასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ერიდებიან. „მე შენ მიყვარხარ!“, „გმადლობ, მთელი ამ წლების გამო!“, „ცოლად გამომყევი!“ — კაცების მიერ წარმოთქმულ ამ სიტყვებს ქალების მადლიერი ცრემლები და მრავალრიცხოვანი მაყურებლის მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა. ■

რას ნიშნავს შენი სახელი...

თურმე, მშობლების მიერ საკუთარი პირმშოსთვის ორიგინალური სახელის შერჩევის დაუოკებელი სურვილი ბავშვს შესაძლოა, სერიოზულ უსიამოვნებადაც კი ექცეს ანუ მოსასმენად კეთილხმოვანი სახელი, თარგმანში შეიძლება, გინებაც აღმოჩნდეს. მაგალითად: ტომ კრუზისა და კეტი ჰოლმსის გოგონას სახელი — სური იაპონურად „ჯიბის ქურდს“, ფრანგულად — „დამჟავებულს“, ხოლო იტალიურად — „სტავრიდას“ ნიშნავს, ფეხბურთელ უეინ რუნის ვაჟი, კაი კი ესტონეთში „კაშხლად“ გადაიქცეოდა.

ეგზოტიკური სახელების მოყვარულთა დახმარების სურვილი ერთ-ერთმა თარგმანების ბიურომ გამოთქვა. ის მშობლებს ამა თუ იმ სახელის მსოფლიოს 100 ენაზე თარგმნას ჰპირდება, რაშიც დაახლოებით, 1.700 დოლარს ითხოვს. თუ გავითვალისწინებთ, რომ უჩვეულო სახელების დარქმევისკენ მიდრეკილება ძირითადად, სახელგანთქმულ ადამიანებს აქვთ, ფირმის ახალმა წამოწყებამ შეიძლება, დიდი გამოხმაურება პოვოს. ■

რით ავადმყოფობდნენ ჩვენი წინაპრები?

რით ავადმყოფობდნენ ჩვენი შორეული წინაპრები და რამდენად განსხვავდებოდა მაშინდელი დაავადებები დღევანდელისგან? — ეს ის საკითხია, რომლის გარკვევის მიზნითაც მეცნიერებმა ეგვიპტური მუმიებისთვის კომპიუტერული ტომოგრაფიის(?!) გაკეთება გადაწყვიტეს. აღმოჩნდა, რომ ძველ დროში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება ათეროსკლეროზი ყოფილა. კერძოდ, სისხლძარღვების დაზიანების ნიშნები 16-დან 9 გამოკვლეულ მუმიას აღმოაჩნდა. არადა, აქამდე ათეროსკლეროზი — თანამედროვე დაავადებად, ხოლო მის ძირითად მაპროვოცირებელ ფაქტორებად მოწევა, ალკოჰოლიზმი, სიმსუქნე, ცხოვრების ნაკლებმოძრავი წესი, სტრესი და ა.შ. მიიჩნეოდა. ალბათ, დახუთულ ოფისებში კვირაობით მსხდარი, მძიმე სამუშაო დღის შემდეგ კი სიგარეტისა და ალკოჰოლის მეშვეობით სტრესმოხსნილი ძველი ეგვიპტელების წარმოდგენა თვით ყველაზე მდიდარი წარმოსახვის მქონე ადამიანსაც კი გაუჭირდება. ასე რომ, ამ საკმაოდ მძიმე სენის გამომწვევი მიზეზების მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე ცხოვრების წესით ახსნა წარსულს ჩაჰბარდა... ■

საბჭოთა კავშირის დაშლა 1980 წელს დაიწყო

„ეს გადაწყვეტილება პრობლემებს შემიქმნის, მაგრამ საბჭოთა კავშირსაც უზარმაზარ ზიანს მიაყენებს“, — წერდა თავის დღიურში ჯიმი კარტერი, რომელიც მოახლოებული მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტზე ფიქრობდა. მოსკოვის წინააღმდეგ მძლავრი ეკონომიკური ემბარგოს, ოლიმპიადის ბოიკოტის ხმაურიან სიმბოლურ აქტთან შეთავსების იდეა კარტერის გარემოცვაში ბრეჟნევის მიერ ავღანეთში ჯარების შეყვანისთანავე გაჩნდა. 1980 წელს ხუთი ოლიმპიური რგოლი ვაშინგტონის მთავარ სამიზნედ იქცა, მაგრამ კარტერი, მისი პოლიტიკის და კონკრეტულად, ოლიმპიადის საკმაოდ მტკივნეული ბოიკოტის გამო, რესპუბლიკელებთან ერთად, დემოკრატებმაც მკაცრად გააკრიტიკეს. შედეგად, მისი პოზიციები საკმაოდ დასუსტდა იმ წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიაშიც, სადაც მას რონალდ რეიგანი უპირისპირდებოდა.

ერთი სიტყვით, ბრეჟნევმა თავისი ოლიმპიადა მაინც მიიღო, მაგრამ იმ დროისთვის უკვე საკმაოდ მძიმე ავადმყოფ საბჭოთა ლიდერს „კაგებეს“ ექიმების წამლებმა სიცოცხლე მხოლოდ ორი წლითღა გაუხანგრძლივა. ცივ ომზე კარტერისეული ოცნება კი 1980 წლის ნოემბრის რეიგანისეულმა ახალმა ტალღამ წალეკა.

1980 წლის ამერიკაში დიდი ბრიტანეთიდან (მაშინ ამ ქვეყანას მარგარეტ ტეთჩერი მართავდა) წამოსული მემარჯვენე იდეების სიო ქროდა; იმავე წელს დაბერა „სოლიდარობის“ სიომაც, რომელსაც მოსკოვის რეჟიმისადმი ქედუხრელი ლეხ ვალენსა ედგა სათავეში. სხვათა შორის, ვალენსა რომის პაპის კურთხევით მოქმედებდა და ეს მხოლოდ სულიერი კურთხევა როდი იყო: წარმოშობით პოლონელ პაპს ხალხის გათავისუფლების საკუთარი თვალით ხილვაც სურდა.

ამერიკის ხელისუფლების სათავეში მოსულმა რონალდ რეიგანმა უპრეცედენტოდ გამალებული შეიარაღება დაიწყო, რომელმაც პიკს 1983 წელს მიაღწია. მასში იძულებით ჩაერთო საბჭოთა კავშირიც, რომელსაც ამ პროცესში გამარჯვება ნამდვილად არ ეწერა, მეტიც, ის სწორედ ამ გამალებულმა შეიარაღებამ „გასრისა“; 9 წლის შემდეგ რეიგანის წინასწარმეტყველება ახდა და ბერლინის კედელი დაეცა. ■

Corriere della Sera

სახე

თბილ ქვეყანაში გატარებული 5 წელი

ანუ პირველი ქართველი, რომელიც ბრაზილიის კინოკავშირის ოფიციალური წევრი გახდა

ქართველი რეჟისორი, სცენარისტი, თეოლოგი, მწერალი და კომპოზიტორი, გიორგი კაჭარავა ემიგრაციიდან ბრაზილიის კინოკავშირის წევრად დაგვიბრუნდა და 5 წლის შემდეგ საყვარელ ქალაქში სიყვარულით გააგრძელა საქმიანობა... ბევრი რამ მოასწრო, ახალი მხატვრული ფილმის გადაღებაც თითქმის დაასრულა, კენჭი პირველი არხის გენერალური დირექტორის პოსტზეც იყარა და ფილმი — „დონ ჟუანის დაბრუნება“, რომელიც წლების განმავლობაში, დღის სინათლეს ელოდა, ქართველ მაყურებელს წარუდგინა.

დეა ცუცქირიძე

— ბატონო გია, რამდენიმე თვეა, ბრაზილიიდან დაბრუნდით, იმ ქვეყანაში საკმაო ხანს იცხოვრეთ. ცნობილია, რომ ხელოვნებას იქ განსაკუთრებით სათუთად ექცევიან.

— ბრაზილიაში ლამის 5 წელი დავყავი. აქედან 4 წელიწად-ნახევარი მთლიანად ბრაზილიაში და ლათინურამერიკულ კონტინენტზე ვიცხოვრე. სწორედ ამდენ ხანს არ ვიყავი საქართველოში ნამყოფი. ხანგრძლივი განშორების შემდეგ, პირველად, აგვისტოს ომის დროს დავბრუნდი. ყველაფერი მივატოვე და სახლში, ოჯახში გამოვიქეცი. როცა ომი ასე თუ ისე, ჩაწყნარდა, უკან გავბრუნდი, საბუთები რომ მომეწესრიგებინა და დაწყებული საქმეები ბოლომდე მიმეყვანა. წლეულს, მარტში ისევ ჩამოვედი, რამდენ ხანს ვიქნები, ამას ჩემი საქმიანობა განსაზღვრავს, რადგან ბრაზილიაშიც სწორედ ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე აღმოვჩნდი.

ამ ქვეყანაში ხელოვნებას მართლაც, უდიდესი ყურადღება ექცევა. ეს დარგი სახელმწიფო სტრატეგიის ნაწილს შეადგენს, ისევე, როგორც ტურიზმი და სპორტი. მხოლოდ კინოწარმოებაზე, რომლის ძირითადი ნაწილი რიო-დე-ჟანეიროშია განთავსებული, ყოველწლიურად 80 მილიონი დოლარია გამოყოფილი. ამ პროცესში ჩაბმა არც ჩემთვის იყო იოლი, მაგრამ არსებობს ერთი პრობლემა: იმისათვის, რომ ბრაზილიის კინემატოგრაფში რეჟისორის პროფესიით იმუშაო, 3 წელი უნდა იცხოვრო იქ. ეს ერთგვარი დაცვითი მექანიზმია, ადგილობრივი კადრები უცხოურმა რომ არ დაჩრდილოს. გამიჭირდა 3-წლიანი ლოდინი, მაგრამ რადგან სცენარისტად მუშაობა არავის აუკრძალავს, თავი ამ სფეროში უფრო გამოვიჩინე. ამასობაში 3 წელი გავიდა და ჩემთვისაც ყველა „ოფიციალური“ კარი გაიღო. სულ რაღაც ერთ თვეში ბრაზილიის კინოკავშირის წევრი გავხდი (პირველი ქართველი ვარ, რომელიც ბრაზილიის კინოკავშირის ოფიციალური წევრია). კიდევ 3 თვე გავიდა და ბრაზილიელ პარტნიორებთან ერთად, მე და კიდევ ერთმა იქ მცხოვრებმა ქართველმა — ნათელა თანდაშვილმა საკუთარი კინოსტუდია — „ლილაიმა სინემა“ დავაარსეთ. ცოტა ხანში კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ნაციონალურ კონკურსში ჩემმა სცენარმა გაიმარჯვა და ახლა ბრაზილიელი პროდიუსერები ამ სცენარის მიხედვით გაკეთებული პროექტის თანხების აკუმულირებაზე მუშაობენ. როგორი შეუვალიც იყო ბრაზილიური კანონი აკრძალვების მხრივ, ისეთივე ლაღი და უპრობლემო გახდა მას შემდეგ, რაც კანონით დადგენილი ვადა ამოიწურა. სანამ ჩემი პროდიუსერები თანხებს მოიძიებენ, საშუალება მომეცა, დრო ჩემი სურვილისამებრ გამომეყენებინა და აი, აქ ვარ — სახლში და სამშობლოში. მცივა და ძალიან მიხარია: ბოლო 5 წელი, შეიძლება ითქვას, „ზაფხულში“ გავატარე და ეს სიცივე ძალიან მომნატრებია. ახლა ერთი სული მაქვს, თოვლი როდის მოვა...

— გამოდის, რომ თქვენი ბრაზილიური გეგმები ნაწილობრივ განახორციელეთ?

— ბრაზილიური გეგმა არც ისე ბევრი მქონდა: ფილმზე მუშაობა უნდა დამეწყო, მაგრამ პროექტი ძალიან ძვირი აღმოჩნდა და ჩემი მასპინძელი კომპანია „ივერი-ფილმ ბრაზილ“ და მისი პრეზიდენტი ანდრო თი-

ბილოვი ამაზე ახლაც მუშაობენ. პარალელურად, ერთად პატარ-პატარა პროექტებზეც ვიმუშავეთ, ძირითადად კი ტურიზმის სამინისტროს სარეკლამო ფილმებზე. შეიძლება, ეს მთლად ის არ იყო, რაზეც ვოცნებობდი, მაგრამ დამიჯერეთ, ბევრი კინემატოგრაფისტი ინატრებდა იმის ნახვას, რაც ამ პროექტებზე მუშაობისას ვნახეთ: ბრაზილია მართლაც, საოცრად ლამაზი და მრავალფეროვანი ქვეყანაა, თანაც — საოცრად დიდი. მარტო რიო-დე-ჟანეირო რად ღირს! მაგრამ ამასთან ერთად, იყო კიდევ უამრავი გასაოცარი ქალაქი და ქვეყანა: ბრაზილიის გარდა, არგენტინასა და პარაგვაიშიც ჩავედი. მსოფლიოში ყველაზე ლამაზ ჩანჩქერებზე — ფოშ დე იგუასუში, სადაც სტივენ სპილბერგმა ახლახან „ინდიანა ჯონსის“ ბოლო ფილმი გადაიღო, 6 თვე დავყავი. ენით ვერ აღვწერ, თუ რა განცდები მომანიჭა იქ ყოფნამ, გასაოცარი დღეები გავატარე. მოკლედ, რაც ვნახე და თავს გადამხდა, ვფიქრობ, ბევრ ადამიანს ეყოფა ცხოვრებისეული თავგადასავლის შესავსებად. ხანდახან მიკვირს კიდეც, რამდენი რამ მოხდა ამ არცთუ ისე დიდი ხნის განმავლობაში. შეიძლება ითქვას, კიდევ ერთი, ცალკე ცხოვრებით ვიცხოვრე და ამისთვის ბედის მუდამ მადლიერი ვიქნები. კარგიც და მძიმეც, ახლა ჩემი საკუთრებაა და მოგონებები მატკბობს...

2010 წლის 1-ელ აპრილს პრემიერაა დანიშნული

— დაბრუნდით და ახალ ფილმზეც მუშაობთ. გვიამბეთ ამის შესახებ.

— რაც შეეხება ახალ ფილმს, რომელსაც ამჟამად საქართველოში ვიღებ: პროდიუსერ ირაკლი ჩიკვაიძეს ჩემი ერთ-ერთი სცენარი წავაკითხე, რომელიც, თუ არ ვცდები, მოეწონა და თავისი შენიშვნები გამოთქვა. ეს შენიშვნები საინტერესოდ მეჩვენა და სცენარის გადაკეთება დავიწყე. ამასობაში ირაკლიმ გამიმხილა საკუთარი იდეა — შეექმნა ფილმი, რომლის სიუჟეტი პოპულარულ სვანურ ანეკდოტებზე იქნებოდა აგებული. თავისთავად წარმოიშვა იდეა — სოსო ჯაჭვლიანს დავკავშირებოდით და ეს ფილმი ერთად გაგვეკეთებინა. გადაღებები ძირითადად, სვანეთში მიმდინარეობდა; მერე ერთი კვირა ბათუმში და რამდენიმე გადაღებაც აქ, თბილისში დაგვჭირდა. მუშაობა დასასრულს უახლოვდება და 2010 წლის 1-ელ აპრილს პრემიერაა დანიშნული. ვფიქრობ, კარგი დღეა შერჩეული, მით უმეტეს, რომ ჩემი დაბადების დღეცაა...

— თქვენ კენჭი იყარეთ პირველი არხის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. უამბეთ მკითხველს თქვენი მოტივაციის შესახებ. საინტერესოა, თუ გქონდათ შემოთავაზება „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელობისგან, შემდგომი თანამშრომლობის შესახებ?

— „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობა „სპორტული ინტერესის“ გამო ნამდვილად, არ მიმიღია. თუმცა არც იმის განსაკუთრებული ილუზია მქონია, რომ ამ არხს ხელისუფლება მისთვის უცნობ ადამიანს ჩააბარებდა. ჩემი სურვილი მარტივი მოსაზრებით იყო მოტივირებული: შემექმნა მოსახლეობისთვის საყვარელი, ეროვნული არხი. ამის უნარი, ვიცი, რომ მაქვს; პროგრამაც მქონდა და კადრების შერჩევაც შემეძლო. იქიდან გამომდინარე, რომ გამარჯვებული კანდიდატიც ალბათ, თანამდებობაზე ამავე რესურსებით მოვიდა, მისგან თანამშრომლობის წინადადება არ მიმიღია. თუმც იყო სატელეფონო საუბარი და მომავალი თანამშრომლობის მსგავსი საკითხიც წამოიჭრა, მაგრამ საკითხი ამის იქით ჯერჯერობით არ წასულა. არც მიკვირს...

— უკვე მეორე კვირაა, ქართველ მაყურებელს საშუალება აქვს, კინოთეატრ „საქართველოში“ თქვენი ფილმი ნახოს. თქვენ „დონ ჟუანის დაბრუნება“ გარკვეულწილად, დააბრუნეთ...

— ეს ფილმი ბოლომდე, დღემდე ვერა და ვერ მივიყვანეთ. ახლა, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიის წყალობით, ფილმს დასრულებული სახე მიეცა და ამიტომაც დავიწყეთ მისი ჩვენება. კინოთეატრ „საქართველოს“ ხელმძღვანელობას ამისთვის მადლობას ვუხდი. ასევე მადლობას ვუხდი კინოკონცერნის ხელმძღვანელობას, სადაც ამ ფილმის „ციფრულზე“ გადაყვანა მოხდა და პოსტპროდაქშენის ოსტატს, ალეკო დარჩიას, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ამ დარგში.

— თქვენს გეგმებზეც გვიამბეთ. ვიცი, რომ თითქმის არასდროს ისვენებთ და თქვენი ცხოვრება ერთი უწყვეტი შემოქმედებითი პროცესია...

— ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებ: პირველ რიგში, მწერალი ვარ და მადლობა ღმერთს, წერის საშუალებაც მაქვს. ასე რომ, უსაქმოდ მაშინაც არა ვარ, როცა ფილმზე არ ვმუშაობ. მაგრამ როცა ფილმზე ვმუშაობ, წერისთვის ველარ ვიცლი და აქედან გამომდინარე, როგორც კი პაუზა ჩნდება, დამშეულივით მივვარდები კო-

მპიუტერს და ჩემს საყვარელ პერსონაჟებს ვუბრუნდები. როგორც იქნა, დავამთავრე ემანუელ სვედენბორგის გასაოცარი წიგნის — „სამოთხის, ჯოჯოხეთის და სულეთის საოცრებების“ — თარგმნა, კომენტარები და სტილისტიკა. ვფიქრობ, ახლო მომავალში გამოვცემ. ეს წიგნი მართლაც, შოკის მომგვრელი ინფორმაცია იქნება ქართველი მკითხველისათვის, თუმცა ინტელექტუალთა სულებს და აფორიაქებულ გონებას სალბუნივით დაედება. ზამთარში ჩემი საკუთარი სიმღერების ჩაწერაზე ვიმუშავებ, საავტორო შესრულებით; პარალელურად, ახალი კინოპროექტის მომზადებასაც ვიწყებ, სადაც პარტნიორობას ქართველ მსახიობებს 12 ლამაზი უკრაინელი ქალი გაუწევს. თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკრაინელი ქალები დედაშობილა ირბენენ მთელი ფილმის მანძილზე, რადგან მათ ლეგენდარული ამორძალები უნდა განასახიერონ, წარმომიდგენია, რა ცხელი ზაფხული ელის გადამღებ ჯგუფს!.. ფილმი გასართობი ხასიათის იქნება — მუსიკალური კომედიის გადაღებისთვის ვემზადები... აი, ასეთი, რადიკალურად განსხვავებული პროექტების ფონზე დროს მაინც ვპოულობ, რომ ღამღამობით, ჩემს ყველაზე საყვარელ და სათუთ ნაწარმოებს ჩავუჯდე და, ბოლოს და ბოლოს, დავასრულო. ეს სასიყვარულო რომანი 30 წელია, იწერება. მას ძალზე შთამბეჭდავი სახელი აქვს: „პონტოელი პილატე და კაიფა“. როგორც სათაურიდან ჩანს, ეს რომანი ეხება იმ ეპოქას, როცა პონტოელმა პილატემ იესო ნაზარეველი გაასამართლა; მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ეს არის რომანი დიდ სიყვარულზე, რომელიც მოკვდა.

ბრაზილიიდან მირეკავენ და მეკითხებიან — უკან როდის აპირებ დაბრუნებასო? მეღიმება: უკან დაბრუნება სამშობლოში გამიგია...

■



ბრაზილიური გეგმა არც ისე ბევრი მქონდა

სცენასთან გამძვრალი ფეხსაცმელი, ნათხოვარი ქამარი და კაიფი საკუთარ თავზე

ამჯერად ჩვენი რუბრისთვის კონკურსის „ჯეოსტარი“ ის მონაწილეები შევარჩიე, რომლებიც ამ ეტაპზე ყველაზე ძლიერი კონკურსანტები არიან. რა დაგიმალოთ და, იმასაც გეტყვით, რომ მე მათ ფინალში დარჩენასაც ვუწინასწარმეტყველებ. თუმცა ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა... ერთი კი ფაქტია, რომ ისინი საზოგადოების დიდი ნაწილის ფავორიტები არიან. აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთს, ჟიურის თავმჯდომარის — მკაცრი მარინა ბერიძის შენიშვნა ჯერ არ დაუმსახურებია (საუბარი სოფო ბედიასთან და ნოდიკო ტატიშვილთან „ჯექსონის“ ტურამდე ჩავწერე).

ლალი ფაცია

ქურნალისტი – ნოდიკო ტატიშვილი
რესპონდენტი – სოფო ბედია

— **მოგესალმები შენ და ჟურნალ „გზის“ მკითხველს... რეპეტიციიდან მოდიხარ, როგორი განწყობილება გაქვს?**

— შესანიშნავი. რეპეტიციიდან ყოველთვის კმაყოფილი მოვდივარ.

— **რატომ? ასეთი რა ხდება რეპეტიციაზე?**

— კარგი სიტუაციაა: გარდა იმისა, რომ კარგად ვმუშაობთ, ვმხიარულობთ კიდეც, რაც ჩემს დადებით განწყობილებას განაპირობებს.

— **საერთოდ, რატომ გადაწყვიტე, „ჯეოსტარში“ მონაწილეობა?**

— კარიერაში დიდი პაუზა მქონდა და მომინდა, რომ ისევ „გამოვნათებულიყავი“ და „მეკაშკაშა“ (*ღიმება*)...

— **სოფო, რა ასაკიდან მღერი?**

— ძალიან პატარა ვიყავი, სიმღერა რომ დავიწყე... სიმღერა მამამ მასწავლა, არაჩვეულებრივი მომღერალი იყო, შესანიშნავად უკრავდა კიდეც. მამა სამწუხაროდ, 4 წლის წინ გარდაიცვალა... გემოვნებიან მუსიკაზე ვიზრდებოდი. მამას გარდა სხვა პედაგოგი არ მყოლია... ისე, ბედიების მთელი სანათესავო მღერის.

— **მეც ბავშვობიდან ვმღერი. ჯერ კიდევ ბაღში ვიყავი ხოლმე სოლისტი, მაგრამ დიდ სცენაზე, ფილარმონიაში 6 წლის ასაკში გამოვედი. იმ პერიოდიდან ჩემი ვოკალის პედაგოგია ქალბატონი ნანა დაუშვილი და ასე მოვდივარ დღემდე. „ჯეოსტარის“ გარდა, ამჟამად, საინტერესო კიდევ რა არის შენს ცხოვრებაში?**

— მყავს მეუღლე და შვილი...

— **უფრო ახლოს გააცანი შენი ოჯახი მკითხველს.**

— მეუღლე — მიშიკო შაყულაშვილი არაჩვეულებრივი მომღერალი, მუსიკოსი, კომპოზიტორი გახლავთ. მყავს 9 თვის უსაყვარლესი ნიკოლოზი, რომელიც ჩემი ცხოვრების აზრია...

— **სოფო, „ჯეოსტარის“ შემდეგ**

თაყვანისმცემლები რომ მოგიმრავლდნენ, მეუღლე ხომ არ ეჭვიანობს?

— მადლობა ღმერთს, ჩემი მეუღლე ამ მხრივ უკომპლექსოა. მანამდე ვინც კი „პაკლონიკი“ მყავდა, ყველას ჩემი მომღერლობა და სცენაზე დგომა აწუხებდა ანუ არ უნდა მემღერა. ბედნიერი ვარ, რომ მიშიკო მუსიკოსია და იცის, რას ნიშნავს სიმღერა. თან ისიც იცის, როგორი ცოლი ჰყავს და ხელს ნამდვილად არ მიშლის. უზომოდ მეხმარება. რეპეტიციებზე თან დამყვება და გვერდიდან არ მშორდება. მართლაც რომ ვიპოვე ჩემი მეორე ნახევარი...

თბილად მახსენდება ის დრო, როცა მე და შენ პროექტ — „ნუცას სკოლაში“ ერთად ვმღეროდით

— კონკურსის გამო ბავშვისთვის ალბათ ცოტა დრო გრჩება, არა?

— ამიტომ მიწყობს ხელს ოჯახი... მის გაზრდაში დედა, ბებია, ბიძაშვილი, ბევრი ადამიანი მეხმარება. თან ჩემებთან ახლოს ვცხოვრობ... მაგრამ ბავშვი მე რომ მხედავს, გიჟდება, ისე უხარია... იცი, ნიკოლოზი როგორ მღერის? საოცრად მუსიკალურია. „ნანას“ რომ ვუმღერი, როცა ვაძინებ, ამყვება ხოლმე და ლამაზად ღიღინებს. თუ სახლში რეპეტიციას გავდივარ, ტაშს უკრავს. ტელევიზორში რომ მხედავს, ეკრანთან მიდის და ცხვირს ადებს...

— მოგწონს, კონკურსი SMS-ებზე რომ არის დამოკიდებული?

— ნაწილობრივ ვერ ვეგუები, რადგანაც ამ სისტემის გამო ნაკლებად ნიჭიერმა შეიძლება, უნიჭიერესს აჯობოს, მაგრამ იქ შენთან ერთად, ჩემო სიხარულო, ბოლომდე ვაპირებ დარჩენას...

— რა მაგარია!..

— დიახ, ვაპირებ და თუ ღმერთმა ინება, ასე მოხდება! ისე, სამართლიანობისა და ობიექტურობის იმედი ნამდვილად მაქვს.

— იმედი გაქვს?..

— იმედი ყველაფრის მაქვს...

— მაინც?

— ნათესავების, მეგობრების, გულშემატკივრების, მაგრამ ყველაზე მეტად, ჩემი თავის იმედი მაქვს... ისე კარგად უნდა ვიმღერო, რომ ვინც ჩემი ნათესავი არ არის, მასაც მოუნდეს, დამიმესიჯოს... მთავარია, რომ ჩემმა გულშემატკივარმა ბოლომდე იაქტიუროს.

— თავისუფალი დრო არ გრჩება, არა?

— თავისუფალი დრო ნამდვილად, არა მაქვს. სულ გადარბენაზე ვარ. ის კი არა, ბავშვის გამო ღამითაც არ მძინავს, ბუნებრივ კვებაზე მყავს და ვარ ასეთ გაწამაწიაში.

— წონაში თანდათან რომ იკლებ, ესეც ამის ბრალია?

— კი, ჩემი დატვირთული ცხოვრების და ყველაზე მეტად, იმის, რომ ბავშვი ბუნებრივ კვებაზე მყავს. ასე რომ, ეს არ არის არც ბატონი ბუბა კიკაბიძის დამსახურება და არც არანაირი დიეტის. კარგად ვიკვებები, მაგრამ ჩემი ფორმაში ჩადგომა ჩემი შვილის ბრალია... ასეთ დროს ბევრი იმატებს კიდეც...

— ძალიან კარგი, მართლაც მშვენივრად გამოიყურები... საერთოდ, რა გეგმები გაქვს?

— მომავალში კარიერას გავაგრძელებ აუცილებლად. „ჯეოსტარის“ დამთავრების შედეგს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. რა თქმა უნდა, გამიხარდება, თუ „ჯეოსტარი 2009“ გავხდები, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, ეს ჩემს კარიერაში ბევრს არაფერს შეცვლის... სიმღერას მომავალში მაინც ვაპირებ. მთავარია, ხალხს ვაჩვენო, რა და როგორ შემიძლია და ასევე მისგან დიდი სიყვარული ვისწავლო.

— როგორ ფიქრობ, კონკურსზე დღემდე რამდენად წარმოაჩინე შენ თავი?

— მიუხედავად იმისა, რომ ყველას მოსწონს ჩემი შესრულებული სიმღერები ნებისმიერ ჟანრში, მუდმივად უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავით. სულ კრიტიკულად ვარ განწყობილი. მიმაჩნია, რომ ეს კარგი თვისებაა.

— გეთანხმები. ეს ერთ-ერთი მთავარი თვისებაა. მეც ასე ვფიქრობ ხოლმე. თუ ეს თვისება გაქვს ადამიანს, პროფესიულად უფრო მეტს მიაღწევ, გაიზრდები... სოფო, თემა უნდა შევცვალო: თუ გახსოვს, სად გავიცანით მე და შენ ერთმანეთი?

— ძალიან ტკბილად და თბილად მახსენდება ის დრო, როცა მე და შენ პროექტ — „ნუცას სკოლაში“ ერთად ვმღეროდით. კარგი დრო იყო... ჩემი პუბლიკასთან ურთიერთობა სწორედ იქიდან დაიწყო.

— როგორც ვიცი, რომელიღაც კლუბში მღერი, არა?

— რესტორან „ფაეტონში“. მიუხედავად იმისა, რომ იქ ჩემი რეპერტუარი მაქვს და შეკვეთებსა და ეგრეთ წოდებულ „შაბაშებზე“ არ ვმუშაობ, ხალხის მხრიდან უდიდეს სიმპათიასა და სიყვარულს ვგრძნობ...

— შენი ძმა — ბორისი რას შვრება?

— როდესაც სცენაზე საკონკურსო სიმღერას მოვრჩები ხოლმე, სახე მხოლოდ მაშინ ებადრება. მანამდე რა ხდება მის სახეზე, ამას ვერ აღვწერ, ძალიან ღელავს. მიუხედავად იმისა, რომ იცის, არა ვარ გამოუცდელი და ისიც იცის, რომ ვიმღერებ, მაინც სულ ფორიაქობს, განიცდის...

— ბორისი შენზე რამდენი წლით არის უფროსი?

— წლითა და ორი თვით... თან ჩემი ფანკლუბის თავმჯდომარეა.

— და მთავარი ფანიც, არა?

— კი. მას საკმაოდ სერიოზული გეგმები აქვს — კლასიკურ მუსიკაში ემზადება. დაუჯერა ქალბატონ მარინა ბერიძეს და ყველა იმ კარგ ადამიანს, ვინც გულით ურჩევდა, რომ კლასიკურ მუსიკას გაჰყოლოდა. ახლა ვოკალში ბატონ გოჩა ბეჟუაშვილთან ემზადება და აპირებს, რომ წელს კონსერვატორიაში ჩააბაროს. შემდეგ კი პაატა ბურჭულაძე ავსტრიაში წაიყვანს და იქ სერიოზულ საოპერო ოსტატობას ეზიარება.

— მართლაც კარგი ნაბიჯი გადადგა.

— მაგრამ საშინლად არ უნდოდა. სერიოზული ბრძოლები ჰქონდა, თან ეზარებოდა. როკი უყვარს, „ქუინის“ ფანია... მაგრამ მეც ვფიქრობ, რომ სწორი ნაბიჯი გადადგა.

— წარმატებებს გისურვებ.

— დიდი მადლობა, ნოდიკო. მეც წარმატებას გისურვებ და მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ერთ SMS-სს მაინც გამოგზავნის ჩემი მისამართით...

ჟურნალისტი — სოფო გედია
რესპონდენტი — ნოდიკო ტატიშვილი

— ნოდიკო, მე მეკითხებოდი და ახლა შენ მიპასუხე, რამ მოგიყვანა „ჯეოსტარში“?

— დიდხანს უსაქმურად ყოფნა არ შემიძლია. თან სიმღერა არის ის საქმე, რომელსაც სერიოზულად ვუდგები და ძალიან მიყვარს. შინაგანად მუდმივად მაქვს სიმღერის მოთხოვნილება და ამ სფეროში რაღაც ვაკეთო, ვიმუშაო, იმის გამო, რომ ბოლო დროს, საერთაშორისო კონკურსებზეც ველარ გავემგზავრე, რადგანაც იქ ვიკმაყოფილებ ხოლმე ჩემს მუსიკალურ მოთხოვნილებას... მიუხედავად იმისა, რომ რესტორან „თუსაიდში“ მაქვს ერთი დღე და დათო ილურიძ-

ის ბენდთან ერთად ღირებულ მუსიკას ვთავაზობ ხალხს, მიმაჩნია, რომ მაინც უსაქმოდ ვიყავი... ასე რომ, სანამ უსაქმურობისგან დეპრესია დამეწყებოდა, თავს ვუშველე: მივედი „ჯეოსტარის“ კასტინგზე, მივიღე მასში მონაწილეობა და ასე მოვხვდი კონკურსზე...

— **ძალიან კარგი ქენი.**

— ახლა მაგრად გამოვცოცხლდი, რადგანაც ვაკეთებ საქმეს, რომელიც მიყვარს, მსიამოვნებს და მინდა, რომ ვაკეთო. ყოველ ორშაბათს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში არაჩვეულებრივი ბენდი უკრავს, დარბაზი სავსეა და მე ვუმღერი მაყურებელს... მაგარი სტიმულია...

— **მართლაც, ბედნიერები ვართ, რომ ბენდთან ერთად გვიწევს სიმღერის შესრულება და არა ფონოგრამაზე...**

— აბა, რა! პროდუქცია იქვე იქმნება. ეს არის გულწრფელი და ალალი მუსიკა.

— **შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

— არაფერი.

— **ალბათ იმიტომ, რომ მაქსიმალურად „ჯეოსტარით“ ხარ დაკავებული, არა?**

— ჯერჯერობით არავის ვეძებ და არც არასდროს დავიწყებ ვინმეს მოძებნას...

— **კი, მართალია. დამიჯერე, თავისით მოვა. ყველაფერს თავისი დრო აქვს. ისე, შეყვარებული ადამიანი მაინც სხვანაირად მღერის...**

— ყოველთვის ვამბობ, ახლა რა დროს შეყვარებულია-მეთქი?! რადგანაც მინდა, რომ ჩემს საქმეში მაქსიმალურად დავიხარჯო. შემდეგ იმასაც ვფიქრობ, რომ შეიძლება, თავში რაღაც „დამეცეს“, ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძო და ისეთი შეყვარებული ვიყო, რომ ცაში დავფრინავდე...

— **ამას მალე გისურვებ...**

— მე მყავდა შეყვარებული. დიდი ხნის განმავლობაში ვიყავით შეყვარებულები...

— **„ნუცას სკოლიდან“ მოყოლებული, არა? მოდი, თქვი, ვინ იყო?**

— ჩემი სკოლელი... ცნობილი არ არის...

— **ისიც მღერის?**

— არა, ის ახლა მგულშემატკივრობს...

— **მეგობრობთ?**

— არა, იშვითად ვნახულობთ ერთმანეთს, თუმცა ცუდი დამოკიდებულება არ გვაქვს... ასე რომ, რაც წლები მომემატა, მივხვდი, არავინ უნდა ვეძებო, რადგანაც მგონია, რომ თავისთავად შეეხვდები მას;

— **ახლა შენი შანსებისა და იმედის შესახებ მითხარი.**

— შენი არ იყოს, მეც ჩემი თავის იმედი მაქვს. ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი მთავარი რამ არის. როდესაც სცენაზე ვდგავარ და ვმღერი, იმ პერიოდში იმაზე ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ SMS-ები შეიძლება მივიღო, შეიძლება — არა. ან იმაზე, რომ დარბაზში ჟიური ზის. ჟიურისაც ჩვეულებრივ მაყურებლად აღვიქვამ. სიმღერა როგორც კი მთავრდება, მაშინ მახსენდება, რომ კონკურსზე ჟიურია და მათ კომენტარებს ველოდები, მაინტერესებს, რას მეტყვიან და თან, ზუსტად ვიცი, რომ სასარგებლო რჩევას მომცემენ. მათი არ მეშინია. ალბათ იმიტომ, რომ მათგან უარყოფითი შეფასება არასდროს მიმიღია. ისე, ამ მხრივ მე და შენ განებივრებულები ვართ. ამიტომ ვცდილობთ, მაყურებელს შევუქმნათ კომფორტი და მაქსიმალური სიამოვნება მივანიჭოთ.

— **ასეა, მაყურებელს საკუთარი თავი ყველა ჩვენი ემოციით უნდა მივაწოდოთ. ჩვენ მიერ ნამღერი ნებისმიერი სიმღერა რაღაც პატარა, მინისპექტაკლი უნდა იყოს.**

— შინაგანად ყოველთვის ის განცდა მაქვს, რომ არ მინდა, ვგავდე იმ შემსრულებელს, რომელსაც ეს სიმღერა მანამდე შეუსრულებია. მანამდე ვის ნამღერ სიმღერასაც ვასრულებ. მინდა, რომ ვიყო მე!.. იმიტომ არის საინტერესო „ჯეოსტარი“, რომ შეგიძლია, გააკეთო ყველაფერი, რისი გაკეთებაც გინდა, რასაც შემდეგ მაყურებელი ხედავს და აფასებს. გამოცდილების მიღების, მომღერლის გაზრდის თვალსაზრისით, მართლაც მაგარი პროექტია.

ვცდილობთ, მაყურებელს შევუქმნათ კომფორტი და მაქსიმალური სიამოვნება მივანიჭოთ

— **კი, ასეა. მიხარია, რომ ქუჩაში ხალხი მაჩერებს, სითბოსა და სიყვარულს მიზიარებს. ეს ჩემთვის უდიდესი რამ არის. ყველას ვერ მოეწონები, მაგრამ ჯერჯერობით ადამიანი არ შემხვედრია, რომ ცუდი კომენტარი გაეკეთებინოს.**

— მოდი, ჩვენი ბოლოდროინდელი თითო კურიოზიც მოვყვეთ...

— **ისე დავიკელი წონაში, რომ შეიძლება ითქვას, ფეხსაცმელებიდან ვვარდები. იმ დღესაც გამომაცხადა დუტამ მეგრული ინტონაციით — სოფო ბედიაო!.. სცენისკენ გამოვემართე და რომ მივუახლოვდი, კიბეზე ასვლის წინ ფეხსაცმელი გამძვრა. მაგრამ არ დავიბენი, დავიხარე და ფეხსაცმელი ჩავიცვი, ყველაფერი წამის მეასედებში მოხდა... შემდეგ სცენაზე სიცილ-ხარხარით ავედი. მაგარია, როცა შენს თავზე მარტო კაიფობ... ასეთი რამ დამემართა. ვერავინ გაიგო...**

— ერთ-ერთ ტურზე ახალი შარვალი მეცვა. აღმოჩნდა, რომ წელში ცოტა განიერი მქონდა. მანამდე ვერ შევამჩნიე, რადგან გასინჯვისას არ შევუწუხებივარ. ის იყო, უნდა გავსულიყავი სცენაზე და ვგრძნობდი, რომ შარვალი მძვრებოდა. ანანომ, გამომშვებ რედაქტორს შეატყობინა — ნოდიკოს გამოცხადებას რამდენიმე წამით დავაგვიანებ, შარვალი სძვრება და ქამარი სჭირდებაო. ჩემი გამოცხადება დააგვიანეს. ქამარი იქვე მყოფ ვაჟა მანიას შევხსენი და ეთერში რომ გავედი, ქამრის გაკეთება ძლივს მოვასწარი... ისე, ბავშვებს ბევრს ვაცინებ ხოლმე და წინასაკონცერტო განწყობილებას ვუქმნი.

— **კი, მართლია, შენ რომ გიყურებთ, აღარ ვნერვიულობთ...**

— მიხარია, რომ კონკურსანტები კარგები არიან. მე და შენ დიდი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ. ასევე მე და დათუნა მგელაძეც დიდი ხნის ძმაკაცები ვართ... მიუხედავად იმისა, რომ თითქოს შეგუებულები ვართ კონკურსის წესებს, ყოველ ტურზე თითო მონაწილე რომ ვარდება, საბოლოო ჯამში, ამას მაინც ვერ ვეგუებით, რადგანაც ჩვენ შორის გარკვეული ურთიერთობა ყალიბდება და გასავარდნად არავინ გვემეტება.

— **კი, მეც ძალიან მენანება კონკურსიდან გავარდნილი მონაწილეები... მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია „ჯეოსტარის“ წესები.** ■

ზალიკო ბერგერის ეკლექტიკური აქსესუარები და თეატრალიზებული სანახაობა



ის ქართულ სამოდელო ბიზნესში პირველად 1996 წელს გამოჩნდა — მაშინ მონაწილეობა მიიღო ქართული ავანგარდული მოდის ფესტივალში. მას მერე კი ამ სფეროში ადგილი ნელ-ნელა დაიმკვიდრა. მოგვიანებით ქალის კოსტიუმების დიზაინზე მუშაობის პარალელურად, სამკაულებზე ფიქრსაც მიჰყო ხელი. მერე აქსესუარების კეთება გატაცებად ექცა. თან ყელსაბამების, სამაჯურების, საყურეების საკმაო რაოდენობაც დაუგროვდა და 2000 წელს, ერთ-ერთ კლუბში ნამუშევრების დემონსტრირებაც გადაწყვიტა. ასე გამართა დიზაინერმა ზალიკო ბერგერმა საკუთარი სამკაულების პირველი ჩვენება. დღეს კი უკვე იმდენი ჩვენება აქვს მოწყობილი, რომ სათვალავი აქვს არეული. დიახ, გასულ კვირას, კლუბ „გურუში“ გამართული მორიგი დეფილე მერამდენე იყო, აღარ ახსოვს...

საღამო დანიშნულზე გვიან დაიწყო. მანამდე დარბაზში ორგანიზატორების მოუსვენრობა შეინიშნებოდა. კლუბი ნელ-ნელა ივსებოდა და სტუმრები ინტერესით ელოდნენ ჩვენების დაწყებას. ცნობილი ადამიანებიდან მაინცდამაინც ბევრი ვერავინ შევნიშნეთ: რეჟისორი — ბასა ფოცხიშვილი, მომღერალი ოჯახი — ზურა ხაჩიძე და ხათუნა ჟორდანია (შეგახსენებთ, ზურა ზალიკოს დეიდაშვილია), მსახიობი — მიშა მესხი, დიზაინერი — დათუნა სულიკაშვილი.

ლალი ფაცია

ხათუნა ჟორდანია:

— ძალიან მიყვარს ზალიკო. ამიტომ რაც უნდა გააკეთოს, მის მიმართ ყოველთვის სუბიექტური ვიქნები და მისი შექმნილი ყველაფერი მომეწონება. ხომ იცით, ყვავს რომ თავისი ბახალა ყველაზე კარგი ჰგონია, ასე მჭირს იმ ადამიანებზე, ვინც ძალიან მიყვარს... ასე რომ, ზალიკოს ნამუშევრები ძალიან მომწონს.

— ზურა, რას გვეტყვი შენი დეიდაშვილის შემოქმედებაზე?

ზურა ხაჩიძე:

— სანამ საუბარს დავიწყებ, მინდა, ზალიკოს წარმატებები ვუსურვო. ჯერ არ მინახავს მისი ახალი კოლექცია და ჩემთვის საინტერესოა, რა სიახლეები აქვს აქსესუარებში. საერთოდ, მისი ნამუშევრები მომწონს. მასთან ხშირად გვითანამშრომლია: მეც და ჩვენს ჯგუფსაც. ზალიკო საინტერესო შემოქმედია. მეტი საშუალება რომ ჰქონდეს, საკუთარი შემოქმედების უკეთ რეალიზებას შეძლებდა.

ზურასა და ხათუნას თუ ჩვენებამდე გავესაუბრე, ბდღვრიალა და თეატრალიზებული დეფილეს შემდეგ, რეჟისორ ბასა ფოცხიშვილს ვკითხე აზრი:

— ძალიან ლამაზი აქსესუარები იყო. მომეწონა. ვულოცავ ზალიკოს და წარმატებებსა და წინსვლას ვუსურვებ. ყოველთვის ჰქონდეს ლამაზი სამკაულების გაკეთების ხალისი...



— თავად თუ შეიძენ მის



რომელიმე ნამუშევარს?

— სიამოვნებით.

ზალიკო ბერგერი:

— აქსესუარებს უკვე დიდი ხანია, ვაკეთებ და 2000 წლიდან სეზონურად ჩვენებასაც ვაწყობ ხოლმე.

— დღეს რამდენი აქსესუარი წარმოგვიდგინე?

— 60 სხვადასხვა ნამუშევარი იყო: ყელსაბამი, სამაჯური, საყურე... რაც შეეხება სტილს — ეს ეკლექტიკური,

თანამედროვე სტილისტიკის ელემენტებით გაჯერებული აქსესუარები გახლავთ. ყველანაირი მოდელი წარმოვადგინე.

— რამდენ ხანს მუშაობდი?

— დაახლოებით ერთი წელი. რადგანაც ერთი წელია, სამკაულების ჩვენება არ მქონია. ამიტომ ნაწილი ისეთი იყო, რომლის წარმოდგენასაც ზაფხულში ვაპირებდი, მაგრამ არ გამომივიდა...

— რომელი სააგენტოს გოგონებმა წარმოადგინეს შენი ნამუშევრები?

— ახალმა სააგენტომ „ადიტი“. ასევე მონაწილეობდნენ დამოუკიდებელი მოდელები, რომლებიც ჩემი მეგობრები არიან.

— მათ შორის ბიჭებიც იყვნენ.

— კი, ასე გადავწყვიტეთ, რომ სამკაულები მათ თეატრალიზებული სანახაობის ფონზე წარმოედგინათ. ამიტომ ისინი შესაბამისი კოსტიუმებითაც იყვნენ შემოსილები და თან აქსესუარებსაც წარმოადგენდნენ.

— დღევანდელი ჩვენებით კმაყოფილი ხარ?

— ჯერ არ ვიცი. დარბაზში არ გავსულვარ და ხალხის რეაქცია არ მინახავს... ისე, როგორც შემოქმედი, ასეთ დროს ძალიან ვიღლები, რადგანაც ჩვენებისას „სამზარეულოში“ მოდელებს გამოცვლაში ვეხმარები.

— საახალწლოდ კიდევ ხომ არ გეგმავ რაიმე ჩვენებას?

— 2 იანვრისთვის ვამზადებ კიდევ ძალიან საინტერესო ღონისძიებას, რადგანაც ჯერ ერთი, ახალი წელია, მერე — ბედობაა და ამასთან, ჩემი დაბადების დღეც...

— წარმატებებს გისურვებ. ■



„90/60/90 ანუ გოგონა სლაიდიდან“

ქართული კომედიური მელოდრამა ყველაზე კრიტიკული მაყურებლის სამსჯავროზე

წარმატებული მოდელი რომ გახდე, სილამაზე მთავარი არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში — ახალ ქართულ კომედიურ მელოდრამაში ასეა: საყვარელ ქალთან დაახლოების მიზნით, წარმატებული, მდიდარი მამაკაცი ქალის სამოსს იცვამს და იმ სააგენტოში მიდის, სადაც მისი სიყვარულის ობიექტი მუშაობს. წარმატებას სამოდელო ბიზნესშიც აღწევს და საბოლოოდ — სიყვარულშიც... რეჟისორმა გიგა აგლაძემ ახალ ფილმში ბევრი ცნობილი ადამიანი ჩართო და ყველა მათგანს თავისი ნამდვილი სახელი „შეუნარჩუნა“. როგორც შემოქმედებითი ჯგუფის წევრები გვპირდებიან, ფილმის ნახვისას მაყურებელი ძალიან ბევრს იცინებს.

ეთო ყორლანაშვილი

გიგა აგლაძე:

— როცა ჟურნალ „ბომონდში“ ვმუშაობდი, იქ ასეთი რუბრიკა გვქონდა — „გოგონა სლაიდიდან“ და გამიჩნდა იდეა, გადამეღო ფილმი, რომლითაც მაყურებელს ოდნავ „გაფერადებულად“ ვაჩვენებდი, თუ რა ხდება შოუბიზნესის იმ ნაწილში, რასაც „ფეშენი“ ჰქვია. ფილმი „90/60/90 ანუ გოგონა სლაიდიდან“ კომედიური მელოდრამა — ძალიან ლამაზი და ფერადია. მისი გადაღება ზაფხულის ბოლოს დავიწყეთ და შემოდგომის მიწურულს დავამთავრეთ. პრემიერა 8 დეკემბერს შედგება.

— შეგიძლიათ, სიუჟეტთან დაკავშირებით ცოტა რამ გვიამბოთ?

— ერთ-ერთი საავტომობილო კომპანიის წარმომადგენელ მდიდარ, ქალების მოყვარულ ვაჟს მოდელი გოგონა შეუყვარდება, მაგრამ გოგონას არ უყვარს. ბიჭი ქალის სამოსს იცვამს და სამოდელო სააგენტოში მიდის. მერე იქ რაღაცები ხდება... საბოლოოდ ყველაფერი გაირკვევა. ფილმი „ჰეფი ენდით“ მთავრდება — გოგონა და ბიჭი ერთად რჩებიან. მთავარ როლებს ზუზუ ანუ ზაზა ბეჟაშვილი და სააგენტო „სლაიდის“ მოდელი — ნათია ახვლედიანი ასრულებენ. მოგეხსენებათ, სააგენტო „სლაიდი“ ჩემს მეუღლეს (თეა აგლაძეს) ეკუთვნის და ძირითადად, ფილმში მისი მოდელები მონაწილეობენ. მუშაობა სულ 72 არაპროფესიონალ მსახიობთან მომიხდა. მათ ფილმშიც თავიანთი ნამდვილი სახელები ჰქვიათ, მაგალითად, ავთანდილ ცქვიტინიძის პერსონაჟს — ავთანდილი, კრისტი ყიფშიძეს — კრისტი და ა.შ. ცნობილი მსახიობებიც მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, ეკა ჩხეიძე...

— არაპროფესიონალებთან მუშაობა არ გაგიჭირდათ?

— გადაღების პროცესი ურთულესი იყო, მაგრამ პროფესიონალებმაც და არაპროფესიონალებმაც კარგად გაართვეს თავი. ფილმის მთავარი პერსონაჟის — ნათიას მამის როლს ზურა ყიფშიძე თამაშობს. შეყვარებული ბიჭი ნათიას საჩუქარს ხშირად უძღვნის. ბოლოს და ბოლოს, გოგონას მამას ეს ყველაფერი ყელში ამოუვა და შვილს ეჩხუბება. ჩხუბის სცენის პირველი დუბლი ჩავწერეთ თუ არა, ყველამ აღნიშნა, რომ ფანტასტიკური იყო! მიხარია, რომ ისეთ მსახიობთან ვიმუშავე, როგორიც ზურა ყიფშიძეა. საკუთარ როლს ალღო ნათიამაც კარგად აუღო.

ნათია ახვლედიანი:

— ზურა ყიფშიძისგან ისეთი მუხტი წამოვიდა, მეგონა, მართლა მეჩხუბებოდა... ძალიან მაგარი იყო! ზუზუც ძალიან ნიჭიერია. მას ფილმში გადაღებამდე ვიცნობდი. მისი პერსონაჟი ძალზე სასაცილოა: ჩემი გმირის მოხიბვლის მცდელობებით დაღლილი შინ ზის და უეცრად ტელევიზორში ფილმიდან „ტუტსი“ — კადრები გავა. ზუზუ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ იღებს: ქალის სამოსს მოირგებს და სააგენტოში, როგორც მოდელი გოგონა, ისე მიდის (*იცინის*).

— მსახიობის პროფესიით სერიოზულად დაინტერესდი?

— ჯერჯერობით, არ ვიცი... ცოდნას ჩემს პროფესიაში — არქიტექტურაში ვიღრმავებ. მოდელობაც გართობის მიზნით დავიწყე: იმ პერიოდში, სასწავლო კურსი დავამთავრე უნივერსიტეტში და საქმე არაფერი მქონდა. მეგობრის საშუალებით, სამოდელო სააგენტოში მივედი და ნელ-ნელა „შემოვიპარე“. დღეს მოდელობა ჩემთვის ჰობიც აღარაა — ყველაფერს

მოვრჩი, რადგან ეს ჩემი საქმე არ არის, ამ „ამბავში“ თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობ.

— **რატომ?**

— მე ცხოვრების სხვაგვარი სტილი მაქვს — ზედმეტი ყურადღება არ მხიბლავს...

მოკლედ, ნათია კითხვებით აღარ გავაწამე. მით უმეტეს — სიცხე ჰქონდა და მიუხედავად ამისა, გადასაღებ მოედანზე საზაფხულო კაბის ამარა წაყვანას უპირებდნენ. სამაგიეროდ, ზუზუ, იგივე ზაზა ბეჟაშვილი გრძნობდა თავს მხნედ და საუბარზეც სიამოვნებით დამთანხმდა:

— ფილმში ჩემს პარტნიორს — ნათია ახვლედიანს პროექტამდეც ვიცნობდი. ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვქონდა. გადაღების პროცესში უფრო დავმეგობრდით. ნათია ამბობს, — მუშაობა შენ გამიადვილეო, — მაგრამ სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, სამუშაო

ნათია ახვლედიანი

ნათიამ გამიიოლა! მართალია, პროფესიით მსახიობი არაა, მაგრამ შეიძლება, ადამიანმა 5 ინსტიტუტი დაამთავროს და მაინც „კომოდი“ იყოს, ნათიასგან კი ის მუხტი მოდის, რაც მსახიობს სჭირდება. ფილმში ზურა ყიფშიძე ჩემი პარტნიორი არ ყოფილა, მაგრამ იგი დე ნიროს დონის მსახიობად მიმაჩნია და მიხარია, რომ ერთ პროექტში მოვხვდით.

— **ფილმში ბევრი ლამაზი გოგონა მონაწილეობს. მათ გარემოცვაში თავს როგორ გრძნობდი?**

— მართლა ბევრი მოდელი მონაწილეობს: დიდი, პატარა, ცნობილი... თავს კარგად ვგრძნობდი, რადგან გადასაღებ მოედანზე მეგობრული, საღი და ჯანსაღი სიტუაცია იყო.

— **გადაღების პროცესში საინტერესო სანახავი იქნებოდი...**

— ქუსლიან ფეხსაცმელებზე შემდგარი „გაურკვეველი არსება“ გახლდით პარიკითა და კაბით! ერთ-ერთი ეპიზოდის გადაღებისას, შუა ქუჩაში ტრუსით დავრბოდი.

— **რატომ?**

— სიუჟეტის მიხედვით, როცა ნათია შეიტყობს, რომ სინამდვილეში კაცი ვარ, გარბის, მე კი უკან მივდევ.

— **ამ დროს ქუჩაში რა ხდებოდა? გამვლელებს როგორი რეაქცია ჰქონდათ?**

— გადაღება გაგვიჭირდა: ხალხი დადგა და გაკვირვებისგან პირი დააღო: — ვინაა? ქალი თუ კაციაო? ერთმა ბავშვმა დედამისს ჩემზე ესეც კი უთხრა: — რა მაღალი გოგოაო! სასწაულები ხდებოდა!..

— **თაყვანისმცემელი მამაკაცებიც ხომ არ გამოგიჩნდნენ?**

— არა, არა, თავი დამანებე (*იცინის*)!

— **როგორც შევიტყვე, ქალად გადაცმულმა შენმა პერსონაჟმა წარმატებას სამოდელო ბიზნესშიც მიაღწია. საინტერესოა, სხეულის პარამეტრებთან დაკავშირებით, სააგენტოში სირთულე არ შეექმნა?**

— ფილმში მოდელი ვარ, მაგრამ „პაკაზებზე“ არ გამოვდივარ — ძირითადად, ჟურნალებში, შოუებში ვჩნდები. ვიმე, იცი, რას ვგავარ? ჩემი გმირი წარმატებას იმით აღწევს, რომ სადაც შედის, მის დანახვაზე ყველას გული უსკდება, მაგრამ მასში რაღაც მაინც მოსწონთ, რადგან სხვანაირია. წარმატებული მოდელი ამის წყალობით ხდება, თორემ ყვავს ჰგავს. საშინელებაა!

— **ზუზუ, როლზე როგორ დაგამტკიცეს?**

— პროექტში თავიდანვე ჩავერთე: კასტინგზე მივედი, სადაც გიგამ პატარა „გამოცდა“ ჩამიტარა, მერე დამირეკა და როლზე დამამტკიცა. სცენარი რომ გამაცნო, ძალიან მომეწონა! ბევრი მეკითხება, როგორია ქალობაო? მე ქალის როლს არ ვთამაშობ. მე ვასრულებ ქალად გადაცმული მამაკაცის როლს, რომელიც ყოველ 5 წუთში „იყიდება“, რომ კაცია! ის ქალი ვერასდროს იქნება, რადგან ყოველდღე სხვადასხვა ქალის გვერდით იღვიძებს.

— **ალბათ, რეალურ ცხოვრებაში, ქალის მოსახიბლავად შენი გმირის მსგავსად არასოდეს მოქცეულხარ...**

— არა, რა თქმა უნდა, ღმერთმა დამიფაროს (*იცინის*)! „საღი და ჯანმრთელი“ ურთიერთობები მიყვარს — ქალებთანაც, მეგობრებთანაც, ძმაკაცებთანაც... თუ მიყვარს, მართლა მიყვარს და ამ სიყვარულს სიხარული, შეცდომები, სევდა მოჰყვება ხოლმე...

— **შენთვის მიუღებელია ქალის მოხიბვლის ის ხერხი, რაც შენმა პერსონაჟმა გამოიყენა?**

— რადგან ეს ფილმში ხდება, ამიტომ გამართლებულია, თორემ ქართველი კაცი ამას არ მიიღებს! გვინდოდა, ყველაფერი ისე გადაგვეღო, რომ ქართველი მაყურებლისთვისაც მისაღები ყოფილიყო და უცხოელებისთვისაც. თან, ბევრი მსგავსი ფილმია გადაღებული, რომელშიც ძალიან მაგარმა მსახიობებმა ითამაშეს. ამის მერე, ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი სარისკოა. პატარა ნიუანსშიც რომ შევცდეთ, ჩვენი საქმე ცუდადაა — ქართველი მაყურებელი მსოფლიოში ყველაზე კრიტიკულია! პირადად მე, ბევრ კომედიაზე არ მეცინება. ამას წინათ, ზურა ყიფშიძემ ძალიან მაგარი რაღაც თქვა: როლის შესრულებისას, იმაზე არ უნდა იფიქრო, რომ ვიღაც გააცინოო. ეს სიტყვები გაკვეთილივით მივიღე. სხვის გაცინებაზე რომ ფიქრობ, ეს ცუდია. შენი საქმე გულწრფელად უნდა გააკეთო. ამ ფილმზე მუშაობის პერიოდი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩემს ცხოვრებაში. დავიღალე, მაგრამ თავს ძალიან „გემრიელად“ ვგრძნობ — დიდი გამოცდილებაც მივიღე და მეგობრებიც შევიძინე. რაც მთავარია, მე და გიგა „ერთ ენაზე“ ვლაპარაკობთ. ამაში გამიმართლა.

— **გიგასთან პირველად იმუშავე?**

— კი, მაგრამ კინოში გარკვეული გამოცდილება მანამდეც მქონდა: ჯერ კიდევ ინსტიტუტში ვსწავლობდი, როცა მოსკოვში გავემგზავრე და იქ ახალგაზრდა რეჟისორის — ჟანა სინელნიკის ფილმში მთავარი როლი შევასრულე. ფილმი ქართველ ქირურგზეა, რომელსაც ქუჩაში შეურაცხყოფას აყენებენ, რადგან ქართველია. შემდეგ აზერბაიჯანში გავემგზავრე, სადაც მისტიკურ დრამაში — „განყოფილება“ გადამიღეს. ფრანგი და რუსი პარტნიორები მყავდნენ. საზღვარგარეთ მუშაობა მომწონს — იქ მსახიობს უფრთხილდებიან.

— **გიგა აგლაძე არ გიფრთხილდებოდა?**

— გიგა — კი, მაგრამ ზოგადად საქართველოში მსახიობთან ურთიერთობა არ იციან — მნიშვნელობა არა აქვს, მსახიობთან მუშაობა ხელს გაძლევს თუ — არა. ჩვენს ქვეყანაში გამართულ კასტინგებზე ვყოფილვარ და მიმაჩნია, რომ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, რაღაცებში მართლა „ვიჭრებით“. სულ ვამბობ, — კასტინგზე აღარ წავალ-მეთქი, — მაგრამ ბოლოს მაინც მივდივარ... ახლა პეტერბურგის ყველაზე მასშტაბური კინოსტუდიიდან — „პანორამა“ მაქვს შემოთავაზება. „პანორამის“ დირექტორი წელიწადში, მინიმუმ, 15 პროექტს ახორციელებს. სამწუხაროდ, ვიზის პრობლემა მაქვს. როგორც კი მოვაგვარებ ამ საკითხს, აუცილებლად გავემგზავრები.

— **წარმატებას გისურვებ! მანამდე კი ქართველ მაყურებელს ფილმის „90/60/90 ანუ გოგონა სლაიდიდან“ — პრემიერა ელის...**

— ამ ფილმში მონაწილეობა ჩემთვის განსაკუთრებულად რთული იყო, რადგან მამაკაცის როლს ვასრულებ, რომელიც ქალის როლის მორგებას ცდილობს. მუდმივ ძიებაში ვიყავი, თუ რა როგორ გამეკეთებინა. ამ საქმეს თავი როგორ გავართვი, პრემიერაზე ვიხილავ. ■



ზუზუ, იგივე ზაზა ბეჟაშვილი

ნესტან კირთაძის „მიჯაჭვულობა“ და ერთდროულად გახსნილი რამდენიმე „ფაილი“

მსახიობობა სურდა, მაგრამ დღეს ლეიბორისტული პარტიის წევრია. მიიჩნევს, რომ ქალი პოლიტიკოსები ძირითადად დიპლომატები არიან... კარგი იუმორი აქვს, არ ბრაზობს, როცა ასე მიმართავენ — ბატონო ნესტან!.. მაგრამ ის პირველ რიგში ქალია, პრაგმატული ადამიანი, ამასთანავე — რომანტიკულიც. უყვარს პოეზია, ანა კალანდაძის „ბოშა ქალი“, გალაკტიონის „იისფერი თოვლი“ და ვივალდის „წელიწადის დრონი“. მუშაობის დროს ხშირად უსმენს სიმღერას — „ჩემო კარგი ქვეყანავ“... ერთდროულად შეუძლია წერა და კითხვა. „ამ დროს ტვინში რამდენიმე „ფაილი“ ერთდროულად მეხსნება“, — ამბობს ის... მეუღლეს გვარით — რეხვიაშვილი — მიმართავს და მას ჩვენც ასევე წარმოგვიდგენს. ერთი სიტყვით, დღევანდელი ჩვენი რუბრიკის სტუმარი საკმაოდ საინტერესო ქალბატონი, ნესტან კირთაძე გახლავთ.

ნინო მჭედლიშვილი

— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟს შეადარებდით საკუთარ თავს?

— მართალი გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია, რადგანაც ნებისმიერი ადამიანი ცდილობს, რომ ინდივიდუალური იყოს; ამიტომ არავინ და არაფერია ერთნაირი. ფოთოლი, წვიმის წვეთიც კი არ არის მსგავსი. ასე რომ, არა მგონია, ვინმეს ვგავდე. მე — მე ვარ, ინდივიდი. საერთოდ, ნაწარმოების წაკითხვისას, ზოგჯერ გვინდა, რომელიმე გმირს შევედაროთ (დადებითს, რასაკვირველია). ასეთი ემოციური განცდები ალბათ მქონია, მაგრამ რეალური მსგავსებისა, რა გითხრათ?..

— დამისახელეთ თქვენი ხასიათის თვისება, რომელიც ბავშვობიდან მოგყვებათ.

— მკაფიოდ გამოხატული ერთგულება. ეს ჩემი მართლმადიდებლური რწმენიდან გამომდინარე მაქვს თუ თანდაყოლილი თვისებაა, ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ ფაქტია, რომ ერთგული ნამდვილად ვარ, კიდევ — ჯიუტიც...

— და რა ხდება მაშინ, როცა ურთიერთობა თქვენნაირ ჯიუტ ადამიანთან გიწევთ?

— თუ გინდა, რომ ასეთ ადამიანთან შედეგს მიაღწიო, ელასტიკური და დამყოლი უნდა იყო.

— მერე, ახერხებთ ამას?

— კი. ის, რომ ქალი სასურველია დიპლომატიასა და პოლიტიკაში, მხოლოდ იმის დამსახურება როდია, რომ მოხდენილი პიჯაკი აცვია ან თმა ლამაზად აქვს დავარცხნილი. ვაღიარებ, რომ მამაკაცის გონება უსაზღვროდ ძლიერია, მაგრამ წარმატების მიღწევა დიპლომატიაში ქალს უკეთ გამოსდის. თუმცა, საქართველოში მამაკაცები ცდილობენ, პოლიტიკოსი ქალები არ აღიარონ და თუ აღიარებენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ ესა თუ ის ქალი პოლიტიკოსი შინაგანად „მამაკაცია“ ან მამაკაცური თვისებების მქონე. ჩემთვის ხშირად ასე მოუმართავთ — ბატონო ნესტან!.. ასე იყო პარლამენტშიც და ასე გრძელდება დღესაც. ადრე ამ მიმართვისთვის ბოდიშს მაინც იხდიდნენ და ახლა ბოდიში არ იციან. ამის გამო ადრე სახეზე წვერულვაშს ვისინჯავდი, ხომ არ ამომივიდა-მეთქი (*იცინის*)?..

— ოჯახში, მეუღლესთან თუ იყენებთ დიპლომატიას?

— რა თქმა უნდა. მე და ჩემი მეუღლე თანაცხოვრების 31 წელს ვითვლით. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ერთსა და იმავე სკოლაში ვსწავლობდით და ერთსა და იმავე საბავშვო ბაღში დავდიოდით, გამოდის, რომ მთელი ცხოვრება ერთად გვაქვს გატარებული. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდულ წლებში სიჯიუტის გამო ბევრი რამ წავაგე.

— მაინც რა?

— ნერვები ზედმეტად მოვიშალე, გარკვეული შედეგის მისაღწევად ზედმეტად დავიხარჯე, გარკვეულ შემთხვევაში ვერც შედეგს მივაღწიე და... ყოველივე კი ჩემი ჯიუტი ხასიათის ბრალი იყო. ახლა წლებთან ერთად, დათმობა ვისწავლე და ურთიერთობაც გაადვილდა.

— მეუღლეს სუსტი წერტილი თუ მოუძებნეთ?

— არა, უბრალოდ გავიაზრე, რომ ჯიუტი ქალები მამაკაცებს არ მოსწონთ. არც დამყოლი ქალები მოსწონთ. მათთვის მისაღებია, თუ ქალები მათ უპირატესობას აღიარებენ.

— ოჯახში ლიდერობის სურვილი თუ გაგჩენიათ?

— არასდროს. ადრეული წლებიდანვე ცხოვრებაში რამდენიმე „მიჯაჭვულობა“ მქონდა და ამისთვის არ მეცალა. „მიჯაჭვულობა“ ერთი — ჩემი შვილი (17 წლის უკვე დედა ვიყავი) და მის გარშემო ყველაფერი. ახლა ეს მზრუნველობა შვილიშვილზე გადავიდა. „მიჯაჭვულობა“ ორი — წიგნი და ჩემი პროფესია; „მიჯაჭვულობა“ სამი — პოლიტიკა, რომელიც შემდეგ პროფესიადაც გავიხადე. სულ არ მინდოდა, ეს ტვირთიც მეზიდა, მაგრამ...

— მაგრამ ეს იმ შემთხვევაში გამოსდის ქალს, როცა გვერდით ძლიერი მამაკაცი ჰყავს.

— გეთანხმებით, მაგრამ არიან ქალები, რომლებიც თავიანთი სიძლიერის დასამტკიცებლად მატრაკვეცობენ და „მანდატის“ ზედმეტად გაფართოებაზე ფიქრობენ.

— მითხარით ფრაზა თქვენი საყვარელი ლექსიდან.

— „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ფანტელებივით ხიდიდან ცვენა“...

— პატარა შესწორება: „ქალწულებივით ხიდიდან ფრენა“...

— თუნდაც, ანდა კიდევ, „არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში...“

— ქუჩაში უცნობმა მამაკაცმა, ანა კალანდაძის ცნობილი ლექსიდან ფრაზა რომ მოგაძახოთ: „და რა ქალი, ხელისგულზე სატარები...“ გაჩერდებით და მოუსმენთ?

— აუცილებლად გავჩერდები, მოხდენილად გავუღიმებ, ღირსეულად გადავუხდი მადლობას და რამდენიმე საათს ვიქნები ძალიან კარგ ხასიათზე.

— დავუშვათ, მეუღლესთან ერთად სადმე ხართ წვეულებაზე. ქმარმა მომხიბვლელი ქალბატონი საცეკვაოდ გამოიწვია, არადა, თვითონ ძალიან გინდოდათ ცეკვა. როგორი რეაქცია გექნებათ?

— ჩემი მეუღლე რამდენიმე ინსტრუმენტზე არაჩვეულებრივად უკრავს, მათ შორის ფორტეპიანოზე, გიტარაზე... სულ ვამბობ, აი, რით ხიბლავს ეს რეხვიაშვილი ქალბატონებს-მეთქი. ვინც უნდა იყოს სუფრასთან, ყველაფერი და ყველა მის გარშემო „ფოკუსირდება“ და სუფრის ლიდერი თავისთავად ჩემი ქმარი ხდება. ეს მეც მომწონს, რადგანაც სუფრაზე წინა პლანზე მეც წამომწევს ხოლმე. და თუ ლამაზ ქალბატონსაც თავს მოაწონებს, ესეც ჩემს აქტივში ჩაიწერება (*იღიმება*).

— თქვენი ქალიშვილი ამჟამად მეუღლესთან განქორწინებულია. დღეს

თქვენს დაუკითხავად რომ გათხოვდეს, გაუბრაზდებით?

— ინტერვიუს დასაწყისში ვთქვი, რომ 17 წლის ვიყავი, ანი რომ მეყოლა ანუ ასაკობრივი სხვაობა ჩვენ შორის ძალზე მცირეა. შეიძლება, მის აზრს ხშირად არ

ნესტან კირთაძის მეუღლე და შვილიშვილი

დავეთანხმო, მაგრამ ყოველთვის პატივს ვცემ მის გადაწყვეტილებას. ასე რომ, დაუკითხავად გადადგმული ნაბიჯი არ იქნება ჩემი გაბრაზებისა და გაღიზიანების საბაბი.

— თქვენ მშობლებიც ასევე სცემდნენ პატივს თქვენს გადაწყვეტილებას?

— ჩემი ნაადრევი ქორწინება, რა თქმა უნდა, არ იყო მისაღები ჩემი მშობლებისთვის. ეს ნაბიჯი, არც დედამ და არც მამამ, დიდი ხნის განმავლობაში, სწორ ნაბიჯად არ „აკურთხეს“, მაგრამ პატივი სცეს ჩემს გადაწყვეტილებას და ყველაფერი წესისამებრ ჩატარდა. ჯვრისწერაც მქონდა და ქორწილიც.

— დღეს ბევრს ხუმრობენ ლეიბორისტებზე, ამას თუ გამოჰყავხართ წინასწორობიდან?

— მე ამას ვუყურებ როგორც ტექნოლოგიას, რომელსაც ჩვენი მოწინააღმდეგე მხარე ჩვენ წინააღმდეგ იყენებს. ამდენად, ამაზე ვერ გავბრაზდები.

— როგორია ნესტან კირთაძე მაშინ, როცა მარტო რჩება საკუთარ თავთან?

— თავში ერთდროულად რამდენიმე „ფაილი“ მეხსნება. ხან ვწერ, ხან ვკითხულობ, ხან ვმუშაობ, ხან... ოღონდ სადილს არ ვამზადებ... ძირითადად ვფიქრობ და ძალიან ბევრს ვმუშაობ. ესაა ჩემი მარტოობა. მიყვარს, როცა ხმამაღლა ვუსმენ კლასიკურ მუსიკას. ვუსმენ ვივალდის „წელიწადის დრონს“. ჩემი ოჯახის წევრებს უკვე ყელში აქვთ ამოსული ეს ნაწარმოები. ვუსმენ „ჩემო კარგი ქვეყანავ“. ამით საზღვარს ვავლებ გარე სამყაროსა და ჩემ შორის და ათი ადამიანიც რომ იყოს ჩემ გვერდით, იმ მომენტში მარტო ვარ...

— სადილს არ ვამზადებო, — მითხარით. აბა, ვინ გიმზადებთ?

— ინტენსიურად არ ვამზადებ, მაგრამ მიწევს. ამას თავისი დრო, ენერგია და მოწადინება უნდა. დედაჩემმა ხუთი შვილი გაზარდა და მახსოვს, ამბობდა, ისე გავზარდე შვილები, გაზქურა არ ჩამიქრიაო. მე მთლად ამდენს ვერ ვწვდები, მაგრამ რაღაცებს მაინც ვაკეთებ...

— დეპრესია გქონიათ?

— მქონდა და ჩემს დამაწყევარსაც არ ვუსურვებ ამ დაავადებას. დეპრესია მაშინ დამემართა, როცა ძალიან მოკლე დროში დედ-მამა გარდამეცვალა. უცებ თავზე ჩამომენგრა ყველაფერი, მარტო დავრჩი და არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ეს ის პერიოდი იყო, როცა მიხაი ზიჩის 9-ში სახლი თავზე დამენგრა (დამინგრიეს, ეს კიდევ სხვა თემაა), ნანგრევებიდან გამომიყვანეს. შემეშინდა, ხეიბარი არ დავრჩენილიყავი და უწმინდესს მივმართე. კათოლიკოს-პატრიარქმა დეპრესიიდან გამოსვლის ასეთი მეთოდი მასწავლა: ბევრი უნდა იარო ფეხით, ყოველ ხესთან გაჩერდე, ჩაეხუტო და ილოცოო. ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მან მირჩია და გავთავისუფლდი ამ ავადმყოფობისგან.

— პრეზიდენტმა რომ დაგირეკოთ საქმიანი წინადადებით, მოუსმენთ?

— არა.

— იქნებ რას გთავაზობთ?

— ვერაფერს ვერ შემომთავაზებს, კარგად ვიცნობ მას.

— თუ თქვენი მეუღლე შინ გვიან ბრუნდება, სისტემატურად არ გირეკავთ და არ გეკითხებათ, სად ხართ, არ განებივრებთ საჩუქრებით, მიიჩნევთ, რომ აღარ უყვარხართ თუ ამას მის მოუცლელობას დააბრალებთ?

— არა, არა, მე და რეხვიაშვილს ასეთი მომენტი არასდროს გვქონია. ჩემი მეგობრები ყოველთვის იყვნენ მამაკაცები, ბავშვობიდან მათთან ვმეგობრობ, მათ უკეთესი მეგობრობა იციან, ვიდრე — ქალებმა. მე და ჩემს მეუღლეს საერთო სამეგობრო გვყავს, ერთად დავდივართ წვეულებებზე და როცა ჩემი მეგობარი მამაკაცების ცოლები აიკლებენ ხოლმე ქმრებს ტელეფონზე რეკვით, — სად ხარ და როდის მოხვალო? — ვღიზიანდები. ისინიც უხერხულ მდგომარეობაში ცვივდებიან. ერთხელ, ავდექი და გამოვაცხადე: — თქვენ ოდესმე გაგიგიათ ჩემგან, რომ რეხვიაშვილისთვის დამერეკოს, როცა ის თქვენთან არის და მეკითხოს, სად ხარ ან როდის მოხვალ-მეთქი?!

— მას თუ დაურეკავს თქვენთვის ამ მიზნით?

— მას იშვიათად დაურეკავს, მაგრამ ასეთი ინტენსივობით: სად ხარ, ვისთან ხარ, ვინ სუნთქავს შენთან ერთად და ვინ გიყურებს ახლა თვალებშიო, — არ შევუწუხებივარ. ასე რომ, დავუბრუნდები თქვენს კითხვას და ძალიან მარტივად გიპასუხებთ, მივიჩნევ, რომ უბრალოდ არ სცალია რეხვიაშვილს.

— რა ჰქვია რეხვიაშვილს?

— ზურა.

— რატომ იხსენიებთ ყოველთვის გვარით?

— (*იცინის*) ერთ კლასში ვსწავლობდით და მასწავლებლების გავლენით გამომიმუშავდა ალბათ ასეთი მიმართვა.

— რომ არა პოლიტიკოსი, ვინ იქნებოდა ნესტან კირთაძე?

— რა თქმა უნდა, მსახიობი.

— რატომ, რა თქმა უნდა?

— იმიტომ, რომ არტისტობა მინდოდა. თეატრალურ ინსტიტუტში ვაბარებდი კიდეც, კარგი პერსპექტივა მქონდა, მაგრამ მამაჩემმა კატეგორიული უარი გამომიცხადა ამ სპეციალობის არჩევაზე.

— რა მიზეზით?

— მაშინ ყველა ოქროსმედალოსანი და ყველა წარჩინებული მოსწავლე სამედიცინო ინსტიტუტში აბარებდა. მე არ მინდოდა სამედიცინო და პროტესტის ნიშნად ისტორიულზე ჩავაბარე.

— ერთ-ერთ წვეულებაზე მისულმა აღმოაჩინეთ, რომ მოწვეულ სტუმრებს შორის არის გიგა ბოკერია. დარჩებით იმ წვეულებაზე?

— რასაკვირველია, დავრჩები.

— მაგრამ ლეიბორისტებს ხომ გეკრძალებათ „ნაციონალებთან“ ერთად მოლხენა.

— არა, ეს...

— ხუმრობა იყო?

— არ ვიცი, რამდენად იყო ეს ხუმრობა, მაგრამ პარტიული გადაწყვეტილებებით მოსალხენ სუფრებს არ ვირჩევ. თან გიგა თავისთავად ძალზე ნიჭიერი ადამიანია, კარგად აზროვნებს და კარგი პიროვნული თვისებები აქვს. უბრალოდ, ბოროტების „გუბეში“ მოხვდა. ეს მისი პიროვნული არჩევანია და ისეთი უკულტურო არ ვარ, ამის გამო წვეულებაზე მის გვერდით დაჯდომა ვიუკადრისო. უცხოელებთან შეხვედრების დროს, ჩვენ მაინც გვიწევს „ნაციონალებთან“ ერთად „ფურშეტებზე“ ერთ მაგიდასთან დაჯდომა. მე ერთმანეთში არ ვურევ პიროვნულ ურთიერთობებსა და პოლიტიკას.

— შალვა ნათელაშვილმა მერის თანამდებობაზე თქვენი კანდიდატურა რომ წამოაყენოს, მიიღებთ მონაწილეობას არჩევნებში?

— ნორმალურ საარჩევნო გარემოში, სადაც ყველა ადამიანის ხმა დაცული იქნება, მივიღებ. დღევანდელ სიტუაციაში, სადაც ერთი რეჟიმი წყვეტს და განკარგავს ყველაფერს, რა აზრი აქვს არჩევნებში მონაწილეობას ან საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას?! ■

მილა იოვოვიჩი:

„სილამაზე – თვალებში გამჯრთალი ელვარებაა“

„იდეალური გაქცევა“ — ფილმი ახალგაზრდა წყვილის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც თაფლობის თვეში სამოგზაუროდ გაემგზავრა და მოულოდნელად სერიულ მკვლელებს ჩაუვარდა ხელში... აი, ასეთი „მხიარული“ სიუჟეტი აქვს ამ სურათს! ახალდაქორწინებულთ თაფლობის თვეში პრობლემები ხშირად შეჰქმნიათ, ჩვენს გმირებს კი განსაკუთრებით არ გაუმართლათ...

„ფილმში საკუთარი თავი განვასახიერე“...

— ამ ფილმში თამაშს იმიტომ დავთანხმდი, რომ როგორც იქნა, ჩვეულებრივი ახალგაზრდა გოგონას როლი შემომთავაზეს. იგი არც სუპერგმირია, არც — მუტანტი და არც — უცხოპლანეტელი. პრაქტიკულად, საკუთარი თავი განვასახიერე. გარდა ამისა, სპეციალურად ვვარჯიშობდი, საბრძოლო ხელოვნების ილეთებს ვსწავლობდი და კუნთებს ვიდიდებდი, რათა ჩვეულებრივ ადამიანს დავმსგავსებოდი. სპორტულ დარბაზში საათებს არ ვატარებდი, უბრალოდ იმდენს ვვარჯიშობდი, რომ ჩემი პარტნიორებისთვის — ტიმოტი ოლიფანტისა და სტივ ზანისთვის ჩემი დანახვა სასიამოვნო ყოფილიყო.

სასიამოვნო სასარგებლოს შეერწყა...

— ფილმში „იდეალური გაქცევა“ სუპერრთულ ტრიუკებს, ჩხუბებს, ნახტომებსა და მალაყებს არ ვასრულებ. გადაღებები ულამაზეს ადგილებში მიმდინარეობდა — იამაიკაზე, ჰავაის კუნძულებსა და პუერტო-რიკოში. ამინდიც შესანიშნავი იყო. ჩემი ქალიშვილი თან მახლდა და მასთან ერთად ყოფნა შემეძლო. ეს კი ყველაფერზე მნიშვნელოვანია!

„ყველა ტრიუკს თავად ვასრულებ“...

— ხშირად მეკითხებიან ფილმის — „ბოროტების სავანე“ შესახებ. ახლა სუფთა სინდისით შემიძლია განვაცხადო, რომ მეოთხე ნაწილი აუცილებლად იქნება! გადაღებები უკვე დავიწყეთ. ჯერ მეტს არაფერს ვიტყვი, მაგრამ მერწმუნეთ, რომ სცენარში მრავალი მოულოდნელობაა. ნებისმიერი, თუნდაც უკვე კარგად ნაცნობი როლი რთულია, გადაღებები ადვილი არასდროს არის. ფილმებში — „ბოროტების სავანე“ და „ულტრაიისფერი“ კარატესა და უამრავი ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ათვისება დამჭირდა. მე ყველა ტრიუკს თავად ვასრულებ. ვფიქრობ, ეს მაყურებლის მიმართ პატიოსანი საქციელია, რადგან მას სურს, ამ წარმოუდგენელი მალაყების შესრულების დროს სწორედ ჩემი სახე იხილოს. იქნებ მაყურებელს სწორედ ამიტომაც ვუყვარვარ?!

„უკვე დიდი და სერიოზული ადამიანი ვარ“...

— სამეცნიერო ფანტასტიკა ყოველთვის ძალიან მიყვარდა. პატარაობისას სიამოვნებით ვკითხულობდი ფრენკ ჰერბერტის — „დიუნებსა“ და „დრაკონის წყდიადის“ მსგავს კომიქსებს. იქნებ მსგავსი ფილმები ბავშვობის დროინდელი ფანტაზიებისა და ოცნებების რეალიზებაში მეხმარებიან?! იქნებ მსურს, რომ ყველას სუპერგმირად მივაჩნდე?! არ ვიცი... შესაძლოა, ეს უბრალოდ თამაშია — იმის დავიწყების შესაძლებლობაა, რომ უკვე დიდი და სერიოზული ადამიანი ვარ.

ჩაცმის სტილი

— ყოველდღიურ ცხოვრებაში უპირატესობას ჯინსსა და მაისურს ვანიჭებ. ეს უნივერსალური სამოსია. მაგალითად, ჯინსითა და მაისურით მაღაზიებში წასვლა შეიძლება, ხოლო თუ ამ სამოსს პერანგს ან Armani-ს პიჯაკს დაამატებ, შეგიძლია საქმიან შეხვედრაზე ან წვეულებაზე გამოცხადდე.

„ამჟამად ჩემთვის მნიშვნელოვანი ჩემი ოჯახია“

— მე და ჩემი მეგობარი კარმენ ჰოუკი დიდი ხნის განმავლობაში Jovowich-Hawk-ის მარკით ტანსაცმელს ვუშვებდით, მაგრამ ახლა შესვენება გადავწყვიტეთ და ჩვენი ლეიბლი დავხურეთ. ახლა ჩემს ცხოვრებაში კარიერისა და პირადი ცხოვრების გადახედვის ხანა დგას. თითქოს ერთი კარის დახურვის დრო დადგა, მერე კი გაიღო. ამჟამად ჩემთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი ჩემი ოჯახია, მოდა კი დროებით მეორე პლანზე გადადის.

„კოსმეტიკას საერთოდ არ ვხმარობ“...

— სტილისა და ლამაზი ტანსაცმლის სიყვარული დედამ მასწავლა. დედა კოსმეტიკის ხმარების ნებას არ მრთავდა და ეს ჭკვიანური საქციელი იყო. 11 წლის ასაკში ხელოვნური წამწამების მიკვრა, ხასხასა წითელი პომადის წასმა და სკოლაში ლურჯად შეღებილი თვალებით სიარული მსურდა. დედა ჩემს სურვილს კატაგორიულად წინ აღუდგა: „ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ. ეს ყველაფერი არ გჭირდება. უბრალოდ, სახე ანკარა წყლით დაიბანე, ესაა და ეს“. დედამ მასწავლა, რომ სახეზე ან თვალები უნდა გამოირჩეოდეს, ან ტუჩები და დღემდე ამ პრინციპით ვხელმძღვანელობ.

მაღაზიაში საყიდლებზე თავად დავდივარ და ხშირად საერთოდ არ ვიღებები. ევროპელი ქალები სწორედ იმიტომ მომწონს, რომ მათ ბუნებრივი სილამაზის შენარჩუნების ნიჭი აქვთ. ევროპაში კოსმეტიკის გადამეტებული ხმარება მიღებული არ არის და ეს ძალიან მომწონს. კოსმეტიკას პრაქტიკულად, არ ვხმარობ, ერთადერთი, რაც მჭირდება, დამატენიანებელი საცხია. საკუთარ გარეგნობასა და ჯანმრთელობაზე ვზრუნავ. რეგულარულად ვსვამ კალციუმით, კალიუმითა და მაგნიუმით მდიდარ ვიტამინებს. საუზმეზე იოგურტს მივირთმევ და დღეში რამდენჯერმე ორ ჩაის კოვზ ზეთისხილის

„იდეალური გაქცევა“

ექსტრაქტს ვსვამ, რადგან მიმაჩნია, რომ ეს პრეპარატი ყველა დაავადების უებარი წამალია. ყველაფერს გეახლებით იმდენს, რამდენიც მსურს — პურს, კარაქს, ხორცეულს! უბრალოდ, ძალზე ბევრს ვმოძრაობ, მაგრამ გადაღებების წინ არასდროს ვჭამ, რადგან მშიერი ადამიანი სხვაგვარად იქცევა. პლასტიკაც კი სხვაგვარი აქვს. როდესაც მშიერი ხარ, თვალები გიელავს და რაღაცის მოპოვებას ლამობ, მაძღარს კი აღარაფერი გსურს. გადაღებების დროს მუდამ ფორმაში ვარ.

„გადაღებაზე მუდამ ფორმაში ვარ“

— მე თავს მსოფლიო ქალად შევიგრძნობ, ამასთან ძალზე ბედნიერ ქალად... მეჩვენება, რომ მსოფლიოში მიმოფანტული ყველაფერი საუკეთესო ჩემში მოვაგროვე. საუკეთესო ევროპული განათლება მივიღე, მყავს დედა, რომელიც მუდამ ჩემს განვითარებაზე ზრუნავდა. ამერიკაში ჩემ წინაშე მრავალი გზა და შესაძლებლობა გადაიშალა. რამდენიმე ენა ვისწავლე, მაგრამ რუსული ლიტერატურის კითხვა და კულტურის შესწავლა არასდროს მიმიტოვებია. ეს ყველაფერი მთელი ცხოვრება ჩემთან დარჩება! საერთოდაც, ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ცხოვრებაში ამდენი საინტერესო რამ ხდება. ძალზე მსიამოვნებს იმის შეგრძნება, რომ ნახევრად რუსი ვარ. რუსი ქალები არა მხოლოდ ლამაზები, არამედ ძალზე განათლებულნი, ნატიფნი და ჭკვიანებიც არიან. მათში განსაკუთრებული სულიერი სილამაზეა! სილამაზე ხომ გარეგნობას დამატებული სულია, თვალებში გამკრთალი განსაკუთრებული ელვარებაა!

მინდა, რომ რუსულ კინოში ან სპექტაკლში რუს მსახიობებთან ერთად ვითამაშო. გემუდარებით, თუ რომელიმე რუსმა რეჟისორმა ჩემში თეატრალური მსახიობი დაინახეთ — ჩემს მენეჯერს დაუკავშირდით! (*იცინის*)

„რუსული კინო მომწონს“

— რუსული კინო მომწონს. რამდენიმე თანამედროვე რუსული ფილმი ვნახე და ძალიან მომეწონა, ისეთი სპეციფექტები იყო! რუსულ ეკრანზე დედაჩემი კვლავ გამოჩნდა, მიხარია და მეც მინდა!

მარადიული კითხვა...

ცხოვრების არსზე ფიქრი, კითხვა და რაღაცის შეთხზვა მუდამ მიტაცებდა. დედა ამბობს, რომ ეს თვისებები ბავშვობიდან მაქვს და სხვა ბავშვებისგან ამით გამოვირჩეოდი. მარადიული კითხვები მაწუხებდა — ვინ ვართ? აქ რატომ ვართ? სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალების კითხვა ახლაც მიყვარს. ბოლო ხანებში სულ უფრო ბევრს წერენ რწმენის შესახებ, ამ საკითხზე სხვადასხვა გამოცემაში უამრავი საინტერესო ახალი თეორია და სამეცნიერო სტატია იბეჭდება. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ სამყაროს ღვთიური წარმოშობის მეცნიერულად დამტკიცება შესაძლებელია. სამყაროს აღსასრულისა და კაცობრიობის არამიწიერი წარმოშობის შესახებ უამრავი თეორიაა. ეს საკითხები ძალიან მაღელვებს და მათზე პასუხებს დაუღალავად ვეძებ.

ოდესღაც დედაჩემმა მთელი ცხოვრება მე მომიძღვნა. მეც მსურს, ჩემს შვილს ყველაფერი მივცე, რაც შემიძლია. კარგ წიგნებს წავუკითხავ, რუს კლასიკოსთა შედევრებს ერთად განვიხილავთ, კინოში ერთად ვივლით და მთელ მსოფლიოში ვიმოგზაურებთ. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ჩემი ქალიშვილი სულიერებით აღსავსე, საინტერესო, გულღია და გულწრფელი ადამიანი გაიზარდოს. იმაზეც ვიზრუნებ, რომ საკუთარი ფესვები არ დაივიწყოს“...

პენელოპა კრუსი თხოვდება

მალე პენელოპა კრუსი გათხოვილი ქალი იქნება. ესპანელი მზეთუნახავის რჩეული 40 წლის მსახიობი ჰავიერ ბარდემია, რომელსაც პენელოპა ორი წელია ხვდება და საერთოდ, ისინი დიდი ხნის მეგობრები არიან. წყვილს დაქორწინება არ სურდა, მაგრამ კრუსის ღრმად მორწმუნე, ტრადიციების მიმდევარმა მშობლებმა ოფიციალური ჯვრისწერა კატეგორიულად მოითხოვეს. ქორწილი ზამთრისთვის არის დანიშნული.

შეყვარებულები ნიშნობის შესახებ ხმამაღლა მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც პენელოპა ფილმის „აშლილი ხელები“ პრემიერაზე დიდი ბრილიანტის ბეჭდით მივიდა. ბეჭედს უზარმაზარი საფირონის თვალი ამშვენებდა, მსახიობის სახეს კი — გაცისკროვნებული ღიმილი... როდესაც დევიდ ლეტერმანის ამერიკულ შოუზე მისულ პენელოპას წამყვანმა ნიშნობის შესახებ კითხვა დაუსვა, მან მხოლოდ იხუმრა და კონკრეტულ პასუხს თავი აარიდა. ახლა კი 35 წლის ვარსკვლავის ქორწილის შესახებ გავრცელებული ჭორები მართლაც დადასტურდა. სამოდელო სახლმა Balenciaga მსახიობისგან საპატარძლო კაბის შეკვეთა მიიღო. ესპანელი დიზაინერები პირობას დებენ, რომ მათი შექმნილი მდიდრული კაბა პენელოპას მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემახსოვრება! სხვათა შორის, პენელოპა კრუსის უახლოესი მეგობრის საქორწინო კაბაც სწორედ Balenciaga-ს მოდელიერთა ნახელავია. ■

ნიკიტა მიხალკოვი ანჯელინა ჯოლის კინოში იწვევს

რუსმა რეჟისორმა ნიკიტა მიხალკოვმა თავის ახალ ფილმში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარ ამბებს ასახავს, მთავარ როლზე ჰოლივუდის ვარსკვლავი ანჯელინა ჯოლი მიიწვია. სურათი ეკრანებზე 2011 წელს გამოვა. რეჟისორი ამჟამად მსახიობის ოფიციალური თანხმობის მოლოდინშია.

ფილმი, რომლის სამუშაო სახელწოდებაა „სიყვარული და ომი“, სამი მოლდაველი გოგონას ბედის შესახებ მოგვითხრობს, რომელმაც კაცობრიობის უდიდესი ტრაგედიის ქარცეცხლი განვლო. ანჯელინა ჯოლის გმირი — უბრალო მასწავლებელია, რომლის ოჯახი ფაშისტებმა მის თვალწინ ამოჟლიტეს, შეყვარებული კი ომის დაწყებისთანავე დაიღუპა. ენჯი ხელში სნაიპერის შაშხანას აიღებს და შურისძიებას იწყებს. მომავალი სურათი სამი ქვეყნის ერთობლივი იტერნაციონალური ძალისხმევით შეიქმნება. ნიკიტა მიხალკოვს თანარეჟოსორობას გაუწევენ იტალიელი ფრანჩესკო გალიარდი და მოლდაველი ვალერიუ ჟერეგა. ბლოკბასტერის ბიუჯეტი ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის, მაგრამ ვარაუდობენ, რომ სურათის გადასაღებად გამოყოფილი თანხა 30 მილიონ დოლარს გადააჭარბებს. ამჟამად რუსი რეჟისორი გრანდიოზული სამხედრო პროექტის „მზით დაქანცულნი-2“ დასრულებაზე მუშაობს, რომელიც ეკრანებზე 2010 წლის 9 მაისს გამოვა. ■

რუბრიკა მოამზადა
ნატო მანჯავიძემ

ცხოვრება

ყოველთვის — მეორე

ანუ სიყვარულს შეწირული ცხოვრების სამი ამბავი

სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად, 30-40 წლის ქალების უმეტესობა უფრო იოლად გახდება ტერორისტის მსხვერპლი, ვიდრე სიმპათიური, ინტელიგენტური მამაკაცის ცოლი: ძნელია, ამ ასაკში თავისუფალი მამაკაცი იპოვო. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რომ ისინი მარტოობას ირჩევენ, მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ და ეს დამოუკიდებელი, ემანსიპირებული ქალბატონები, მეგობრად ცოლიან მამაკაცებს ირჩევენ და სულაც არ იმედოვნებენ, რომ ოდესმე განქორწინდებიან და მათთან ოჯახს შექმნიან...

მარი ჯაფარიძე

ბევრი ქალი საკუთარ თავს მთლიანად საყვარელ მამაკაცს უძღვნის და ქორწინებაზე, ოჯახსა და შვილებზე აღარც ფიქრობს. ცოლიანი მამაკაცი კი შეყვარებული საქმროს როლს ირგებს, რომელზეც ეს ქალი ვერასოდეს გათხოვდება. ასეთ სიტუაციაში თითქოს ყველა კმაყოფილი უნდა იყოს: ქალი თავს კარგად გრძნობს, რადგან ხელსაყრელ მომენტში მის გვერდით მოსიყვარულე, ალერსიანი და ყურადღებიანი მამაკაცია, რომელსაც არ ეშინია, რომ საყვარელი მისი ოჯახური სიტუაციის შეცვლას მოინდომებს; ცოლიც — რადგან საყვარელს მისი ქმრის მითვისება მიზნად არ აქვს დასახული... განსაკუთრებული კომფორტი აქვს მამაკაცს, ვინაიდან ის თავს ოჯახშიც კარგად გრძნობს და სასიყვარულო ბუდეშიც. მაგრამ ასე მხოლოდ თეორიულადაა. სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარადაა.

ბევრ ქალს გამოცდილი აქვს, რას ნიშნავს, იყოს „მეორე". ცოლიან მამაკაცთან ურთიერთობის დაწყებისას ის კმაყოფილია და ჰგონია, რომ სწორედ ეს სჭირდებოდა, მაგრამ თუ ქალს მართლა შეუყვარდება, მაშინ სიტუაცია აუტანელი ხდება თუნდაც იმიტომ, რომ მან საყვარელი მამაკაცი სხვას უნდა გაუნაწილოს. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა ქალმა იცის, როგორია მარტოობა ახალი წლის ღამეს, შვებულების დროს, რას ნიშნავს, როდესაც საყვარელ მამაკაცთან ერთად საზოგადოებაში თამამად გამოჩენა არ შეუძლია. ასეთი ქალი ყოველთვის ჩრდილში რჩება და არ აქვს უფლებები იმ ადამიანზე, რომელიც უყვარს. დამალულად ცხოვრობს და ხშირად ტირის. თუმცა, ფსიქოლოგები იმასაც ამტკიცებენ, რომ ასეთი ქალი სინდისის ქენჯნას არ განიცდის და საყვარელ მამაკაცს განქორწინებისკენ იშვიათად მოუწოდებს, რათა მასთან ოჯახი შექმნას.

სამივე რესპონდენტი, ვისზეც ამ წერილში მოგითხრობთ, ჩემი ახლობელია. ისინი სხვადასხვა ასაკის ქალბატონები არიან და მათი ამბები რაღაცით ერთმანეთს ჰგავს კიდეც. თუმცა ეს, მხოლოდ ერთი შეხედვით. ბუნებრივია, ამ ამბების გამოქვეყნების ნებართვა ვითხოვე და რაღაცების დასაზუსტებლად კითხვებიც დავუსვი. ვერც ერთმა რესპონდენტმა საუბრის დროს ცრემლი ვერ შეიკავა და ეს ემოციაც ერთი და იმავე, ყველა ქალისთვის მნიშვნელოვანმა თემამ გამოიწვია.

სიყვარულის საზღაური

სოფო კარგი გარეგნობის, ნიჭიერი გოგონა იყო და ყველა დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. „გეპეის" დამთავრების შემდეგ ერთ-ერთ ორგანიზაციაში, კადრების განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. გოგონა მკაცრ ოჯახში იყო აღზრდილი და მშობლები მუდამ აკონტროლებდნენ. საკმარისი იყო, მის გვერდით მამაკაცი გამოჩენილიყო, რომ ძმა და მამა მაშინვე იმაზე ზრუნვას იწყებდნენ, როგორ ჩამოეცილებინათ გზიდან პოტენციური სასიძო.

— 21 წლის ისე გავხდი, შეყვარებული არ მყოლია. სტუდენტობის დროს ლექციებზე ხან მამა დამყვებოდა, ხან — ძმა. ის ჩემზე 8 წლით უფროსი იყო და მუდამ იმის შიში ჰქონდა, რაიმე შეცდომა არ დამეშვა. მუშაობა ჩვენმა ნათესავმა ქალმა დამაწყებინა, რომელსაც მამაჩემისა და ჩემი ძმის თვალში ძალზე კარგი რეპუტაცია ჰქონდა. ამიტომ, ვინაიდან დღის განმავლობაში სულ ნანას გვერდით მიწევდა ყოფნა, თან აღარ დამყვებოდნენ. ჩვენს ორგანიზაციაში ერთ-ერთი განყოფილების უფროსად ძალზე სიმპათიური მამაკაცი მუშაობდა. მისი კაბინეტი ჩვენი განყოფილების გვერდით იყო და შესაბამისად, ხშირად შემოდიოდა ჩვენთან, ხან სალაპარაკოდ, ხან ყავის დასალევად. გარეგნულად თავიდანვე მომეწონა. ძალიან თბილი ადამიანი იყო და ყველას მიმართ ძალზე ყურადღებიანი, მაგრამ მე მეჩვენებოდა, რომ მხოლოდ ჩემ მიმართ იყო ასეთი და ამან უფრო მეტად მიმიზიდა. მეგონა, მოვწონდი, მაგრამ იმის გამო, რომ ცოლიანი იყო, მე კი გასათხოვარი, ვერაფერს მეუბნებოდა. დროთა განმავლობაში ისე შემიყვარდა, თავს ვეღარ ვერეოდი. ვგრძნობდი, რომ ხვდებოდა,

რა ხდებოდა ჩემს გულში, მაგრამ არაფერს იმჩნევდა. მერე ხან ახალი წლის ზეიმზე მოვხვდით ერთად, ხან — თანამშრომლის დაბადების დღეზე და ერთმანეთს უფრო დავუახლოვდით. ვიცოდი, რომ მასთან ურთიერთობა კარგს არაფერს მომიტანდა, მაგრამ ისე მიყვარდა, მზად ვიყავი, მის გამო მსხვერპლი გამეღო. ერთ დღეს, როცა პაემანი დამინიშნა, გახარებული დავთანხმდი.

დათოს მოსწონდა სოფო. თუმცა, იცოდა, რომ გამოუცდელი, მიამიტი გოგონა იყო და ცდილობდა, მისი სიყვარულით არ ესარგებლა. პირველი შეხვედრის დროს დათომ გადაწყვიტა, გოგონასთვის თვალნათლივ დაენახვებინა მათი მომავლის უპერსპექტივობა.

— ცოლი მყავს, შვილები, ჩემი სიყვარული კარგს არაფერს მოგიტანს, იცოდე, ოჯახს არ დავანგრევ, თუმცა, შენც მიყვარხარ და თუ თანახმა ხარ, ჩემთან ერთად, საყვარლის სტატუსით განაგრძო ცხოვრება, მზად ვარ, მთელი ცხოვრების მანძილზე შენზე ვიზრუნო და შენ გვერდით ვიყო.

სოფოს მაშინვე უნდოდა პასუხის გაცემა, მზად იყო, ეყვირა, რომ ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ მის გვერდით ყოფილიყო, მაგრამ მამაკაცმა ამის საშუალება არ მისცა, — კარგად დაფიქრდი, აწონ-დაწონე, რასაც გეუბნები და პასუხი მერე გამეცი.

— ამ დღის შემდეგ 24 წელი გავიდა. მაშინ დათოს 10 და 12 წლის შვილები ჰყავდა, ახლა უკვე შვილიშვილებიც ჰყავს. ისევ ერთად ვართ, ისევ ისე მიყვარს, ჩვენი ურთიერთობის შესახებ ყველამ იცის, მისმა ცოლმაც, შვილებმაც, მაგრამ არავის არაფერი აქვს საწინააღმდეგო.

— კი, მაგრამ ეგ როგორ? ცოლს რეაქცია არ ჰქონია იმის გამო, რომ მის ქმარს ამდენი წელია, საყვარელი ჰყავს?

— ცოლმა ჩვენი ურთიერთობის შესახებ მესამე წელს გაიგო. მაშინ დიდი სკანდალი ატყდა. დათო არწმუნებდა, ჭორია, ნუ დაიჯერებო, მაგრამ მერე რამდენჯერმე ერთად გვნახა. ბოლოს, რომ ვერაფერი გააწყო და დათომ არ მიმატოვა, შეურიგდა ამ ამბავს. როგორც ჩანს, იმან დაამშვიდა, რომ მისთვის ქმრის წართმევას არ ვაპირებდი, პირველობას არ ვიჩემებდი და „მეორეობას“ ვჯერდებოდი.

— შენმა მშობლებმა და მკაცრმა ძმამ ვერ გაიგეს?

— კი, მათ მაშინ გაიგეს, როცა დათომ ბინა მიყიდა და ოჯახიდან წამოსვლა გადავწყვიტე. ეს 10 წლის წინ მოხდა. მიზეზად ის ვთქვი, რომ ჩემს ძმას ცოლი და დიდი შვილები ჰყავდა და ჯობდა, ცალკე გადავსულიყავი, მაგრამ არ დამიჯერეს, თანაც, ისიც იკითხეს, ბინის საყიდელი ფული საიდან მოვიტანე. კამათის დროს ძალიან გავბრაზდი და ყველაფერი პირში მივახალე ოჯახს. ხომ ვერ მომკლავდნენ?

— შვილის გაჩენაზე არ გიფიქრია?

— ჩემი და დათოს ურთიერთობის ყველაზე ცუდი მხარე სწორედ ეს გახლავთ. თავიდან არ მიფიქრია, რომ შვილი გამეჩინა. დათო მეუბნებოდა ხოლმე, თუ კარგი მთხოვნელი გამოგიჩნდება, გათხოვდი, ჩემ გამო უარს ნუ ეტყვი, უფლება არ მაქვს, შენი ცხოვრება დავანგრიო და მე შემეწიროო, მაგრამ არავის სახელის გაგონება არ მინდოდა. მე დათო მიყვარდა და სხვის გვერდით ვერ ვიცხოვრებდი. მერე, როცა 35 წელს მივაღწიე, მართლა შეშფოთდა დათო. სულ იმის გამო ნერვიულობდა, რომ უშვილოდ და ოჯახის გარეშე დავრჩი. თუმცა, მაინც არ შემოუთავაზებია, შვილი მისგან გამეჩინა. ამ საკითხზე მეც არ ვძრავდი კრინტს, რადგან მეშინოდა, არ დამეფრთხო და არ მივეტოვებინე. ახლა უკვე თვითონ მეხვეწება, რომ მისგან ბავშვი გავაჩინო, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ ვფეხმძიმდები. ექიმებთან ბევრი ვიარე, მაგრამ ვერაფერი გაიგეს. გადავწყვიტეთ, რომ ახალი წლის შემდეგ ხელოვნურ განაყოფიერებას ჩავიტარებ და დიდი იმედი მაქვს, რომ 45 წლის ასაკში შვილის გაჩენას შევძლებ (ატირდა).

— ნანობ, შენს წარსულს?

— არა, თავიდან რომ დავიწყო ცხოვრება, ისევ ისე მოვიქცეოდი, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ შვილს გავაჩენდი და მერე თუნდაც მივეტოვებინე, ალბათ აღარ ვიდარდებდი. დიდი შეცდომა დავუშვი ამ საკითხში და სამწუხაროდ, ჯერ არ ვიცი, შევძლებ თუ არა რამის შეცვლას.

სიბრალულით დაწყებული სიყვარული

ნატო 36 წლისაა. 16 წლის ასაკში საკუთარმა თანაკლასელმა მოიტაცა. გოგონას სხვა უყვარდა, მაგრამ 3 დღის განმავლობაში ბიჭმა ისე გადამალა, ვერც მშობლებმა მიაგნეს და ვერც შეყვარებულმა. ამის მერე დაიწყო უსიყვარულოდ, ნაძალადევად შექმნილ ოჯახში ცხოვრება. მართალია, დედამთილი ძალიან კარგად ექცეოდა და ცდილობდა, გოგონას ახალ ოჯახში თავი კარგად ეგრძნო, მაგრამ ბიჭი ისეთი უხეში და უხასიათო აღმოჩნდა, რომ შეყვარების ნაცვლად უფრო და უფრო იძულებდა. ნატო ხშირად დადიოდა მშობლებთან და ხანდახან რამდენიმე დღეც კი რჩებოდა იქ. სურდა ქმარს გასცილებოდა, მაგრამ მშობლები უარზე იყვნენ, ფეხმძიმედ ხარ, ბარემ ბავშვი გაჩნდეს და თუ მაინცდამაინც, მერე გასცილდიო, ეუბნებოდნენ. ერთ დღეს, ქმართან ერთად, მანქანით რაიონში მიდიოდა, ავარია მოუხდათ. თავად გადარჩა, მაგრამ ქმარი გარდაიცვალა. ნატომ ბავშვი დაკარგა, თვითონ კი მთელი 7 თვე საავადმყოფოში გაატარა და იქიდან გამოსული, კიდევ 2 წელი იყო მიჯაჭვული საწოლს, ვიდრე ფეხზე გაივლიდა.

— რადგან კარგა ხანს ვერ ვდგებოდი (ექიმები იმასაც ეჭვქვეშ აყენებდნენ, საერთოდ შევძლებდი თუ არა სიარულს), დედაჩემმა საწოლი მისაღებ ოთახში დამიდგა, რომ საძინებელში მარტო არ ვყოფილიყავი და სტუმრებთან ურთიერთობისა და ტელევიზორის ყურების საშუალება მქონოდა. ერთ დღეს კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. 35 წლის, უცხო მამაკაცი იყო. თურმე ახლობელს ეძებდა და მისამართი შეეშალა. როდესაც გაიგო, რომ შეცდომით დააკაკუნა, შეწუხდა და ბოდიში მოიხადა. დედაჩემი არ მოეშვა, მისი დახმარება უნდოდა და შესთავაზა, თუ იმ ახლობლის ტელეფონის ნომერი იცით, დაურეკეთ და იქნებ მიაგნოთო (მაშინ მობილური ტელეფონები არ არსებობდა). ვასიკო მორიდებით შემოვიდა და დარეკა. აღმოჩნდა, რომ ვისაც ეძებდა, გვერდით სადარბაზოში ცხოვრობდა. საწოლში რომ დამინახა, გამომელაპარაკა. მოვუყევი ჩემი ამბავი. მითანაგრძნო და ძალიან შევეცოდე. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ მოვიდა და საჩუქარი მომიტანა. საწოლთან ჩამომიჯდა და ცოტა ხანს მელაპარაკა. იმის შემდეგ ვასიკო ხშირად მოდიოდა ჩვენთან. ჩემზე 17 წლით იყო უფროსი და არც უფიქრია, რომ ოდესმე ჩვენ შორის რაიმე ახლო ურთიერთობა ჩამოყალიბდებოდა. ასე გაგრძელდა 2 წელი. ყოველი დღის გათენებას მოუთმენლად ველოდი და ერთი სული მქონდა, როდის მოვიდოდა. ვგრძნობდი, რომ ძალიან მივეჩვიე და მის გარეშე გაძლება მიჭირდა. საწოლიდან პირველად მან წამომაყენა და პირველი ნაბიჯებიც მის მკლავზე დაყრდნობილმა გადავდგი. მაშინ ვასიკო უკვე მიყვარდა, ის კი ბავშვად აღმიქვამდა და მისი საქციელი ადამიანური თანაგრძნობის გამოხატვა იყო მხოლოდ. ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა და სიყვარულში გადაიზარდა. დღემდე ერთად ვართ.

— მას ცოლ-შვილი ჰყავდა?

— დიახ, მაშინ 2 შვილი ჰყავდა, ახლა 3 ჰყავს. ჩვენი ურთიერთობა ჩემი ოჯახისთვის თავიდანვე ცნობილი იყო. მართალია, მშობლები მეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ გადატანილი სტრესების შემდეგ ცდილობდნენ, ჩემთვის ტკივილი არ მოეყენებინათ და თვალებს ხუჭავდნენ. ჩემს მშობლებს ცალკე ბინა ჰქონდათ და საცხოვრებლად იქ გადავედი. ვასიკო მუდმივად ჩემ გვერდით იყო და ლამის ცოლ-ქმარივით ვცხოვრობდით. რა თქმა უნდა, ოჯახში პრობლემები შეექმნა, მაგრამ თვითონვე ისე მოაგვარა, რომ მე არ მინერვიულია ამის გამო. ცოლმა მესამე შვილიც გაუჩინა, რათა ქმარი შეენარჩუნებინა.

— შენ რატომ არ გააჩინე ბავშვი?

— საქმე ისაა, რომ ავარიის შემდეგ ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები მქონდა. მკურნალობა მჭირდებოდა, რათა დავფეხმძიმებულიყავი. ვასიკო ამის წინააღმდეგი არ იყო. თუმცა, იმასაც მეუბნებოდა, რომ თუ ნორმალური საქმრო გამომიჩნდებოდა, უარი არ მეთქვა. მე შენი ცხოვრების დანგრევის უფლება არ მაქვს და ჩემ გამო ოჯახის გარეშე ნუ დარჩებიო, მეუბნებოდა. ყველაფერი ისე სულაც არაა ჩვენს ცხოვრებაში, როგორც ფილმებში ან წიგნებშია. ამ წლების განმავლობაში რამდენჯერმე დავცილდით

კიდეც ერთმანეთს და ყოველი ასეთი შემთხვევის შემდეგ ვფიქრობდი, რომ არავითარ შემთხვევაში აღარ შევურიგდებოდი და საკუთარ ცხოვრებას მივხედავდი, მაგრამ გადიოდა დრო და ჩვენ ისევ ვრიგდებოდით. კარგა ხნის განმავლობაში მის წინადადებაზე (გათხოვების თაობაზე) არ მიფიქრია. ამ 3 წლის წინ კი გამოჩნდა მამაკაცი, რომელმაც ხელი მთხოვა. ის დედაჩემის მეგობარმა გამირიგა. ერთმანეთი საერთო ახლობლის ოჯახში გავიცანით. მამაკაცი ახალი დაბრუნებული იყო ამერიკიდან და ცოლის მოყვანა სურდა. მივხვდი, რომ მოვეწონე. გარეგნულად მეც მომეწონა. გადავწყვიტე, რომ ტყუილზე აგებული ოჯახი არ ივარგებდა და როდესაც პირველ პაემანზე წავედი, ყველაფერი გულახდილად მოვუყევი. მხოლოდ ის ვუთხარი, ვასიკოს რამდენიმე თვეა, რაც დავცილდი-მეთქი. არაფერი უთქვამს, ჩემთვის ეს ყველაფერი გასაგებია და თუ ქორწინების შემდეგ მას აღარ შეხვდები და ჩემი ერთგული იქნები, თანახმა ვარ, დავქორწინდეთო. არ გეგონოთ, ვასიკო მოვატყუე. ის მაშინაც საქმის კურსში იყო, როცა ზალიკოს გასაცნობად მივდიოდი და მაშინაც, როცა მასთან პირველ პაემანზე წავედი, ის შორიახლოს იდგა და თვალყურს მადევნებდა. ამის გამო არავითარი დისკომფორტი არ მიგრძნია. ვასიკო მთელი ცხოვრება მამასავით ზრუნავდა ჩემზე და რჩევებსაც მაძლევდა. ფაქტობრივად, მის ხელში გავიზარდე და დავქალდი. ამჯერადაც მითხრა, კარგად დაფიქრდი, ვიდრე თანხმობას ეტყვი, მაგრამ ისიც იცოდე, რომ თუ გათხოვდები და მიხვდები, რომ ის არ არის ის, ვინც შენ გინდა, მე მზად ვარ, ისევ შენ გვერდით ვიყოო. რაც ზალიკო გავიცანი, მას შემდეგ ვასიკოსთან ფიზიკური სიახლოვე აღარ მქონია. დამიჯერე, ნამდვილად ასე იყო. ის ხვდებოდა, რომ ვნერვიულობდი და მამხნევებდა. ზალიკოსთვის თანხმობა უკვე ნათქვამი მქონდა. მისმა ნათესავებმაც გამიცნეს, როგორც მომავალი რძალი. მასთან ერთად სტუმრად დავდიოდი, მილოცვებს ვიღებდი... ოცნება ავისრულე და მამაკაცის ცხოვრებაში, როგორც იქნა, პირველი ადგილი მოვიპოვე. ახლა ზალიკოსთან ერთად ყველგან შემეძლო წასვლა და თამამად გამოჩენა. აღარ იყო საჭირო ნაცნობის დანახვისას დამალვა და როდესაც ჩემს დაბადების დღეზე ზალიკო თამამად მოვიდა სტუმრად და სტუმრების წინაშე წარდგა, ძალიან ამაყი ვიყავი... მანამდე ყველა დაბადების დღეს ორჯერ ვიხდიდი: ერთხელ მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად, მეორედ — ვასიკოსთან. მოკლედ, ახალ ცხოვრებას ვიწყებდი. ერთ დღეს კი მივხვდი, რომ ამას ვასიკოს ჯიბრზე ვაკეთებდი, მინდოდა დამენახვებინა, რომ მეც შემიძლია პირველობა, მეც შემიძლია, მამაკაცის გვერდით თამამად გავლა და ცოლის სტატუსის მორგება. თუმცა, როცა ამას მივხვდი, ისიც გავაცნობიერე, რომ საკუთარ უბედურებას ვაშენებდი. ვასიკოს გარეშე ვერ გავძლებდი. ყველაფერი დავთმე, ზალიკოს უამრავი ბოდიში მოვუხადე და დავშორდი. იმ საღამოს ვასიკოს დავურეკე და ვუთხარი, ზალიკოს დავშორდი-მეთქი. 10 წუთში ჩემთან გაჩნდა. მიხუტებდა, მეფერებოდა და ცრემლით ტიროდა, — არ მემეტებოდი, უშენოდ ვკვდებოდი, როცა მის გვერდით გხედავდი, ჩუმი ცეცხლით ვიწვოდი, მაგრამ ხელს არ გიშლიდი, ამის უფლება არ მქონდაო...

— **ახლა ალბათ შვილსაც გააჩენ.**

— სამწუხაროდ, ვერ გავაჩენ, რადგან მას შემდეგ, რაც ზალიკოს დავშორდი, ექიმს მივმართე და საბოლოოდ გადამიწურეს იმედი, რომ შვილი ოდესმე მეყოლება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ბავშვი ავიყვანო. არც ვასიკოა ამის წინააღმდეგი.

არჩევანი

მარიკა ჩემი ყოფილი რეპეტიტორია. მასთან უცხო ენაში ვემზადებოდი და უკვე წლებია, არ მინახავს. როდესაც ამ თემაზე ვმუშაობდი, მასთან სტუმრად მისვლა გადავწყვიტე, ვინაიდან მახსოვდა, რომ მსგავსი ამბავი მასაც გადახდა თავს. მარიკამ მაშინვე მიცნო და სიხარულით მიმიღო, მაგრამ როდესაც ჩემი მისვლის მიზეზი ვუთხარი, ცოტა მოიღუშა. უკვე 65 წლის ქალი ვარ, რაღა დროს მაგის გახსენებაა? — მითხრა, მაგრამ შემდეგ მაინც ალაპარაკდა:

— მე და ავთო ჯგუფელები ვიყავით. პირველი კურსიდან გვიყვარდა ერთმანეთი და მესამე კურსზე ვსწავლობდით, როცა სიყვარულში გამომიტყდა. თბილისში ორივე, რაიონიდან ვიყავით ჩამოსული და ქირით ვცხოვრობდით. ამის გამო დაქორწინებას არ ვჩქარობდით. ჩემი წინაპრებისგან გამიგონია, როგორც ცეცხლისა და თივის ერთად გაჩერება არ შეიძლება, ისე — ახალგაზრდა გოგოსა და ბიჭის. ჰოდა, მართალია, რასაც წინაპრები ამბობდნენ. ერთმანეთთან ხშირად დავდიოდით და ერთ მშვენიერ დღესაც, საწოლში აღმოვჩნდით. უნივერსიტეტი დავამთავრეთ, ორივემ მუშაობა დავიწყეთ, ავთოს მამამისმა ბინაც უყიდა, მაგრამ დაქორწინებაზე ხმასაც არ იღებდა. მეც არაფერს ვეუბნებოდი. მხოლოდ ველოდი, რას გადაწყვეტდა, რადგან ვიცოდი, რომ მამაკაცებს არ უყვართ, როცა ქალი პირველი იწყებს ოჯახის შექმნაზე ლაპარაკს. წლები გადიოდა, ჩვენ ერთად ვიყავით, ეს უკვე ყველა ჩვენმა მეგობარმა იცოდა, უკვირდათ კიდეც, რატომ არ ვქორწინდებოდით. ავთოს კი ერთი პასუხი ჰქონდა — ჯერ კარიერა უნდა ავაწყოო. მართლაც ააწყო და 28 წლის ასაკში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა. ვიფიქრე, ახლა მაინც დაგვადგება საშველი-მეთქი, მაგრამ ისევ დუმდა. შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად მშვიდი ხმით მითხრა, რომ ცოლს ირთავდა. ყურებს არ ვუჯერებდი. ისტერიკა დამემართა, მაგრამ მას რეაქცია არ ჰქონია. — იმ ქალს, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში ჩემი საყვარელი იყო და ამის შესახებ ყველამ იცის, ცოლად ვერ მოვიყვანო, თქვა და დამტოვა. წარმოგიდგენიათ? იმის საშუალებაც არ მომცა, რომ რაიმე მეკითხა ან გამელანძღა მაინც. საშინელ დღეში აღმოვჩნდი. ლოგინად ჩავვარდი. ყველაზე მეტად ის მაცოფებდა, ქორწილში დაპატიჟება როგორ გამიბედა-მეთქი?! ვერავინ დამარწმუნა, რომ წვეულებაზე წავსულიყავი. მისი ჯვრისწერის დღეს ხმამაღლა ვბღაოდი და წარა-მარა გული მიმდიოდა. ქორწილი შაბათს ჰქონდა, კვირას დილით, 9 საათზე კი ავთო ჩემთან მოვიდა. მისმა დანახვამ მთლად გადამრია. პატიება მთხოვა და დამაიმედა, რომ ჩემს მიტოვებას არ აპირებდა და ურთიერთობას ჩვეულებრივად გააგრძელებდა,

„შენც აქანე იქნები და მეც!“

მარი ჯაფარიძე

ჩემმა გურულმა მეგობარმა (რომლის შესახებაც უკვე ბევრი „სიტუაცია“ მაქვს დაწერილი) მანქანის ყიდვა გადაწყვიტა და მე, როგორც ამ საქმის „პროფესორს“ და „ავტობიზნესის მამას“, ბაზრობაზე გაყოლა მთხოვა. ჰოდა, გასულ შაბათს მე, ნინო და დედამისი ცნობილ ავტობაზრობას ვეწვიეთ. მაგრამ მანამდე იმას მოგიყვებით, რაც ამ ამბავს წინ უძღოდა.

ნინო 4 წლის წინ გათხოვდა და ვინაიდან და რადგანაც დედამთილმა, როგორც იტყვიან ხოლმე, „სავსე“ ოჯახი დაახვედრა, მისთვის განკუთვნილი სამზითვო „სპალნა“ გურიაში, მშობლების სახლში დარჩა „შეფუთულ-შეწყობილი“. იმის შემდეგ თინიკო დეიდა სულ იმის ფიქრში იყო, როგორ მოეხადა თავისი „მშობლიური“ ვალი შვილისა და სიძის წინაშე (დასაყვედრებელი რომ არაფერი ჰქონოდა მის შვილს) და რა ეჩუქებინა მზითვად. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა, შვილისთვის მანქანის საყიდელი ფული მიეცა. ცოტა მოგროვილი ჰქონდა, იქ — ნაკვეთი გაყიდა (მაინც უსარგებლოდ ჰქონდა), 5 ათასი დოლარი მოაგროვა, ეს ფული თავსაფარში გამოკრა, მერე წელზე დაიმაგრა (გზაში რომ არ დაჰკარგვოდა ან არ მოეპარათ) და შვილთან ჩამოიტანა. სიძის შინ მოსვლამდე არც ნინოსთვის უთქვამს რამე (ეფექტის მოხდენა სურდა). როგორც იქნა, დათოც მოვიდა. მან, რა თქმა უნდა, წინასწარ იცოდა, სიდედრი რომ ჰყავდა სტუმრად და კონიაკი და „ნუგბარ-ნუგბარი“ საჭმელები გამოაყოლა ხელს. ვახშმის დროს, როცა თინიკოს 2 ჭიქა კონიაკი უკვე გადაკრული ჰქონდა, საძინებელში გავიდა და უკან დაბრუნებულმა ფულის დასტა მაგიდაზე დადო.

— ვა, ივანოვნა?! ეს ფული საიდან? — თვალები გაუნათდა დათოს.

— აგი ჩემი შვილის „მზითებია“, — გაიბღინძა თინიკო.

— აუჰ, როგორ მჭირდებოდა ახლა ფული! — გახარებულმა დათომ ფულისკენ ხელი წაიღო.

— აპა, სულ შენზა არ მინდოდა?! — ფულის აღება დაასწრო თინიკომ და პატარა ბავშვივით ზურგს უკან დამალა.

— აპა, რეიზა გინდოდა? — გამოაჯავრა დათომ.

— რეიზა და ჩემს შვილს „მაშინა“ უნდა ვუყიდო!

— საკერავი „მაშინა“?

— საკერავი რად უნდა? ნამდვილ „მაშინას“ იყიდის, შენ რომ გაქვს, ისეთს.

— არა-ა, არ გამოვა ეგ ამბავი, ნინოს მანქანა არ სჭირდება, — შორს დაიჭირა სიძემ.

— აპა, თუ არ გამოვა, შენც აქანე იქნები და მეც! — გაგულისდა თინიკო.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ვინაიდან „მაშინის“ ყიდვა დათოს სურვილის საწინააღმდეგოდ ხდებოდა, ბაზრობაზე გაყოლაზეც უარი თქვა და ნინოს და დედამისს მარტო უწევდათ ამ საქმის მოგვარება. სწორედ იმიტომ დასჭირდათ ჩემი დახმარება.

მივადექით დიღმის ბაზრობის „მისადგომებს“, ჩემი მანქანა 2-ლარიან სადგომზე გავაჩერეთ და ძლივს მოვიშორე თავიდან აბეზარი კლიენტები — მანქანას ხომ არ ყიდიო? — 7-8 კაცი შემომეხვია გარს (თითქოს მანქანების დეფიციტი იყოს)... შემდეგ გავუყევით გასაყიდი მანქანების რიგს.

ნინოს უნდოდა, შედარებით იაფფასიანი, მცირელიტრაჟიანი მანქანა ეყიდა, რომ ქმარი არ გაეწაწყენებინა და ფულის ნაწილი მისთვის მიეცა. მივადექით ერთ წითელ „ოპელს“.

— რა ღირს? — ვიკითხე ფასი.

— 2.500, — კუშტი სახით მიპასუხა გამყიდველმა, რადგან მარტო ქალები რომ დაგვინახა, იფიქრა, სასეირნოდ ვიყავით მისული.

— რომელწლიანია? ძრავა რამდენიანი აქვს? გარბენი? ახადე კაპოტი, — დავაყარე კითხვები.

კაცმა ირიბად გამომხედა, კითხვებზე პასუხი გამცა და კაპოტიც ახადა.

— დაქოქე, — შემდეგი დავალება მივეცი.

დაქოქა.

— ახლა „გაახალასტოვე“, — მიიღო შემდეგი ბრძანება.

შეასრულა.

ძრავას ხუფი ავხადე და ხმას მოვუსმინე. გამყიდველი თავზე დამადგა და გაკვირვებული მიყურებდა.

— თქვენ მანქანებში ერკვევით, ქალბატონო? — გამოცოცხლდა უცებ და როგორც კი ვუთხარი, საბარგული ახადე-მეთქი, მაშინვე სირბილით წავიდა დავალების შესასრულებლად. იქაც შევამოწმე, ნაავარიევი და შემდეგ შეკეთებული ხომ არ იყო მანქანა.

— ახალი ჩამოყვანილი მყავს, იქ მასწავლებელი ქალისგან ვიყიდე: სკოლა-სახლი, სკოლა-სახლი, მხოლოდ

რადგან ქვეყნად ყველაზე მეტად თურმე მე ვუყვარდი. მაშინ შინიდან გავაგდე. გავიდა დრო და მეც დავწყნარდი. ვაპატიე და ისევ მივიღე. მას 3 შვილი ჰყავს. ყოველთვის მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა და ფულიც ჰქონდა. მეც საუკეთესო პირობებში მაცხოვრებდა. მისმა ცოლმა კი თურმე ქორწინებამდე იცოდა ჩემი არსებობის შესახებ და ავთოს ისიც უთქვამს, რომ ჩემს მიტოვებას არ აპირებდა. რატომ დათანხმდა ის ქალი ქორწინებაზე, დღემდე არ ვიცი. ვიდრე ავთოს შვილები პატარები იყვნენ, ხშირად ვიტოვებდი და გულით შევიყვარე; როცა წამოიზარდნენ და ცხოვრების არსში გაერკვნენ, ამბობდნენ, ჩვენი მეორე დედა ხარო.

— საკუთარი შვილი არ გააჩინეთ?

— არა, ავთო ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო. მეუბნებოდა, აირჩიე, ან მე, ან შვილიო. მე ის ვარჩიე ყველაფერს, ახლა კი ვნანობ, შვილი რომ არ გავაჩინე (*ტირის*). ავთო 4 წლის წინ გარდაიცვალა, მისი ცოლი — კიდევ უფრო ადრე. სიკვდილის წინ პატიება მთხოვა და მითხრა, რომ ძალიან ნანობდა, შვილის გაჩენის უფლება რომ არ მომცა. ახლა მისი შვილები ჩემთან ურთიერთობენ და როგორც ადრე, ახლაც დედას მეძახიან, მაგრამ ეს ის არ არის, რაც უნდა იყოს. მაინც მინდა, რომ ჩემი, საკუთარი შვილი მყავდეს. მამის გარდაცვალების შემდეგ შვილებმა ქონება ვერ გაინაწილეს. ავთოს ზღვისპირეთშიც რამდენიმე ბინა და საკუთარი იახტაც კი ჰქონდა. ჩხუბი სწორედ იახტის გამო მოუვიდათ. როცა ვთქვი, ის იახტა ჩემს სახელზე იყო გაფორმებული, ლამის გაგიჟდნენ. ახლა ვიცი, ყურადღებას ჩემ მიმართ იმისთვის იჩენენ, რომ სახლი, სადაც ვცხოვრობ და იახტაც ჩემი გარდაცვალების შემდეგ ჩემს დისშვილებს კი არა, მათ დავუტოვო. ეს, რა თქმა უნდა, ასეც იქნება, რადგან მათი მამის მონაგარია, მაგრამ მე, ჩემი ცხოვრების დანგრევის საკომპენსაციოდ არაფერი მერგება, რომ ვისაც მინდა, იმას დავუტოვო? სიმართლე გითხრათ, ავთო სულ მეუბნებოდა, თუ ვინმე მთხოვნელი გამოგიჩნდება, გათხოვდი, ჩემ გამო ცხოვრებას ნუ დაიმახინჯებ, ოჯახი შექმენი და შვილებიც გააჩინეო, მაგრამ მე მხოლოდ მასზე გათხოვების სურვილი მქონდა. ცოლი რომ გარდაეცვალა, მას შემდეგ კიდევ 9 წელი იცოცხლა. შვილებიც ეუბნებოდნენ და მეც ვთხოვე რამდენჯერმე, ახლა მაინც დავქორწინდეთ, სიცოცხლის ბოლოს მაინც ამისრულე ოცნება-მეთქი, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მე მისი აჩრდილი ვიყავი და ბოლომდე ასე დავრჩი. სასაფლაოზე რომ მივდივარ, მისსა და მისი ცოლის საფლავებს ერთნაირად ვუვლი. აბა, მხოლოდ ნახევარს ხომ არ დავალაგებ? ჩემი ადგილი კი იქაც არაა, ავთო და მანანა ერთად არიან დამარხული, მე კი სიკვდილის შემდეგ ისევ მათგან მოშორებით ჩამფლავენ და მომგონებელიც არ მეყოლება.

■

ამ მარშრუტით დადიოდა, „ნაწვალები“ მანქანა არაა.

— ეს რა არის? — მივუთითე უკანა „კრილოზე“ შეჭეჭყილ ადგილზე.

— ეს კონტეინერში გააფუჭეს, მანქანის ჩამოლებისას მიარტყეს რაღაცას, — მკვირცხლად გამცა პასუხი.

— დედა, აგი მაშინა არ მომწონს, — ჩამომქაჩა სახელოზე თინიკო დეიდამ.

— რატომ? — მაინტერესებდა, რით დაიწუნა.

— აგი პატარაა, ნინოზა ტანკივით მაშინა მინდა, დიდი რომაა.

— ჯიპი? — ერთდროულად ვიკითხეთ მე და ნინომ.

— ჰო, მაგი, — დაგვიქნია თავი.

— ჯიპი ძვირი ღირს, ქალბატონო, ამ ფასში ჯიპს ვინ მოგცემს?! — კლიენტის დაკარგვა არ უნდოდა მანქანის გამყიდველს.

იქიდან წამოვედით, თან ნინოს ვეუბნები:

— ჰიდრავლიკა მაგას არ ჰქონდა, არც კონდიციონერი, არც ცენტრალური საკეტი, სხვა ვნახოთ.

— რა ღირს? — ერთ-ერთ „ოპელთან“ შევჩერდი.

— არ ვყიდი! — გაბრაზებული სახით მითხრა მელოტმა მამაკაცმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ წეღან რაც ჩამოთვალე, გავიგონე და არც ჩემს მანქანას აქვს ეგენი. ჰოდა, არა ხართ ამის მყიდველები და დამანებეთ თავი, არ ვყიდი!

— კარგი, ბატონო, — გავეცალეთ ამ კაცს, მივიხედ-მოვიხედეთ და თინიკო ვერსად შევნიშნეთ. დაიკარგა ქალი თვალსა და ხელს შუა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ ერთი შავი, დიდი ჯიპის გვერდით შევნიშნეთ და სწორედ იმ დროს მივუსწარით, როცა გამყიდველს ეუბნებოდა, „კაპოტი“ ახადეო (უცებ აითვისა, როგორ უნდოდა მანქანის შემოწმება).

— დედა, კარგი, რა, ეს მანქანა 20 ათასი მაინც ეღირება, ამდენი ფული არ გვაქვს, — და ძლივს წამოიყვანა იქიდან.

— მასეთი „მაშინა“ მინდა, რო იყიდო, კიდევ გავყიდი რამეს სოფელში და მაინც გიყიდი, — ძალიან იყო მოწადინებული თინიკო დეიდა.

ამასობაში ძალიან ლამაზი „ჰონდა-სივიკი“ შევნიშნეთ და გარს ვუტრიალებდით. გამყიდველი მოშორებით იდგა და რომ დაგვინახა, სირბილით წამოვიდა ჩვენკენ.

— ახალი ჩამოყვანილი მყავს, — დაიწყო „სარეკლამო“ ტექსტის ჩამორაკრაკება.

— ჰოდა, იქ მასწავლებელი ქალისგან იყიდეთ, ხომ?.. სკოლა-სახლი, სკოლა-სახლი, ამ მარშრუტით რომ დადიოდა მარტო?.. — გავაგრძელე მისი სათქმელი.

— საიდან იცით? — გულიანად გამიღიმა.

— როგორ არ ვიცი?! წუხელ სიზმარში გნახეთ, ამ მანქანას ყიდულობდით, — გავეხუმრე.

— აუჰ! — თქვა და თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა. — თქვენთვის გინდათ? — ხმას რაღაცნაირი, იდუმალების „ელფერი“ მიანიჭა. როგორც ჩანს, იფიქრა, რომ ვეარშიყებოდი და ჩემს გადაგდებულ ანკესს წამოეგო.

— რა ღირს? — კითხვებზე კითხვით ვუპასუხე.

— თქვენთის 500 დოლარს დავაკლებ და 4.200-ად მოგცემთ.

— 4 ათასად — არა? მეტი არ გვაქვს, — თავი შევაცოდე.

— რაფერ არ გვაქვს, 5 ათასი გვაქვს! — თავი გამოიდო თინიკო დეიდამ.

— კი, მაგ ფასადაც იქნება, — მაინც დაგვთანხმდა გამყიდველი.

შემდეგ მანქანა შევამოწმეთ: საჭეს მივუჯექი და გავატარ-გამოვატარე კიდეც. რა თქმა უნდა, მანქანაში ნინო, თინიკო და გამყიდველიც ჩასხდნენ.

— კაცო, რა მაინტერესებს, იცით? — მკითხა გამყიდველმა. — რატომაა, რომ როგორც კი შენს მეორე ნახევარს იპოვი, მაშინ გამოჩნდებიან სხვისი „ნახევრები“ და გაიძულებენ, დაფიქრდე, ნამდვილად შენი ნახევარი იპოვე თუ ჯერ კიდევ არ გიპოვია? — გამიკვირდა, როგორ მოაბა თავი ამ რთული, ქვეწყობილი წინადადების ჩამოყალიბებას.

— იცი, რას გეტყვი, გენაცვალე?.. კომპლიმენტებად ტყუილად ნუ დაიღვრები, თუ მანქანა არ მოგვეწონება, მაინც არ ვიყიდით, — ისეთი სახით ვუთხარი, რომ მაშინვე გაჩუმდა.

— თქვენ რა გქვიათ? — ნინოს მიუბრუნდა ცოტა ხნის შემდეგ.

— ამას ქმარი ჰყავს! — თინიკო დეიდამ იქვე გადაუწურა იმედი.

მანქანა გავაჩერე და გარშემო კიდევ ერთხელ შემოვუარეთ.

— ეს ალბათ, კონტეინერიდან რომ ჩამოჰქონდათ, მაშინ ჩაიმტვრა, არა? — მივუთითე წინა ფარის ჩამომტვრეულ კუთხეზე.

— დიახ, — ჩაიბურტყუნა.

— მომწონს ეს მანქანა, — ჩამჩურჩულა ნინომ.

— მე არ მომწონს, — მეორე ყურში თინიკო დეიდას ხმა ჩამესმა.

დედა-შვილმა კარგა ხანს იკამათა. თინიკო დეიდას 5 ათასის ბოლომდე დახარჯვა უნდოდა (სიძისთვის არ ემეტებოდა).

მანქანა ხელოსანსაც ვაჩვენეთ, უკანაც დავბრუნდით, ისინი კი ისევ კამათობდნენ.

— ისე, ამ მანქანის განბაჟება და გაფორმება რა დაჯდება? — ვკითხე გამყიდველს და ვანიშნე, არ თქვა, უკვე განბაჟებული რომაა-მეთქი.

— განბაჟება 700 დოლარი, გადაფორმება — 200 დოლარი და ამ ფარის გამოცვლაც — 100 დოლარი, — უცებ გადაანაწილა დარჩენილი თანხა (ვინაიდან ყველაფრის საქმის კურსში იყო).

— უი, მაშინ ფული აღარ დარჩება, არა? — კმაყოფილმა იკითხა თინიკომ.

— არა, — სამივემ ერთდროულად გავაქნიეთ თავი.

— მაშინ კარგი „მაშინა“ ყოფილა, — როგორც იქნა, მოიწონა.

— აბა, რას გეუბნებოდით?! — ეს უკვე მე და ნინომ ვთქვით ერთდროულად.

...მოკლედ, ახლა თინიკო დეიდაც კმაყოფილია, ნინოც, გამყიდველიც და დათოც... თუმცა დათო — ყველაზე ნაკლებად, რადგან მიაჩნია, რომ მზითვი სამართლიანად არ განაწილდა და სიდედრს წასვლისას ვალი დაადო: მომდევნო ჩამოსვლაზე იმის ნახევარი უნდა ჩამოიტანო, რაც ახლა გქონდა ჩამოტანილი და მთლიანად მე უნდა მომცეო.

„სიტუაციას“ ვწერდი, როცა ნინომ დამირეკა და მითხრა: გოგო, თინიკომ დარეკა, შენს „სპალნაში“ 5 ათას ლარს მაძლევენ და გავყიდოო?

როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში დათო მზითვიდან თავის „წილს“ აუცილებლად მიიღებს. ისე, რაღა დაგიმალოთ და, ასეთ სიდედრზე არც მე ვიტყოდი უარს და ალბათ, არც თქვენ.

■

51 წლის შემდეგ ნაპოვნი და კვლავ ტკივილად ქცეული საქართველო

გიორგი (ჟორა) მოცურავე იყო, პაშა — მორბენალი. ერთმანეთთან სპორტმა დააახლოვა და 18 წლის ჟორამ მასზე გაცილებით უმცროსი პაშა ცოლად შეირთო. ეს დაახლოებით 1938 წელს მოხდა. მერე, 1939 წელს, ჟორა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და შინ ფეხმძიმე ცოლი დატოვა. ჟორას ჯარში წასვლის შემდეგ პაშამ ბავშვი მოიცილა და დედამთილმაც არ შეუშალა ხელი, — ცოდოა პატარა გოგო, ვაი თუ, ბავშვით მარტო დარჩესო. მაგრამ მოგვიანებით, ჟორა მართლა რომ აღარ დაბრუნდა, ძალიან ინანა. პაშას უმცროსი და — ლიდა, ფაქტობრივად, ჟორას დედამ გაზარდა. ლიდას ხშირად ესიზმრებოდა ჟორა: ცოცხალი ვარ, ჩემს ცოლს ნუ ეტყვი და ოთხი შვილი მყავს, დედაჩემს კი ყველაფერი უთხარიო... და რაც სინამდვილეში მოხდა, ძალიან ჰგავდა ლიდას სიზმარს, თუმცა სიხარულითა და სევდით სავსე ამბავი გაცილებით ვრცელი აღმოჩნდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ჯერაც არ დასრულებულა...

ირმა ხარშილაძე

„ჟორა დედაჩემის დედის ძმა, თუში, გვარად ჩაღმაველი იყო“, — იწყებს თხრობას ჩემი მასპინძელი, ***ზორენა იაშვილი.***



ეთერი 51 წლის უნახავ ძმას საყვედურით მივარდნია: სად ხარ ამდენ ხანსო? (და-ძმა ეთერ და ჟორა ჩაღმაველები)

— მე მისმა დედამ ანუ ჩემმა დიდმა ბებიამ, ალექსანდრა (შურა) დალაქიშვილმა გამზარდა, რომელიც ისე მიყვარდა, ვეუბნებოდი, რომ გავთხოვდები, გოგო მეყოლება და აუცილებლად ალექსანდრას დავარქმევ-მეთქი. ექვსი დედმამიშვილი იყო — სამი და და სამი ძმა. მახსოვს, ბებიას გამორჩეულად უყვარდა თავისი უმცროსი ძმა, კოტე. მხოლოდ ჟორასთან შეხვედრის შემდეგ მივხვდი ასეთი სიყვარულის მიზეზს — ჟორა ლამის გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ბიძას. მე კი ჩემი დიდი ბებია გამორჩეულად მიყვარდა, ყოველთვის მის ოთახში მეძინა — გვერდიგვერდ ორი რკინის საწოლი იდგა, — იცით, რა კარგად მახსოვს? — მე კედლის მხარეს ვიწექი და ღამ-ღამობით ბებიას ხშირად დავყურებდი, სუნთქვასა და გულისცემას ვუმოწმებდი, მეშინოდა, ცუდად არ გამხდარიყო. იქვე, კედელზე, ჟორას ფოტო ეკიდა. ერთ ღამეს მესიზმრა, თითქოს ქარმა ფანჯრები გამოგლიჯა, ფარდები ააფრიალა და ჟორას ფოტო ძირს ჩამოაგდო. კედელზე კი, ფოტოს ადგილას დედა ღვთისმშობლის ხატი ეკიდა. დილით ბებიას სიზმარი მოვუყევი. გამიღიმა და მითხრა: ვიცი, რომ ჟორა ცოცხალიაო. მერე დაამატა: შენ ვაჟი გეყოლება, გიორგის დაარქმევ, ჟორა კი შემოდგომაზე ჩამოვაო. მაშინ ვერაფერს მივხვდი, თუმცა ვიცოდი, ოჯახში მხოლოდ მას სჯეროდა, რომ შვილი ცოცხალი ჰყავდა. ბებია საკმაოდ ასაკოვანი იყო — 85-86 წლის და მამამ თქვა, შურას ღამით რამე რომ დაემართოს, შორენას ძალიან შეეშინდება, ამიტომ სასურველია, იმ ოთახში აღარ დაიძინოსო. მართლაც, სხვა ოთახში დამაწვინეს და ბებიამ პირველივე დილას შემომაკითხა. საუბარი იმ წუთის დასრულებული მქონდა ჩემს შეყვარებულთან და მომავალ მეუღლესთან, მიშიკო იაშვილთან და სასიამოვნო ფიქრები რომ არ გამფანტვოდა, თავი მოვიმძინარე. ბებია ჩემი ოთახიდან ჩუმად გავიდა, ფეხი აუსრიალდა, წაიქცა და ბარძაყის ძვალი მოიტეხა. ლოგინში ერთი კვირა იწვა, იმ ერთ კვირას არ მოვცილებივარ, ვუვლიდი, მაგრამ ვერ გადავარჩინე (*ცრემლი მოერია*). საოცარი იცით, რა იყო? — როდესაც გათიშული იწვა და ბოდავდა, ყველა გარდაცვლილი ახლობლის სახელი ახსენა, მაგრამ ჟორა ერთხელაც არ უხსენებია. ოჯახის ახლობელმა, ციალა დვალმაც თქვა, რაკი არ ახსენებს, ესე იგი, ჟორა ცოცხალიაო. მერე უცნაური ამბავი გვიამბო: ომის შემდეგ შურას ეზოში, — „პეკინზე“, „ნიკალას“ გვერდით 14-სართულიანი სახლის ადგილას 2-სართულიანი სახლი რომ იდგა, იქ ცხოვრობდნენ, — მკითხავი ბოშა შესულა. ბებიას ბოშას მოთხოვნით დიდ ალბომში უწესრიგოდ ჩაუყრია რამდენიმე ახალგაზრდა მამაკაცის ფოტო. ბოშას უთქვამს, თუ პირველად თქვენი ვაჟის ფოტოს ამოვიღებ, იმას ნიშნავს, რომ ცოცხალიაო. რაღაც უბუტბუტია, ხელი ალბომში ბრმად შეუცურებია და... ჟორას ფოტო ამოუღია. ეს სწორედ ის ფოტოა, სიზმარში კედლიდან რომ ჩამოვარდა. ბებია 1989 წელს გარდაიცვალა. მე მალევე გავთხოვდი, დავფეხმძიმდი და 1990 წლის 4 სექტემბერს ვაჟი მეყოლა, რომელსაც გიორგი დავარქვი. 5 სექტემბერს სამშობიაროდან შინ დავრეკე, დედაჩემის დედამ, ბებია ეთერმა მიპასუხა. აღელვებული მიხსნიდა, — მარტო ვარ, ნაგვის გადასაყრელად გავდიოდი, კარი გავაღე და ვიღაც ბიჭი შემეჩეხა. ალექსანდრა დალაქიშვილი იკითხა, ვუთხარი, ერთი წლის წინ გარდაიცვალა-მეთქი. მითხრა, ალბათ მისი შვილი ეთერი ბრძანდებით, თქვენი ძმა, გიორგი ჩამოვიდა და საღამოს 7 საათზე გესტუმრებათო. ბებია ისეთი აღელვებული იყო, ვიფიქრე, რაღაც დაემართა-მეთქი... ბაბუა ვალიკო შინ მალე დაბრუნებულა და ოთახში სკამზე ჩამომჯდარი, აქვითინებული ბებია რომ დაუნახავს, გაგიჟებულა — ეთერი მაგარი ქალი იყო, სითბოსაც კი ვერ გამოხატავდა და მისი ცრემლი ცხოვრებაში არავის ენახა. ბებიას დეიდაშვილი ლამარასთვის დაურეკავს და მათთან მისვლა უთხოვია. ბებია ირწმუნებოდა, ჟორა მოვაო, ესენი, რა თქმა უნდა, ფიქრობდნენ, ცუდადაა ეთერის საქმეო. თუმცა, ვალიკოს, როგორც სტუმართმოყვარე და მოქეიფე კაცს შეეფერებოდა, სუფრა მაინც გაუშლია: ეგებ, მართლა მოვიდნენ სტუმრები, — ცხადია, ჟორას არ გულისხმობდა, — თავს ხომ არ შევირცხვენო (*იცინის*). ამის პარალელურად, სამშობიაროში

ეს სწორედ ის ფოტოა, სიზმარში კედლიდან რომ ჩამოვარდა

ჟორას დედა, შურა დალაქიშვილი

მომაკითხეს დედამ და მამამ, — ბავშვის საწოლი ეყიდათ და მომახარეს. ფანჯრიდან ვეძახი, სასწრაფოდ ბებიასთან წადით, ბიძაშენი ჟორა ჩამოვიდა-მეთქი. დედას სახე ეცვალა. უფიქრია, მშობიარობის შემდეგ აურია, მოსვენება სჭირდებაო და სასწრაფოდ დამემშვიდობა. ვერ მოუთმენიათ და მაინც ბებიასთან მისულან. მოკლედ, შესრულდა შვიდი და ეთერი დასაბმელი გამხდარა: შფოთავდა და ფანჯარას არ სცილდებოდა. უცებ ქუჩაში მომავალი ასაკოვანი კაცი შეუნიშნავს. მოგვიანებით მიამბო: იმწუთას მივხვდი, რომ „ის“ იყო — იმდენად ჰგავდა ბიძაჩემ კოტეს. ვიგრძენი, ფეხები მომეკვეთა და მხოლოდ ერთს ვფიქრობდი, უფრო სწრაფად როგორ ვნახავ — ფანჯრიდან რომ გადავხტე, — მეოთხე სართულზე ცხოვრობდა, — თუ კართან შევეგებოო?.. კარი რომ გაუღიათ და ჟორა ორ კაცთან ერთად დაუნახავთ, ყველა გაოგნებულა. ეთერი 51 წლის უნახავ ძმას საყვედურით მივარდნია: სად ხარ ამდენ ხანსო? ჟორას კი პირველი ქართული სიტყვა სუფრასთან წარმოუთქვამს — ნივრის მჟავე დაუნახავს და ინსტინქტურად წამოუძახია: ნიორიო (*იცინის*)!

— **რა გიამბოთ ჟორა ბაბუამ? მარსელში როგორ მოვხვდი, რას ვაკეთებდი, ახლა როგორ ვცხოვრობო?**

— დიდი სამამულო ომი რომ დაწყებულა, ჯარიდან ვინ გამოუშვებდა! 1941 წლის ბოლოს სიმფეროპოლთან დაჭრილა, თანამებრძოლებს მიუტოვებიათ, გერმანელებს კი უპოვიათ და დაუტყვევებიათ. წაუყვანიათ გერმანიაში. ჰყვებოდა, 1944 წელს ამერიკელებმა გამათავისუფლეს და ყველა საბჭოთა ტყვე მარსელში გადაგვიყვანეს. იქ ჩამოვიდა რუსი პოლკოვნიკი, რომელიც ტყვედ ყოფილ რუსებს საბჭოთა კავშირში აბრუნებდა. ვიცოდი, იქ რაც მომელოდა და როგორღაც დავიძვრინე თავი. ამერიკელებმა გვარი და ეროვნება შემიცვალეს — ბულგარელი ჩაღმაველოვი გავხდი. მარსელში ფრანგი ოფიცრის ქალიშვილი შემიყვარდა, ცოლად შევირთე და საცხოვრებლადაც იქვე დავრჩით. თავიდან ქუჩის კრივით ვირჩენდი თავს და სერიოზული წარმატებები მქონდა, მერეც შიგადაშიგ ვმუშაობდი, ჩემი მეუღლეც მუშაობდა და თავი გაგვქონდა. ოთხი შვილი შეგვეძინა. დაახლოებით 1975 წელს თქვენს საპოვნელად საბჭოთა კავშირში „წითელი ჯვრის“ სახელზე „ძებნის ბარათი“ გამოვგზავნე, მაგრამ მოძებნაზე მოსკოვიდან უარი მივიღე. მას შემდეგ ძებნა აღარ მიცდია, მერე ინფარქტი დამემართა და ყველაფერი დამავიწყდა — ვინაობა, ენები. ფრანგული იოლად გავიხსენე, რადგან ირგვლივ ყველა ფრანგულად ლაპარაკობდა, მეზობლად რუსულად მოსაუბრე სომხები ცხოვრობდნენ და რუსულიც ნელ-ნელა აღვიდგინე, ქართული კი სრულიად დამავიწყდაო. ყველაზე მეტად განვიცდიდი, რომ საკუთარ დედას ვერ ვიხსენებდი, ვიწექი და საათობით ვფიქრობდი, ვინ შეიძლებოდა, დედაჩემი ყოფილიყო, როგორი სახე ექნებოდა და ეს იყო ჩემს ცხოვრებაში უმძიმესი წუთებიო. მეუღლე რამდენიმე წელიწადია, გარდამეცვალა, შვილები კი დაოჯახდნენ და შვილიშვილებიც მყავს. ნორმალურად ვცხოვრობ, პენსია 6.000 ფრანკი მაქვს, მედიკამენტებს უფასოდ ვიღებ, საავადმყოფოშიც უფასო მომსახურება მაქვს და ა.შ. შვილები სულ მეხვეწებოდნენ, საქართველოში წადი, არ გაინტერესებს შენი ახლობლების ნახვაო? უფროსი ვაჟი, პატრიკი გამორჩეულად „სულით ქართველი“ იყო, თუმცა აქ წამოსვლას ქალიშვილი უფრო მაძალებდა. საფრანგეთიდან ტურისტული საგზურით ჩამოვედი, აეროპორტში დაგვხვდნენ და სასტუმრო „ივერიისკენ“ მანქანით წამოგვიყვანესო. თურმე, კოსტავას ქუჩა რომ გამოუვლიათ, მძღოლისთვის ქართულად უთქვამს: იცი, მე ვერელიო. მძღოლი გაოგნებულა ფრანგი ტურისტის ქართულით. ჟორას გაუგებინებია, რომ თბილისელი ქართველი იყო და დიდი ხნის წინ ვერაზე, ბელინსკის 44 ნომერში ცხოვრობდა. „ივერიაში“ ბარგი დაუწყვიათ, მძღოლს სასტუმროს შვეიცარისთვის აუხსნია, ეს კაცი თავის ოჯახს ეძებს და იქნებ დაეხმაროთო. ახალგაზრდა შვეიცარი გიორგი მერაბიშვილი, ფრანგი ქართველის ამბით ძალიან დაინტერესებულა, თავისი ცოლისძმაც ჩაურთავს ძებნაში და ერთი ჟორას გაჰყოლია ბელინსკიზე, მეორე — ცნობათა ბიუროში წასულა, — თქვენი ჟურნალის მეშვეობით კიდევ ერთხელ მინდა, იმ ორი ბიჭისადმი ჩემი ოჯახის უსაზღვრო მადლიერება გამოვხატო. ერთ-ერთმა სწორედ ცნობათა ბიუროს მეშვეობით მოაკვლია ალექსანდრა დალაქიშვილის სახლს და შეხვდა ბებია ეთერს — დანარჩენი კი უკვე იცით. ამ დროს ჟორა მეორე ბიჭთან ერთად სტუმრობდა ბელინსკის ძველ სახლს, რომელსაც უკვე სხვა მეპატრონე ჰყავდა. მასპინძელ ქალბატონს სახელდახელოდ სუფრაც გაუშლია სტუმრებისთვის და გაოგნებული ისმენდა ასაკოვანი ტურისტის მონათხრობს ძველ ავეჯზე, რომელიც ოდესღაც იმ ოთახებს ამშვენებდა; ძველ კარადაზე, სადაც ბავშვობაში დედა კაკლის მურაბას უმალავდა; დედის საკერავ მანქანაზე და ოცნებაზე, თვითონ შეეკერა რამე და ასე შემდეგ... მერე, ჟორას რომ შეუტყვია, მის ოჯახს მიაგნეს და დედა მხოლოდ ერთი წლის გარდაცვლილი იყო, ძალიან ცუდად გამხდარა, — დარწმუნებული ვიყავი, დედას ვერ ჩამოვუსწრებდი, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, მხოლოდ ერთი წლით თუ დამაგვიანდებოდაო?!. გაუძნელდა დედის საფლავზე გასვლა. მახსოვს, სამშობიაროდან რომ გამომწერეს, სასაფლაოზე ერთად წავედით. საფლავზე უცნაურად იქცეოდა, დალაგებულ საფლავს თითქოს ხელახლა ალაგებდა, მიწას ნერვულად ჩიჩქნიდა და... გაუთავებლად იმეორებდა რუსულად: დედა, მე მოვედი; დედა, მე ჩამოვედი; დედა, მე ცოცხალი ვარო! ვხვდებოდით, ძალიან სტკიოდა, ძალიან განიცდიდა და ისიც კი ვიფიქრეთ: იქნებ მის-

მიცვალებული დაიკარგა და მხოლოდ ორი დღის შემდეგ მიაკვლიეს — თითქოს პატრიკის უსულო სხეულსაც კი არ სურდა საფრანგეთში დაბრუნება

თვის ჯობდა, ასეთ ასაკში საერთოდ არ ჩამოსულიყო... მერე, ნელ-ნელა ის 51-წლიანი ზღვარი თითქოს წაიშალა და ჩვენც მოგვეჩვია. ამბობდა, ასე მგონია, თავიდან ვიბადებიო, თუმცა მაინც ევროპული მენტალიტეტი სძლევდა — ბოლოს და ბოლოს საქართველოში მხოლოდ 18 წელიწადი იცხოვრა. კომედია იყო, ბაბუაჩემი ვალიკო პირველად რომ დაინახა. ვალიკომ შეახსენა, ვერ მიცანი, ჯარში ერთად ვმსახურობდით? მე რომ შვებულებით თბილისში ვბრუნდებოდი, შენს დედასთან და დასთან მაჯის საათი და წერილი გამომატანე. მეც დავალება პირნათლად შევასრულე, მაგრამ შენი და მომეწონა და ცოლადაც შევირთეო. — ეგ მე არ დამივალებია — ძალიან გადაგიჭარბებიაო, — უპასუხია ჟორას. ისე, მაშინ ძალიან გამხდარი იყავი და ახლა ასე რამ გაგასუქაო, — ეღიმებოდა (*იცინის*). ერთ დღეს ჟორამ ვალიკოს უთხრა, გუდის ყველის ჭამა მომინდა, თან ქართულ ბაზარსაც დავათვალიერებ და გამყევიო. ბაბუა საგულდაგულოდ გამოეწყო, ჟორა კი შორტით გამოგვეცხადა. გაგიჟდა ვალიკო, მაგის გვერდით არ გავივლიო. მოკლედ, ჟორა აიძულეს, გამოეცვალა (*იცინის*)... ჟორას დაბადების დღე — 78 წლისთავი თბილისში მის ერთ-ერთ სტუმრობას დაემთხვა. ჩემმა მეგობრებმა — თამრიკო შენგელიამ, თაკო ჭელიძემ და ნინო მიქაძემ სიურპრიზი მოუწყეს — 78 ანთებული სანთლით უზარმაზარი ტორტი მიართვეს. კაცს სიხარულისა და გაოცებისგან ენა ჩაუვარდა. მერე ცრემლმორეულმა თქვა: მახსოვს, 18 წლის რომ გავხდი, ასეთი ლამაზი დაბადების დღე პირველად დედამ მომიწყო, ეს კი მეორეაო...

— თავის პირველ მეუღლეს შეხვდა?

— პაშა ძლივს დავაჯერე, ჟორა ჩამოვიდა-მეთქი. გათხოვილი იყო, უკვე დაქვრივებულიც და დიდი შვილები ჰყავდა. მისმა შვილმა მითხრა, ნეტავ, გენახათ, როგორ მოემზადა ყოფილ მეუღლესთან შესახვედრადო. რამდენიმე დღით ჟორა დარჩა კიდეც მათთან, ოღონდ ბრაზობდა, პაშა ჩემთან არ წვებაო (*იცინის*)... შემდეგ ჩამოსვლაზე ჟორა უფროს ვაჟთან, 42 წლის პატრიკთან ერთად ჩამოვიდა. საოცარი ადამიანი იყო პატრიკი. მეეჭვება, საქართველოში დაბადებულსა და ტრადიციულ ოჯახში გაზრდილ ადამიანს მასზე მეტად ჰყვარებოდა საქართველო. საქართველოში 5 წელიწადი იცხოვრა და აქვე გარდაიცვალა. თბილისში რომ ჩამოვიდა, უკვე ცოლთან გაყრილი იყო, მისი ორი შვილი კი დედასთან ცხოვრობდა. სხვათა შორის, მის ვაჟსაც ძალიან უნდოდა საქართველოში ჩამოსვლა... პატრიკმა თბილისში ბინა იყიდა და აქაური ცოლიც მოიყვანა: ქართველი შვილი მინდა მყავდესო. ვაჟი ეყოლათ და დაჩი დაარქვა, მაგრამ ცოლის სურვილით, ბავშვი საფრანგეთში დაიბადა, საფრანგეთის მოქალაქე რომ ყოფილიყო. პატრიკმა ქართული 6 თვეში შეისწავლა და ძალიან სწყინდა, ვინმე თუ ფრანგს უწოდებდა. ჩემმა მეუღლემ და მისმა მეგობრებმა განსხვავებული სასმისების გამოცვლაშიც გაავარჯიშეს. უარს არც ამბობდა — ოღონდაც სრულფასოვან ქართველად მიეღოთ და (*იცინის*)... თავიდანვე ვურჩევდი პატრიკს, ქართველი ქალი არ შეირთო, — საზღვარგარეთ ცხოვრებას მოგთხოვს-მეთქი. არ დამიჯერა, არადა, სწორედ ასე მოხდა. მახსოვს, 16 დეკემბერი იყო, პატრიკმა გამომიარა, ძალიან ცუდად ვარ, ჩემს ცოლს გერმანიაში საცხოვრებლად წასვლა უნდა, მე კიდევ საქართველოს გარეშე ვერ გავძლებ, ცოლს გავცილდებოდი, მაგრამ ბავშვს რა ვუყო, სიგიჟემდე მიყვარს და ვერ დავტოვებო. მივაკვლიე, ჩაღმაველები თუშეთში სად ცხოვრობდნენ და საფრანგეთში წასვლამდე აუცილებლად წავიდეთ-მეთქი. მერე იტირა კიდეც. ვამშვიდებდი, — ისევ ჩამოხვალ, მაგრამ თავი გაიქნია, — ვეღარ ჩამოვალო. ჩემგან წავიდა და მეორე დილის 6 საათზე დამირეკეს, პატრიკი ინფარქტით გარდაიცვალაო. მის ცოლს ვთხოვე, აქ დავასაფლავოთ, რაკი აქაურობა ასე უყვარდა-მეთქი, მაგრამ იუარა. და საოცარი რამ მოხდა: ლონდონის აეროპორტში (სატრანზიტო ფრენა იყო) მიცვალებული დაიკარგა და მხოლოდ ორი დღის შემდეგ მიაკვლიეს — თითქოს პატრიკის უსულო სხეულსაც კი არ სურდა საფრანგეთში დაბრუნება. მისი ცოლ-შვილი დღესაც მარსელში ცხოვრობს, მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათად ვეხმიანებით ერთმანეთს. თავისი უსაყვარლესი შვილის სიკვდილის შემდეგ ჟორაც აღარ ჩამოსულა საქართველოში — ეს ქვეყანა მისთვის დიდ ტკივილად იქცა. თუმცა კვირაში ერთხელ რეკავდა და ეთერი ბებიას ელაპარაკებოდა ხოლმე. მერე ბებიას სკლეროზი დაემართა, ლოგინად ჩავარდა და მასთან ლაპარაკს აზრი აღარ ჰქონდა. ჟორამ იცოდა, რომ ვალიკო ბაბუა კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, ეთერიც რომ გარდაიცვალა, აღარ ვუთხარით. დღემდე ვატყუებთ, ცუდად არის-თქო.

— ახლაც ხშირად გირეკავთ?

— უკვე მოხუცია, 90 წლამდე იქნება და ექვს თვეში ერთხელ მაინც ახერხებს დარეკვას. მისი შვილები, სამწუხაროდ, არ დაგვკავშირებიან — პატრიკის სიკვდილმა ყველაფერი ამოაყირავა, თითქოს ეს ამბავი საქართველოს დააბრალეს, თითქოს ამ ახალგაზრდა კაცის სიკვდილით მათთვის საქართველოც დამთავრდა...

■

ვაჟი გეყოლება, გიორგის დაარქმევ, ჟორა კი შემოდგომაზე ჩამოვაო (შორენა იაშვილი, ჟორა და გიორგი)

ქალი, რომელსაც ვერ შეელია... ბრძოლა, რომელიც ვერ დაივიწყა...

ამას წინათ ერთი „გმირი“ მამაკაცი გამახსენდა, რომლის ამბავიც მისმა დეიდაშვილმა მიამბო და დავბეჭდე კიდეც „კვირის პალიტრაში“ (22 დეკემბერი, 2008 წელი, „თქვენთვის, ქალბატონებო“)...

მარინა ბაბუნაშვილი

ამბავი პირველი
„რას მერჩიან, მე ხომ მათი შვილი ძალიან მიყვარს!“

ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაშორდა ირაკლი ნატაშას, მაგრამ მის გარეშე დიდხანს ვერ ძლებდა, ვერც ივიწყებდა და ისევ ურიგდებოდა. მერე კვლავ პრობლემები წარმოიქმნებოდა და... ისევ თავიდან იწყებოდა ყველაფერი.

...კოტე და ნანი ექიმები იყვნენ. მათი დიდი სურვილი იყო, რომ ერთადერთ ვაჟს, ირაკლის, სამედიცინო განათლება ჰქონოდა და მშობლების კვალს დადგომოდა. ვაჟმა შეასრულა დედ-მამის სურვილი. ირაკლი მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში მოაწყვეს. მის კურსზე იყო ერთი მშვენიერი, მოსკოველი გოგონა, ნატაშა, რომელიც ირაკლის თავდავიწყებით შეუყვარდა.

კოტემ და ნანიმ როგორც კი ეს ამბავი გაიგეს, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — არ გაბედო ამ სისულელის ჩადენა, მანდ სასწავლებლად გაგიშვით და არა რუსი ცოლის მოსაყვანადო.

ირაკლიმ ჩუმად მაინც მოაწერა ხელი ნატაშასთან. მალე გიორგი შეეძინათ. მოსკოვში, შვილის მოსანახულებლად ჩასულმა კოტემ და ნანიმ რძალი და შვილიშვილი არც კი ნახეს.

როცა ირაკლიმ ინსტიტუტი დაამთავრა, მამამისმა შეუთვალა, — დროზე ჩამოდი, შენთვის კარგი ადგილი მაქვს შენახულიო... სამწუხაროდ, ირაკლი ვერ გამოდგა პრინციპული... იოლად დათანხმდა მამის წინადადებას, ცოლს უთხრა, თბილისში საქმეს ავაწყობ თუ არა, თქვენც წაგიყვანთო და წავიდა.

გავიდა ორი წელი. ნატაშა ძალიან წუხდა და დარდობდა ირაკლის გარეშე ყოფნას. არც ირაკლი იყო კარგ დღეში, მაგრამ მშობლების წინააღმდეგ წასვლას ვერა და ვერ ბედავდა. კოტეს და ნანის თავი ისე ეჭირათ, თითქოს ნატაშა და ბავშვი არც კი არსებობდნენ.

ნატაშა დაიღალა მისი უაზრო ლოდინით და დაურეკა: კარგი მთხოვნელი მყავს, ისიც ექიმია, თუ ჩამოხვალ, მას უარს ვეტყვი, თუ არადა, აღარ შემიძლია ასე ყოფნა, გვერდით საიმედო მამაკაცი მჭირდებაო. ძალიან გაღიზიანდა ირაკლი და უხეშად უპასუხა: რადგან გათხოვება გადაგიწყვეტია, მე რაღას მეკითხები, როგორც გინდა, ისე მოიქეციო.

ირაკლი სასურველ სასიძოდ ითვლებოდა. მალე მშობლებმა თავისი მოწონებული ქალიშვილი გააცნეს. ისიც ექიმი, პროფესორის შვილი. ნათია მართლაც მშვენიერი გოგო იყო...

ირაკლიმ თავის დეიდაშვილს, თავის თანატოლსა და მეგობარს, ეკას გაუმჟღავნა: საკუთარ თავს ვერასოდეს ვაპატიებ, რომ ნატაშა დავკარგე ჩემი მშობლების კაპრიზის გამო, თუმცა მე ახლაც ბედნიერი ვარ, რადგან ის ისევ ძველებურად მიყვარსო.

ირაკლის და ნათიას ქალ-ვაჟი შეეძინათ, ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. გავიდა ოთხი წელი და ერთ მშვენიერ დღეს, ირაკლიმ თავის მესაიდუმლე ეკას ახარა: ორი კვირით მივლინებით მაგზავნიან მოსკოვშიო. აფორიაქებული ჩანდა, აშკარად ნერვიულობდა, რადგან არ იცოდა ნატაშა და გიო როგორ შეხვდებოდნენ. არადა, მათ უნახავად იქიდან წამოსვლას არც აპირებდა.

ამონარიდი ეკას წერილიდან: „მოსკოვიდან ჩამოსული ირაკლი გახალისებული მეჩვენა, თუმცა ეტყობოდა, რომ ბევრ რამეს მალავდა სამაგიეროდ, იმ ერთი მივლინების შემდეგ მოსკოვში სიარულს მოუხშირა... ერთი წლის მერე მითხრა, — ნატაშა ქმარს გაშორდა და გოგოც გამიჩინაო. ბედნიერებისგან თვალები ისე უბრწყინავდა, ვერაფერზე ვუსაყვედურე. მხოლოდ ის ვკითხე, — რას აპირებ, ნათიასთან როგორ უნდა გააგრძელო ცხოვრება, როცა გული ნატაშასკენ მიგიწევს-მეთქი. მიპასუხა: — რა ვქნა, ვერაფერს შევცვლი, ნათია ჩემი მეორე ცოლი, ჩემი შვილების დედა და ჩემი მშობლების მოწონებული რძალია, ნატაშა კი ჩემი საყვარელი ქალი, რომელსაც მთელი ცხოვრება ვერ შეველიეო“.

მიუხედავად ირაკლის დიდი მცდელობისა, მაინც გამჟღავნდა მისი მოსკოვში ვიზიტების მიზანი და მიზეზი. ნათიამ განქორწინება მოითხოვა. ატყდა ერთი ამბავი. აქეთ ირაკლის მშობლები მძვინვარებდნენ, იქით — ნათიას ოჯახი და მთელი მისი სანათესაო, — რას ჰქვია ირაკლის არაკანონიერი ცოლ-შვილი ჰყავს და მათთან დაიარება, ჩვენი ანგელოზი გოგო კი ასე დაგვეჩაგრაო?! ირაკლის სისუსტის გამო ორი ქალი, ბავშვები და კიდევ უამრავი ადამიანი ნერვიულობდა და განიცდიდა აწეწილ-დაწეწილ სიტუაციას.

კვლავ კოტემ და ნანიმ იმარჯვეს და შვილს მოსკოვში წასვლაზე ხელი აალებინეს. ირაკლიმ „მოინანია“ ნათიასთან თავისი შეცდომა და პატიება სთხოვა.

ამონარიდი ეკას წერილიდან: „ნატაშასთან ვმეგობრობდი. მოსკოვში ჩასული სასტუმროში არასოდეს დავრჩენილვარ. ნატაშას დიდი ბინა ჰქონდა და ყოველთვის მოხარული იყო ჩემი სტუმრობით. ირაკლისა და მის ურთიერთობაში ბზარი რომ გაჩნდა, ხშირად მეხმიანებოდა ხოლმე. ამჯერადაც დამირეკა და ტირილით მითხრა, — რას მერჩიან ირაკლის მშობლები, პირველი დღიდან რატომ გამომიცხადეს ომი, მე ხომ მათი შვილი ძალიან მიყვარსო?.. რა მეპასუხა, არ ვიცოდი. გული მწყდებოდა, რომ ორი მოყვარული ადამიანი ასე ცალ-ცალკე იტანჯებოდა“.

ორი წლის მერე ნატაშა მესამედ გათხოვდა. ირაკლი ცოლს შეურიგდა. მაგრამ ხასიათი ძალიან შეეცვალა.

ამბავი მეორე
მრავალწლიანი ბრძოლის დასასრული

დრო გადიოდა. ნათია ატყობდა, რომ ქმარი ძალიან განიცდიდა, მაგრამ არ უნდოდა ეს „რაღაცა“ ნატაშასთან დაეკავშირებინა.

გავიდა დრო და ირაკლისთვის ცნობილი გახდა, რომ ნატაშას მესამე ქმარი გულის შეტევით გარდაიცვალა.

ეკა: მიჭირს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც უნდა ვაღიარო, რომ ჩემმა დეიდაშვილმა გამაოგნა. გამომიტყდა, რომ მოსკოვში წასვლა და შვილების ნახვა უნდოდა. — დიდი ხანია, ბავშვები არ მინახავს და მრცხვენია, სიგიჟემდე მენატრება ნატაშაცო. შემეცოდა, გული შემეკუმშა.

ირაკლი მოსკოვში წავიდა და იქ ორი თვე დარჩა. ნათიამ აღარ აპატია და განქორწინება კატეგორიულად მოითხოვა. ირაკლიც მაშინვე დათანხმდა. მისმა მშობლებმა ლამის გლოვა გამოაცხადეს.

ირაკლიმ თბილისში ოროთახიანი ბინა იყიდა. იგი არც მშობლების ბინაში გაჩერდა და რაღა თქმა უნდა, არც ნათიასთვის მოუთხოვია „წილი“. მოსკოვშიც კვლავინდებურად ჩადიოდა. ის იყო გაუგებარი, რატომ აჭიანურებდა ცოლ-შვილის აქ გადმოყვანას.

ამასობაში გიო გაიზარდა, ისიც მშობლების გზას დაადგა და მესამე კურსზე იყო, როცა სოხუმიდან დევნილი ქართველი გოგო შეირთო ცოლად. მალე, ირაკლისა და ნატაშას შვილიშვილიც შეეძინათ...

ახლა, ნატაშა და თამარი (გოგონა, რომელიც ირაკლისგან შეეძინა) თბილისში, ირაკლისთან ერთად, ცხოვრობენ. გიო ცოლ-შვილით კვლავ მოსკოვშია, რადგან იქ ძალიან კარგი სამსახური იშოვა.

როგორც იქნა, დასრულდა ირაკლისა და ნატაშას წინააღმდეგობებით აღსავსე მრავალწლიანი რომანი. ეტყობა ირაკლის მშობლებიც დაიღალნენ ამდენი „ბრძოლით“ და ახლა, ყოველ კვირას, რუს რძალსა და შვილს თავისთან სადილზე ეპატიჟებიან... ■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

მუნეს, რომ საპატიმროში მყოფ ძმას — გელას, რომელსაც 9 წელი ჰქონდა მისჯილი, ციხიდან შეწყალების აქტით გაათავისუფლებდნენ. ამისთვის კი 40.000 დოლარი მოსთხოვეს. ტუხაშვილმა 30.000 დოლარი მოაგროვა და ძმის სიმამრის, ბერიაშვილის თანდასწრებით, პროკურატურის შენობის წინ გადასცა; მოგვიანებით კი 10.000 დოლარი ნინო ჯარიაშვილს საკაძის მოედანთან შეხვედრისას მისცა.

ზემოთ ჩამოთვლილ 4 ეპიზოდში ორივე განსასჯელს ერთნაირად წაუყენეს ბრალი. ამასთან, ნინო ჯარიაშვილს თაღლითობის კიდევ 2 ეპიზოდი დაემატა. კიდევ ერთი დაზარალებული, წარსულში ცნობილი, წამლებით მოვაჭრე, მიხეილ ჯანაშვილი აღმოჩნდა. როგორც ირკვევა, მის აფთიაქში ჯარიაშვილი ხშირად ყიდულობდა წამლებს დედის სამკურნალოდ. შემდეგ შეიტყო, რომ ჯანაშვილის შვილი, ხათუნა პატიმარი იყო და 13 წელი ჰქონდა მისჯილი. გავლენიანი მეგობრების დახმარებით, მის გათავისუფლებაში დახმარებას დაჰპირდა. ხათუნა საპროცესო შეთანხმებით უნდა გაეთავისუფლებინათ, ამაში მიხეილ ჯანაშვილს 20.000 დოლარი უნდა გადაეხადა. როგორც დაზარალებული აცხადებს, ეტაპობრივად მან ნინო ჯარიაშვილს 12.000 დოლარი გადასცა, მაგრამ ისიც მოტყუვდა. დაზარალებულ აკაკი კობეშავიძეს კი ნინო ჯარიაშვილი მიხეილ ჯანაშვილმა გააცნო. კობეშავიძის დედა, ნინო შაფათავა სასჯელს იხდის. შაფათავამ ციხეში შეიტყო, რომ ხათუნას მამამ იპოვა ქალი, რომელიც საპროცესო შეთანხმებებს აგვარებდა. ისიც დაუკავშირდა ჯერ დედას, მერე შვილს და უთხრა, რომ მიხეილ ჯანაშვილი გააცნობდა ქალს, რომელიც საქმეებს აგვარებდა. აკაკი კობეშავიძემ 2008 წლის ნოემბერში სწორედ ამ გზით გაიცნო ნინო ჯარიაშვილი, მას დედის საქმის მასალები გადასცა, ჯარიაშვილი კი დაჰპირდა, რომ 50.000 დოლარის სანაცვლოდ, საპროცესო შეთანხმებით, მას გარეთ გამოიყვანდა. შეთანხმება კობეშავიძემ შეასრულა, ჯანაშვილის მეშვეობით, ნინო ჯარიაშვილს ჯერ 49.500 ლარი გადასცა, ხოლო შემდეგ, მიცკევიჩის ქუჩაზე შეხვედრისას, დამატებით, 17.600 ლარი მისცა. კიდევ ერთი შეხვედრა ე.წ. გადასასვლელ ხიდთან შედგა, იქ დამატებით 6.000 დოლარი ხელში ჩაუთვალა. დაპირების შესრულებას პატიმარი ქალი და მისი შვილი უშედეგოდ ელოდნენ, მაგრამ ვერც ფული დაიბრუნეს და ვერც საქმე გაკეთდა...

ამ ბრალდებებით წარდგნენ ნინო ჯარიაშვილი და სვეტლანა მაისურაძე სასამართლოს წინაშე. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ განსასჯელი ჯარიაშვილი დანაშაულს აღიარებდა და ჩადენილს ინანიებდა. განმარტავდა, რომ თავად აღმოჩნდა მოტყუებული. ეს საქმეები ვინმე სოსო ქიტიაშვილის დახმარებით უნდა მოეგვარებინა: ის თავის მხრივ ჰპირდებოდა, რომ ვინმე ხურციძის დახმარებით ამ ხალხს ციხიდან გამოიყვანდა (საზოგადოებას ალბათ ახსოვს, სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლის — ხურციძის ხმაურიანი დაპატიმრება, მას შეწყალების კომისიის სიის გაყალბებაში ადანაშაულებდნენ). რაც შეეხება სოსო ქიტიაშვილს, — როგორც ადვოკატი ვალოდია ტაბაღუა აცხადებს, ისიც ამჟამად პატიმარია და მისი დაკითხვა პროცესზე მოწმის სტატუსით ვერ მოხერხდა.

მსჯავრდადებული ***სვეტლანა მაისურაძე*** *კი ირწმუნება — გამოძალული თანხებიდან მას არაფერი მიუღია და ეს თანხები ჯარიაშვილმა მიითვისა.*

— როცა ნინო გავიცანი, მითხრა: ყოფილი გამომძიებელი ვარ და საადვოკატო ფირმა მაქვს გახსნილიო. რამდენიმე თვეში დამირეკა და მომიკითხა. აქედან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა და ვმეგობრობდით... 2007 წლის ნოემბერში ჩემმა ძველმა თანამშრომელმა, ბესიკ ხმალაძემ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. ის სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მუშაობდა. როცა სახლში მოვიდა, ჩემთან ნინო ჯარიაშვილი იმყოფებოდა. ვისაუბრეთ. ბესომ მთხოვა, ცალკე გავსულიყავით; ვუპასუხე, — ამ ქალბატონთან შეგიძლია, ილაპარაკო-მეთქი. მითხრა, — ჩემი შვილი პატიმარია და თუ შეძლებ, ადვოკატის აყვანაში დამეხმარეო. ნინო დაინტერესდა, რისთვის იჯდა მისი შვილი; როცა გაიგო, მობილურის წართმევისთვის 7 წელი ჰქონდა მისჯილი, უთხრა, — შენი შვილის განაჩენი მომაწოდე და შეიძლება, დაგეხმაროო. შეთანხმდნენ. ერთ დღეს ნინომ თავისი მანქანით გამომიარა და წავედით ხმალაძესთან. ბესოს მეუღლეს ვესაუბრებოდი, ისინი ცალკე საუბრობდნენ. თანხები ნინომ წაიღო... გზად ჩემი ძველი თანამშრომლის სასადილოში გამოვიარეთ. იქ გაიცნო ნინომ ოთარ ბერიაშვილი და გაიგო, რომ მისი სიძე პატიმარი იყო. უთხრა, რომ საადვოკატო ფირმა ჰქონდა და თუ რამე დასჭირდებოდა, დაეხმარებოდა.

მაისურაძე ადასტურებს, რომ თანხების აღებას ესწრებოდა: „ნინოს ამ თანხებიდან ჩემთვის არაფერი მოუცია, პირიქით, ჩემგან სხვადასხვა დროს, 2008 წლის ივნისიდან წაღებული აქვს 13.220 ევრო, 14.700 დოლარი, ასევე 6.500 დოლარი და 10.500 ლარი. მას ძალიან ვენდობოდი და ეს თანხები ვასესხე. იმ თანხიდან უკან მხოლოდ 3.000 დამიბრუნა“, — ირწმუნება მაისურაძე. ადვოკატ ვალოდია ტაბაღუას მტკიცებით კი, მისი დასაცავი უდანაშაულოა და თავად გახდა ჯარიაშვილის მსხვერპლი, რადგან მასაც გამოსძალა დიდძალი თანხა.

ვალოდია ტაბაღუა:

— სასამართლოზე გამოიკვეთა, რომ იმ 4 ეპიზოდში, რომელსაც მაისურაძეს ედავებიან, თანხები ნინო ჯარიაშვილმა აიღო. უშუალოდ ტუხაშვილისგან პირადად მან 40 ათასი დოლარი მიიღო; რაც შეეხება დომოცევას, ხმალაძეს და ხოსიტაშვილს, — აშკარად გამოიკვეთა, რომ ყველა ფული ჯარიაშვილმა მიიღო. წინასწარი გამოძიებისას ჯარიაშვილი აღიარებდა, რომ ჰყავდა ნაცნობები, რომელთა მეშვეობით შეეძლო, დახმარება აღმოეჩინა ამ ხალხისთვის. ჯარიაშვილი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიკავეს. მისი ჩვენების შემდეგ, სვეტა მაისურაძე აიყვანეს, მაგრამ ნინოს უთხრეს, თითქოს მაისურაძე დაკავებული ჰყავდათ და 4 ეპიზოდში მას ამხელდა. საქმე იოლად რომ გაეკეთებინათ და ჯარიაშვილს მხოლოდ ერთი ეპიზოდი ჰქონოდა, ეშმაკობა იხმარა. თქვა, — სვეტამ იცოდა, რომ გავლენიანი ხალხი მყავდა, წინასწარ მოიძია ეს ადამიანები, მათ თანხები გამოართვა, მე მისი ვალი მქონდა და შემომთავაზა, საქმეები გამეკეთებინა, თვითონ კი ამ ვალებს გამიქვითავდა და ის ფული ჩემამდე არ მოსულაო. მაგრამ ეს არ არის სიმართლე. რაც სასამართლოზე გამოჩნდა, სვეტამ ფული ჯარიაშვილს მოგვიანებით ასესხა, მაშინ ეს თანხები ამ ხალხისგან უკვე აღებული ჰქონდა. ჯარიაშვილი სვეტას ციხეშიც სულ ერთი და იმავეს უმეორებდა — რომ მას აეღო საკუთარ თავზე ეს დანაშაულები, თვითონ გარეთ გავიდოდა და მერე იქიდან მას იოლად დაეხმარებოდა. მაგრამ საქმეში ჯარიაშვილისგან კიდევ 2 დაზარალებული გამოჩნდა — კობეშავიძე და ჯანაშვილი და ის საპატიმროში დარჩა... მათ შორის კარგი ურთიერთობა იყო, ერთად მოძრაობდნენ ქალაქში ნინოს მანქანით; სვეტას ესმოდა, რომ მას ურეკავდნენ და რომ რაღაც საქმეებს აგვარებდა. დაინტერესდა დეტალებით. მაშინ უთხრა, რომ პატიმრების გამოყვანას ახერხებდა. სვეტამ ეს ხალხი ყოველგვარი ანგარების გარეშე გააცნო, მან პროცესზეც თქვა, — თუ ადამიანის გაცნობა დანაშაულია, მაშინ ეს ჩადენილი მაქვსო.

კითხვას, — თუ საქმე არ გამოდიოდა, დამატებით ამდენი ადამიანი რატომ დაეკავშირა მაისურაძემ ჯარიაშვილს? — ადვოკატმა ასე უპასუხა:

— ასეთი საქმე ერთ დღეში არ კეთდება. ეს ყველამ იცოდა. სწორედ ამ პერიოდში მოსალოდნელი იყო ამნისტია და იმ სიაში უნდა მოეხვედრებინა ეს ადამიანები; სწორედ ეს გამოიყენა და მისი სჯეროდა მაისურაძეს. შემდეგ კი თვითონ დასდევდა, დაზარალებულებთან ერთად, ჯარიაშვილს და მის მოძებნას ცდილობდა. ხან

გაგრძელება იხ. გვ. 63

„გათხოვილი" უცის ამბავი

ინგა ჯაყელი

ნათქვამია ცოლის ღალატს უბედური ქმარი ყველაზე გვიან იგებსო! — ალბათ ასეცაა, რადგან ბევრი იზიარებს, მაგრამ შალვაზე ამას ვერავინ იტყოდა. მშვენივრად იცოდა, რასაც წარმოადგენდა მისი ცოლი მაყვალა და კონკურსის შემთხვევაში ქორბუდა ირემიც ვერ აჯობებდა რქების „განშტოებებით"... თავის დროზე არც იმის გამო ჰქონია პრეტენზია, ქალწული რომ არ აღმოჩნდა მისი რჩეული... რა პრეტენზია უნდა ჰქონოდა, როცა თავად მოსდო ქვეყანას: ქალი ვარო, ოდიშელიძეების მაყვალამ უნდა თქვას, მილიონერ ბებერს აურია ტვინი, ცოლად გაჰყვა და მისი ქონების მემკვიდრეც გახდა ექვს თვეში დაქვრივებულიო!..

ისიც მშვენივრად იცოდა, 70-ს გადაცილებული გულით ავადმყოფი გერონტი რომ არ იქნებოდა მაყვალას პირველი კაცი. უფრო მეტიც, არც იმ ბავშვის მამა, ქმრის გარდაცვალების შემდეგ ორიოდე თვეში რომ გააჩინა ქალმა და ჩვილობაშივე ეტყობოდა ზურიას, არაფერი რომ არ ეცხო გერონტის ჯიშისა და გენის, მაგრამ გერონტი მაინც ბედნიერი წავიდა „სამოთხეში", რომ მისი ნაწვალები ქონება ოხრად და უპატრონოდ არ რჩებოდა... ბუნებრივია, მაყვალა კიდევ უფრო მეტ ბედნიერებას გრძნობდა, რომ უსახელო და „ნაბიჭვარი" კი არ გააჩინა, არამედ ქალაქის ყველაზე მდიდარი კაცის მემკვიდრე.

ხალხი კარგა ხანს იყო დარწმუნებული, რომ ადრე თუ გვიან, მაყვალა ზურიას ნამდვილ მამასაც გამოაჩენდა, გერონტის ქონებასაც უწილადებდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა და დასკვნის გაკეთებაც არ გასჭირვებიათ ბირჟის უმაქნისებს: — ალბათ არც იცის, ვისგან დაორსულდა, იმდენი ვინმე ამბობს, რომ მაყვალას ლოგინშია ნაკოტრიალებიო!..

თავადაც არ იცის, ვინ რჯიდა და რატომ გამოიდო თავი მაყვალას დასაცავად, მაგრამ ბიჭებს დაუპირისპირდა და ისე შეუტია, ყველას ჩააკმენდინა ხმა:

— ნუ იცით ყველაზე გლახის ლაპარაკი... რა დაგიშავათ იმ ქალმა ასეთი, ახლოს რომ არ გაგიკარათ და თავი არ გაგიყადრათ?! — ბოლმით გახეთქილებმა უკადრებელი არ უნდა იკადროთო.

— რავა განაწყენებული ქმარყოფილივით ლაპარაკობ, იქნება მისი ბაღანეც შენია და არ გვიმხელ! — დამცინავად გადახედა ბუჭუტიამ.

მომუშტა მარჯვენა შალვამ და გლიჯა ცხვირში. სისხლით შეუღება სახე... ძლივს დააშორეს ბიჭებმა ერთმანეთს ყოფილი ძმაკაცები...

ალბათ ბედისწერა იყო.

აჭორავდა ხალხი და მაყვალამდეც მივიდა ხმა: შენს დასაცავად გამოიდო თავი და ძმაკაცებსაც დაუპირისპირდაო!..

ჰოდა, იმით გადაუხადა ქალმა მადლობა, რომ უმუშევარი ინჟინერი თავისთან დაიბარა და კერძო ფირმის მმართველად დანიშნა პირდაპირ. მაღალი ხელფასიც დაუნიშნა.

უმუშევრობით გაწამებულმა ისე მოინდომა, მალე ორმაგი შემოსავალი მოუტანა მაყვალას ბიზნესს და ამანაც შეუწყო ხელი მათ დაახლოებას. მერე კი, რადგან არც გარეგნობა დაეწუნებოდა კაცს, მაყვალამ იქით შესთავაზა თავისი გულიც, ხელიც, თავიც და დამატებით, ზურიას მამობაც...

კი შეეცოდა შალვას თავი მაყვალას რეპუტაციის მქონე ქალის ქმრობისთვის, მაგრამ... როგორი სათქმელი იყო უარი იმ ქონებაზე, გერონტიმ რომ დაუტოვა თავის ქვრივს და შალვამ თითქმის გააორმაგა ჭკვიანი გათვლებით?!.

„მისთხოვდა" მაყვალას. პირველი საქორწინო ღამის შემდეგ, ნახევრად ხუმრობით უთხრა:

— პირველობის პრეტენზია არ მქონია, მაგრამ იმედია, მეორე მაინც ვარ!..

რა დაავიწყებს ირონიას მაყვალას თვალებსა და ორაზროვან ღიმილში, რომელმაც რუსულად წაუმღერა: „Каждый, кто не первый, тот всегда второй!.."

მერე კი დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო:

ხან დუბაიში მიემგზავრებოდა მაყვალა ბიზნესპარტნიორთან „საქმიან" შეხვედრაზე და ხანაც ანტალიაში, ორჯერ პარიზში იყო და ორჯერაც მაიამიში...

ხალხი ენას იფხანდა შალვაზე აუგის ლაპარაკით. ისიც ხვდებოდა, მაგრამ გულს ასკდებოდა და სიმართლეს თვალს ვერ უსწორებდა: იცოდა — თუ მაყვალას მოთოკვას დააპირებდა, ქალი ისევე შიშველტიტველს მოისვრიდა გარეთ, როგორიც შინ მიიყვანა და რომ წასულიყო, სად წასულიყო: სახლში მიესვლებოდა თუ ბირჟაზე, ძველ ძმაკაცებთან?!.

თან, მაყვალა ფეხმძიმედ იყო და შვილზე როგორ ეთქვა უარი?!.

არადა, სწორედ შვილის დაბადებამ დასცა საბოლოოდ, თავზარი: ქერა და მწვანეთვალება შალვას ზანგივით შავტუხა და თმახუჭუჭა გოგონა გაუჩინა მაყვალამ. თან უსირცხვილოდ გაუღიმა:

— შენ რომ დაგმსგავსებოდა, კარგი იყო, მაგრამ რას ვიზამთ?!.

არა, ზანგი არ იყო პატარა ტასიკო, მაგრამ მისი მუქი კანის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, მამამისი ან დუბაიში უნდა გვეძებნა, ან ანკარაში...

ამასაც შეეგუა შალვა, კიდევ ბევრ რამეს, სიღარიბისა და უმუშევრობის შიშით. იმასაც, რომ სულ უფრო და უფრო ხშირად უტეხდა ძილს ერთი და იგივე სიზმარი: როგორ იდგა სარკის წინ და ამაოდ ცდილობდა შუბლზე ამოსული რქების მოხერხვას... თან, იმას ჯავრობდა: სხვებმა არ დაინახონ. სანამ ვინმეს შევუსწრივარ, მანამდე უნდა დავიცალოო! — თორემ საკუთარი თავის მოტყუებას კარგა ხანია, აღარ ცდილობს... ■

სამყარო

უცხოელების მოსაზიდად „დაგებული მახე“ და ხელოვნება, რომელიც ბიზნესმენებს ფულს „აფლანგვინებს“

მხატვარ-დიზაინერი და ჭედურობის ოსტატი ზურაბ მშვილდაძე ყველაფერს განსხვავებული თვალით უყურებს და შემდეგ ნანახი საკუთარ შემოქმედებაში გადააქვს. მისი ნამუშევრებით, როგორც ქართველი, ისე უცხოელი ბიზნესმენები ინტერესდებიან. რამდენად რთულია მისი პროფესია და რას მიიჩნევს დიზაინერი ყველაზე ღირებულად საკუთარ შემოქმედებაში? რა სახის დიზაინს ანიჭებენ უპირატესობას ქართველი ბიზნესმენები და როგორი რესტორნები ხიბლავს უცხოელებს საქართველოში? — ამ და სხვა კითხვებზე თავად ოსტატი გაგვცემს პასუხს...

სოფო მინაშვილი

— მამაჩემი ძალიან კარგად ხატავდა და ხელოვნებამ მეც ბავშვობიდანვე გამიტაცა. 1960-70-იან წლებში საქართველოში ხელოვნების ერთ-ერთ წამყვან დარგად ჭედურობა მიიჩნეოდა, მასზე მოთხოვნილება მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იყო და შესაბამისად, საკმაოდ სარფიან ხელობადაც მიიჩნეოდა. ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ 1979 წელს სამხატვრო აკადემიაში, გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე ჩავაბარე, სადაც ხის, ლითონებისა და სხვადასხვა მასალის დამუშავება ისწავლებოდა. ჩემი პედაგოგი გახლდათ ქართული ჭედურობის ამღორძინებელი, ბატონი სოსო ქოიავა, რომელიც მოგვიანებით აკადემიის რექტორიც გახდა. ყველაზე ღირებული, რაც მისგან ვისწავლე, ნამუშევარში ქართული სულის ჩადებაა. ჭედურობის აღორძინება იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ქართული რესტორნების მოწყობა ნაციონალურ სტილში დაიწყეს. სტუდენტები ლექტორებთან ერთად ხშირად ვსაუბრობდით იმის შესახებ, თუ როგორ მოწყობილ რესტორანში ჯობდა წასვლა და პურისჭამას ისეთ ადგილებში ვამჯობინებდით, სადაც ბუხარი, სასიამოვნო გარემო და ნამდვილი ქართული დარბაზული ტიპის ინტერიერი იყო. იცით, როდესაც უცხოელები საქართველოში ჩამოდიან, ისინიც სწორედ ამგვარ რესტორნებში დადიან და იქ ბევრ ფულსაც ტოვებენ. მათ არ აინტერესებთ თანამედროვე რესტორნები ან ე.წ. Fast Food-ები, რომლებითაც სავსეა მთელი მსოფლიო. უცხოელები იმით ინტერესდებიან, რაც მათთვის უცნობია, რასაც სხვაგან ვერსად ნახავენ.

— გვიამბეთ თქვენი საქმიანობის შესახებ...

— აკადემიის დამთავრების შემდეგ „ეროვნულ დიზაინში“ დავიწყე მუშაობა, მიწევდა სხვადასხვა დაკვეთის შესრულება, იქნებოდა ეს — ნაციონალურ სტილში გადაწყვეტილი მარნის, ბუხრის, მაღაზიისა თუ ბარის ექსტერიერისა და ინტერიერის მოწყობა. აკადემიაში ყოველმხრივი განათლება მივიღე და ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, რა მასალაზე და რის დიზაინზე მომიწევს მუშაობა. ხელით ვასრულებ ესკიზებს ფერში და მყავს ოპერატორი, რომელსაც ყველაფერი სამ განზომილებაში გადაჰყავს ანუ დიზაინის ვირტუალიზაციას ახდენს. ჩემი ასაკის ადამიანისთვის კომპიუტერული პროგრამების ათვისება ძნელია, თანაც, მხატვრისთვის ფანქარი შეუცვლელი რამ არის. დიზაინზე მუშაობის დასრულების შემდეგ, თუ ამის დრო და საშუალება მაქვს, ყველაფრის უშუალოდ შესრულებაც შემიძლია. კომპლექსურად ვმუშაობ ხეზე, ქვაზე, ლითონზე და ეს ყველაფერი ერთად ქმნის ეროვნულ ქართულ სტილს, რომელიც ძალიან ჰგავს სკანდინავიურს, ძველ ინგლისურს — დაძველებული ხე, ლითონით მოჭედილი კარი, ქვის იატაკი და ა.შ. ქართველებს ძირითადად, პურისა და ვაზის მომყვან ხალხად გვიცნობენ. როდესაც ესკიზებზე ვმუშაობ, სულ იმაზე ვფიქრობ, უცხოელი საქართველოში რომ ჩამოვა, თავი კომფორტულადაც იგრძნოს და ამავე დროს, ეთნოგრაფიული და მხატვრული ელემენტების დახმარებით, საქართველოს ისტორიას გაეცნოს. არა მარტო უცხოელს, არამედ ქართველსაც სიამოვნებს, როდესაც რესტორანში შედის და სადილობისას მისი კუთხისთვის დამახასიათებელ ნივთებს უყურებს.

— რამდენადაც ვიცი, თქვენი ოსტატობით უცხოელებიც დაინტერესდნენ...

— საქართველოში ჩამოვიდა ერთ-ერთი ყაზახი ბიზნესმენი, რომელიც ბატონმა ვახში ჟვანიამ გამაცნო. აქ ყოფნის დროს ის ჩემს ნამუშევრებს გაეცნო და ძალიან მოეწონა. ის კაცი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იყო ნამყოფი და ამბობდა: ქართული სამზარეულო საოცრე-

1987 წელს ღვთისმშობლის ხატი დავწერე, შემდეგ კი ამ ხატის ასლი გავაკეთე და ახლობელს ვაჩუქე. ხატს მირონი წამოუვიდა

ბაარ. მისი მეუღლეც აღფრთოვანებული იყო ქართული კერძებით. ბიზნესმენმა მთხოვა, ქართულ ეროვნულ სტილში გადაწყვეტილი რესტორანი ყაზახეთშიც გამეკეთებინა. მას სურდა, ეს არა მარტო რესტორანი, არამედ ერთგვარი „ქართული სახლი“ ყოფილიყო, სადაც ჩვენი პროდუქციის (მაგალითად, სულუგუნის ან სხვადასხვა ქართული სუვენირის) რეალიზება მოხდებოდა. გადავწყვიტე, ის რესტორანი თემატურად დავტვირთო და კედლებზე ფერწერული ნამუშევრები გამოვფინო, რომლებზეც საქართველოს სხვადასხვა კუთხის კერძები მხატვრულად იქნება გადმოცემული. ამჟამად ყაზახეთში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. იქ უკვე გავგზავნე გრაფიკულად დამუშავებული ესკიზები და ყველაფერს მათი მიხედვით შეასრულებენ.

ბიზნესმენმა მთხოვა, ქართულ ეროვნულ სტილში გადაწყვეტილი რესტორანი ყაზახეთშიც გამეკეთებინა

— საქართველოში თქვენი დიზაინით გაკეთებული ბევრი რესტორანია?

— აქ რესტორანზე არ მიმუშავია. ძირითადად, მარნები მაქვს გაკეთებული და ბარი — წავკისში. სხვათა შორის, ერთი მარანი თბილისის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ ოფისში გავაკეთე, რომლის მფლობელიც ცნობილი ბიზნესმენია. მას რესტორნებში სიარული არ უყვარს და მთხოვა, — ყველაფერი აქვე მომიწყვე, მინდა, მწვადის შეწვაც თავად შევძლო და თუ დამჭირდება, მზარეულიც აქ მოვიყვანოო... დიზაინის შერჩევამდე, ვიწყებ იმის გარკვევას, თუ რა სურს დამკვეთს, რომელი კუთხიდანაა ის წარმოშობით, რამდენადაა გათვითცნობიერებული ღვინის კულტურაში, რას ანიჭებს უპირატესობას — თანამედროვე თუ ძველებურ, ე.წ. ციხესიმაგრეების სტილს და ა.შ.

— წარმოშობით საიდან ხართ?

— იმერეთიდან ვარ, ბაღდათის რაიონის სოფელ მეორე ობჩადან, რომელიც დასავლეთ საქართველოში მეღვინეობის ერთ-ერთ კერად მიიჩნევა. სამწუხაროდ, იმერეთთან აქტიური კავშირი არ მაქვს — ჩემი წინაპრები იქიდან 30-იან წლებში წამოვიდნენ. სამაგიეროდ, ხშირად ჩავდიოდი დედულეთში — გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვემო ერკეთში. გურიაში ისლით გადახურულ სამზარეულოებს მოვესწარი, სადაც შუაცეცხლს ანთებდნენ, დღეს კი ყველაფერი ბლოკითა და „ცინკითაა“ გადახურული, რაც გულს მიღონებს, რადგან გურიამ თავისი ეთნოგრაფიული სტილი დაკარგა. სხვათა შორის, ძალიან მიყვარს ეთნოგრაფიულ მუზეუმში ასვლა, სადაც საქართველოს ყველა კუთხისთვის დამახასიათებელი სახლები და ნივთებია წარმოდგენილი.

ერთი მარანი თბილისის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ ოფისში გავაკეთე

— თქვენი ოჯახის შესახებაც მიამბეთ... შვილებს თუ აღმოაჩნდათ მამის ნიჭი?

— ორი შვილი მყავს — ქალ-ვაჟი. მინდა, ერთი ამბავი მოგიყვეთ. 1987 წელს ღვთისმშობლის ხატი დავწერე, შემდეგ კი ამ ხატის ასლი გავაკეთე და ახლობელს ვაჩუქე. ხატს მირონი წამოუვიდა. 1992 წელს, მარიამობას გოგონა, მარიამი შემეძინა, 1993 წელს, გიორგობას კი ვაჟი — გიორგი. რატომღაც, ამ ამბებს ერთმანეთთან ვაკავშირებ. სხვათა შორის, ის ხატი პატრიარქმაც ნახა და აკურთხა... რაც შეეხება შვილების ნიჭიერებას, ჩემს ვაჟს დიზაინერობის ნიჭი ნამდვილად აქვს, მაგრამ ის ავტომობილების დიზაინითაა დაინტერესებული.

— ამჟამად რაზე მუშაობთ?

— ამჟამად თანამედროვე სტილის ბარის დიზაინზე ვმუშაობ და მოლაპარაკებას ვაწარმოებ ერთ-ერთ აზერბაიჯანულ კომპანიასთან, რომელიც ყაზახეთში გაკეთებული „ქართული სახლის“ ანალოგიური პროექტითაა დაინტერესებული. ვნახოთ, როგორ წარიმართება საქმე...

— წარმატებას გისურვებთ! ■

Volkswagen-ის ახალი კროსოვერი

ჩინურ გუანჩჟოუში გამართულ ავტოსალონზე კომპანიამ — Volkswagen — განახლებული კროსოვერი VW Tiguan წარადგინა. ავტომობილის ფოტოების მიხედვით, კროსოვერს VW Golf-ისა და Polo-ს სტილში გადაწყვეტილი, ახალი რადიატორის ცხაური, მოდერნიზებული წინა ბამპერი და ოდნავ შეცვლილი ფარები აქვს. სალონში კლიმატ-კონტროლის ახალი ბლოკი, დიდი დისპლეის მქონე ხელსაწყოთა განახლებული პანელი და საჭე გამოჩნდა — ყველა ეს დეტალი კონსტრუქტორებმა მეექვსე „გოლფისგან“ „აიღეს“. ამ ეტაპზე უცნობია, როდის შეუდგებიან განახლებული კროსოვერის გამოშვებას. ■

„პეჟო“ ორ სედანს ერთი ავტომობილით ჩაანაცვლებს

კომპანია სედანების — 407 და 607 — ერთი ავტომობილით შეცვლას აპირებს, რომელსაც Peugeot 508 ეწოდება. ამის შესახებ ჯგუფ PSA-ს პრეზიდენტმა, ფილიპ ვარინმა განაცხადა. მართალია, ავტომობილზე დაწვრილებითი ინფორმაცია ჯერჯერობით, არ გამოუქვეყნებიათ, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ გარეგნულად იგი Peugeot RC Hybrid4-ის პროტოტიპი იყოს, რომელიც გასულ წელს, პარიზის ავტოსალონზე წარადგინეს. სავარაუდოდ, მას ოთხკარიანი კუპეს ახალმოდურ ძარას დაუმონტაჟებენ. Peugeot 508-ის პროტოტიპს 1 წლის შემდეგ, პარიზის ავტოშოუზე წარადგენენ. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, Peugeot 407-ის შემცვლელი 2009 წლის ბოლოს ან 2010 წლის დასაწყისში უნდა წარმოედგინათ და სიახლეს Citroen C5-ის პლატფორმა უნდა ჰქონოდა. ამჟამად, როგორც ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, Peugeot-ის ახალი მოდელის დებიუტი შესაძლოა, Citroen-ის პრემიალური ხაზის ახალი მოდელის გამოჩენას დაემთხვეს. ■

„აუდის“ 5-კარიანი ჰეჩბეკ-სედანი

ფოტოგრაფებმა სერიული წარმოებისთვის გამზადებული ავტომობილის — Audi A7 — ფირზე აღბეჭდვა მოახერხეს. ის დიდი, ხუთკარიანი ჰეჩბეკ-სედანია, რომელიც Audi A6-სა და Audi A8-ს შორის ნიშას დაიკავებს. სიახლის დებიუტი წლის ბოლოს, აზიის ერთ-ერთ ავტოშოუზე ან 2010 წლის იანვარში, დეტროიტის ავტოსალონზე შედგება. ზოგიერთი მონაცემით, Audi A7 Audi A6-ის მოდერნიზებულ პლატფორმაზე აიგება. მას quattro-ს სრულამძრავიანი საფირმო სისტემა ექნება.

A7-ისთვის ყველაზე მძლავრი ძრავებია გათვალისწინებული. ესენია: 3-ლიტრიანი, ბენზინის V6 მოტორები და 8-ცილინდრიანი, როგორც ბენზინის, ისე დიზელის აგრეგატები. გამორიცხული არც ისაა, რომ ტიპურ მოდიფიკაციას ახალი ორტურბინიანი V8 ძრავა ექნება, რომლის დებიუტიც რამდენიმე დღეში შედგება. Audi A7 გარეგნულად Audi A5 SportBack-ის მსგავსი იქნება — ეფექტური ფარებითა და ისეთი გვერდითი მინებით, რომლებსაც ჩარჩო არ ექნება. ■

არალეგალური რბოლა „ფორმულა-1“-ის ტრასაზე

გერმანული ჰოკენჰაიმის პოლიციამ არალეგალური რბოლა აღკვეთა, რომელიც ლეგენდარულ ტრეკ „ჰოკენჰაიმრინგზე“ ღამით მოაწყვეს. როგორც ცნობილია, „ფორმულა-1“-ის რბოლები სწორედ ამ ტრასაზე იმართება. ოპერაციაში დაახლოებით, 50 ოფიცერი მონაწილეობდა, რომელმაც 43 ავტომობილში მყოფი 100 კაცი დააკავა. სამართალდამცავთა მონაცემებით, არალეგალური რბოლების მონაწილენი ერთიმეორეს ინტერნეტის საშუალებით შეუთანხმდნენ, შემდეგ ახლოს მდებარე ერთ-ერთ პარკინგში შეხვდნენ და ტრასაზე ორგანიზებულად შევიდნენ. თუ როგორ მოახერხა 43-მა ავტომობილმა 4,5 კმ-ის სიგრძის ტრასაზე შეუმჩნევლად შეღწევა, უცნობია. სხვათა შორის, საგზაო ინსპექტორთა თქმით, მათ აქვთ მონაცემები, რომლის თანახმადაც, ამგვარი რბოლები იქ რეგულარულად ეწყობოდა. პოლიციური ოპერაციის შედეგად არალეგალური რბოლის თითოეული მონაწილე სოლიდური თანხით დაჯარიმდა. ■

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

„ინდიგო“ ბავშვები ანუ იისფერი რასის წარმომადგენლები

თავდაპირველად, ტერმინი — „ინდიგო ბავშვები“ ნათელმხილველმა და ფსიქოლოგმა, ნენსი ენ ტეპმა საკუთარ წიგნში ახსენა. ნენსი მოგვითხრობდა, რომ ზოგიერთ ახალშობილს ინდიგოსფერი (საშუალო მუქ ლურჯსა და იასამნისფერს შორის) აურა ჰქონდა. მისივე თქმით, 10 წლის ბავშვების 90% ინდიგოა.

იისფერი ბავშვების დაბადების მრავალი ვერსია არსებობს, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია სამი მათგანი: ინდიგო ბავშვი უცხოპლანეტელთან შერწყმით იბადება, ღვთის საჩუქარია და ადამიანის ბუნებრივი მუტაციაა.

10-15 წლის წინ აშშ-ის სკოლებში შეამჩნიეს, რომ ბავშვები ცუდად სწავლობდნენ, ცოტა ხანში კი ისინი ფსიქიკურად განუვითარებლებად მიიჩნიეს და ფსიქოტროპული წამლებით დაუწყეს მკურნალობა. თუმცა, მალევე გაირკვა, რომ ეს ბავშვები დებილები კი არა, მაღალი ინტელექტის მქონეები იყვნენ. უბრალოდ, ის საგნები, რასაც მათ სკოლაში ასწავლიდნენ, მოსაწყენად ეჩვენებოდათ.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ინდიგო ბავშვებს ადვილად შეუძლიათ ადამიანის განწყობილების ამოცნობა, აქვთ ტელეპათიური ნიჭი. ისინი საკმაოდ გვიან, 3-4 წლის ასაკში იწყებენ ლაპარაკს, მაგრამ გარშემო მყოფებთან კონტაქტის არანაირი პრობლემა არა აქვთ. ასეთ ბავშვებს ექიმები ხშირად უსვამენ დიაგნოზს: „მეტყველების განვითარების ანომალია“.

მიუხედავად იმისა, რომ მაღალი IQ (Intellect Quality — ინტელექტის ხარისხი) აქვთ, როგორც წესი — 160-ის ზევით, დისლექსია ანუ კითხვასთან დაკავშირებული პრობლემა აქვთ, უფრო ხშირად კი ალექსია ახასიათებთ ანუ — წაკითხულიდან ვერაფერს იგებენ. სამაგიეროდ, კარგად ერკვევიან ტექნიკაში (მობილურებსა და კომპიუტერში). მათ სუპერინტელექტი აქვთ და ნებისმიერ სფეროში წარმატებას აღწევენ.

სხვათა შორის, ისრაელში ასეთი კანონი არსებობს: ნებისმიერ სტუდენტს, რომელსაც IQ 160-ზე მეტი აქვს, მსოფლიოს ნებისმიერ უნივერსიტეტში, სახელმწიფოს ხარჯზე შეუძლია სწავლა.

■

ხვლიკი – კულტურისა და ვაჭრობის სიმბოლო

ხვლიკები რეპტილიების რიგისა და გველების უახლოესი ნათესავები არიან. ცნობილია 3800-მდე სახეობის ხვლიკი. ისინი ყველა კონტინენტზე ბინადრობენ, გარდა ანტარქტიდისა. მათ ისეთ გაუსაძლის პირობებშიც კი შეუძლიათ არსებობა, როგორიც კალიფორნიის სიკვდილის ველი და ჰიმალაის მთებია (5500 მეტრი ზღვის დონიდან).

არქეოლოგიური გათხრების დროს უძველესი ხვლიკების ძვლებს მიაგნეს. 160 მლნ წლის წინ მცხოვრები რეპტილიის სიგრძე 6-დან 11 მეტრამდე ყოფილა.

ხვლიკების ძირითადი შეფერილობა შავი, ნაცრისფერი და მწვანეა. თავის გადარჩენის მიზნით, მათ თავისუფლად შეუძლიათ ფერის შეცვლა. არსებობენ ხვლიკები, რომლებსაც სირბილი შეუძლიათ და თუ საფრთხე იგრძნეს, 12 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებენ. რეპტილების მტერია გველი, ჩიტი და ადამიანი. ცნობილი ფაქტია, რომ მოწყვეტილი კუდის ადგილას ახალი ამოსდით.

უცნაური ხვლიკები

* ქამელეონს ძალიან გრძელი ენა აქვს და ერთდროულად, სხვადასხვა მხარეს გახედვა შეუძლია.

* გეკონებს ვერტიკალურად, თანაც, ფეხებით ზემოთ აძრომა შეუძლიათ.

* მოლოხი ავსტრალიის უდაბნოში ბინადრობს და თუ სინესტეს მიაგნო, წყალს ტანზე არსებული ეკლებით შეისრუტავს.

* მფრინავ დრაკონ აგამას მოკლე მანძილებზე გადაფრენა შეუძლია.

ეგვიპტურ მითოლოგიაში ხვლიკს სიბრძნისა და წარმატების სიმბოლოდ მიიჩნევენ, ძველი ბერძნებისთვის ის მერკურის — ვაჭრობისა და მჭევრმეტყველების სიმბოლო გახლდათ, ხოლო ავსტრალიის აბორიგენებში ხვლიკი ტაროტარო კულტურის სიმბოლოდ მიიჩნევა.

■

ორიგინალური ავტომობილები და პირველი ავარია



პირველი თვითმავალი ეტლის იდეა ლეონარდო და ვინჩის ეკუთვნის. მან 1515 წელს მთავრობას სამხედრო მიზნებისთვის განკუთვნილი თვითმავალის პროექტი წარუდგინა. მისი ნახაზები 2004 წელს, ფლორენციის ისტორიისა და მეცნიერების მუზეუმის ექსპერტებმა შეისწავლეს და იდეის სისწორე დაამტკიცეს.

1886 წლის 4 აპრილს პირველი ავტომობილი კარლ ფრიდრიხ ბენცმა შექმნა. სამბორბლიანი და ორადგილიანი მანქანის სიჩქარე 16 კმ/სთ იყო (აქვე მოგახსენებთ, რომ პირველი ავტოშეჯიბრება აშშ, 1895 წელს ჩატარდა და გაიმარჯვა მანქანამ, რომლის სიჩქარეც 24 კმ/სთ გახლდათ). 1893 წელს კომპანია „ბენცმა“ ოთხბორბლიანი ავტომობილი — „ვიქტორია“, შემდეგ კი „ველო“ შექმნა. მოგვიანებით კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორი ემილ ელინეკი გახდა და სწორედ მისი ქალიშვილის, მერსედესის პატივსაცემად დაარქვეს ავტომობილს „მერსედეს-ბენცი“.



კომპანია წლიდან წლამდე აუმჯობესებდა ავტომობილებს და სწორედ მაშინ გაჩნდა ფრაზა: არსებობს უამრავი ავტომობილი და არსებობს „მერსედესი“.

პირველი ავარია 1896 წლის 30 მაისს დაფიქსირდა — ნიუ-იორკში ელექტრომობილი, რომელსაც ჰენრი უელსი მართავდა, ველოსიპედისტს დაეჯახა და მას ფეხი დაუზიანა.

პირველი ავტომობილის შექმნიდან დღემდე ბევრი რამ შეიცვალა და ამერიკელებმა უკვე მფრინავი ავტომობილიც შექმნეს. დღესდღეობით, მსოფლიო მასშტაბით 50-მდე ავტოკომპანია არსებობს.

ყველაზე, ყველაზე...

* ყველაზე პატარა, ორადგილიანი ავტომობილი — Peelp50 1962 წელს, ინგლისში გამოუშვეს. მისი სიგრძე 134, ხოლო სიგანე 99 სმ იყო. ავტომობილს არ შეეძლო უკუსვლა, მაგრამ ვინაიდან მხოლოდ 59 კგ-ს იწონიდა, მძღოლს შეეძლო, ხელით შემოეტრიალებინა. ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 64 კმ/სთ იყო.

* ავტომობილებს შორის ყველაზე გრძელი გახლდათ 1938 წელს წარმოებული Dusenberg SJ Taun-qari — 6.25 მეტრი. ეს ავტომობილი ყველაზე მძიმეც იყო — 2903 კგ-ს იწონიდა.

* ყველაზე სწრაფი ავტომობილებია: SCC Ultimate Aero TT, რომლის მაქსიმალური სიჩქარეა 437 კმ/სთ; Bugatti Veyron — 406 კმ/სთ (სხვათა შორის, წელს ეს ავტომობილი 1.192.057 დოლარად გაიყიდა) და Koenigsegg CCX, რომელიც 395 კმ/სთ ავითარებს.

* ლიმუზინი სადღესასწაულო მანქანაა და საკმაოდ ძვირად ღირებულიც. ევროპული მანქანის სიგრძე 6,6 მეტრს შეადგენს, ამერიკულისა — 7-დან 10 მეტრამდე. ის მხოლოდ სამი ფერის გამოდის — თეთრი, შავი და ვარდისფერი. ლიმუზინის სალონის სავარძლები აუცილებლად, ტყავის უნდა იყოს. აღჭურვილია ბარით, მაღალი ხარისხის აუდიო და ვიდეოსისტემით, თანამგზავრული ტელეფონითა და სხვა დეტალებით. ლიმუზინებს შორის ყველაზე გრძელს — 10-მეტრიანს 14 მგზავრის გადაყვანა შეუძლია. სპეციალურად არაბი შეიხისთვის დამზადებული ლიმუზინის სიგრძე 22 მეტრია, შოუბიზნესის წარმომადგენელთათვის დამზადებული — 26-ბორბლიანის სიგრძე კი 30,3 მეტრს აღწევს. ■

ამოუცნობი სასწაული

1982 წლის 24 სექტემბერს ნორვეგიელმა ბიარნე ლილევოლდმა გზაზე უჩვეულო ნათება შენიშნა — სფეროს ფორმის გამოსახულება ალისფრად ანათებდა, მიწისკენ დაშვებისას ფერმკრთალდებოდა, ჰაერში აწევისას კი უფრო მკვეთრი ხდებოდა. ამ მოვლენას ჰესდალენის ცეცხლს უწოდებენ, რადგან ფენომენი ხშირად ჩნდება ნორვეგიის სამხრეთ ველზე. დაიწყო ნათების კვლევა, მაგრამ მას ვერანაირი ახსნა ვერ მოუძებნეს. სფეროს დიამეტრი დაახლოებით, 2-3 მეტრია. მას შეუძლია ერთ ადგილზე დიდხანს (ერთ საათამდე) გაჩერება ან 20 კმ-ის მანძილზე გადაადგილება. ფოტოს გადაღების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სფერო გამჭვირვალეა — მის უკან გარკვევით მოჩანს უკანა ფონი — ველი და მთები.

მკვლევართათვის ყველაზე უჩვეულო ლაზერის სხივზე სფეროს რეაქცია აღმოჩნდა — ერთხელ ჯგუფის ხელმძღვანელმა, ერლინგ სტრანდმა სფეროს ლაზერის სხივი მიანათა. შედეგად, სიკაშკაშემ იმატა და სფეროც ორმაგად გაიზარდა. როცა ლაზერი გამორთეს, ნათება ჩვეულ ზომას დაუბრუნდა. ასეთი რეაქცია 9-დან 8 შემთხვევაში განმეორდა. ■

რუბრიკა მოამზადა **რუსუდან გელაშვილმა**

ავსებთ თუ არა ერთმანეთს?

თანაცხოვრების პირველი წელიწადის ბოლოს, შეგიძლიათ თამამად თქვათ, რომ თავისებურ გამოცდას გაუძელით: თქვენ ძველებურად გიყვართ ერთმანეთი, მაგრამ მაინც... ჰორიზონტზე ძლივს შესამჩნევი ღრუბელი გამოჩნდა. ვინ იცის, რამდენი წელი მოგიწევთ ერთად ყოფნა და ბედნიერები იქნებით თუ არა?!. და მაინც, რამდენიმე სიგნალი მეტ-ნაკლები სიზუსტით გკარნახობთ, როგორი იქნება თქვენი მომავალი:

ნდობა

ერთი წლის განმავლობაში ურთიერთნდობა დაიმსახურეთ, თუმცა მამაკაცი თავისი ქცევებით ადასტურებს, რომ მარტოც მშვენივრად გრძნობდა თავს, ქალი კი ღამღამობით „მკითხაობს“, მას ეკუთვნის თუ არა პარტნიორის გული. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თქვენმა ურთიერთობამ კულმინაციას მიაღწია, მაგრამ ფაქტია, ერთ-ერთი თქვენგანი (ან შეიძლება ორივე) დისკომფორტს განიცდის.

სისუსტეთა შეცნობა

წყვილთა ურთიერთობაში კრიზისის გამომწვევი, უპირატესად, ერთის დაჟინებული მცდელობაა — გარდაქმნას მეორე. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ მშვიდად უნდა შეეგუოთ თქვენი რჩეულის უარყოფით თვისებებს, მაგრამ წყალში ჩაყრილია შრომა, როცა ცდილობთ, მოათვინიეროთ და პედანტად აქციოთ ბუნებით დაუდევარი მამაკაცი; ან თუ პარტნიორად მეოცნებე ადამიანის ნატურის ადამიანი აირჩიეთ, მოგიწევთ შეეგუოთ მის არაკეთილგონივრულ და არაპრაქტიკულ ექსპერიმენტებს. ხოლო იმ მამაკაცმა, ვისაც დაუოკებელი ტემპერამენტის მქონე ქალი ჰყავს გვერდით, უნდა გაითვალისწინოს, რომ მის გულის სწორს ხანდახან „გიჟური“ იდეები შეაწუხებს. დიახ, სიყვარული ცვლის ადამიანს, მაგრამ არა იმდენად, რომ ხელახლა აღზარდოს.

ლაპარაკის და მოსმენის უნარი

იქნებ მიგაჩნიათ, რომ საიდუმლო თქვენ შორის არ არსებობს და უსიტყვოდ უგებთ ერთმანეთს? თუ ასეა, მაშინ ღირს დაფიქრდეთ — ეგებ ერთ-ერთი თქვენგანი სიმართლეს ბოლომდე არ ამხელს ან სულაც, „დუმილის უფლება აქვს არჩეული“?

ურთიერთშევსება

ვუხდებით თუ არა ერთმანეთს? — ეს საკითხი ბევრს აღელვებს. როგორც ფსიქოლოგები ირწმუნებიან, ხასიათის სრული შეწყობა, კავშირის განვითარებისათვის ისეთივე გამოუსადეგარია, როგორიც მკვეთრად გამოხატული აშკარა შეუთავსებლობა. კავშირს ცხოვრებისეულ ძალას სწორედ პარტნიორების ურთიერთშეფასება აძლევს.

ხშირად პარტნიორში ჩვენი „მეს“ ფარულ ნაწილს ვეძებთ და მაშინ, რაციონალურ მამაკაცს ემოციური ქალი უყვარდება; ხოლო ზედმეტად დისციპლინირებული ქალბატონი მოვალეობებისგან თავისუფალ მამაკაცს ირჩევს. ერთიან კავშირში, ურთიერთშევსებით, ორივე პარტნიორი იგებს.

საერთო ინტერესები

განსხვავებული ტემპერამენტის ადამიანები საუცხოოდ ავსებენ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, მათ საერთო ინტერესების მინიმუმი მაინც უნდა გამონახონ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ ერთსა და იმავე პოლიტიკურ პარტიას უნდა მისცენ ხმა ან ერთსა და იმავე კერპს ეთაყვანონ — საკმარისია, ერთი მათგანი მეორის მხოლოდ ერთ სერიოზულ გატაცებას იზიარებდეს. საერთო ინტერესები მეგობრობის საუკეთესო ფუნდამენტია. მართალია, მეგობრობა სიყვარულს ვერ შეცვლის, მაგრამ მაინც, მეგობრობაა ის ძალა, რომელიც პარტნიორებს სირთულეს დააძლევინებს.

ვნება და სინაზე

სამწუხაროა, თუ ურთიერთლტოლვა მოწყენილობით ან სიახლოვის დაკარგვით შეიცვლება. ბუნებრივია, სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვაგვარი სექსუალური მოთხოვნილება აქვს. დასაწყისში ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, მაგრამ ხანგრძლივი ურთიერთობისას, პარტნიორებს სექსუალური ცხოვრების რიტმი შეთავსებული უნდა ჰქონდეთ.

სექსუალურობა — ორი ადამიანის კავშირის ბარომეტრია. თუ გსურთ, რომ სიყვარული გაიხანგრძლივოთ, ეცადეთ, დაუოკებელი ვნება ყოველდღიური სექსით შეცვალოთ. ველური ვნების ცეცხლს პარტნიორები დიდხანს ვერ უძლებენ. საჭიროა, იცოდეთ, რომ მოზომილი ურთიერთობები პარტნიორებს ნაზ და ვნებიან სიყვარულს უხანგრძლივებს.

კამათის ხელოვნება

კონფლიქტები ბედნიერ წყვილებს შორისაც იჩენს თავს, მაგრამ კამათის ხელოვნებას სწორედ ისინი ფლობენ. კამათის სიმწვავის ხარისხი კარის მიჯახუნების სიძლიერითა და დამტვრეული თეფშების რაოდენობით კი არ განისაზღვრება, არამედ კონფლიქტის მოგვარების შემდეგ წყვილის ურთიერთობით: ცხარე კამათის შემდეგ, წყვილის ურთიერთობაში რაღაც უნდა გაირკვეს და შეიცვალოს.

საჭიროა სიცილი

არანაკლებ მნიშვნელოვანია საკუთარ და პარტნიორის შეცდომებს იუმორით შეხედოთ. ეს დაძაბულობის განმუხტვის საუკეთესო საშუალებაა, თუმცა ხანგრძლივი ბედნიერი თანაცხოვრების გარანტიას არ წარმოადგენს. ■

დღისა და საღამოს მაკიაჟი

ყველა ქალს სურს, ლამაზად გამოიყურებოდეს, მაგრამ მაკიაჟის გაკეთებისას ხშირად უშვებენ შეცდომებს, რაც უმალვე მათ გარეგნობაზე აისახება. თუმცა ამ შეცდომების თავიდან აცილებაც არ არის რთული, თუკი რამდენიმე მარტივ რჩევას გაითვალისწინებთ:

ტუჩების მოცულობის გაზრდის მიზნით, არასოდეს გამოიყენოთ მუქი ფერის ფანქარი. ტუჩებს კარგად გამოკვეთს პომადის ზემოდან წასმული „ბლესკი“, ტუჩის ფანქარი კი პომადის ტონალობის უნდა იყოს.

წვეულებიდან გვიან დაბრუნებულს, ალბათ გეზარებათ მაკიაჟის მოშორება, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ამით სახის კანს დიდ ზიანს აყენებთ: მაკიაჟით დახშულ ფორებში მყარად ჯდება დღის მანძილზე სახეზე დადებული მტვერი. კანმა აუცილებლად უნდა ისუნთქოს, ამიტომ, მისი გაწმენდა ყოველდღიურად საჭიროა.

ტონალური კრემი კარგი განათების პირობებში ან დღის სინათლეზე შეარჩიეთ. ვიდრე შეიძენდეთ, კრემი თხლად გადაისვით ხელის მტევანზე და დააკვირდით, რამდენად ორგანულად ერწყმის იგი თქვენი კანის ფერს. გახსოვდეთ, რომ სახის ტონალური კრემი არც ძალიან ღია უნდა იყოს და არც — ძალიან მუქი.

არ წაისვათ ბევრი „რუმიანა“. მან ოდნავ უნდა გამოკვეთოს თქვენი სახის კანის ფერი. „რუმიანა“ წაისვით ყვრიმალებზე (არავითარ შემთხვევაში არ აიწითლოთ ლოყები), შუბლზე, ნიკაპსა და ცხვირის წვერზე.

თუკი ღია ფერის კანი და თმა გაქვთ, წარბების გამოსაკვეთად ნუ გამოიყენებთ შავ ფანქარს. თქვენთვის უფრო შესაფერისი ღია ყავისფერი ან რუხი (ფერფლისფერში გარდამავალი) ფანქარი იქნება.

მაკიაჟის გაკეთებისას ნუ ეცდებით გამოკვეთოთ თვალებიც, ტუჩებიც და სახის ფერიც (რა თქმა უნდა, თუ სცენაზე გასასვლელად არ ემზადებით). თუ თვალების სილამაზის გამოკვეთა გსურთ, ტუჩებზე მქრქალი ფერის პომადა და უფერო „ბლესკი“ წაისვით. თუ ტუჩებზე წითელ პომადას ისვამთ, თვალებზე მკრთალი ფერის ჩრდილი უნდა იკმაროთ.

თვალებზე ჩრდილების წასმის დროს, ტუშის გამოყენებაც აუცილებლად დაგჭირდებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვალები „ჩამქრალი“ და „ჩავარდნილი“ გამოჩნდება.

დღის მაკიაჟი გაცილებით მოკრძალებული უნდა იყოს, ვიდრე საღამოსი. ნუ წახვალთ სამსახურში და დღისით დანიშნულ შეხვედრაზე თოჯინასავით მოხატული და ტონალური კრემით „დამძიმებული“ სახით. მაკიაჟის გადაჭარბების უფლება მხოლოდ საღამოს გაქვთ. ■

ვაშლის ღვეზელი



ინგრედიენტები:

ცომისთვის:

კარაქი — 100 გ;
ხაჭო — 100 გ;
შაქარი — 100 გ;
ფქვილი — 200 გ;
გამაფხვიერებელი — 1 ჩ/კ;
მწიკვი მარილი.

შიგთავსისთვის:

ვაშლი — 600-700 გ (4-5 ცალი);
ლიმონის წვენი — 2-3 ს/კ;
შაქარი — 2 ს/კ;
ქიშმიში — 70-80 გ;
კონიაკი — 2 ს/კ.

არაჟნისა და კვერცხის ნაზავი:

არაჟანი — 180-200 გ;
კვერცხი — 2 ცალი;
შაქარი — 1 ს/კ;
ვანილი — რაც დანის წვერზე მოთავსდება;
კარტოფილის ფქვილი — 2 ს/კ.

გამზადებული ნამცხვრის მოსართავად საჭიროა ქოქოსის ფხვნილი ან შაქრის პუდრა.

ცომის მომზადების წესი:

დარბილებული კარაქი, გამაფხვიერებელშერეული გაცრილი ფქვილი, შაქარი, ვანილი, მწიკვი მარილი ერთმანეთს შეურიეთ და მოზილეთ ცომი. შემდეგ გაახვიეთ ფოლგაში და შეინახეთ ნახევარი საათით მაცივარში.

ვაშლის შიგთავსის მომზადების წესი:

გარეცხეთ და გააშრეთ ქიშმიში, დაასხით 2 ს/კ კონიაკი. გარეცხეთ ვაშლი. თითოეული ვაშლი გაჭერით 4 ნაწილად, ამოაჭერით გული და მოასხით ლიმონის წვენი, რათა ვაშლი არ გამუქდეს. გადადეთ ვაშლის 6-7 მეოთხედი ნამცხვრის მოსართავად. თითოეულ მეოთხედს გაუკეთეთ რამდენიმე ჭრილი, მაგრამ ბოლომდე არ გაჭრათ. დარჩენილი ვაშლი პატარა კუბურებად დაჭერით, მოათავსეთ ქვაბში, დააყარეთ შაქარი და დაასხით ლიმონის წვენი (1-2 ს/კ). ქვაბს დაახურეთ თავსახური და დაბალ ცეცხლზე შუშეთ, დროდადრო ურიეთ მანამ, ვიდრე დარბილდება. გამოიღეთ მაცივრიდან ცომი, გააბრტყელეთ. მოათავსეთ ფორმაში — ისე, რომ მისი კიდეები და ფსკერი დაიფაროს. ფორმა 180-190C°-მდე გახურებულ ჰაერღუმელში შედგით და 10-12 წუთი აცხვეთ.

მოამზადეთ არაჟნისა და კვერცხის ნაზავი:

თასში მოათავსეთ არაჟანი, კვერცხი, შაქარი, ვანილი; დაუმატეთ კარტოფილის ფქვილი და ერთგვაროვანი მასის მიღებამდე ურიეთ. ცომიანი ფორმა გამოიღეთ ღუმლიდან, მთელ ზედაპირზე განალაგეთ ვაშლი და მოაყარეთ ქიშმიში.

გარშემო შემოუწყვეთ მოსართავად გამზადებული ვაშლის მეოთხედები.

ზემოდან მოასხით არაჟნისა და კვერცხის ნაზავი და აცხვეთ 200-გრადუსიან ტემპერატურაზე, 20-25 წუთის განმავლობაში. მომზადებულ ნამცხვარს ქოქოსი ან შაქრის პუდრა მოაყარეთ. ■

ახალგაზრდა ბრაზილიელმა პორტუგალიელის გამოხდომას დელიკატურად უპასუხა...

ევროპის კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებს შორის, ვინც ბოლო ხანებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, კახა კალაძის თანაგუნდელი, ბრაზილიელი პატოა — სერია A-სა და მით უმეტეს, ასაკოვნებით დაკომპლექტებულ „მილანში“ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და პერსპექტიული ფორვარდი: პატო ჯერ მხოლოდ 20 წლისაა, მაგრამ უკვე 2 წელია, ამ გუნდში წარმატებით გამოდის და გოლიც ხშირად გააქვს. მისი სრული სახელია ალექსანდრე როდრიგეს და სილვა, ათასობით გულშემატკივარი კი მისი მშობლიური მხარის დასახელების (პორტო-ალეგრი) მიხედვით შერქმეულ მეტსახელს — „პატოს“ ეძახის. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში, ახალგაზრდა ფორვარდმა მკითხველს რამდენიმე საინტერესო ცნობა გაუზიარა და სკანდალურად ცნობილი პორტუგალიელი მწვრთნელის, ჟოზე მოურინიოს ნათქვამზეც თავისებური პასუხი გასცა. „ინტერის“ თავკაცმა კერძოდ, თქვა: „პატო მხოლოდ „ფერარისა“ და გოგონებზე ფიქრობს“, — რაზეც „მილანელმა“ ასეთი კომენტარი გააკეთა: „მე ცოლი მყავს და დიდი გეგმები მაქვს: მინდა, ძალიან კარგი ოჯახი მქონდეს; იმავეს ვიტყვი გუნდთან დაკავშირებითაც... ასე რომ, მხოლოდ ოჯახსა და „მილანზე“ ვფიქრობ“...

პატო მხოლოდ ოჯახსა და „მილანზე“ ფიქრობს

— ზაფხულში არცთუ ისე კარგი პერიოდი გქონდა. დადიოდა ხმები, თითქოს „მილანიდან“ წასვლასაც აპირებდი, მაგრამ შემდეგ, ახალ კონტრაქტს მოაწერე ხელი...

— თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ცხოვრებისეული გზა აქვს: მამაჩემი დღე და ღამე შრომობდა, რომ ოჯახი ერჩინა. ის სახლიდან დილის 5 საათზე გადიოდა და გვიან ღამით ბრუნდებოდა, — მაშინ, როდესაც ყველას გვეძინა. ახლა ჩემი დრო დადგა — მე უნდა ვარჩინო ოჯახი. მინდა, ყველაფერი ისე გავაკეთო, რომ ოჯახს კარგი ცხოვრება ჰქონდეს. ჩემი ოჯახის წევრები ამას იმსახურებენ.

— მოურინიომ თქვა: „თუ ბალოტელი („მილანის“ მუდმივი კონკურენტის — „ინტერის“ მოთამაშე) „მილანს“ გულშემატკივრობს, მაშინ პატო — „ინტერისტაა“. ეთანხმები?

— მე არა ვარ „ინტერისტა“, „კოლორადოელი“ ვარ.

— და ეს რას ნიშნავს?

— არა ვარ „ინტერისტა“, თუმცა პორტო-ალეგრის „ინტერნაციონალში“ ნამდვილად ვთამაშობდი. ბრაზილიაში ადამიანებს, რომლებიც ამ გუნდს გულშემატკივრობენ, „კოლორადოს“ უწოდებენ.

— კარგი, თემა შევცვალოთ. სანამ იტალიაში ჩამოხვიდოდი, იქაც ისეთივე შემტევ ფეხბურთს თამაშობდი, როგორსაც ახლა „მილანში“?

— ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა — ბრაზილია მაინც განსხვავდება იტალიისგან... ამ სქემით თამაშით ჩვენ ვრისკავთ

მეუღლესთან ერთად

— შეიძლება, ნებისმიერ მომენტში გავუშვათ გოლი. მაგრამ ამასთანავე, გაგვაქვს კიდეც გოლები და კარგად გამოვდივართ სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგაში.

— ლეონარდოზე რას ფიქრობ?

— ...ჩვენი პირველი შეხვედრა მახსენდება. ეს აეროპორტ „რიოში“ მოხდა. მაშინ 16-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატიდან ვბრუნდებოდი. მან მხარზე ხელი დამკრა...

— და?..

— და მირჩია — საკუთარი მომავლის გადაწყვეტისას არ ავჩქარებულიყავი. მერე, ევროპული ტოპკლუბების ჩემით დაინტერესებაზე ვილაპარაკეთ. ცოტა ხანში კი „მილანში“ გადმოსვლა შემომთავაზა...

— წავიდა კაკა და ახლა ბევრი სწორედ შენ მიგიჩნევს გუნდის ლიდერად...

— მე არა ვარ ახალი კაკა. ჯერ ბევრი უნდა ვისწავლო და ახლა სწორედ ამას ვაკეთებ.

— „მილანთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე გაკავშირებს. როგორი გეგმები გაქვს უახლოესი 5 წლისთვის?

— დავრჩები აქ, რომ რაც შეიძლება მეტჯერ მოგცეთ ინტერვიუ (*იცინის*)... ბევ-

მწვრთნელთან ერთად

რი უნდა ვიშრომო: „მილანთან“ ერთად ტიტულების მოგება მინდა.

— გატუზო დეპრესიაშია...

— ის დიდი ადამიანია, მოედანზეც და მის ფარგლებს მიღმაც. მის მაგალითზე ბევრს შეუძლია, ისწავლოს.

— კიდევ რას იტყვი მასზე?

— როდესაც ტრავმას მოიშუშებს, მაშინ მოხვდება ძირითადში, — ამაში დარწმუნებული ვარ. მინდა, მასთან ერთად, დიდხანს ვთამაშობდე „მილანში“, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა, მის მომავალში დარწმუნებული არ ვარ.

— „ჩელსიმ“ რომ გამოიჩინოს შენით დაინტერესება და გადაბირება დაგიპიროს, როგორ მოიქცევი?

— აქ თავს კარგად ვგრძნობ...

— ძლიერი შეტევა და ხანდახან — „პრობლემური“ დაცვა... რა ელის ასეთ „მილანს“?

— მშვენიერი გუნდი და ლამაზი თამაში!.. ჩვენ ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხება შეგვიძლია... ■

მოამზადა **ეკა აბაშიძემ**

„სამი ჩემპიონი“

ასე უწოდა ფოტოხელოვანმა აზატ მანუკიანმა ამ შეჩერებულ წამს და ფოტო რჩეულთა შორის შეინახა. „მათგან ორი ნამდვილი ჩემპიონია: იმ დროს ნონა გაფრინდაშვილს უკვე მოპოვებული ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონობა ჭადრაკში, ფოტოზე მარცხნივ კი კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონი, ტიგრან პეტროსიანი დგას. თამაშის თავისებური სტილის გამო, მას „რკინის ტიგრანი“ შეარქვეს — მისი თავდაცვა თითქმის შეუღწეველი იყო. პეტროსიანი თბილისში დაბადებული სომეხია. პირველად ჭადრაკის ხელოვნებას მაშინდელ პიონერთა სასახლეში ეზიარა. როდესაც პეტროსიანმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, ავლაბრელმა სომხებმა მისთვის ნახევარმეტრიანი ჭადრაკის ფიგურა — ეტლი დაამზადებინეს, რომელზეც ტიგრანის ფოტო იყო გამოსახული და საჩუქარი მოსკოვში ჩაუტანეს. ნონასა და ტიგრანს შორის კიდევ ერთი თბილისელი სომეხი, ხაჩიკ გრიგორიანი დგას. ძია ხაჩიკა მოჭადრაკე და მით უფრო, ჩემპიონი არასდროს ყოფილა, მაგრამ ჭადრაკის ისეთი ერთგული გულშემატკივარი იყო, რომ კიდევ ერთმა ცნობილმა მოჭადრაკემ, მიხეილ ბოტვინიკმა მას გულშემატკივართა შორის ჩემპიონი შეარქვა. ამიტომაც ჰქვია ამ ფოტოს „სამი ჩემპიონი“. ხაჩიკ გრიგორიანი შეძლებული კაცი იყო, თბილისში ტყავის საამქრო ჰქონდა, ტიგრან პეტროსიანის ოჯახი კი ხელმომჭირნედ ცხოვრობდა. ჰოდა, ძია ხაჩიკა ყოველთვის მხარში ედგა ნიჭიერ ახალგაზრდას, პეტროსიანი კი ამაგს თავისი წარმატებებით უფასებდა...“ — ასე გააცოცხლა „გზის“ მკითხველისთვის აზატ მანუკიანმა ფოტოზე აღბეჭდილი დაუვიწყარი წამი.

ემა ტუხიაშვილი

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ჟურნალმა „ფორბსმა“ პუტინს ანტიაბამა უწოდა.

2. ბატუტი პატარა ბიჭმა, ჯორჯ ნისენმა გამოიგონა.

3. დარტსის საუკეთესო ისრებს ვოლფრამისგან ამზადებენ.

4. „ჩაინა თაუნი“ მანჰეტენის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს.

5. „კოკა-კოლა“ 72 სპორტული გუნდის კომპანიონია.

6. საფრანგეთში ყველაზე დიდი მუსლიმანური მოსახლეობა ევროპაშია.

7. ჰიტლერი 1889 წლის 20 აპრილს, აღდგომა დღეს დაიბადა.

8. გერმანელი პოლიციელი ქალებისათვის ბრონირებული ბიუსტჰალტერები გამოუშვეს.

9. „მაია მაშინა ლამაეტსა კაკ დევკა ნა სენავალე“, — წუწუნებს მსახიობი ვლადიმირ დობრონრავოვი.

10. პანამის არხის მშენებლობამ (ნაწილობრივ, ყვითელი ციების გამო) 28 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

11. ანაკონდას კუჭის მჟავა ისეთი კონცენტრაციისაა, რომ ლითონს ხვრეტს. მახრჩობელა გველს ეს საშუალებას აძლევს, მოკლული ანტილოპა რქებიან-ჩლიქებიანად გადაყლაპოს.

12. სამოქალაქო აეროპორტებში, რეაქტიული თვითმფრინავებისათვის განკუთვნილ ასაფრენ ბილიკზე იდეალურ სისუფთავეს იცავენ, რადგან რეაქტიული ძრავი ადვილად ითრევს პატარა ზომის სხეულებს. ამგვარ ვითარებაში დაილუპა ფრანგული კონკორდის ბორტზე მყოფი 104 მგზავრი, რომელთა თვითმფრინავის ძრავამაც პატარა ზომის რკინის ნაჭერი შეიწოვა და მაშინვე აფეთქდა.

13. ხეოფსის პირამიდის მშენებლობისას, მშენებლებს ნაგებობასთან ყოველ სამ წუთში ერთხელ, ახალი ქვა მიჰქონდათ. მუშები 9 დღეს მუშაობდნენ, მეათე დღეს ისვენებდნენ.

14. ენცო ფერარი E კლასის იაგუარს მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე ლამაზ ავტომობილს ეძახდა. იტალიელი კონკურენტისგან ინგლისური ავტომობილის შექება ერთობ უჩვეულო იყო.

15. ამერიკელები I მსოფლიო ომში ჩაბმაზე რომ დაეყოლიებინათ, ინგლისელებმა სამხედრო მხატვრებს დაავალეს, ქაღალდზე აესახათ ის ჯოჯოხეთი, რაც ბრიტანეთის არმიის სანგრებში ტრიალებდა.

16. ქვემეხების მეფედ შერაცხილმა ალფრედ კრუპმა უარი თქვა პრუსიის მეფის მიერ ნაბოძებ თავადის ტიტულზე და მოკლედ განაცხადა: „მე კრუპი ვარ გვარად და ვფიქრობ, ეს საკმარისია“.

ჰობი

უჩვეულო საჩუქარი უშიშროების სამინისტროს ყოფილი გამომძიებლისგან

ახლობლის ოჯახში ვაზაში ჩადებული ულამაზესი თაიგული შევნიშნე, რომელიც ბისერებით იყო დამზადებული. ნანახით აღვფრთოვანდი და მაშინვე დავინტერესდი, — ეს სად იყიდეთ-მეთქი? მიპასუხეს: არ გვიყიდია, ჩვენი მეზობელი აკეთებს და იმან გვაჩუქაო. მასპინძლებს ვთხოვე, — ის ოსტატი მეც გამაცანით-მეთქი... ქალბატონი ომიადა გერგაია საბურთალოზე, დასთან ერთად ცხოვრობს. უკვე რამდენიმე წელია, პენსიაზეა და ბისერებისგან თაიგულებს ამზადებს. მის ბინაში შესულმა გაოცება ვერ დავფარე — მთელი სახლი ფერად-ფერადი ბისერებით იყო მორთულ-მოკაზმული...

„ჩემი სიამოვნების გაყიდვაზე ნამდვილად არასდროს მიფიქრია“

ნათია ჟვანია

— ქალბატონო ომიადა, ძალიან უცნაური სახელი გაქვთ.

— მართალი ხარ (*იცინის*). ომის დროს დავიბადე და მამიდაჩემს უთქვამს, ბავშვს ომიადა უნდა დავარქვათო.

— რა პროფესიის ხართ?

— პროფესიით ისტორიკოსი ვარ, მაგრამ 28 წელი უშიშროების სამინისტროში ვიმუშავე, გამომძიებელი ვიყავი — ვთქვათ, თქვენთვის ვინმეს რაიმე რომ დაებრალებინა, მე უნდა გამომძიებინა, ეს ბრალდება სიმართლეს შეესაბამებოდა თუ არა. ჩემი სამსახურით კმაყოფილი გახლდით და უშიშროების სამინისტროში სხვა რას საქმიანობდა, ნამდვილად არ ვიცი, ძალიან „ჩაკეტილები“ ვიყავით.

— ბისერებისგან ყვავილებს მაშინაც აკეთებდით?

— არა, რას ამბობ, მაშინ ამისთვის სად მეცალა?! ყვავილების გაკეთება მას შემდეგ დავიწყე, რაც პენსიაზე გავედი. ამ საქმეში პროფესიონალი არ ვარ, უბრალოდ, ხელოვნება მიყვარს და ყველაფერი ჩემით ვისწავლე — თავიდან პატარა ყვავილები გავაკეთე, მერე ოდნავ დიდი თაიგული დავამზადე, შემდეგ კი ამ საქმემ საბოლოოდ გამიტაცა. იდეები მუშაობის პროცესში, თავისთავად მიჩნდება.

— ბისერებით სამკაულებსაც ამზადებთ?

— არა, თაიგულების გარდა, არც არაფერს ვამზადებ და მათი გაჩუქებაც საოცრად მსიამოვნებს. როცა სტუმრად მივდივარ, თან ერთი თაიგული მიმაქვს და მიხარია, ჩემი ნამუშევარი მოწონებას რომ იმსახურებს.

— ბისერებით ტანსაცმელსაც არ ქარგავთ?

მიხარია, ჩემი ნამუშევარი მოწონებას რომ იმსახურებს

— არა, ბისერებით არაფერი მომიქარგავს. სამწუხაროდ, ხატვა არ მეხერხება. მიუხედავად ამისა, ბალიშებს, ხელსახოცებსა და სუფრებს მაინც ვქარგავ, ოღონდ, ჩვეულებრივი ძაფით. რასაკვირველია, ეს ნაქარგებიც სამოყვარულო დონეზეა შესრულებული.

ერთ თაიგულს 3 დღე-ღამეში დავამზადებ

— თქვენს ნამუშევრებს ყიდით?

— არა, რას ამბობ?! ამ საქმის კეთება ძალიან მსიამოვნებს და აზრადაც არ მომსვლია, რაიმე გამეყიდა. როცა ახლობლის ოჯახში შევდივარ და იქ ჩემ მიერ დამზადებულ თაიგულს საპატიო ადგილას ვხედავ, ძალიან მომწონს. ჩემი სიამოვნების გაყიდვაზე ნამდვილად. არასდროს მიფიქრია. სხვათა შორის, ინგლისსა და საბერძნეთში მყოფ ჩემს ნათესავებს თითო თაიგული გავუგზავნე და აღფრთოვანებულებმა დამირეკეს — თურმე არა მხოლოდ მათ, უცხოელებსაც ძალიან მოსწონებიათ.

— გასაგებია, რომ საკუთარი ნამუშევრების გაყიდვა გიჭირთ, მაგრამ თაიგულის დასამზადებლად მასალა რომ შეიძინოთ, ამას ფული ხომ სჭირდება?

ბალიშებს, ხელსახოცებსა და სუფრებს ვქარგავ, ოღონდ, ჩვეულებრივი ძაფით

— სხვა პენსიონერებთან შედარებით, მე ცოტა მაღალი პენსია მაქვს — როგორც უშიშროების ყოფილი თანამშრომელი, 130 ლარს ვიღებ (წესით, მეტი მეკუთვნის). ამ თანხით მასალის შეძენასაც ვახერხებ... ჩემი დაც მუშაობდა, სასტუმრო „აჭარის“ ადმინისტრატორი იყო. არც ერთს არ გვაქვს ოჯახი, ორივე გაუთხოვრები ვართ. ჰოდა, ამიტომაც მაქვს ამდენი თავისუფალი დრო.

— ბისერებისგან თაიგულების დამზადების ნიჭი თქვენს დასაც აქვს?

— მის გარდა, კიდევ ერთი და მყავს, მაგრამ ასეთი ნიჭი არც ერთს არა აქვს.

— ერთი თაიგულის გაკეთებას დაახლოებით, რამდენი საათი სჭირდება?

— მუშაობას საერთოდ თუ არ შევწყვეტ, ერთ თაიგულს 3 დღე-ღამეში დავამზადებ. ადვილი გასაკეთებელი ნამდვილად არ არის, მაგრამ სასიამოვნო პროცესია.

— თქვენი ნამუშევრების გამოფენაც არ მოგიწყვიათ?

— არა, არც ამ თემაზე მიფიქრია. ერთი პერიოდი გადავწყვიტე, დიზაინერებისთვის შემეთავაზებინა, მოდების ჩვენების დროს მოდელებს პოდიუმზე ჩემი თაიგულიც გაეტანათ, მაგრამ ამასაც ვერ მოვაბი თავი, რადგან არც ერთ დიზაინერს არ ვიცნობ. ამაში ფულს კი არ მოვითხოვდი, უბრალოდ, ყველაფერს საჩუქრად გავუკეთებდი იმ დიზაინერს და მეც ვისიამოვნებდი. კიდევ, დიდი სურვილი მაქვს, ჩემი თაიგულები ნინო ბურჯანაძეს და სხვა პოლიტიკოსებს ვაჩუქო, მაგრამ არც მათ ვიცნობ.

— ქალბატონო ომიადა, ვხედავ, უკვე ძალიან ბევრი თაიგული დაგიგროვდათ...

— ჰო, ასეა! ამ ყვავილებით მთელი სახლი გავალამაზე — შემოსასვლელში დენის სადენები უშნოდ ჩანდა და ის ადგილი ბისერებით მოვრთე. იქვე დიდ ქოთანში ჩადებული დიდი თაიგულიც დევს. მგონი, ჩემი ნამუშევარი სტუმარს კარგ განწყობილებას შეუქმნის; სამზარეულოშიც ოთახის შესაფერისი, ვერცხლისფერი თაიგული მაქვს. ასევე, მორთულია ორივე საძინებელი ოთახი და თქვენ წარმოიდგინეთ, სააბაზანოც კი. ყველა კუთხეში თაიგულია, მათ შორის, უნიტაზის სახურავზეც. მე და ჩემს დას ასეთი ატმოსფერო კარგ განწყობილებას გვიქმნის... ■

ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ

ᲔᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲩ
ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ:

17. კუნძულ მავრიკიაზე მობინადრე ფრინველი დრონტი XVII საუკუნეში გადაშენდა. იგი 16 კგ-მდე იწონიდა და სიმძიმის გამო, ფრენის უნარი დაკარგული ჰქონდა. დრონტი ნელა იზრდებოდა და ცუდად მრავლდებოდა. ერთადერთ კვერცხს, რომელსაც იგი მიწაზე დებდა, ჰოლანდიელების მიერ კუნძულზე შეყვანილი ღორები და მაიმუნები ჭამდნენ. დღეს ეს ფრინველი მავრიკიის გერბზეა გამოსახული.

18. რუსმა დიდებულებმა, რომლებსაც ქვეყანაში კარტოფილის კულტურის გავრცელება სურდათ, მოსახლეობის ფსიქოლოგია გაითვალისწინეს, კარტოფილი თავად დათესეს, გლეხებს კი მისი მოყვანა სასტიკად აუკრძალეს. თანაც, ნათესებს ყასიდად, დარაჯებიც მიუჩინეს. შედეგმა არ დააყოვნა და გლეხებმა „აკრძალული“ კულტურა სასწრაფოდ გაამრავლეს. ციმბირში პირიქით მოხდა: მოსახლეობა აიძულეს, კარტოფილი დაეთესა. შედეგად კი „კარტოფილის ბუნტები“ მიიღეს.

19. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ფერმერები სპეციალურად ზრდიან ლომებს სანადირო სავარგულებისთვის და მათი დახოცვის უფლებას სანადიროდ ჩასულ მდიდარ ტურისტებზე ყიდიან, რომლებიც ნადირთა მეფეებს ძალზე უსინდისოდ ხოცავენ — ცხოველს ფაქტობრივად, გადარჩენის არავითარი შანსი არ ეძლევა: ხეზე ხორცის ნაჭერს კიდებენ და თოფით ხელში უსაფრდებიან. ხორცის სუნზე მოსულ, ფერმაში გაზრდილ, მშიერ ლომს ტყვიას ესვრიან და მოკლული ცხოველის ფონზე სურათებს იღებენ. სამწუხაროდ, სანადირო სავარგულებისთვის გაზრდილი ლომებით ვაჭრობა სამხრეთ აფრიკაში კანონიერი პრაქტიკაა და ამის აღსაკვეთად ერთადერთი გზა არსებობს — ლომის ტყავის შეტანა უკლებლივ ყველა ქვეყანაში უნდა აიკრძალოს.

20. ტროის აღების შემდეგ მიკენის მეფე, აგამემნონი ამბობდა: ღმერთებო, გშურდეთ ჩემი, თქვენზე ბედნიერი ვარო. რა იცოდა, თუ მისი ცოლი კლიტემნესტრა მისივე ბიძაშვილთან ღალატობდა და სახლში დაბრუნებისთანავე სიკვდილი თუ ელოდა.

21. ილია ჭავჭავაძემ, რუსულის გარდა, არც ერთი უცხო ენა არ იცოდა. ერთხელ ნიკო ხიზანიშვილმა უთხრა: სანახევროდ სომეხი ხარ, დედა სომეხი გყავდა და ეს სომხური მაინც გესწავლა, ენაში ჩაგეთვლებოდაო. ილიამ უპასუხა, — მერე, რა ფილოსოფიური ტრაქტატები უნდა წამეკითხა სომხურად და ბაზარში კიდე, მე არ დავდივარ, მოურავი დადისო.

მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრება
და VI საუკუნეში არსებული რელიგიები

ამჯერად VI საუკუნეში არსებულ ვითარებაზე, მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში — რომის იმპერიაში არსებულ მდგომარეობაზე და იმ ქვეყნებზე ვისაუბრებთ, სადაც ქრისტიანობა იყო გავრცელებული.

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე):

— VI საუკუნეში მოწვეულ იქნა მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრება. რა იყო კრების მოწვევის მიზეზი?

— ვიცით, რომ მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო მონოფიზიტობა და მიიღო დადგენილება ამ მწვალებლური სწავლების უარყოფის შესახებ, მაგრამ კრების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ და დოგმატებმა ვერ მოიცვა მთელი ქრისტიანული სამყარო — დედაეკლესიის წიაღში, მართლმადიდებლებთან ერთად, კვლავ იყვნენ მონოფიზიტებიც და შესაბამისად, მათ შორის საღვთისმეტყველო კამათი და განხეთქილება ისევ მიმდინარეობდა.

კონსტანტინოპოლის პატრიარქმა აკაკიმ, მონოფიზიტებისა და მართლმადიდებლების შეთანხმებისა და ეკლესიაში შფოთის დაცხრობის მიზნით, იმპერატორს ურჩია, გამოეცა ედიქტი, სადაც ლაპარაკი იყო ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე, მაგრამ საერთოდ არ გახლდათ ნახსენები არც ქრისტეს ორბუნებიანობის და არც — ერთბუნებიანობის შესახებ, მაგრამ ამ ედიქტმა ეკლესიაში ახალი და უფრო დიდი განხეთქილება გამოიწვია — ედიქტი არც მართლმადიდებლებმა მიიღეს და არც მონოფიზიტებმა. მართლმადიდებლები პატრიარქ აკაკისაც დაუპირისპირდნენ (იმპერატორ იუსტინეს დროს ედიქტი საბოლოოდ იქნა დაგმობილი). მონოფიზიტობის საკითხი საბოლოოდ რომ გადაწყვეტილიყო, რიგით მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევა გახდა საჭირო.

მეხუთე მსოფლიო კრება მოიწვიეს იმპერატორ იუსტინე პირველის (დიდის) ბრძანებით, 553 წელს, კონსტანტინოპოლში. შეიძლება ითქვას, რომ ამ კრებამ საბოლოოდ დაასრულა და დაამტკიცა მეოთხე მსოფლიო კრებაზე მიღებული აქტები და დადგენილებები. ამის შემდეგ მონოფიზიტობა საბოლოოდ ჩამოშორდა, გამოეყო დედაეკლესიის, მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღს და ცალკე, მწვალებლური გზით წავიდა. მეხუთე მსოფლიო კრების შემდეგ საბოლოოდ გაიყო და ჩამოყალიბდა სირიის — ანტიოქიის ეკლესია მართლმადიდებლურ და მონოფიზიტურ საპატრიარქოდ, ეგვიპტის — ალექსანდრიის ეკლესია — მართლმადიდებლურ და კოპტურ ანუ მონოფიზიტურ საპატრიარქოდ, სომხეთის ეკლესია კი, როგორც ვიცით, მთლიანად მონოფიზიტობის გზით წავიდა ანუ მეხუთე მსოფლიო კრების შემდეგ მონოფიზიტური არეულობები საბოლოოდ დაცხრა, საბოლოოდ მოხდა ჭეშმარიტებიდან მონოფიზიტური ერესის განშორება, განცალკევება.

მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრებამ ასევე განიხილა და გადაწყვიტა სამი მღვდელმთავრის: თეოდორე მოფსუეთელის, თეოდორიტე კირელისა და ივა ედესელის საკითხი, რომლებიც მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იყვნენ გასამართლებულნი: ზოგი მათ მწვალებლებად მიიჩნევდა, ზოგი — მართლმადიდებლებად. კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც 165 მამა ესწრებოდა, დადგინდა, რომ თეოდორე მეფსუეთელის სწავლება იყო მწვალებლური და მიუხედავად იმისა, რომ თეოდორე უკვე გარდაცვლილი იყო, ის განიკვეთა ეკლესიიდან. რაც შეეხება ივა ედესელსა და თეოდორე კირელს, კრებამ დაამტკიცა, რომ მათი სწავლებები მწვალებლურ დოგმატებს არ შეიცავდა, მათი მხოლოდ რამდენიმე ისეთი წერილი აკრძალეს, სადაც ჭეშმარიტი სწავლება ნათლად არ იყო ჩამოყალიბებული.

რადგან იმპერატორ იუსტინიანე პირველის (დიდის) პერიოდს შევეხეთ, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ მას რამდენიმე მიზანი ჰქონდა: განმტკიცებულიყო ქრისტიანობა — მართლმადიდებლობა მის იმპერიაში; დაებრუნებინა რომის იმპერიის ტერიტორიები და დაეცვა იგი აღმოსავლეთიდან — სპარსელებისგან, ჩრდილოეთიდან კი მომთაბარე ტომებისგან — სლავებისგან, გერმანული ტომებისა და გალებისგან. წმინდა იუსტიანიანე პირველმა, ფაქტობრივად, საკუთარი მიზნების განხორციელება შეძლო. მის სახელს უკავშირდება აია სოფიას ტაძრის საბოლოო აშენებაც.

— ცნობილია, რომ VI საუკუნიდან, რომის იმპერიის ტერიტორიაზე, რომელიც ფაქტობრივად, იმდროინდელი მსოფლიოს ცივილიზაციის ცენტრს წარმოადგენდა, საბოლოოდ ქრება წარმართობა...

— რომის იმპერიის ტერიტორიაზე ხალხი თანდათან, ქრისტიანობაზე მოექცა და წარმართობაც თავისთავად გაქრა, მაგრამ VI საუკუნის პირველ ნახევარში იმპერიის ტერიტორიაზე მაინც იყო ისეთი ადგილები, სადაც წარმართული მსახურებები გახლდათ შემორჩენილი. იმპერატორ იუსტიანიანე პირველის პერიოდში წარმართობა საბოლოოდ აღმოიფხვრა, მაგრამ მალევე წარმოიქმნა წარმართობის განახლებული სახე, ნეოპლატონიზმი — რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ჭეშმარიტებამდე მისვლას წარმართობისა და ქრისტიანული სწავლების შეერთებით ცდილობდა. ცხადია, ეს არ იყო ჭეშმარიტება, სიცრუესთან ჭეშმარიტების შეერთებით ჭეშმარიტებას ვერ მივიღებთ. ეკლესიამ და წმინდა მამებმა, თავიანთი სწავლებებით, ნეოპლატონიზმს ბრძოლა გამოუცხადეს. მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში უამრავი ღვთისმეტყველება შეიქმნა აღორძინებული წარმართობის — ნეოპლატონიზმის წინააღმდეგ და VII საუკუნეში ეს მოძღვრება საბოლოოდ ქრება.

იუსტინიანე პირველმა ათენში ფილოსოფიური სკოლებიც დახურა და ცხადია, ამის შემდეგ ათენმა თავისი

მნიშვნელობა დაკარგა, ის პატარა პროვინციულ ქალაქად იქცა: როგორც ცნობილია, სწორედ ათენის ფილოსოფიურ სკოლებში იყო შემორჩენილი წარმართობა. ფილოსოფოსები, რომლებსაც ქრისტიანობა ან არ ჰქონდათ მიღებული და კვლავ წარმართებად რჩებოდნენ, ან ქრისტიანობა მიღებული ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად, შინაგანად კი მაინც წარმართები იყვნენ, ცდილობდნენ, რაღაც გზით წარმართობა მოეყვანათ ქრისტიანობასთან შეთანხმებაში, რაც როგორც ვთქვით, შეუძლებელია. სწორედ მათი მცდელობის გამო დახურა იმპერატორმა იუსტინიანემ ათენის ფილოსოფიური სკოლები, მაგრამ მოგვიანებით, წარმართობისა და ქრისტიანობის შეერთებამ ევროპაში მაინც იჩინა თავი, რაც ე.წ. რენესანსის პერიოდში გამოჩნდა. ის მიმდინარეობები, რომლებიც ევროპაში წარმართობისა და ქრისტიანობის ერთგვარი ნაზავის სახით გაჩნდა, სწორედ ბერძნული ანუ ელინური ფილოსოფიიდან წარმოიშვა — ევროპული რენესანსის საფუძვლად ელინური ფილოსოფია იქცა.

რომის იმპერიის საზღვრებს გარეთ წარმართობა ძალიან დიდხანს არსებობდა. ვიცით, რომ წარმართობა, როგორც რელიგიური მიმდინარეობა, მსოფლიოში დღემდე არსებობს.

— ამ პერიოდისთვის რომელ ტერიტორიებზე იყო გავრცელებული ქრისტიანული სარწმუნოება?

— მართლმადიდებლობა ძირითადად, რომის იმპერიის საზღვრებს მოიცავდა. ქრისტიანობა გავრცელებული იყო თანამედროვე ევროპის ჩრდილოეთ ნაწილშიც, სადაც გერმანელი ტომები და გალები ცხოვრობდნენ. ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ ფრანკებსა და გოთებს შორის გავრცელებული იყო არიოზელობა. ისინი რომის იმპერიის მტრები იყვნენ და იმპერიის ჩრდილოეთ ტერიტორიებს ანადგურებდნენ. ასე რომ, რომის იმპერია მათ მხოლოდ სარწმუნოებრივად არ ებრძოდა; იმპერატორმა იუსტინიანე დიდმა შეძლო, მოეგერიებინა ბარბაროსთა თავდასხმები და დასავლეთ რომის იმპერიის უდიდესი ნაწილი კვლავ ბიზანტიის იმპერიას შეუერთა. ამის შემდეგ, თავად ბიზანტიის იმპერიის დაცემამდე, სამხრეთ იტალია და სიცილიის კუნძულები ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. რომის იმპერიის შემადგენლობაში ამ ტერიტორიების ხელახლა დაბრუნება სწორედ იმპერატორ იუსტინიანე დიდის დრო მოხდა.

ამ პერიოდისთვის ქრისტიანობა გავრცელებულია ბრიტანეთის კუნძულებზეც და მისიონერული მოღვაწეობით ცნობილი იყვნენ ირლანდიელი ბერებიც; ქრისტიანობა გავრცელებული იყო ეთიოპიის სამეფოშიც, მაგრამ როგორც ვიცით, ეს ის პერიოდია, როდესაც მონოფიზიტური ერესი ეკლესიის წიაღს გამოეყო და ეთიოპიის ეკლესიაც მონოფიზიტურმა ერესმა მოიცვა.

ქრისტიანობა გავრცელებული იყო საქართველოშიც და სპარსეთის იმპერიაშიც. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა სპარსეთში ქრისტიანთა მასობრივი დევნა, რომლის შემდეგაც სპარსეთში ქრისტიანობა, განსაკუთრებით, მართლმადიდებლური ქრისტიანობა აღარ არსებობს. სპარსეთის იმპერიაში მართლმადიდებელ ქრისტიანებს დევნიდნენ და სიკვდილითაც სჯიდნენ, მონოფიზიტებს კი — არა. ამის გამო ის ადამიანები, რომლებიც ვერ სწვდებოდნენ მართლმადიდებლობის ჭეშმარიტების არსს, ფიქრობდნენ, რომ მთავარია, ქრისტიანი ყოფილიყო და მნიშვნელობა არ ჰქონდა, მართლმადიდებელი იქნებოდა თუ მონოფიზიტი; ტანჯვა-წამების შიშით ან იმის გამო, რომ ისინი მშობლიური ადგილებიდან არ გაეყარათ და ბიზანტიის იმპერიაში არ წასულიყვნენ, მონოფიზიტობას იღებდნენ. სომხეთში მონოფიზიტობის გავრცელების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ეს იყო.

ქრისტიანობის მტკიცე დამცველი იყვნენ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე არსებული ქვეყნები და უკვე ბიზანტიის ტერიტორიაში არშემავალი ქვეყნები — დღევანდელი ესპანეთი, საფრანგეთი, ხოლო მართლმადიდებლობის მტკიცედ დამცველი ქვეყანა, რომელიც ყოფილი რომის იმპერიის შემადგენლობაში არ შედიოდა, იყო საქართველო და მცხეთის საკათალიკოსო. ვიცით, რომ საქართველოს ეკლესიამ V საუკუნეში ავტოკეფალია მოიპოვა, ამ დროიდან საქართველოს საკათალიკოსო არის ერთადერთი მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის ცენტრიც რომის იმპერიის ტერიტორიის გარეთაა. ესპანეთსა და ბრიტანეთში არსებული საეპისკოპოსოებიც რომის იმპერიის ტერიტორიის გარეთ იყო, მაგრამ მათი ცენტრი რომში არსებობდა და მსახურება ლათინურად აღესრულებოდა ანუ ისინი რომის ეკლესიას ექვემდებარებოდნენ.

— საერთოდ, ამ პერიოდისთვის მსოფლიოში რამდენი რელიგიური მიმდინარეობა არსებობდა?

— თუ სექტებს, მწვალებლურ მიმდინარეობებს გამოვრიცხავთ, ამ პერიოდისთვის რომის იმპერიის ტერიტორიაზე ძირითადად, ქრისტიანობა და იუდაიზმი არსებობდა. წარმართობის კვალი, როგორც ვთქვით, ჯერ კიდევ არსებობდა, მაგრამ მას რაიმე ორგანიზებული რელიგიის სახე აღარ ჰქონდა. აი, რომის იმპერიის საზღვრებს გარეთ კი წარმართობას ფართო არეალი ჰქონდა დაპყრობილი. სპარსეთის იმპერიაში გავრცელებული იყო წარმართობის ერთ-ერთი სახე — მაზდეანობა, ცეცხლთაყვანისმცემლობა, აღმოსავლეთის ქვეყნებში — ბუდიზმი, ინდუიზმი და კონფუციანელობა.

რომის იმპერია იყო იმდროინდელი მსოფლიოს ცივილიზაციის ცენტრი, ცივილიზებული სამყარო და თვით უდიდესი წმინდა მამებიც კი მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ რომის იმპერია იყო მსოფლიოში ის ძალა, რომელსაც ქრისტიანობის შენარჩუნება შეეძლო.

რომის და ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ, მსოფლიოში ცივილიზაციამ რამდენიმე საუკუნით უკან დაიხია და იმის ხელახლა აღორძინება-შემობრუნება, რაც რომის იმპერიაში იმ დროს არსებობდა, ევროპის უმეტეს ქვეყნებში XX საუკუნიდან დაიწყო.

რომის იმპერიის დაცემიდან საუკუნეების განმავლობაში, ევროპაში აბსოლუტური ქაოსი სუფევდა. ეს პერიოდი ბნელ ხანადაა ცნობილი. მაშინ ერთადერთი ნათელი წერტილი ქრისტიანული ეკლესიები იყო, მაგრამ XI საუკუნიდან, დედაეკლესიის დასავლეთ ნაწილი იმდენად ჩაერთო ხელისუფლებისთვის ბრძოლაში, რომ უკვე თავადაც ჩამოსცილდა მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღს, ჭეშმარიტ სარწმუნოებას და თავადაც სიბნელის მატარებლად იქცა. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

საფრთხე ორსულობისას ანუ ინფექცია, რომელიც არ იკურნება

ადამიანის ჰერპესვირუსის რამდენიმე სახეობა არსებობს და ყოველი მათგანი სხვადასხვა ტიპის დაზიანებას იწვევს... ამჟამად მეცნიერები ჰერპესის ასამდე სახეობას ითვლიან, მაგრამ ადამიანს მხოლოდ რვა მათგანი ემუქრება.

ჰერპესის სახეობები

ადამიანის ჰერპესვირუსებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია პირველი ტიპის მარტივი (მჰვ-I ანუ აჰვ-I) და მეორე ტიპის მარტივი ჰერპესის ვირუსი (მჰვ-II ანუ აჰვ-I). ადამიანის მჰვ-I-ით ინფიცირება სახისა და ზედა კიდურების კანის სხვადასხვაგვარ დაზიანებას, ხოლო მჰვ-I-ით ინფიცირება სასქესო ორგანოთა დაზიანებასა და ახალშობილთა დაავადებებს იწვევს. გენიტალიური ჰერპესის ყოველი მე-4 შემთხვევა პირველი ტიპის ჰერპესვირუსითაა გამოწვეული და ეს არატრადიციული სქესობრივი კავშირის შედეგია.

მესამე ტიპის ჰერპესვირუსით (აჰვ-III ანუ ზოსტერი) ინფიცირება იწვევს ორ დამოუკიდებელ დაავადებას — ჩუტყვავილასა და სარტყლისებურ ლიქენს ანუ სარტყლისებურ სირსველას (კანის დაავადება).

IV ტიპის ჰერპესვირუსი (აჰვ-IV) ანუ ებშტეინ-ბარის ვირუსი შესაძლოა, ინფექციური მონონუკლეოზისა (ახასიათებს ცხელება, ინტოქსიკაცია, ანგინა, ელენთის, ღვიძლის, ლიმფური კვანძების გადიდება და ცვლილებები სისხლში) და ენის ვირუსული ლეიკოპლაკიის (ლორწოვანი გარსის ქრონიკული ანთებითი კერა. ახასიათებს სხვადასხვა ხარისხის გარქოვანება თეთრი ლაქებისა და ბალთების სახით) მიზეზად იქცეს.

V ტიპის ჰერპესვირუსი (აჰვ-V) ციტომეგალოვირუსული ინფექციის მიზეზია.

VI ტიპის ჰერპესვირუსი (აჰვ-VI) ადრეული ასაკის ბავშვებში უეცარ ეგზანთემას (წინწკლებიანი გამონაყარი ტანზე) იწვევს, ხოლო ზრდასრულებში — ქრონიკული დაღლილობის სინდრომს. ვარაუდობენ, რომ ეს ვირუსი კიდევ რამდენიმე დაავადების განვითარებაში მონაწილეობს.

1990 წელს აღმოჩენილ იქნა აჰვ-VII და აჰვ-VIII, რომელთა აქტიური შესწავლა დღემდე მიმდინარეობს. აჰვ-VII ლიმფოპროლიფერაციულ დაავადებებსა და ქრონიკული დაღლილობის სინდრომთან ასოცირდება, აჰვ-VIII კი კაპოშის სარკომასთან (კანის ავთვისებიანი სიმსივნე).

I და II ტიპის მარტივი ჰერპესის ვირუსი

ინფექციის წყაროს წარმოადგენს დაავადებული ადამიანი, რომელსაც ჰერპესული გამონაყარი ლორწოვან გარსზე აქვს გამოვლენილი (მაგალითად, ტუჩზე). მასთან კონტაქტის შედეგად, ვირუსის შეჭრა ხდება ლორწოვანი გარსიდან ან დაზიანებული კანიდან. ჰერპესის ვირუსი სქესობრივი კონტაქტით, ჰაერ-წვეთოვანი გზით ან საყოფაცხოვრებო ნივთებითა და ჰიგიენური საშუალებებით (საერთო პირსახოცი, ცხვირსახოცი და ა.შ.) გადაიცემა, გადადის დედიდან — ნაყოფზეც.

აღსანიშნავია, რომ მარტივი ჰერპესვირუსისათვის დამახასიათებელია ნერვულ უჯრედებში დაბინავება. კერძოდ, ვირუსი იჭრება ნერვულ განგლიებში (ნერვული უჯრედების გროვა), სადაც ინფექცია იღებს ფარულ მიმდინარეობას. მაგალითად, ტუჩების ჰერპესისას ვირუსი იჭრება სამწვერა განგლიაში (სამწვერა ნერვების წნული), რომელიც თავის ქალის ღრუში მდებარეობს. რეციდივის შემთხვევაში ვირუსი გამოდის და ნერვების გაყოლებაზე, როგორც მატარებელი რელსებზე, ისე მიემართება სახის კანისკენ, პირის ღრუს ლორწოვანი გარსისკენ, ღრძილებისკენ, ყურისკენ, შუბლისკენ, ნიკაპისკენ, ტუჩებისკენ და ა.შ. სწორედ ამ ადგილებშია მოსალოდნელი ჰერპესის რეციდივი.

გენიტალიური ჰერპესის დროს ვირუსი წელ-გავის ნერვულ წნულში (მცირე მენჯის ღრუში, რომელიც ხერხემლის გვერდითაა მოთავსებული) იბუდებს. რეციდივის შემთხვევაში, ვირუსი ამ წნულიდან გამოსული ნერვის გასწვრივ მოძრაობს და მიემართება გენიტალიების, დუნდულებისა და თეძოების კანისკენ, საშოსა და ურეთრიის (შარდსაწვეთი) ლორწოვანი გარსისკენ.

სახისა და ტუჩების ჰერპესი

მარტივი ჰერპესით პირველი ინფიცირების შემდეგ (არა აქვს მნიშვნელობა, იგი კლინიკურად გამოვლინდა თუ არა), დაავადების რეციდივი ხდება შემთხვევათა 30%-ში. წელიწადში, როგორც წესი, 3-4 რეციდივი ხდება. მის პროვოცირებას იწვევს ცხელებით მიმდინარე დაავადებები, განსაკუთრებით — პნევმონია, გრიპი, მალარია, სტრესი, მენსტრუცია, ტუჩების ტრავმა. ზოგჯერ რეციდივის მიზეზი უცნობი რჩება.

შემთხვევათა უმრავლესობაში, გამონაყარის გაჩენამდე 1-2 საათით ადრე, აღინიშნება წვა, ქავილი და ტუჩის კუთხეების სიწითლე. შემდეგი 4 დღის განმავლობაში ჩნდება ბუშტუკოვანი გამონაყარი, რომელიც შეიძლება, დაწყლულდეს. დაზიანების კერიდან ვირუსი 8-9 დღის განმავლობაში გამოიყოფა. რეციდივებს ადგილი ერთსა და იმავე ადგილას (ხშირად, ტუჩის კუთხეებში) აქვს.

გენიტალიური ჰერპესი

როგორც აღვნიშნეთ, გენიტალიურ ჰერპესს მჰვ-II და მჰვ-I იწვევს. ინფიცირება უმთავრესად, უსიმპტომო ფორმით, დაავადებულთან სქესობრივი კონტაქტის დროს ხდება. შესაძლებელია, ახალშობილის ინფიცირება მშობიარობისას. შედარებით იშვიათია აუტოინოკულაცია — ორგანიზმის ერთი ადგილიდან მეორეზე ინფექციის გადატანა.

დაავადება ნებისმიერ ასაკში გვხვდება, მაგრამ ქალებს ინფიცირების მეტი შანსი აქვთ. შესაძლოა, ამაში ბრალი მიუძღოდეს მათი სხეულის ანატომიურ თავისებურებას — სქესობრივი კონტაქტის დროს შეხების ზედაპირი უფრო დიდია. არსებობს სასქესო ორგანოების ჰერპესის რამდენიმე ფორმა:

სასქესო ორგანოს პირველადი ჰერპესი — ეს არის დაავადების პირველი ეპიზოდი, როდესაც ინფექციის გამოვლენისას ვირუსის მიმართ ანტისხეულები გამომუშავებული არ არის. ის რთულად და დიდხანს (2-3 კვირა) მიმდინარეობს. მის-

თვის დამახასიათებელია რეგიონული ლიმფადენიტი (ლიმფური კვანძების გადიდება). მოსალოდნელია ნევროლოგიური და ზოგადი სიმპტომების გაჩენაც. კერძოდ, სასქესო ორგანოს პირველად ჰერპესს ახასიათებს მრავლობითი ორმხრივი გამონაყარი გენიტალიებზე ან პერიანალურ მიდამოში. მამაკაცებში გვხვდება ურეთრიტი (შარდსაწვეთის ანთება), რომელიც შარდის გამოყოფის დროს ტკივილით მიმდინარეობს, ქალს კი შესაძლოა, ეროზიული ცერვიციტი (საშვილოსნოს ყელის ანთება) განუვითარდეს.

კანზე არსებული გამონაყარი 7-15 დღის განმავლობაში ასეთი თანამიმდევრობით იცვლის სახეს: პაპულა (მშრალი მუწუკი, კვანძი), ვეზიკულა (კანზე ამობურცული წარმონაქმნი, რომელიც შეიცავს გამჭვირველე, იშვიათად კი მღვრიე ან სისხლნარევ სითხეს), პუსტულა (ჩირქოვანი მუწუკი), წყლული, ქერქი (კანის დეფექტი ქსოვილის ნეკროზის გამო). შესაძლოა განვითარდეს: საზარდულის ლიმფადენიტი (გადიდდეს ლიმფური ჯირკვლები), ტკივილი შარდვის დროს, გამონადენი შარდსადენი მილიდან და საშოდან. არცთუ იშვიათად, გვხვდება ნევროლოგიური სიმპტომებიც. კერძოდ, ნერვების ადგილობრივი დაზიანების გამო ვითარდება შარდის შეკავება, შეკრულობა. გარდა ამისა, მოსალოდნელია ცხელება, საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, სინათლის შიში და სხვა;

სასქესო ორგანოების არაპირველადი ჰერპესი არის დაავადების პირველი ეპიზოდი, როდესაც ინფექციის გამოვლენისას ვირუსის მიმართ ანტისხეულები უკვე გამომუშავებულია. ამ დროს ზოგადი სიმპტომი იშვიათია, გამონაყარი — ნაკლებად გამოხატული. მკურნალობის გარეშე ის 10-14 დღეში ალაგდება. იშვიათია საზარდულის ლიმფადენიტი, გამონადენი შარდსადენი გზებიდან, ტკივილი შარდვის დროს, ზოგადი და ნევროლოგიური სიმპტომები;

სასქესო ორგანოების ჰერპესის რეციდივი — ეს გახლავთ დაავადების მეორე და მომდევნო ეპიზოდი, რომელსაც მსუბუქი მიმდინარეობა, რეგიონული ლიმფადენიტის, ნევროლოგიური და ზოგადი სიმპტომების არარსებობა ახასიათებს. ჩნდება მხოლოდ ერთეული გამონაყარი, რომელიც წესისამებრ, ცალმხრივია.

უსიმპტომო ინფექცია — სასქესო ორგანოების ჰერპესი უმეტესად, უსიმპტომოდ მიმდინარეობს. აქვე დავაზუსტებ: გვხვდება როგორც ჭეშმარიტად უსიმპტომო შემთხვევა, ასევე შემთხვევა, როდესაც სიმპტომები პაციენტის მიერ არასწორადაა შეფასებული.

ორსულობა და ჰერპესი

ჰერპესვირუსით (განსაკუთრებით — II ტიპის ვირუსით) ინფიცირებამ, თუ ეს ორსულობისას მოხდა, შესაძლოა, ნაყოფის ინფიცირებაც გამოიწვიოს. განსაკუთრებით საშიშია გენიტალიური ჰერპესის გამწვავება ორსულობის 32-ე კვირის შემდეგ. თუ მკურნალმა ექიმმა გამწვავება ამ დროს აღმოაჩინა, სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს ანტივირუსული პრეპარატებით მკურნალობა, ხოლო თუ მშობიარობა გამონაყარის გაქრობამდე დაიწყო, რეკომენდებულია საკეისრო კვეთა, ვინაიდან მაღალია სამშობიარო გზებში გავლისას ნაყოფის ინფიცირების რისკი. სასქესო ორგანოების ჰერპესის დედისგან შვილზე გადაცემა კი ძალიან საშიშია — შესაძლოა, ბავშვის სიკვდილი ან მყარი ნევროლოგიური დაზიანება გამოიწვიოს.

თუ ქალი ორსულობამდე იყო ინფიცირებული ჰერპესვირუსით და ორსულობისას გაუმწვავდა, ამ შემთხვევაში დაავადება შედარებით მსუბუქად მიმდინარეობს და მკურნალობის ტაქტიკას ექიმი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად არჩევს.

მკურნალობა

მკურნალობა აუცილებელია, მაგრამ სამწუხაროდ, ვირუსის განადგურება ვერ ხერხდება — მიიღწევა არა სრული გამოჯანმრთელება, არამედ დაავადების ფარულ ფორმაში გადასვლა.

ეფექტიანია პერორალურად (შინაგანად) მისაღები ანტივირუსული პრეპარატებით მკურნალობა. ანტივირუსული პრეპარატების ადგილობრივ გამოყენებას აზრი არა აქვს — ვირუსი ნერვულ განგლიებში ბუდობს და კანზე წასმული ანტივირუსული საშუალება მას ვერაფერს დააკლებს. თუმცა აუცილებელია დაზიანებული არის სათანადოდ მოვლა მეორეული ინფექციის თავიდან ასაცილებლად. მაგალითად: მისი დამუშავება ანტისეპტიკური ხსნარებით (ფიზიოლოგიური ხსნარით, უფერო კასტელანით). ასეთ დროს ექიმი პაციენტს უნიშნავს ისეთ საფენებს, რომლებიც წყლულს აშრობს და მათ სწრაფ ეპითელიზაციას (შეხორცებას) უწყობს ხელს.

პროფილაქტიკა

ჰერპესვირუსით ინფიცირების შემთხვევაში, პროფილაქტიკა გამწვავებისთვის ხელის შეშლას ისახავს მიზნად. ფარულ პერიოდში ნებისმიერი თანხვედრილი ინფექცია, ფილტვების ანთება იქნება ეს, გაცივება, გრიპი თუ სხვა, ყოველთვის ააქტიურებს ჰერპესის ვირუსს, ამიტომ ეს რისკფაქტორი თავიდან უნდა იქნეს აცილებული. ასევე, უნდა იზრუნოთ იმაზე, რომ ვირუსი არ გააქტიურდეს, ამისთვის კი აუცილებელია: სრულფასოვანი კვება, სუფთა ჰაერზე დიდხანს ყოფნა, დადებით ემოციები და სხვა. ■

მენინგიტის საწინააღმდეგო ვაქცინა

ჟურნალ „გზის“ რედაქციაში ბევრი შეკითხვა შემოდის მენინგიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, მენინგიტის — ამ სერიოზული და საშიში დაავადების საწინააღმდეგო ერთადერთი ვაქცინა არ არსებობს, რადგან მენინგიტს იწვევს სხვადასხვა ბაქტერია და ვირუსი. რამდენიმე მათგანისგან ადამიანის დაცვა შესაძლებელია ვაქცინაციით, მაგრამ ეს აცრები არ შედის სავალდებულო აცრათა სიაში ანუ ფასიანია და თანაც, საკმაოდ ძვირად ღირებული. ყველაზე საშიშია ბაქტერიული ანუ ჩირქოვანი მენინგიტი, რომლის გამომწვევი ყველაზე ხშირი მიზეზია: B ტიპის Haemophilus influenzae, მენინგოკოკები და პნევმოკოკები.

ვაქცინაცია:

* B ტიპის ვაქცინა Haemophilus influenzae ბაქტერიის საწინააღმდეგოა. ეს ბაქტერია იწვევს ფილტვების ანთებას, მენინგიტს და სხვა დაავადებებს. საქართველოში არის 5-კომპონენტიანი ვაქცინა, რომელშიც შედის B ტიპის ჰემოფილური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა. ის კეთდება სამჯერადად (2, 3 და 4 თვეზე) და რევაქცინაცია საჭიროა 16-18 თვეზე (ბოლო აცრიდან ერთი წლის შემდეგ);

* მენინგიტის მეორე გამომწვევის Neisseria meningitidis (იწვევს მენიგოკოკურ მენინგიტს) საწინააღმდეგო ვაქცინის შემოტანას საქართველოში აპირებენ (ვაქცინა „მენინგო A+C“). მისი გამოყენება შეიძლება 18 თვის ასაკიდან, ერთჯერადად და იმუნიტეტი გრძელდება 3-5 წელი. ანტისხეულები გამომუშავდება 5-10 დღეში;

* მესამე გამომწვევის — Streptococcus pneumoniae — საწინააღმდეგო ვაქცინა საქართველოში ჯერჯერობით, არ შემოუტანიათ. იგი გამოიყენება 2 წლის ასაკიდან (საჭიროებს 1 დოზას). ■

P.S. **რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com **ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.**

იყიდეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

ფიტოლაბორატორიის ბალზამი

ალკოჰოლ ხელმეორე ფიტოლ ეფექტი მოიცილებელი აქვს ეს ბალზამ ფიტოლ. კანმრავლობა ალკოჰოლ ბალზამი ალკოჰოლ ბალზამ ამ ბალზამ ეფექტი ალკოჰოლ ბალზამ ეფექტი ალკოჰოლ ბალზამ ეფექტი ალკოჰოლ

ადამიანი

ბილეთი საშურამდე, წავკისში აყვანილი მოგონებები და — „ცოცხალს მოუსწარი, ცოცხალს“

მოქანდაკე თემურ ჭყონია თბილისში, ზემელზე გაიზარდა. მას ამ ქალაქში ბევრი იცნობს, ის კოლორიტია. მისი თქმით, თბილისელთა იმ თაობას მიეკუთვნება, რომელთა მამებიც 1924-41-მა წლებმა შეიწირა, შვილები კი დედებმა გაზარდეს. ამაყობს იმით, რომ მისი მეგობრები ვერავინ აცდუნა და დასძენს: „იცით, რატომ? მაშინ დედებს ვიფიცებდით, ახლა კი...“

„სამაიას“, „მაჩაბლის კედლის“, სხვა უამრავი ქანდაკებისა და პორტრეტის ავტორს ინტერვიუსთვის შინ ვეწვიე.

ცნობილი მოქანდაკის მოგონებები

თამუნა კვინიკაძე

— 1927 წელს მოსკოვში დავიბადე, თითქოს ვიღაცამ ჩამძახა: აქ რა გინდა, ბიჭოო?! — და საქართველოში გამოვფრინდი...

— თქვენი ოჯახი მოსკოვში ცხოვრობდა?

— მამაჩემი — დავით ჭყონია მეფის ოფიცერი იყო, I მსოფლიო ომში მონაწილეობდა. შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა და კოჯრის მისადგომებთან, სამშობლოს დამცველთა რიგებში აღმოჩნდა. ყოველივე ეს 1924 წელს გაუხსენეს, დააპატიმრეს და შორაპანში ჩამომდგარი მატარებლის ეშელონის ბოლო ვაგონში შეაგდეს. მასთან ერთად მისი ბიძაშვილებიც იმყოფებოდნენ. ის ვაგონი, რომელშიც მამა იყო გამომწყვდეული, ვიღაცას ეშელონისთვის ჩაუხსნია და გაგორებულა, პატიმრები გადმომხტარან. შემდეგ კი მამა რუსეთში წასულა, დანარჩენებს თურქეთში გადასვლა უცდიათ, რათა შემდგომ თავი ევროპისთვის შეეფარებინათ, მაგრამ თურქებს ქართველები გაუციათ და ყველანი მდინარეზე გადასვლის დროს წყალში დაუხვრეტიათ. მამამ ისიც მოახერხა, რომ თავისი ამბავი დედაჩემისთვის შეეტყობინებინა. დედა მასთან ჩავიდა და შემდეგ უკვე მეც გავჩნდი. მოსკოვში ძიძად იქაური ქალბატონი მყოლია. წიგნების კითხვა ჰყვარებია და ამ საქმეში მისთვის ხელი რომ არ შემეშალა, თურმე რძეში არაყს მიწვეთებდა და ისე მასმევდა. ამის გამო ავადმყოფობა დამიწყია, მიზეზი რომ დაადგინეს, მამამ ძიძა სახლში გაუშვა, ხოლო მე და დედა — გურიაში. გურიიდან მალე თბილისში გადმოვედით და სასწავლებლად ახლანდელ 51-ე სკოლაში შემიყვანეს. ცელქი მეგობრები მყავდა, მაგრამ უზრდელები არ ვყოფილვართ, ამიტომ ბავშვურ სიცელქეს გვაპატიებდნენ. ჩემი ჭაბუკობისას, წიგნს დიდ საჩუქრად მიიჩნევდნენ. დაბადების დღეებზე მეგობრები ერთმანეთს წიგნებს ვუძღვნიდით.

თემურ ჭყონიას ყველასათვის ცნობილი „სამაია“

— ქანდაკებით რა ასაკიდან დაინტერესდით?

— ქანდაკებისადმი ჩემმა მისწრაფებამ, ჟინმა თუ ნიჭმა სკოლაში, მათემატიკის გაკვეთილზე „ამოხეთქა“. ამ საგანს ვასო აბდუშელიშვილი გვასწავლიდა. წარმოსადეგი, დარბაისელი კაცი იყო. ვსწავლობდით თუ არა მის საგანს, მაინც უტვინოებს გვეძახდა. ეს მისი მოსაფერებელი და დასატუქსი სიტყვა იყო. ერთხელ, როცა ბატონი ვასო ჩემთვის გაუგებარ ლოგარითმებს ხსნიდა, ცარცის დიდი ნატეხიდან მისი პორტრეტი გამოვაქანდაკე. ჩემს კლასელებს — რამაზ ჭიაურელს, ქართლოს კასრაძეს, თამაზ ჯანელიძეს, ნოდარ მგალობლიშვილსა და კიდევ ბევრს მეტი რა უნდოდათ. საოცარი ხარხარი ატეხეს. ბატონმა ვასომ მკაცრად გადმოგვხედა; მიხვდა, რომ აურზაურის მიზეზი მე ვიყავი. გამიჯავრდა, რას ჩხირკედელაობ, შე უტვინოო, მე კი თავი ჩავღუნე და გავისუსე... შესვენებაზე კლასში ხმაურზე ჩვენი ფიზკულტურის (და კაიკაცობის) მასწავლებელი — ალიოშა ავალიანი შემოვიდა. მან ჩემი „ნაშრომი“ ღიმილით შეათვალიერა და თან წაიღო. ცოტა ხანში სიცილის ხმა სამასწავლებლოდანაც გაისმა.

აბესალომ ლორია, გურამ ლორთქიფანიძე და თემურ ჭყონია

თურმე ჩემი „ნაშრომი“ იქაც ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლოს მას ბატონ ვასომდეც მიუღწევია, ავტორის ვინაობა რომ გაუგია, უთქვამს: ეგებ ამით მაინც ჭამოს პური მაგ უტვინომო — ეს ხუმრობით, ისე კი ჩემი პირველი ნამუშევარი, რომელიც საზოგადოებამ გაიცნო, მიშიკო მგელაძის (მეგობარი გახლდათ) მემორიალური პორტრეტია. ჩვენ ვერაზე ერთმანეთის მეზობლად ვცხოვრობდით... გამოსაქანდაკებელი პიროვნება უნდა გიყვარდეს, სხვანაირად მის პორტრეტს ვერ შეიყვარებ, ვერ მოეფერები და ქანდაკებაც ცივი და „უკარება“ გამოვა.

— თქვენი პედაგოგები ვინ იყვნენ?

— 1944 წელს სამხატვრო აკადემიაში ჩავირიცხე. იაკობ ნიკოლაძე, მოსე თოიძე, ნიკოლოზ კანდელაკი, იოსებ შარლემანი, ალექსანდრე ციმაკურიძე მასწავლიდნენ. აკადემიის დამთავრების შემდეგ ქანდაკების კათედრაზე სამუშაოდ დამტოვეს. 4 წელი ნიკოლოზ კანდელაკის სახელოსნოში ასისტენტი ვიყავი. აკადემია ახალი დამთავრებული მქონდა, რომ დავქორწინდი. ჩემი მეუღლე თბილისში თავისი შავგვრემანობითა და სიმღერით ცნობილი ქალიშვილი — პეპელა ვაშაკიძე გახდა. მისი შავგვრემანობა ნიაზსაც არ გამოჰპარვია. ერთხელ, იანვარში რუსთაველზე გააჩერა და ჰკითხა — „გოგონი, პლაჟი შორსაა?“

— ნიაზთან მეგობრობდით, არა?

— მე და ნიაზი, გარდა მეგობრობისა, ნათესავებიც ვიყავით. მისი ბებია ჭყონიას ქალი გახლდათ. სტუმრად მისულს მეტყოდა ხოლმე — თემურიკა, მოი, ნენაო?! ერთ ზაფხულს, მე, გურამ ასათიანი და ნიაზ დიასამიძე დასასვენებლად კურორტ მწვანე კონცხზე წავედით. აივნიანი ოთახი ვიქირავეთ, საიდანაც ზღვა თითქმის სტამბოლამდე ჩანდა. გოგონების გულები გურამმა მაშინვე დაიპყრო, ხოლო პლაჟზე მდებარე სასაუზმე — ნიაზმა. ერთ ბოთლ ღვინოს დაიდგამდა და მთელი დღე წრუპავდა. მე კი უფასო ნატურებით გადაჭედილ პლაჟზე ჩანახატებს ვაკეთებდი. ათი დღე მეტეორივით გავარდა, მასთან ერთად — ჩვენი სახარჯო ფულიც. მე და ნიაზმა ვიცოდით, რომ გურამს შავი დღისთვის შარვლის პატარა ჯიბეში ასმანეთიანი ჰქონდა გადანახული. ერთ საღამოს, გურამს ღრმად რომ ჩაეძინა, მისი ფული „გავაქრეთ“. დილით სასაუზმეში „დავპატიჟეთ“ — საუზმის დამთავრებისას ნიაზმა ოფიციანტს ის ასმანეთიანი მიაწოდა. გურამი სახტად დარჩა, ჯიბე მოისინჯა, მაგრამ რაც აღარ იყო, რას იპოვიდა. ეგ ბილეთის ფული იყო, — გვითხრა ღიმილით, — საღამოს თბილისში უნდა დავბრუნებულიყავიო. ნიაზმა ოფიციანტს ხურდა გამოართვა, რკინიგზის სადგურში მატარებლის ბილეთი იყიდა და გურამს საზეიმოდ გადასცა. საღამოს გურამი თბილისში გამოვისტუმრეთ. მე და ნიაზი კი ათშაურიანი ავტობუსით ბათუმისკენ გავემგზავრეთ, სადაც მას დიდი სანათესავო ელოდა. ავტობუსში ნიაზმა სიცილით მიამბო: „მოლარეს ფული რომ მივაწოდე, მითხრა: ფული არ ჰყოფნისო. სადამდეც ჰყოფნის, იქამდე მომეცი-მეთქი, — ვუთხარი. მოლარემ ბილეთი ხაშურამდე მომცა, ახლა იმ ბილეთით ჩვენი გურამი ხაშურამდე ირახრახებს“. მოლარესთან ნიაზის დიალოგი მთელმა თბილისმა ჩვენს დაბრუნებამდე გაიგო, ყველაზე მეტად გურამი იცინოდა და ხაშურამდე ბილეთს სუვენირად ინახავდა.

მეუღლე – პეპელა ვაშაკიძე

— მითხარით, გამოსაქანდაკებელი პიროვნება უნდა გიყვარდესო, ალბათ ამაშია თქვენი, როგორც მოქანდაკის წარმატების საიდუმლო. მსმენია, თემურ ჭყონიას პორტრეტები იმდენად მეტყველია, რომ წარწერა აღარ სჭირდებაო.

— ძალიან ნუ მაქებ, შვილო. აი, ესაა ჩემი პორტრეტები — ჩემი ბერიკა, აბესა, ჯანსუღ კახიძე, პირველი მფრინავი — ქებურია... რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ბედნიერი ვარ, რომ მათ ნატურებთან მეგობრობა მაკავშირებდა და დღემდეც ასე გრძელდება. გარდაცვლილებს, როგორც ცოცხლებს, ისე „ველაპარაკები“. ყოველ ახალ ნამუშევარს დიდი შიშით და პასუხისმგებლობით ვიწყებდი. არასოდეს დამავიწყდება ქანდაკებებზე მუშაობის დროს გატარებული წუთები და საათები...

— მათგან ყველაზე ემოციური ნატურა რომელი იყო?

— აბესალომ ლორია, მეგობრები აბესას ვეძახდით. მის პორტრეტზე მუშაობისას საკმარისი იყო, თიხის მოდელზე ჩაქუჩი დამერტყა, თავზე ხელს წაივლებდა. გაჩერდი, აბეს, ხელს ნუ მიშლი-მეთქი, — ვეუბნებოდი. მტკივა და, რა ვქნაო?! — თავს იმართლებდა. თქვენ ალბათ არ იცით, სოფი ლორენის ნათესავი რომ იყო ის.

— ხუმრობთ?

— თავად ამბობდა, ჩემი გვარის გენეალოგიაში საინტერესო ფაქტი „აღმოვაჩინეო“. საუკუნეების წინ სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში დამპყრობლები მიცვენილან. მათ ლორიების რამდენიმე ოჯახი გაუტაციათ, ნაწილს კი თავი გურიისთვის შეუფარებია. გატაცებულთაგან ერთი ოჯახი იტალიაში აღმოჩენილა. ლორიების გვარმა მსოფლიოს ორი დიდი მსახიობი მისცა — სოფი ლორენი და აბესალომ ლორიაო. ეს ამბავი მეგობრებს იმდენჯერ გვიამბო, მგონი, თავად დაიჯერა, თან იმ არგუმენტით — აბა, ერთმანეთს ასე ძალიან რატომ ვგავართო?

— იქნებ ნატურებთან მუშაობის პროცესი გაიხსენოთ... ვიცი, რომ ჯანსუღ კახიძის გამოძერწვაზე ბევრი იწვალეთ...

— ჯანსუღს ბავშვობიდან კარგად ვიცნობდი. როცა მის პორტრეტზე დავიწყე მუშაობა, იმ პერიოდში, ძალიან დაკავებული იყო. სახელოსნოში მოდიოდა, მაგრამ სულ სადღაც ეჩქარებოდა. მის სულიერ სამყაროს

ვერ ვხედავდი. აბესა, გივი ბერიკაშვილი, კარლო საკანდელიძე სახელოსნოში ყოფნისას სულ სხვადასხვა ამბავს მიყვებოდნენ, იხსენებდნენ, ხუმრობდნენ... თხრობის დროს მათ სახეზე უამრავ მიმიკას ვპოულობდი. ჯანსუღი კი სულ საათზე იყურებოდა, არ „იკითხებოდა“, ამიტომ გადავწყვიტე, რომ სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე მენახა. იქ მისმა მუსიკამ სულ დამავიწყა, რატომ ვიყავი მისული. ბოლოს გადავწყვიტე, რეპეტიციაზე მენახა, მაგრამ ისე, რომ ეს თავად არ სცოდნოდა. დორიან კიტიამ (ფილარმონიის მაშინდელი ხელმძღვანელი) დარბაზში მალულად შემიყვანა. აი, იქ კი სხვა ჯანსუღი ვნახე. მისი ხელები ხან იმუქრებოდა, ხან მოსაფერებლად იწევდა. ხასიათი დავინახე. სახელოსნოში სულ სხვა განწყობილებით დავბრუნდი. ჯანსუღის ქანდაკება წლის საუკეთესო ნამუშევრად აღიარეს.

— ბატონო თემურ, ვიცი, რომ გივი ბერიკაშვილი თქვენი ხშირი სტუმარია...

— კარს რომ გაუღებენ, კითხულობს — თემო სახლშიაო? აბა, სად უნდა წავიდე? ეს იცის და მაშაყირებს. ბერიკა და აბესა ჩემი ქალიშვილის ნათლიები არიან. წავკისში ბინა მაქვს, იქ ოჯახებით ხშირად ვიკრიბებოდით. ერთხელ აბესას წავკისის ბინის გასაღები მივეცი, თან ვუთხარი: ახლა ბერიკა რეპეტიციაზეა, მალე გათავისუფლდება, გაუარე, მერე პროდუქტი იყიდეთ და წავკისში ადით, თან შამპანურიც გაიყოლეთ, მე საღამოს ამოვალ და სამ მაგარ რუს გოგოს ამოვიყვან-მეთქი. აბესას თვალები გაუბრწყინდა. იმწუთშივე ბერიკასთან გაიქცა. მოსაღამოვდა... მე მათ მეუღლეებს ჩამოვუარე, მანქანაში ჩავისვი და წავკისში წავიყვანე (*იცინის*). ბერიკამ მანქანიდან გადმოსული ლეილა (მეუღლე) რომ დაინახა, ქვების სროლა დამიწყო. ასე იყო ეს ამბავი... ერთხელ აბესას მეუღლემ დამირეკა — თემო, სასწრაფოდ ჩემთან მოდი, ცოცხალს მოუსწარიო. გული ლამის გამისკდა, აბესა ცუდად ყოფილა-მეთქი. მე და პეპელა გიუებივით გავცვივდით, მივედით აბესას სახლში და გაშლილი სუფრა დაგვხვდა. ცოცხალი თევზი ცოტა გვქონდა, გვინდოდა, შენც შეგხვედროდა და ამიტომ დაგირეკეთო. მეგობრების გამოცვლა არ მიყვარს. ცოლი რომ ცოლია, ისიც არ გამომიცვლია (*იცინის*). 55 წელია, მე და პეპელა ერთად ვართ და ჯვარი ცოტა ხნის წინ დავიწერეთ. ბერიკა მოვიდა, — გავიგე, ცოლი მოგიყვანიაო. მერე პეპელას შეხედა და — რა იყო, ბიჭო, რა დაგემართა, ისევ ის მოიყვანეო?! თემურ წიკლაურმაც მომილოცა, რატომ აჩქარდი, ჯერ კინოში დაგეპატიჟებინა, მერე ერთად გესეირნათ, უფრო ახლოს გაგეცნო, ასე უცბად ჯვარი რომ დაიწერე, რა იცი, როგორ გამოგადგებაო?! ოტია იოსელიანთან ვმეგობრობ. თბილისში რომ ჩამოდის, პირველად ჩემთან მოდის. — ყოველთვის ასე რატომ იქცევაო? — კითხულობენ სხვა მეგობრები... ბერიკა ხუმრობს, ოტიას ნალაპარაკებს მარტო თემური იგებს და მასთანაც იმიტომ მიდისო.

— მურმან ლებანიძესთან მუშაობა როგორ გახსოვთ?

— ძალიან მინდოდა, პოეზიის რომელიმე ქურუმი გამომეძერწა. მურმანს გავუბედე და სახელოსნოში მოვიპატიჟე. ალბათ ერთი „აკადემია“ მასთან ურთიერთობისას დავამთავრე. საკუთარი ლექსების გარდა ზეპირად სხვა პოეტების ლექსებიც იცოდა. მე კი პოეზია განსაკუთრებულად მიყვარს. მურმანის სახელოსნოში მოსვლით ზეიმი იწყებოდა.

— თქვენ თბილისელებისთვის საყვარელი ქანდაკება „სამაიას“ ავტორი ბრძანდებით, დეკორატიული შადრევანი როგორ შეიქმნა?

— მე ამ ქანდაკების თანაავტორი ვარ. ჩემმა მეგობარმა, მოქანდაკე თენგიზ ღვინიაშვილმა დეკორატიული ქანდაკების შექმნა მოქანდაკე ნელი ალექსიძეს, მის მეუღლეს — კერამიკოს გოგი ქართველიშვილსა და მე შემოგვთავაზა. ეს ქანდაკება გაგრაში უნდა დაედგათ. იმ პერიოდში დეკორატიული ქანდაკებები საქართველოში იშვიათობა იყო, ისიც ბრინჯაოში. როცა მუშაობა დავასრულეთ, თბილისში მთავრობის სხდომა გაიმართა, რომელზეც „სამაიას“ მოსკოვში დადგმის გადაწყვეტილება მიიღეს. ბოლოს ასე აღარ მოხდა. სიმართლე გითხრათ, მაშინ ამაზე გულიც კი დამწყდა, მაგრამ ახლა ასე აღარ ვფიქრობ. „სამაია“ თბილისელებმა შეიყვარეს. ნახეთ, შადრევანთან გადაღებული ფოტოები რამდენი ადამიანის ოჯახში ინახება.

— ერთდროულად ორ პორტრეტზე თუ გიმუშავიათ?

— არასდროს. პორტრეტის გაკეთება რთულია, შემიძლია, ვთქვა, რომ იმ დღეებში ჩემი ნატურის ცხოვრებით ვცხოვრობდი. სხვაგვარად ვიყავი განწყობილი. კარგი პორტრეტი კარგი ლექსივით არის. ხშირად მეკითხებოდნენ, სულ მამაკაცების პორტრეტებს რომ აკეთებთ, ნუთუ ქალის სახემ არ დაგაინტერესათო? ჰოდა, მეც ნანი ბრეგვაძე მივიპატიჟე

ჯანსუღ კახიძის პორტრეტი

სახელოსნოში. ნანი კეთილი ადამიანია, ხასიათის გასახსნელად ვამღერე კიდეც, მგონი, ურიგო არ გამოვიდა...

— დღეს ვის პორტრეტზე იმუშავებდით?

— ისევ ჩემი მეგობრების პორტრეტებს გავაკეთებდი. გული მწყდება, რომ პეტრე გრუზინსკის და ჰამლეტ გონაშვილის პორტრეტები არ გავაკეთე. შვილო, მოხუცებულობა თავისას შვრება, სათვალე რომ დამჭირდა, ვიფიქრე, სათვალიანი მოქანდაკის ნამუშევარი ისევ სათვალიანმა კაცმა უნდა ნახოს-მეთქი.

— ბატონო თემურ, თქვენი სახელისა და გვარის მქონე ბიზნესმენს თუ იცნობთ?

— არა, ჩემო კარგო, არ ვიცნობ...

— როგორც მოქანდაკეს, რა მოგწონთ და რა — არა თანამედროვე თბილისში?

— აბა, რა გითხრათ, თითქმის 5 წელია, სახლიდან არ გავსულვარ. მეუბნებიან, რუსთაველის პროსპექტი ისე შეიცვალა, ვეღარ იცნობო...

— თქვენთან საუბარი საინტერესოა, მაგრამ არ მინდა, გადაგღალოთ. ბოლოს, ჩვენს მკითხველს რას ეტყვით?

— „გზის“ მკითხველს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და მშვიდობიან გზას ვუსურვებ.

■



გივი ბერიკაშვილი ჩემი ქალიშვილის ნათლიაა

„იმედი მაქვს, რომ ღმერთი ამ ცოდვას შემინდობს“...

საქართველოში უამრავი ნარკომანი რომ ცხოვრობს, ამაში ალბათ ყველა დამეთანხმება. გასული საუკუნის ბოლოს, ამ სენმა განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი და წამლის გაკეთება მოდაში შემოვიდა. ჩვენი რესპონდენტი, რომელსაც პირობითად ნიკას დავარქმევ (რადგან მან საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა), წამალზე დამოკიდებული სწორედ 90-იან წლებში გახდა და მას ამაში მეზობლები „დაეხმარნენ“. საკუთარ წარსულსა და აწმყოზე უფრო დაწვრილებით თავად ნიკა გვიამბობს...

ყოფილი ნარკომანის აღსარება

ნათია ჭივიძე

— საკმაოდ შეძლებულ ოჯახში გავიზარდე. მამა ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებას ხელმძღვანელობდა. ბავშვობიდან არაფერი მაკლდა. თან დედისერთა ვიყავი და ჩემი მშობლები ძალიან მანებივრებდნენ, ყველა სურვილს მისრულებდნენ. მაშინ, როცა ჩემს თანატოლებს სათამაშოები არ ჰქონდათ, მე მამაჩემის მძღოლი მემსახურებოდა. მოკლედ, ეს ფუფუნება ჩემი მომავალი ცხოვრების უარყოფითად წარმართვის ერთ-ერთი მიზეზი იყო. გარდა ამისა, ვაკეში ვცხოვრობდით. მოგეხსენებათ, 90-იან წლებში ყოველი მეორე ბიჭი ნარკომანი იყო და ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩემი მეზობლები ყოფილან. ფაქტობრივად, ჩემს უბანში, ნორმალური ბიჭი არ არსებობდა. ყველა წამალზე იყო დამოკიდებული. პლანს გემო მეცხრე კლასში გავუგე და ეს ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნდა. მაშინ თუ ვინმე პლანს არ მოსწევდა, სირცხვილი იყო. სიგარეტზე ხომ აღარაფერს ვამბობ. მგონი, მეოთხე კლასიდან ვეწევი მეც და თითქმის ყველა ჩემი მეგობარიც. მეთერთმეტე კლასს ვამთავრებდი, როცა „ბირჟაზე“ ყოფნისას ჩვენმა უბნელმა ბიჭებმა მე და ჩემს ძმაკაცებს შემოგვთავაზეს, წამალი გვაქვს, უნდა გავიკეთოთ და თქვენც დაგპატიჟებთო. ვიფიქრე, მაგარი ტიპი ვარ და ჩემზე ამდენი წლით უფროსი ადამიანები თავს იმიტომაც მიყადრებენ, თანაც წამალზე მეპატიჟებიან-მეთქი და დავთანხმდი. გარდა ამისა, მაშინ წამლის კეთება ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, შემოთავაზებაზე უარის თქმა არც კი მიფიქრია. ჩემმა ორმა მეგობარმა ამ წინადადებაზე უარი თქვა და შინ წავიდა. დანარჩენებმა მათ დავცინეთ და სულ მშიშრები ვეძახეთ. მოგვიანებით, ამის გამო, მათთან ურთიერთობაც კი დამეძაბა. არადა, ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით, საბავშვო ბაღში ერთად დავდიოდით, ერთ კლასში ვსწავლობდით და „გეპეიშიც“ ერთსა და იმავე ფაკულტეტზე გვინდოდა ჩაბარება. ისინი, ასე თუ ისე, სწავლობდნენ მაინც, მე კი უმაღლესში მამაჩემისა და მისი ნაცნობების გავლენის იმედით შემქონდა საბუთები. მოკლედ, იმ დღეს უფროს ბიჭებს ჩვენს სახლთან ახლოს მშენებარე კორპუსში გავყევი და ყველამ ერთად გავიკეთეთ წამალი. ნემსის მთელი ბავშვობა მეშინოდა და არც იმ დღეს გამქრობია ეს შიში, თუმცა ამის აღიარების შემრცხვა. თანაც მე ხომ გამოუცდელი ვიყავი და შემომთავაზეს, ჩვენ გაგიკეთებთო. ასეც მოიქცნენ. თვალები დავხუჭე, რომ ვენაში შემავალი შპრიცი არ დამენახა. ჩხვლეტას ვაუკაცურად გავუძელი, მერე კი „მოვიდა“. ვერ აღგიწერთ, ეს როგორ ხდება. ამ დროს ადამიანი ბრუვდება, ყველა პრობლემა ავიწყდება და თავს ძალიან კარგად გრძნობს. ასეთი მდგომარეობა იმდენად მომეწონა, რომ ჩემს უბნელებს მაშინვე ვთხოვე, სხვა დროსაც გამიკეთეთ წამალი-მეთქი.

— დაგთანხმდნენ?

— რასაკვირველია. მაშინ მეგონა, რომ ასე ჩემი კაიბიჭობის გამო მოიქცნენ, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს ასე არ ყოფილა. ერთი-ორჯერ წამალი თვითონ მომიტანეს, მერე კი, როცა მიხვდნენ, რომ წამლის გარეშე ვეღარ ვძლებდი, მითხრეს, ასე უფასოდ წამალი სად არის, ახლა შენ თვითონ იყიდე და შენ დაგვპატიჟე, მამაშენს ფულის მეტი რა აქვსო. წამალზე უკვე ისე ვიყავი დამოკიდებული, რომ მათი შემოთავაზება უპირობოდ მივიღე. მამაჩემი ფულს ყოველთვის მაძლევდა და არაფერში მზღუდავდა. ამ შემთხვევაშიც არ გამჭირვებია მისთვის ფულის გამორთმევა.

— ამდენ ფულს რომ ართმევდი, ეჭვიც არ გასჩენია?

— არა. ყოველთვის მეკითხებოდა, რად მინდოდა დასახელებული თანხა. მე ხან გამოცდა მქონდა „ჩასაწყობი“, ხან გაჭირვებულ მეგობარს უნდა დავხმარებოდი, ხან ძმაკაცებთან რესტორანი წავაგე და ა.შ. მთავარი მონდომებაა, თორემ ტყუილის მოფიქრებას რა უნდა.

— კი, მაგრამ ვერ გატყობდნენ, კაიფში რომ იყავი?

— ორი-სამი წელი ვერაფერს ხვდებოდნენ, რადგან იმდენი შეგნება მქონდა, რომ კაიფში მყოფი შინ არ მივდიოდი. რამდენიმე წლის შემდეგ კი კონტროლის უნარი დავკარგე. წამალმა უკვე ისე ჩამითრია, ოღონდ გამეკეთებინა და სხვა აღარაფერზე ვფიქრობდი. გარდა ამისა, ჩვენი ოჯახის „კეთილისმსურველებმაც“ ჩაუკაკლეს ჩემებს ჩემი კაიბიჭობის ამბავი.

— როგორც წესი, საკუთარი შვილის ცუდი საქციელის დაჯერება მშობლებს არ უყვართ ხოლმე.

— ამ შემთხვევაში ასე არ მოხდა. ჯერ ერთი, ის „კეთილისმყოფელი“ ჩვენი ოჯახის ისეთი ახლობელი იყო, რომ მის ნათქვამში ეჭვს ვერ შეიტანდნენ. გარდა ამისა, მამა მიხვდა, რისთვისაც ვართმევდი იმდენ ფულს და ერთ დღესაც შინ მისულს „სასწრაფოს“ მანქანა დამხვდა. როცა მამამ ეს ამბავი გაიგო, ინფარქტი დაემართა. ძლივს გადაურჩა სიკვდილს. ამის გამო ისე ვინერვიულე, რომ ჩემს მშობლებს დავუფიცე, წამალს ახლოსაც აღარ გავეკარები-მეთქი. ორი დღე მართლა არ გამიკეთებია, მაგრამ მესამე დღეს ისე ცუდად გავხდი, რომ არ გამეკეთებინა, მოვკვდებოდი. ისევ ჩვეულ ცხოვრებას დავუბრუნდი, თუმცა ყველანაირად ვცდილობდი, ჩემს მშობლებს არაფერი შეეტყოთ. ახლა ფულს მათ აღარ ვართმევდი. ახლობლებისგან ვსესხულობდი...

— როგორც ვიცი, ცოლიც მოიყვანე...

— მართალი ხარ. ინსტიტუტში ერთი გოგონა, მაია გავიცანი. ძალიან ლამაზი იყო და ერთი ნახვით შემიყვარდა. როგორც ხედავ, მეც საკმაოდ სიმპათიური ბიჭი ვარ და უამრავ გოგოს მოვწონდი. მეც ბევრთან მქონდა ურთიერთობა, მაგრამ არც ერთი არ მყვარებია. მაია კი ძალიან შემიყვარდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ისიც საკმაოდ შეძლებული ოჯახის შვილი ყოფილა. მათმა მშობლებმა ჩვენი სიყვარულის ამბავი რომ გაიგეს, ძალიან გაუხარდათ, რადგან მამაჩემს თბილისში მართლა კარგი სახელი ჰქონდა. ჩემი ნარკომანობის შესახ-

ებ კი არაფერი იცოდნენ. ყველაფერი ტრადიციულად მოხდა. მაია ჯერ დავნიშნე, მერე კი ძალიან დიდი ქორწილი გადავიხადეთ. თავიდან მართლა ძალიან ბედნიერები ვიყავით. არ ვიცი, მაია ვერ ხვდებოდა, თუ ძალიან ვუყვარდი და ჩემს უდიდეს ნაკლზე თვალს ხუჭავდა. რამდენჯერ გათიშულ კაიფში მივსულვარ სახლში და ხმა არ ამოუღია. ერთი წლის შემდეგ ქალიშვილი შეგვეძინა. ნინო დავარქვით. იმ დროისთვის უკვე იმდენი ვალი მქონდა, რომ ფულის სესხებაზე ყველა უარს მეუბნებოდა და წამალს ვეღარ ვშოულობდი. ამან გამაგიჟა, ძალიან განერვიულებული ვიყავი. მაია რაღაცაზე შემეკამათა და პირველი ჩხუბი მაშინ მოგვიხდა. გამწარებულმა, მაია ვცემე. არ ვიცი, ბედი იყო თუ რა, კარზე ბრახუნი ატყდა, გავაღე და ხელში მამაჩემი შემრჩა, რომელიც თურმე შვილიშვილის სანახავად მოსულა და მაიას წივილ-კივილი რომ გაუგონია, გაგიჟებულა; უფიქრია, რომ რამე ცუდი მოხდა, მაგრამ შინ შემოსულმა ნაცემი მაია რომ დაინახა, მიხვდა, რაც დაემართა. მაშინვე ჩემკენ გამოიწია და ცხოვრებაში პირველად გამარტყა. მე ისედაც გადარეული ვიყავი უწამლობით და ამან ხომ საერთოდ გადამრია. მამასთვის ხელი არ შემიბრუნებია, მაგრამ დიდი ჩხუბი მოგვივიდა. მან წამომაძახა, — შენ ალბათ ისევ იკეთებ! — და მეც არ უარვყავი. პირში მივახალე, — დიახაც, ვიკეთებ, მდიდარი მამიკო მყავს, მე კი უამრავი ვალი დამიგროვდა და ახლა წამლის ფულიც კი აღარ მაქვს-მეთქი. არ ვიცი, მაშინ რა დამემართა, რას ვერჩოდი მამაჩემს. გამწარებული ვიყავი და ალბათ მისი გამწარებაც მინდოდა. ჩემმა სიტყვებმა ის შედეგი მოიტანა, რომ მამა შემოსასვლელშივე წაიქცა. კვლავ ინფარქტი დაემართა, ამჯერად უფრო მძიმე ფორმით. როცა გავიაზრე, რაც ჩავიდინე, მამას თვალებში ვერ ვუყურებდი. ის კი საყვედურსაც არ მეუბნებოდა. იწვა თვალებგაშტერებული და სულ იმას ამბობდა, სიკვდილი მინდაო. ნატვრა აუხდა კიდეც. რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა. მესამე ინფარქტი ვეღარ გადაიტანა. მართალია, მაშინ ჩხუბი არ მოგვსვლია, ის სამსახურში გახდა ცუდად, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ მამა ჩემ გამო დაიღუპა და ამას დღემდე ძალიან განვიცდი.

— მაიამ ის საქციელი გაპატია?

— არა. მაია ჩემგან იმ დღესვე წავიდა. რა თქმა უნდა, თავის მშობლებს ყველაფერი უამბო და ჩემი სიმამრი მოსაკლავად მომივარდა. ჩემი მეგობრები რომ არ ყოფილიყვნენ ჩემთან, ალბათ მართლა მომკლავდა. მაიას და ბავშვის ნახვა ამიკრძალა და წავიდა. მეგონა, გაივლიდა ცოტა დრო და გადაუვლიდათ. მაიაც შემირიგდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ჩემს ცოლს ტელეფონზეც კი არ მალაპარაკებდნენ. ამ სიტუაციამ გამაგიჟა, რადგან მაია მართლა ძალიან მიყვარდა, მის გარეშე ვერ ვძლებდი. გარდა ამისა, ბავშვიც ძალიან მენატრებოდა. გამოსავალი ისევ წამალში ვიპოვე. რამდენიმე დღის განმავლობაში კაიფიდან არც გამოვსულვარ.

— მას შემდეგ მაია არ გინახავს?

— როგორ არა, ერთხელ შემთხვევით შემხვდა ქუჩაში. გავგიჟდი სიხარულით. ვთხოვე, ახლავე წამოდი ჩემთან-მეთქი. ტირილი დაიწყო და მითხრა, ვიდრე მაგ საზიზღრობას არ გადაეჩვევი, მე შენი ცოლი ვერ ვიქნებიო. დავპირდი, ოღონდ შემირიგდი და აუცილებლად გადავჩვევი-მეთქი. არა, სიტყვაზე ვერ გენდობი, დამიმტკიცე, რომ ჩემ გამო მაგის გამკეთებელი ხარო.

— დაუმტკიცე?

— ვერა. ჯერ ნარკოლოგიურში დავწექი სამკურნალოდ, მაგრამ ერთ კვირაში იქიდან თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი და ისევ წამალი გავიკეთე. იმ ტანჯვას ვერ გავუძელი. ერთი წელი მაიას ისევ ტყუილად ვეხვეწებოდი შერიგებას. მეუბნებოდა, რომ ვუყვარდი, მაგრამ ნარკომანი ქმარი არ სჭირდებოდა. მერე ნარკოტიკის საწინააღმდეგო ამპულა ჩავიდგი და მაშინვე მაიას მივაკითხე. გახარებული გამომყვა, მაგრამ მეორე დღეს ისევ ჩემი სიმამრი მოგვივარდა და თავისი შვილი ძალით წაათრია, — გამოსწორებული ნარკომანი მე არ მინახავსო. იმ ამბიდან 6 თვე მართლა არაფერი გამიკეთებია. ნაღველსა და კუჭზე მკურნალობაც კი დავიწყე. აღარც ალკოჰოლს ვეტანებოდი. იმედი მქონდა, რომ მაია შემირიგდებოდა, მაგრამ შევცდი. მამამისმა საზღვარგარეთ გაგზავნა. ეს ამბავი ისე განვიცადე, რომ იმ დღესვე წამალი გავიკეთე და ისევ ნარკომანი გავხდი...

— როგორც ვიცი, ახლა ნარკომანი აღარ ხარ...

— მართალია. ერთი ჩემი „წამლის მეგობარი“ ვნახე შემთხვევით ქუჩაში, რომელსაც წვერი ჰქონდა მოშვებული და ვერც კი ვიცანი. მითხრა, მონასტერში ვცხოვრობ და როდის ვიყავი ნარკომანი, აღარც კი მახსოვსო. დამინახა თუ არა, მაშინვე მკითხა, — შენ ისევ წამალში იხრჩობ თავსო? მერე თავისთან დამპატიჟა სტუმრად და ღმერთსა და მონასტერში ცხოვრებაზე იმდენი მელაპარაკა, გადავწყვიტე, მეც მეცადა ბედი. მართლა გულით მინდოდა, რომ წამალს გადავჩვეოდი და მაია და ბავშვი დამებრუნებინა. მითხრა, ყველანაირად გვერდში დაგიდგებიო. მონასტრის წინამძღვარს ჩემზე დაელაპარაკა. მერე ჩამიყვანა და შემახვედრა. სულ რაღაც ერთ თვეში მეც მონასტერში წავედი. თავიდან ძალიან გამიჭირდა იქ ყოფნა. ჩემი მეგობარი რომ არ ყოფილიყო, ალბათ იქიდანაც გამოვიქცეოდი. გარდა იმისა, რომ „ლომკები“ მაგიჟებდა, მონასტრის ცხოვრებასა და მუშაობასაც ვერ ვეგუებოდი. მე ხომ მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში არანაირი საქმე არ გამიკეთებია. ნელ-ნელა ყველაფერს შევეჩვიე და სულ მალე იქაურობა შემიყვარდა კიდეც. იმ მონასტრის კედლებში საოცარი სიმშვიდე ვპოვე. 8 თვე ვცხოვრობდი იქ. არც ერთი ჩემი ნაცნობი თუ მეგობარი არ მინახავს. ჩემს სანახავად მხოლოდ დედა ჩამოდიოდა ხოლმე. ისეთი გახარებული იყო, ამბობდა, ახლა მამაშენს რომ დაანახვა შენი თავი, კიდევ 100 წელი იცოცხლებდაო. 8 თვის შემდეგ შინ დავბრუნდი. ბერებმა გამომიშვეს, რადგან ჩემი ნებისყოფა უნდა შემემოწმებინა. სახლში მისვლისთანავე მაიას დავუკავშირდი და ჩემი ამბავი ვუთხარი. თან ვთხოვე, ჩამოდი და კვლავ ერთად ვიცხოვროთ-მეთქი, მაგრამ საშინელი პასუხი მოვისმინე: აღარ მიყვარხარ და ჩემი მომავალი მეორე ნახევარი უკვე ნაპოვნი მყავსო. კინაღამ მოვკვდი. მართლა ძალიან განვიცადე ეს ამბავი, თუმცა მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს განსაცდელი უფალმა გამოსაცდელად გამომიგზავნა, რომლისთვისაც უნდა გამეძლო და გავუძელი კიდეც. სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, მე კვლავ წამლის გასაკეთებლად არ გავქცეულვარ.

— რამდენი ხანია, რაც წამალი არ გაგიკეთებია?

— ორი წელი და 6 თვე.

— მაია საქართველოში დაბრუნდა?

— არა. მაია ესპანეთში გათხოვდა. მონასტერში რომ არ ყოფილიყავი, ამ ამბავს ვერ გადავიტანდი. იქ ჩამოვიდა დედაჩემი და მითხრა ეს ამბავი. ლოცვა დამეხმარა, რომ ყველაფრისთვის სხვა თვალით შემეხედა.

— შვილს ნახულობ?

— ვნახულობ. ჩემმა სიმამრმა ჩემი ამბავი რომ გაიგო, ალბათ მიხვდა, რომ მონასტერში მყოფი მართლა გამოვსწორდებოდი. თვითონ დაურეკავს დედაჩემისთვის და უთხოვია, ნინიკო მამამისთან წაიყვანეო. მისი დანახვა ძალიან გამიხარდა. ახლა მე და ნინიკოს ხშირი ურთიერთობა გვაქვს. ის ესპანეთში, დედასთან ცხოვრობს, მაგრამ ხშირად მირეკავს. როცა ჩამოდის, ერთად ბევრ დროს ვატარებთ.

— რას აპირებ მომავალში?

— ბერად მინდა აღვიკვეცო. ეს ასე ადვილი არ არის. ამას დრო სჭირდება. გარდა ამისა, ჩემმა სულიერმა მამამ უნდა დაინახოს, რომ მე ამისთვის ნამდვილად მზად ვარ. ეს ისე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, რომ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. უფლის წყალობით, ალბათ ყველაფერი კარგად იქნება. არ მინდა, მამაჩემის სიკვდილის ცოდვა თან წავიყოლო. მინდა, ამ ცოდვისგან როგორმე გავთავისუფლდე. გარდა ამისა, კიდევ უამრავი ცოდვა მაქვს. ბოლოს და ბოლოს, ჩემ გამო, რამდენი ადამიანი დაიტანჯა. ყველაზე მთავარი ხომ სულიერი სიმშვიდეა. ჰოდა, მინდა, რომ დარჩენილი წლები ამქვეყნად სუფთა სულით გავატარო. იმედი მაქვს, უფალი ამ ყველაფერს შემინდობს... ■

ტაძრების კარზე გატარებული 30 წელი და ჩონგურზე დამღერებული ლოცვები

„ვისაც ლოცვა უნდოდა, იმათ კომუნისტები ვერაფერს აკლებდნენ“...

ხათუნა გახტურიძე

წყაროსთავის წმინდა გიორგის სახელობის სალოცავში საინტერესო და უცნაური ამბები მოვისმინე... ცოტა ხნის წინ უძველეს სალოცავში, რომელიც თელავის მახლობლად, უმშვენიერეს გორაკზეა აგებული, ჩვენმა კახელმა კოლეგებმა მიმიწვიეს. ერთ-ერთმა მასპინძელმა, გივი მამუკელაშვილმა, ჯერ კიდევ იქ ასვლამდე გვითხრა: — წყაროსთავის წმინდა გიორგის საოცარი ძალა აქვს და ამას ყველა მომლოცველი თავადვე გრძნობსო. მისი ნათქვამი, თავიდან, ცოტა არ იყოს, გაზვიადებული მეჩვენა... ადგილობრივების მსგავსად, ეკლესიას სამჯერ შემოვუარე და ხატებთან სანთლის დასანთებად მივედი. მოგვიანებით, ტაძრის შესასვლელთან 60-დან 70-წლამდე, 10-15 ქალბატონი შემოვიდა. სანთლები დაანთეს, ხატებს თაყვანი სცეს, შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა ჩონგური მოიმარჯვა და ყველამ ერთად სიმღერა დაიწყო. უფალი, ღვთისმშობელი, წმინდა გიორგი ადიდეს და მერე იქვე სახელდახელო სუფრა გაშალეს. როგორც ადგილობრივმა ჟურნალისტმა, ჩვენი ჟურნალის ყოფილმა თანამშრომელმა ნანა ქიბიშაურმა მითხრა, მანდილოსნების ეს გაერთიანება, რომელსაც „ქარავანი“ ჰქვია, მთასა და ბარში, წინაპრების მიერ აგებულ ტაძრებში დადის, ლოცულობს და საკუთარ ლექსებზე დაწერილ სიმღერებს მღერის. ჯგუფის წევრებთან გასაუბრება მაშინვე მოვინდომე და მათ სუფრას მივუახლოვდი, მაგრამ ქალბატონებმა პირდაპირ გამომიცხადეს, — ვიდრე ჩვენთან ერთად ჭიქა ღვინოს არ დალევთ, სიტყვასაც არ დავძრავთო. დახმარება ჩემს თბილისელ კოლეგას, სრულიად „არამსმელ“ ნინო ბურჭულაძეს ვთხოვე და ერთი ჭიქა ღვინის დალევის ფასად, „ქარავნის“ ხელმძღვანელთან ანა ოთარაშვილთან, ინტერვიუ მოვიპოვეთ... (ვეცადე, მისი და მათიკო კაკუნაშვილის საუბრის სტილი დამეცვა და თქვენთვის ისე მომეწოდებინა).

— ქალბატონო ანა, წმინდა გიორგის რა შესთხოვეთ?

— როგორ თუ რა, შვილო?! წმინდა გიორგის ჩვენი ქვეყნის გაძლიერება, ეშმაკის მიერ დატყვევებული სულების გამოხსნა და სნეულთა გამოჯანმრთელება შევთხოვეთ.

— რამდენი წლის ბრძანდებით?

— 62 წლის, შვილო.

— ალბათ ყველანი თანატოლები ხართ...

— კიი, შვილო, მაშ...

— რამდენი წელია, რაც თქვენი „ქარავანი“ სალოცავებში დადის?

— უკვე დიდი ხანია, ალბათ ოცდაათი წელი მაინც იქნება.

— ღმერთი კომუნისტების დროსაც გწამდათ?

— მაშ, რაა, შვილო, ყოველთვის მწამდა.

— მარხვასაც ინახავდით?

— კი.

— კომუნისტების მხრიდან ამის გამო პრობლემები არ გექმნებოდათ?

— მე არა, შვილო, კომუნისტები საერთოდ არ მაინტერესებდა. ვისაც ლოცვა უნდოდა, მათ კომუნისტები ვერაფერს აკლებდნენ. სიმართლე რომ გითხრათ, ჩუმ-ჩუმად კომუნისტებიც ლოცულობდნენ. მე თავად ვნახე ნათელ-გიორგიში: ერთი მაღალჩინოსანი კომუნისტი, თან პირჯვარს იწერდა და აქეთ-იქით იყურებოდა, არავინ დამინახოსო... ვაიმე, ქაა, ჩემს ლაპარაკს კამერით ხომ არ იღებთ?

— არა, ქალბატონო, თქვენს საუბარს დიქტოფონზე ვიწერ...

— ვაიმე, რაღა ვქნა? (*შეშფოთებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა და ხელი ლოყაზე ჩამოისვა.*)

— რაღა უნდა ქნა, ქაა? მიეცი ეგ ინტერვიუა თუ რაღაცაა (*შეაგულიანეს „ქარავნის“ წევრებმა*).

— ქალბატონო ანა, „ქარავნის“ შეკრება თავიდან როგორ გადაწყვიტეთ?

— ღვთის ძალამ გადაგვაწყვეტინა. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ რაც „ქარავნის“ ხელმძღვანელი გავხდი, მას შემდეგ ლექსების წერაც დავიწყე. შინ თუ მესტუმრებით, ყველა ლექსს წაგაკითხებთ.

— ლექსებს ძირითადად რა თემაზე წერთ?

— უფალს და ღვთისმშობელს ვადიდებ, შვილო, აბა — სხვა რა უნდა დავწერო?

— „ქარავნის“ პირველი ხელმძღვანელი თქვენ ხართ?

— მე არა, პირველი ხელმძღვანელი ნინო ქოცუაშვილი იყო. ძალიან მორწმუნე ქალი იყო, შვილო, ორი წლის წინ დაიღუპა. მის ლოცვას საოცარი ძალა ჰქონდა. ავადმყოფს ერთხელ რომ შეულოცავდა, მაშინვე ფეხზე აყენებდა. ვიდრე ის „ქარავნის“ წევრი გახდებოდა, შვილი გაუხდა ავად — ფეხში ლურსმანი შეერჭო, მერე განგრენა დაემართა. ექიმებმა ხელი აიღეს მის მკურნალობაზე. ნინომ ღმერთს შესთხოვა, — ოღონდ შვილი გადამირჩინე და ვივლი ყველგან, სადაც შენი სახლია, მთასა თუ ბარში და ვილოცებო. უფალმა შეისმინა მისი ვედრება, შვილი გადაურჩა. ამის მერე, ვისაც შვილი ან ოჯახის რომელიმე წევრი გაუხდებოდა ავად, აღთქმას დებდა, რომ ნინოსთან ერთად ისიც დაიწყებდა სალოცავებში სიარულს. ასე გამრავლდა „ქარავანი“. ქალბატონი ნინო ძალიან რომ მოხუცდა, დამიბარა და მითხრა: შვილო, მე რომ მოვკდები, ამ ხალხს შენ უნდა გაუძღვეო. ასეც მოხდა... ახლა მე დამყავს ეს ხალხი მთასა და ბარში.

— რომელი სოფლიდან ბრძანდებით?

— უმრავლესობა ნაფარეულიდან ვართ, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი წევრი სხვა სოფლიდანაც არის.

— სხვა, თქვენთვის უცნობი

ყველა გაჭირვებულისთვის ვლოცულობთ და ღმერთი ყოველთვის ისმენს ჩვენს ვედრებას

ავადმყოფისთვის თუ გილოცია?

მათიკო კაკუნაშვილი:

— კი, შვილო, როგორ არა... ყველა გაჭირვებულისთვის ვლოცულობთ და ღმერთი ყოველთვის ისმენს ჩვენს ვედრებას. შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ ჩემი მოძულესთვისაც მილოცია. ყველას თავისი გზა აქვს და ყველას ცოდვა-მადლს უფალი განსჯის. ღვთიური ძალა აუწონავი და გაუზომავია. ანიკომ კი თქვა, — კომუნისტები ვერაფერს გვიშავებდნენო, მაგრამ მე ერთი ამბავი გამახსენდა: ერთხელ საბჭოს თავმჯდომარემ და მისმა მეუღლემ ეკლესიაში დანთებული სანთლები დაბლა ჩამოგვიყარეს და ფეხით დაგვისრისეს. სულ მალე, საბჭოს თავმჯდომარე ძალიან ცუდად გახდა — შინაგანი ორგანოები მთლიანად დაულპა. მის ქმარს ვიღაც ბანდიტებმა თავის ქალა ახადეს... ორი გოგო ჰყავდა და ორივე გზას ასცდა. ჩვენი, უბრალო მოკვდავების გადასაწყვეტი არ არის ვინმეს განსჯა, უფალი განსჯის ყველას. მე ერთხელ იმასაც შევესწარი, რომ ერთ-ერთმა ყველაზე თავგამოდებულმა კომუნისტმა მოულოდნელად ღმერთი ირწმუნა. ესეც ხომ სასწაულია?!

— რა გახდა მისი მსოფლმხედველობის შეცვლის მიზეზი?

— არ ვიცი, ბოჭორმაში ვიყავით, უკვე შუაღამე იყო... უეცრად რაიკომის მდივანი შემოვიდა, ამოიღო თავისი პარტიული მანდატი და დახია. მერე სანთლები დაანთო და გულმხურვალედ ილოცა.

— თქვენ რამ გადაგაწყვეტინათ, „ქარავნის“ წევრი გამხდარიყავით?

— რძალი გამიხდა ავად. მთელი სახე და სხეული დაუსივდა, საშინელი ტკივილი ტანჯავდა. ყველა ექიმმა სხვადასხვა დიაგნოზი დასვა, გამოსავალი კი ვერავინ ნახა. მერე ერთ-ერთმა ექიმმა ჩუმად მითხრა — ნაფარეულში ერთი მოხუცი ქალია — ნინო ქოცუაშვილი (ჩვენს ყოფილ წინამძღვარზე მითხრა), იქნებ იმას აჩვენოთო. შემოვიდა ნინო ოთახში, ავადმყოფს პირჯვარი გადასახა და თქვა — ეს დილამდე ვერ გაატანს, თუ ახლავე ლაფანყურის ლაშარში არ წაიყვანთო. შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემს რძალს ტაძარში შესვლისთანავე გაუყუჩდა ტკივილი, ლოცვების შედეგად კი სრულიად გამოჯანმრთელდა. ზოგიერთმა მაშინ მასხრად აგვიგდო, — რა ლოცვა, რის ლაფანყურის ლაშარი, ქალს იმდენი წამალი ასვით, ალბათ რომელიღაცამ მაინც არგოო. მაგათ მასხრობას ყური არ ვათხოვე და იმის შემდეგ მეც „ქარავნის“ წევრი გავხდი.

— საქართველოში ყველა სალოცავი გაქვთ მოვლილი?

— არა, შვილო, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს სალოცავები გვაქვს მოვლილი. შორს წასვლას მეტი ფული უნდა, ჩვენი პენსიები კი მაგის საშუალებას არ გვაძლევს. ■

„მოამზადეთ კვერცხები და პომიდვრები!“ ანუ ჯექსონის „გაბასებული“ სიმღერები

წინა კვირაში „ფორუმელები“ აშკარად, გააქტიურდნენ და „ჯეოსტარის“ კონკურსანტების გამო წინასწარვე ნერვიულობდნენ — ჯექსონის სიმღერები როგორ უნდა შეასრულონო?.. ორშაბათის დადგომას გულშემატკივრები დიდის ამბით ელოდნენ, კონცერტის დასრულების შემდეგ კი საოცრად იმედგაცრუებულები, აღშფოთებას ვერ ფარავდნენ და რამდენიმემ ისიც თქვა, ამ კონკურსს თვალს აღარ მივადევნებო.

ლიკა ქაჯაია



მარუსა:

„ორშაბათს მაიკლ ჯექსონის სიმღერები უნდა შეასრულონ“.

ნინი:

„ზუსტად იცი? „ჯექსონის ტური“ მხოლოდ ოთხი მონაწილის დარჩენის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო“.

კოპაკაბანა:

„მეც ასე ვიცოდი, მაგრამ „კურიერში“ თქვეს, ორშაბათს იქნებაო“.

ლიკა-ხატია:

„აჰა, მოვედი, რათა გავიგო, რა გიჭირთ, რა გილხინთ. აირჩიეთ უკვე „სტარი“? აუ, ამ ტურს უნდა ვუყურო, ცეკვებიც იქნება, ალბათ :)“.

ყვარყვარე:

„მოკლედ, ახლა ჯექსონს უპირებენ გაუპატიურებას, არა? რა საჭიროა ასეთი სარისკო ნაბიჯები, არ მესმის“.

გიო:

„ჯექსონზე „გაჭედავენ“, მგონი. მგელაძე Billy Jean-ს მღერის“.

ბებერი გრგა:

„ერთი შოთიკოს ჯექსონი მომასმენინა, რა... ნეტა, რა ენაზე იმღერებს?“

ვამპირე:

„ერთი კარგი კომედია გველის და ჯობია, ყველაფერს იუმორით შევხედოთ. ვინმეს საკუთარი თავი თუ არ ებრალება, მე რატომ უნდა შემებრალოს?.. ჟიურის შეფასებები მაინტერესებს. ნეტავ, ბუბა ვის მიანიჭებს „ქართველი ჯექსონის“ სტატუსს?“

FOR MJJ:

„შოთიკოა XXI საუკუნის ახალი აღმოჩენა“.

WHO IS IN:

„დათუნა არ მომწონს, მაგრამ მგონი, „ბილი ჯეინს“ კარგად იმღერებს“.

FOR MJJ:

„ბილი ჯეინს“ ვერავინ იმღერებს ისე, როგორც ჯექსონი მღეროდა :)“.

გურ 100:

„ახლა სუხიტაშვილის გავარდნის ჯერია, სულ უფრო და უფრო ცუდად მღერის, არ ჰგავს თავის ძმას“.

ბებერი გრგა:

„ჯერ შოთა უნდა გავარდეს, ყველაზე სუსტი კონკურსანტი ეგაა“.

ნეო 777:

„შოთიკოს ხელი უშვით! ნინი გაგდეთ, მერე — ბედია და, მორჩა“.

FOLKMAN:

„ჰმმ... ბედია მინიმუმ, სამეულში უნდა გავიდეს, მანიასა და მგელაძესთან ერთად...“

ნეო 777:

„კი, ბედია კარგად მღერის, მაგრამ მე არ მევასება“.

გურ 100:

„ბუბა გავაგდოთ, თავისი ხროტინა ხმით...“

მიაუ:

„იაზო და ჭოლაც მივაყოლოთ“.

ვამპირე:

„ვაიმე, ნეტა როგორ იმღერებენ?.. მალე მოდი, ორშაბათო...“

მიაუ:

„სულით და გულით მინდა, ფინალში ნინიც დარჩეს და შოთიკოც, ხოლო ბედია, მანია, მგელაძე და ტატიშვილი ნელ-ნელა გაუყვნენ გზას. ჰოდა, მართლაც, სეირი იქნება...“

მარუსა:

„მგონი, ნევროზი დამემართა.... აუ, ბუბამ და იაზომ ჯექსონზე ღადაობები რო დაიწყონ, მოვკლავ ორივეს!“

რაკრაკუნა:

„წინასწარ ვტკბები დღევანდელი კონცერტით. აშკარად, საოცრება იქნება სუხიტაშვილის და შოთიკოს ნამღერი“.

მიაუ:

„მანია „გაილექსება“, მგელაძეს კი არა უშავს, ალბათ, რაღაცას იცოდვილებს... სოფო და ჯექსონი? — მის აკადემიურ სტილთან და ღიმილთან რაღაც ვერ ჯდება; ტატიშვილიც ძნელად წარმომიდგენია ჯექსონის სიმღერით. ნინი და შოთიკო კი... წინასწარ ვტკბები“.

ყვარყვარე:

„მოამზადეთ კვერცხები და პომიდვრები!“

ნი-ცა:

„ისე, რამ აფიქრებინათ ასეთი ტურის ჩატარება?! რაღაც მეეჭვება, რომელიმე კონკურსანტმა გაამართლოს“.

რაკრაკუნა:

„ოოო, სულ რამდენიმე წუთში, პოპის მეფის პატივსაცემად, ჩვენი „ჯეოსტარელები“ მისსავე სიმღერებს გააუპატიურებენ“.

ნეო 777:

„რა დაწყება მისცეს?!“

IA-BEGGINS:

„რამდენიმე ბიჭი სერიოზულად ცეკვავდა. ნეტა რომელი სტუდიაა?“

ტემპერა:

„სტუდია არ არის, „ერისიონის“ დუბლების „სასტავია“.

ყვარყვარე:

„ვინც ამ საცოდავ ბავშვებს ჯექსონის სიმღერის შესრულება დაავალა, ის თავად უნდა გამოიყვანო სცენაზე და საჯაროდ, „ბილი ჯინი“ ამღერო.

BADBADGIRL:

„ნოდიკო ჩელენტანოს უფრო ჰგავს, ვიდრე ჯექსონს“.

M-SC:

„რო არ მომკვდარიყო, დღეს მოკვდებოდა“.

რაკრაკუნა:

„ჯერ დროზე დამარხვა არ აღირსეს, საცოდავს და ახლა ქართველები იქაც სიმშვიდეს ურღვევენ. ვაییი“.

ტემპერა:

„ახლა ბუბას კომენტარი იქნება საინტერესო“.

რაპრაპუნა:

„ნუ, იმასთან შედარებით, რასაც ველოდი, მთლად კოშმარი არ იყო. კარგია, რომ ბექები ჰყავთ და სცენას მოცეკვავეები აცოცხლებენ“.

კუსკუსა 5:

„აუ, სირცხვილიიი... მართლა მეცოდებიან ბავშვები — პროფესიონალებს უჭირთ ჯექსონის სიმღერების შესრულება და ესენი შეძლებენ?“

BADBADGIRL:

„ასე საშინლად სოფო ჯერ არ გამოსულა“.

IA-BEGGINS:

„ვაიმე, ბედიასგან ამას არ ველოდი“.

ოჰოი-იკა:

„შოთიკო კი არა, ჩემთვის ის კონკურსანტი იქნებოდა გამარჯვებული, რომელიც დღეს სიმღერაზე უარს იტყოდა. ცუდად ვარ“.

ტემპერა:

„სიმღერებია არასწორად შერჩეული... ბედიაც და ნოდიკოც სხვა რამეს უკეთესად შეასრულებდნენ!“

ყვარყვარე:

„ვიცინო თუ ვიტირო, არ ვიცი...“.

ნი-ცა:

„ერთი ტური ჯექსონისთვის რომ არ მიგვეძღვნა, უფლება არ გვქონდაო, — ბერიძემ თქვა. ჰო, აბა, ჯექსონის სული მშვიდად ვერაფრით განისვენებდა, თუ ესენი მის სიმღერებს არ შეასრულებდნენ“.

კუკურუკუ:

„ვინ იცის, საწყალ ჯექსონს რამდენი მკვდარი აკავებს, საფლავიდან რომ არ წამოხტეს!“

ფისო:

„სამარცხვინო ტურია!“

ოჰოი-იკა:

„არااა! როგორც მისი სული იტანჯება, მეც ისე უნდა დავიტანჯო!“

ფისო:

„რა ენაზე მღერის შოთა, იცის ვინმემ?“

დემნა:

„ხალხო, ეს რა უბედურებაა? ასე მეც თუ არ ვიმღერო, მეხი დამეცეს „ემსაათში“. უიმეეე... ამას კიდევ, სიტყვები და მელოდია აერია... გაიყვანეთ ეს ბიჭიიი“.

ტემპრა:

„შოთა ზემო ანტალიურად მღერის!“

კუკურუკუ:

„ვაი, სირცხვილო. ოხ, მარინა, ეს ტური შენი იდეა იყო, არა?“

ყვარყვარე:

„მთლად დასცეს „ჯეოსტარის“ იმიჯი“.

რაპრაპუნა:

„შოთა მაგარია!!! მომეწონა, ბრავო, საღოლ, ძმაო! მიყვარხარ“.

AKKAIA:

„ჟიური ყველაფერზე მადლობას რატომ იხდის? ატყუებენ ბოვშებს!“

ვასასი:

„აუ, ეს მარინა როგორ მუშაობს შოთიკოს გაგდებაზეეე!..“

რაპრაპუნა:

„გასაგებია, რომ უცხო ენა არ იცი, მესმის, რომ მახსოვრობის პრობლემა გაქვს, არც ხმა გაქვს და არც — სმენა, მაგრამ ნამუსი?.. კარგით, რა, სიმღერების ასე გაბახება მართლაც, დიდი სირცხვილია“.

რე-ვერა:

„დღეს მაიკლი საბოლოოდ გარდაიცვალა!“

ნეო 777:

„ბუბამ რა მოიბოდიალა, გავიხიე სიცილით...“

ოჰოი-იკა:

„დიდი ხანია, ვამბობ, — უსამართლოა ეს ცხოვრება-მეთქი და აჰა, დამტკიცდა კიდეც. აბა, ზოგიერთი ცოცხალი უნდა იყოს და ანგელოზივით კაცი მიწაში იწვეს?.. ბუბამ დაგლიჯაااა!“

დემნა:

„ვახ, მანია თეთრი „ნასკებით“ ელვარებს, რა“.

მიაუ:

„არის პაროდიის მცდელობა, მაგრამ არცთუ წარმატებული“.

ყვარყვარე:

„მანია თავის სტილში მღერის, არა — ჯექსონისებურად“.

M-SC:

„აუ, რაები იბჟუტურა, ტიპი გონზე არ არის“.

მიაუ:

„ჯერჯერობით, მანიას არა უშავდა“.

რაპრაპუნა:

„ვაჟა და ნოდიკო აშკარად, ცოტა გონზე იყვნენ. ჟიურის კომენტარები მკლავს და მდაგავს“.

მარი გელაშვილი:

„ნუ, მარაზმია, რა. გავდი-გამოვდივარ ოთახში და ნევროზულად ვახველებ. სიმღერითაც საშინლად მღერიან და პლასტიკაც ცუდი აქვთ კი არა და, საერთოდ არა აქვთ. დეპრესია დამეწყო. აუ, ჰუბა-ბუბა მაგარი კაცია“.

ნათ-ნათ 777:

„რა კოშმარია, დავითრგუნე! ეს მანია, თავისი ერთფეროვანი შესრულების მანერით, ძალიან მღლის...“

ყვარყვარე:

„ვაჟა ყველაფრის კოპირებას მაინც არ ცდილობს“.

ნეო 777:

„ვაჟა იდგა, იღიმოდა და მარინას კომენტარზე — სასაცილო კაციაო, სახე შეეცვალა. დღეს ვაჟა ყველას აჯობებს, თუ სუხიტამ არ დაგლიჯა“.

ნათ-ნათ 777:

„ვაა, ბუბა რა ღადაობაა, ჯექსონი ზეპირად იცის, თავიდან ბოლომდე...“

პიპა:

„სუხიტაშვილი ატმის კურკას მაგონებს, მანია — „ჟერებეცს“.

რე-ვერე:

„ჯექსონის პაროდია — ელ ჯეროს ინტერპრეტაციით — მანიას სტილში...“

ნეო 777:

„ღირსები არიან, დარბაზში ჯექსონის სული შეფრინდეს და ჟიურის მაგიდაზე ჩამოჯდეს“.

კუკურუკუ:

„გენაცვალე, კარგად დაიწყო დათუნამ“.

ოჰოი-იკა:

„გვეღირსااა. ამას ველოდი, მოვესწარ (ამის შემდეგ აღარ მოვკვდები)“.

ვასასი:

„აუ, რა მაგარი იქნება, ჯექსონის სულმა ხელი თავში რომ შემოიკრას და, „ვავა, მაიკლო“, რომ „იმღეროს“.

თინეიჯერული პონტები

ნათ-ნათ 777:

„რას გვიშვება ეს იაზო... პრინციპში, რას ვერჩი, ძალიან იდეინი ქალია“.

PUCCI:

„ქართველ მომღერლებს არა აქვთ ე.წ. ძარღვი... ან რა პლასტიკა აქვთ, ან რა მოძონძილად აცვიათ“.

BADBADGIRL:

„ასე მგონია, ბექები უფუჭებს ამ ხალხს საქმეს. ჯერჯერობით, ყველაზე მეტად მანია მომეწონა იმიტომ, რომ ჯექსონის სიმღერა საკუთარი ინტერპრეტაციით შეასრულა. მერე რა, რომ ელ ჯეროს ჰბაძავს? ეგ სულაც არ მადარდებს“.

IA-BEGGINS:

„მე რამდენიმე ბიჭი მომეწონა, სერიოზული პლასტიკა ჰქონდათ“.

მიაუ:

„სუხიტაშვილს რაო? — ყველაზე მარტივი სიმღერა!“

ნეო 777:

„დათუნამ ყველაზე მაგრად იმღერა, მაგრამ ამ ჟიურიმ „გაუხურა“ საქმე... მარინა ისე ლაპარაკობს, თითქოს ჯექსონის პანაშვიდზე იყვნენ“.

ნათ-ნათ 777:

„ნინიმ დაგლიჯა! მაიკლ, მშვიდად განისვენე...“

კუკურუკუ:

„ამ ჟიურის რამ გაუფუჭა სმენა? ვის ან რატომ აქებენ? დღეს არავინ ვარგოდა!“

AKKAI:

„ნოდიკო გავარდება? რა ვიცი, ეგეთი სუნი ასდის და...“

ნი-ცა:

„ეჰ, რას მოვიშალე ნერვები, რატომ დავჯექი „ჯეოსტარის“ საყურებლად?!.. მაპატიეთ, ჯექსონის ფანი არ ვარ და არ ვიცი, ეს სამკლავურები რამეს ნიშნავს თუ უბრალოდ, შავი ლენტი აქვთ შემოხვეული, იმ პონტში, ადრე გარდაცვლილის სახლის ჭიშკარზე შავ ქსოვილს რომ აკრავდნენ?“

ტემპერა:

„აი, სამართალი!!! ძაღლების ქვეყანაში კატებს აყეფებენ! წავედი მე და ჩემი ფეხი აღარ იქნება აქ“.

ვინსანტი:

„ყველაზე კარგად ვინც იმღერა, ის გააგდეს. მარაზმია ეს გადაცემა, რა“.

ყვარყვარე:

„ჯენეტ ჯექსონი მთელი ცხოვრებაა, „იჭაჭება“, რათა თავის ძმას როგორმე მიუახლოვდეს, მაგრამ — ამაოდ. იმ ხალხის ტვინში ჩამახედა, რომელიც მომღერალს, თანაც — დამწყებს და არა ფერადკანიანს ჯექსონის სიმღერის 1 კვირაში მომზადებას სთხოვს... ანშლაგია დღევანდელ თემაში და ესეც იმაზე მეტყველებს, რომ უპრეცედენტო შოუ იყო“.

ნაინა25:

„ძლივს არ გააგდეს ეს გოგო?.. ბედია არ მომეწონა, მაგრამ მაინც, მას დავუმესიჯე, ეგ გოგო არაა გავარდნის ღირსი“.

კუკურუკუ:

„ჯექსონს უყვარდა სამკლავურის, ისევე, როგორც ხელთათმანისა და ქუდის ტარება“.

გვანცა:

„ასეთი სუსტი ბავშვები „ჯეოსტარს“ არასდროს ჰყოლია. ბედია და ტატიშვილი თუ იმართლებენ თავს, არ ვიცი, მაგრამ ეს ბავშვები „ჯეოსტარამდეც“ ჩამოყალიბებული მომღერლები იყვნენ“.

ვამპირე:

„უფრო ძველი რეპერტუარიდან რომ აერჩიათ წყნარი სიმღერები, დღეს ასეთი ცირკი არ მოეწყობოდა. ნეტავ, ვინ შეარჩია რეპერტუარი? ყველა ერთად დაყრუვდა თუ რეპეტიციისას ვერ მიხვდნენ, საშინელი კონცერტი რომ იქნებოდა?..“

FOR MJJ:

„ბუბამ ნერვები მომიშალა, — მაიკლს კაი სიმღერებს უწერდნენო. მე ჯექსონს იმის გამო ვაფასებდი, რომ სიმღერებს თავად წერდა... ეჰ, შოთიკო, სიტყვები მაინც გესწავლა, რა :(ტექსტის არცოდნა სირცხვილია! ჩემი აზრით, პოპის მეფეს შეურაცხყოფა მიაყენეს!“

შუმერი:

„რატომ ნერვიულობთ, კეთილო ადამიანებო? ესენი ხომ მხოლოდ კონკურსანტები არიან! ნუთუ ვინმეს ჰქონდა იმის ილუზია, რომ ამათგან რომელიმე ჯექსონივით იმღერებდა?“

ზესვანი 67:

„კარგი, რა, მშვენიერი ტური იყო და კარგა ხანია, ასე არ მიხალისია. ჯერ მარტო მაიკლის სოფო ბედიასეული „ინტერპრეტაცია“ რად ღირდა? ოჰ, რამდენი ვიცინე და ამისთვის დიდი მადლობა სოფოს!!! დანარჩენები, სოფოს ფონზე, ცოტა „გამოხუნებულები“ იყვნენ. ქალი ვარო, მაგან უნდა თქვას :)). ბედიას ისევ სუხიტაშვილი სჯობდა, რომელსაც უზომოდ თვითკმაყოფილი და რახათ-ლუხუმივით ჩაშაქრული სიფათი მაინც არ აქვს“.

მანიი:

„ესე იგი, შემდეგი ტური ეთნოჯაზს ეთმობა და აბა, ვნახოთ, რას იზამენ“.

კორგულონე:

„ეთნოჯაზი ანუ ეთნიკური უმცირესობების ჯაზი? აბა, „გულაობს“ ზუგდიდი, უფრო სწორად — მანია :).

■

აქვე გთავაზობთ მაიკლ ჯექსონის სიმღერის — Billie Jean-ის ტექსტს

She was more like a beauty queen from a movie scene
I said don't mind, but what do you mean I am the one
Who will dance on the floor in the round
She said I am the one, who will dance on the floor in the round

She told me her name was Billie Jean, as she caused a scene
Then every head turned with eyes that dreamed of being the one
Who will dance on the floor in the round

People always told me be careful of what you do
And don't go around breaking young girls' hearts
And mother always told me be careful of who you love
And be careful of what you do 'cause the lie becomes the truth

Billie Jean is not my lover
She's just a girl who claims that I am the one
But the kid is not my son
She says I am the one, but the kid is not my son
For forty days and for forty nights
The law was on her side

But who can stand when she's in demand
Her schemes and plans
'Cause we danced on the floor in the round
So take my strong advice, just remember to always think twice
(Do think twice)

She told my baby we'd danced till three, then she looked at me
Then showed a photo my baby cried his eyes were like mine (oh, no!)
'Cause we danced on the floor in the round, baby

People always told me be careful of what you do
And don't go around breaking young girls' hearts
She came and stood right by me
Then the smell of sweet perfume
This happened much too soon
She called me to her room

Billie Jean is not my lover
She's just a girl who claims that I am the one
But the kid is not my son

Billie Jean is not my lover
She's just a girl who claims that I am the one
But the kid is not my son
She says I am the one, but the kid is not my son
Billie Jean is not my lover
She's just a girl who claims that I am the one
But the kid is not my son
She says I am the one, but the kid is not my son

She says I am the one, but the kid is not my son
She says I am the one

Billie Jean is not my lover/Billie Jean is not my lover/Billie Jean is not my lover/Billie Jean is not my lover/Billie Jean is not my lover

Billie Jean is/Billie Jean is/Billie Jean is

Not my lover/Not my lover/Not my lover/Not my lover

Billie Jean is not my lover (she is just a girl)/Billie Jean is not my lover (she is just a girl)/Billie Jean is not my lover (she is just a girl)/Billie Jean is not my lover (she is just a girl)

Billie Jean is/Billie Jean is

Billie Jean is not my lover/Billie Jean is not my lover

Billie Jean is/Billie Jean is

■

წვეთი პოეზია



(23 ნოემბერს პოეტ-აკადემიკოს
ირაკლი აბაშიძის
დაბადებიდან 100 წელი შესრულდა)

ყველა სიმღერა

ყველა სიმღერა რასმე გაგონებს,
ყველა სიმღერას თავის წლები აქვს;
ყველა სიმღერა რასმე გაგონებს,
რაც ფიქრს ოდესღაც დავიწყებია.

ზოგში ვარდისთვე არის პირველი
და თან მიჰყვება სული მთავარი,
ან შორეული ქრის თებერვალი
და ფრთას ილეწავს სხვენში ყავარი.

ზოგში იხილავ ძველ წყალდიდობას,
ჩავლილს შენამდი, შენს არყოფნაში.
ზოგში სანთლები ბრწყინავს დიდების,
ნახული სიზმრად თუ ბალღობაში.

ზოგში ხან დედის თავსასთუმალი,
ხან გელანდება მამის სამოსი,
ზოგში იელვებს აბასთუმანი
ან შემოდგომა საგურამოსი.

ყველა სიმღერა რასმე გაგონებს,
ყველა სიმღერას თავის წლები აქვს,
ყველა სიმღერა ვისმე გაგონებს,
ვინც გულს ოდესღაც დავიწყებია.

მაგრამ, ძვირფასო, რაც შენ გიპოვე,
რომ სიცოცხლეში წინ წაგიმძღვარო,
ყველა სიმღერა შენს თავს მაგონებს,
შენ, სიყვარულო დაუვიწყარო!

ირაკლი აბაშიძე

პაპარა ლექსიკონი

სიყვარულის ისტორია,

გადამხდა საინტერესო ისტორია

მყარად დამკვიდრებულ მსგავს გამონათქვამებში უმართებულოდ ვიყენებთ სიტყვას — „ისტორია“, რომელიც ქართულ ენაში, რუსულისგან განსხვავებით, მხოლოდ წარსულის შემსწავლელ მეცნიერებას ნიშნავს; ამიტომ, მოცემული ფრაზების მართებული ფორმებია:

სიყვარულის (სასიყვარულო) ამბავი,

გადამხდა საინტერესო ამბავი

„შენი" და „ჩემი" თუ „ჩვენი"?

მარი ჯაფარიძე

— მაკა, — სამზარეულოდან მისი ხმა მომესმა, — შაქარი სად გვაქვს?

საბოლოოდ გამოვფხიზლდი.

მერე საძინებლის კარზე კაკუნის ხმა გაისმა, რამდენიმე წამის შემდეგ კარი ლევანმა შემოაღო და თავი შემოყო.

— შაქარი გვაქვს?

„გვაქვს"...

სიტყვები „გვაქვს", „ჩვენი" — თითქმის 1 თვეა, ჩემი და ლევანის ლექსიკონში აღარ არსებობს. ახლა არსებობს მხოლოდ „ჩემი" და „შენი"...

ჩვენ გავიყარეთ...

— ჩემი შაქარი, მაცივრის ზემოთ რომ კარადაა, იქ დევს, თაროზე, შეგიძლია, აიღო, — ვუპასუხე და გავიზმორე.

მეზობლებთან მეგობრობა აუცილებელია.

— აჰა, გასაგებია, გმადლობთ, — ლევანმა კარი გაიხურა.

დროა, ავდგე და სამსახურში წასასვლელად მოვემზადო.

სამზარეულოდან ბრახუნის ხმა მოისმა. როგორც ჩანს, რაღაც მძიმე გადმოვარდა და ძირს დაეცა.

— ვერ ვიპოვე, — ისევ შემოაღო კარი.

სახეზე მრისხანე გამომეტყველება მივიღე, ფეხები ფლოსტებში ჩავყავი და სამზარეულოსკენ წავედი. რაღა თქმა უნდა, საშაქრე მაგიდაზე იდგა. ლევანს წარბიც არ შეუხრია. შაქარი ყავაში ჩაიყარა, გაზეთს ხელი დაავლო და მაგიდასთან მოხერხებულად დაჯდა. მე სააბაზანოში შევედი.

ძალიანაც სწორად მოვიქეცი, რომ გავცილდი!

— დღეს გვიან მოვალ, — გამაფრთხილა ლევანმა. ფოთიდან მომავალ მანქანას უნდა დავხვდეთ.

მინდოდა, მეთქვა, რომ აღარ მაინტერესებს, როდის დაბრუნდება შინ, მაგრამ ვეღარ მოვასწარი: ლევანმა კარი გაიხურა და წავიდა.

როცა საჭესთან ზიხარ და სწრაფად მიქრი, მაშინ რადიოს მოსმენას არაფერი სჯობს. შეგიძლია, ფანჯრები ბოლომდე ასწიო და შენც იმღერო... მით უმეტეს, თუ საცობში დგახარ...

ტელეფონმა დარეკა.

— მე ახალი ამბავი ვიცი, — მითხრა მეგობარმა, რომელიც 3 თვე გერმანიაში იყო და ამ დილით დაბრუნდა, — შენ ქმარს გაშორდი!

ვუპასუხე, რომ ეს ახალი ამბავი მეც ვიცოდი.

— ნამდვილად, სულელი ხარ, მაგრამ ეს მოვლენა აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ!

ნინო ნამდვილი „ქალი-დღესასწაულია". გიჟდება, როცა რაიმე მოვლენას, როგორც დღესასწაულს, ისე აღნიშნავს.

— შენი ახალი ცხოვრების დასაწყისს ხვალ აღვნიშნავთ თუ დღეს? — არ მეშვებოდა ნინო.

— პარასკევს ჯობია.

— არა, პარასკევი შორსაა. ხვალ აღვნიშნოთ. დილით დაგირეკავ.

— ხვალამდე არ მნახავ? მომენატრე, — ვუთხარი, მაგრამ მას ტელეფონი უკვე გათიშული ჰქონდა.

საცობის გამო სამსახურში დამაგვიანდა. შეფი ჩემს კაბინეტში ბოლთას სცემდა.

— რა კარგია, რომ მაინც გადაწყვიტე, სამსახურში შემოგევლო... — ირონიულად გამიღიმა და ხელები ისე გაშალა, თითქოს ჩემს ჩახუტებას აპირებდა.

როცა დამნაშავე ხარ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიმჩნიო, რომ ნერვიულობ და დანაშაულს აღიარებ. ისეთი სახე უნდა მიიღო, თითქოს არაფერი მომხდარა.

— საცობში ვიყავი, — ჩავიბურტყუნე.

ჩემს მაგიდაზე გუშინ ჩაბარებული ანგარიში იდო. საქმე ცუდადაა... საქმე ცუდადაა...

შეცდომა, რომელიც ანგარიშში იყო დაშვებული, ჩემი განყოფილების თანამშრომლების ბრალია...

შეფი მთელი ნახევარი საათის განმავლობაში „ლექციას" მიკითხავდა. შემდეგ მიბრძანა, რომ შეცდომა 2 საათამდე უნდა აღმომეფხვრა. კაბინეტის კარი გაიჯახუნა და გავიდა.

2 ვარიანტი მქონდა: პირველი — უნდა შევსულიყავი განყოფილების გოგონებთან და ისე უმოწყალოდ მოვქცეოდი, როგორც შეფი მე მომექცა. ისინი შეშინებული თვალებით დამიწყებდნენ ყურებას და შემდეგ 2 საათამდე გონზე მოსვლას მოანდომებდნენ... ამიტომ, სხვა გზას ავირჩევ — მეორე ვარიანტს გამოვიყენებ, კოდური სახელწოდებით — „კონსტრუქციული". ახლა წავალ, მათთან შევალ, მაგრამ არ ვეტყვი, რომ სულელები არიან. საყვედურსაც არ ვეტყვი. წყნარ და მშვიდ ვითარებაში დავსხდებით და ერთად გადავწყვეტთ, როგორ გამოვასწოროთ შეცდომა. თუმცა დაჯარიმებას ვერ გადაურჩებიან... უყურადღებობის გამო ხელფასის მცირე ნაწილის დათმობა მოუწევთ.

ზაფხულის 2 თვე ისე სწრაფად გავიდა, ვერც გავიგე. დიდი ხანია, შევნიშნე, რომ ზაფხულის დადგომით სიხარულის განცდას ვერც ვასწრებ, ისე მთავრდება ხოლმე. სამაგიეროდ, ზამთარი იჭიმება და იჭიმება... მხოლოდ აგვისტოში გამომიჩნდა 3 თავისუფალი დღე და სასწრაფოდ გავემგზავრე ბაზალეთზე. შეფმა თავისთან გამომიძახა და მიბრძანა, რომ დამესვენა. ზუსტად ასე მითხრა: „3 დღე გაქვს და შეგიძლია, დაისვენო". აი, ამიტომ მიყვარს ჩემი შეფი. ყველაფერს ადამიანურად უდგება და არავითარ შემთხვევაში არ გაიძულებს, ოფისში იჯდე, თუ საქმე არ გაქვს.

ჰოდა, მთელი 3 დღე თავისუფალი ვიყავი და ამ თავისუფლებით ვტკბებოდი. მეორე დღეს ნინომ ჩამომაკითხა.

— რაო, სიხარულო, მოგწონს თავისუფლება? — მკითხა, როდესაც ტბის პირას ვირუჯებოდით.

— არც ისე, — ვაღიარე.

— ნუთუ?!

— რა ვიცი, — სასხვათაშორისოდ ვუპასუხე, რადგან ამ თემაზე ლაპარაკი არ მსიამოვნებდა.

ერთ დროს მე და ლევანი თავს ბედნიერად ვგრძნობდით. დროს ერთად ვატარებდით და ერთმანეთთან ყოფნის სურვილს ვერ ვიკლავდით. როცა დავქორწინდით, მაშინაც ძალიან კარგად ვიყავით. ერთად ვიპყრობდით ახალ-ახალ მწვერვალებს. ბინა ვიყიდეთ, ავტომობილი ჯერ



— მისთვის, შემდეგ — ჩემთვის. მოგზაურობა გვიყვარდა და ხშირად დავდიოდით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. შემდეგ ლევანი დააწინაურეს და ძალიან გამიხარდა, რადგან ის ამას იმსახურებდა. თანაც, მან წინასწარ არაფერი იცოდა. თანამდებობა მოულოდნელად შესთავაზეს და პატარა ბავშვივით გაიხარა. მაშინვე მაღაზიები მოვიარეთ, რადგან ახლა მას უკვე თეთრი პერანგები, პიჯაკი და ჰალსტუხები სჭირდებოდა.

ამის შემდეგ სრულიად სხვა ცხოვრება დაიწყო. ის შინ ბრუნდებოდა, მაკოცებდა, ივახშმებდა და ან ტელევიზორს უყურებდა, ან ინტერნეტში დაძვრებოდა. ისე იქცეოდა, თითქოს ველარც მამჩნევდა.

— ასე სტრესს ვიხსნი, — მეუბნებოდა ხშირად.

„კარგი, — გავიფიქრე მაშინ, — სტრესი მავნებელია და დაე, მოიხსნას. დრო მოვა და ეს ყველაფერი დასრულდება". თურმე ვცდებოდი. მისი სტრესი უსასრულობამდე გაიწელა. თითქმის აღარ ველაპარაკებოდით ერთმანეთს. მე მას აღარ ვჭირდებოდი... ერთხელ 3 დღით რაიონში გაემგზავრა და აღმოვაჩინე, რომ მისი

დაბრუნება არ მინდოდა. მის გარეშე თავს გაცილებით მშვიდად და უკეთ ვგრძნობდი. როცა დაბრუნდა, შევთავაზე, ერთმანეთს დავშორებოდით. მაშინვე დამთანხმდა. როგორც ჩანს, ისიც უჩემოდ უფრო კარგად გრძნობდა თავს.

ვერ ვიტყვი, რომ ამ „ეპოქალური მოვლენების“ შემდეგ ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. უბრალოდ, ახლა საუზმეს აღარ ვამზადებ და დილაობით 15 წუთით მეტი მძინავს. საღამოს არ ვფიქრობ — „რა უნდა გავაკეთო ვახშმად?“ — და თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. აღარავის ვეკითხები — „რა გეგმები გაქვს შაბათ-კვირისთვის?“ — და შემიძლია, ის ვაკეთო, რაც თავში მომივა.

საღამოობით, ტელევიზორს აღარ მივუჯდები ხოლმე ქმართან ერთად და ნერვები აღარ მეშლება იმის გამო, რომ ერთი არხიდან მეორეზე „დახტის“; და კიდევ — ის აღარ მკოცნის წასვლისას და დაბრუნებისას.

დიახ, დიახ, მე თვითონ მინდოდა, რომ ასე ყოფილიყო. მაგრამ მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი მტკივნეული იქნებოდა. ცხოვრება წვრილმანებისგან შედგება, რადგან მნიშვნელოვანი მოვლენები არც ისე ხშირად ხდება, წვრილმანები კი — ყოველდღე.

ღამით ლევანი ფოთში წავიდა. დილით სამზარეულოში ჩემი საყვარელი გვირილების თაიგული და ღია ბარათი დამხვდა: „ბილოცავ ქორწინების 5 წლისთავს“. გული ისე მომეწურა, ღამის ლობიოს მარცვლისოდენა გამიხდა. ხმამაღლა ტირილი მომინდა.

ლევანმა ეს განგებ გააკეთა. აბა, სხვა რა უნდა მეფიქრა?! წინა წლებში არ გახსენებია ჩვენი ქორწინების წლისთავი. ის კი არა და, კარგად უნდა დაფიქრებულიყო, ჩემი დაბადების დღე რომ გაეხსენებინა. ალბათ უნდა დავურეკო და მადლობა გადავუხადო...

„ნომერი, რომელიც თქვენ აკრიბეთ, დროებით გამორთულია“...

რამდენიმე დღის შემდეგ, სამსახურიდან დავბრუნდი თუ არა, ტელეფონმა დარეკა.

— თუ შეიძლება, ლევანს სთხოვეთ... — ქალის ხმამ იკითხა.

აი, ეს მესმის! ლევანს შინ იშვიათად ურეკავენ. მხოლოდ მშობლები თუ მოიკითხავენ. მან თვითონ დააყენა საკითხი ისე, რომ შინ არავის უნდა დაერეკა.

— ლევანი არ გახლავთ, — ვუპასუხე. — გადავცე რამე?

— არა, იყოს, — თქვა „ყურმილმა“ და გაითიშა.

უცნაური, უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა. ნინო... აი, ვინ მჭირდება ახლა მე!.. მისი ნომერი ავკრიბე.

— აბა, რა გეგონა?! — ნიშნის მოგებით მითხრა ნინომ, როდესაც ბოლო მოვლენა დაწვრილებით მოვუყევი.

— რა? — ვერ გავიგე, რისი თქმა უნდოდა.

— თქვენ ხომ ერთმანეთს დაშორდით! ის ახლა თავისუფალია. რასაც უნდა, იმას გააკეთებს, ვისაც უნდა, იმას შეხვდება და ვისთანაც უნდა, იმასთან დაწვება. შენ არაფერ შუაში ხარ და ის სულაც არაა ვალდებული, ანგარიში ჩაგაბაროს.

ვდუმდი... ვისთანაც უნდა, იმასთან დაიძინებს?!

— დაგეძინა? — აზრი გამაწყვეტინა ნინომ. — თუ გული წაგივიდა?

— აქ ვარ...

— არ გინდა ეს სამგლოვიარო ტონი, რა!.. თავი ხელში აიყვანე.

— უჰუ...

— უჰუ კი არა, ნამდვილი სულელი ხარ, — ამოიოხრა ნინომ.

პასუხად ისევ მწარედ ამოვიოხრე.

— შენ რა გეგონა, როგორც კი ეტყოდი, — ლევან, მოდი, ერთმანეთს დავშორდეთო, ის მუხლებს დაგიკოცნიდა და შეგეხვეწებოდა, ოღონდ არ მიმატოვო და შენი მონა გავხვდებიო? ის ჩვარი ხომ არ არის?! მამაკაცია, თანაც — ძლიერი და მშვენიერი. არ უნდა უთხრა მამაკაცს — „ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია“. ეს მხოლოდ მაშინ უნდა უთხრა, თუ კარგად დაფიქრდები და მიხვდები, რომ ნამდვილად გინდა, ასე იყოს.

— ახლა რა უნდა ვქნა? — დავინტერესდი.

— არაფერი. ყველაფერი ისე უნდა დატოვო, როგორც არის, — მირჩია ნინომ, — შენ ხომ ასე გინდოდა?! ჰოდა, დამშვიდდი.

ნინო მართალია. როდესაც ვეუბნებოდი, ერთმანეთს დავშორდეთ-მეთქი, ვფიქრობდი, რომ მიზეზს შემეკითხებოდა, გაარკვევდა, რატომ მივიღე ასეთი გადაწყვეტილება, პატიებას მთხოვდა და გამოსწორდებოდა კიდეც. აბა, სხვანაირად როგორ შეიძლება?! მას ხომ ვუყვარვარ!.. მაგრამ ის მშვიდად დამთანხმდა და მორჩა! მორჩა...

ჰო, ზოგჯერ შეცდომებს ვუშვებთ. ცუდია, როცა ცხოვრებაში ყველაფრის თავიდან დაწყება არ შეიძლება. ხანდახან ადამიანს ისე ეჩვევი, თითქოს შენი ნაწილი ხდება... და გგონია, რომ მუდამ ასე იქნება. მაშინ თავს მეტის უფლებას აძლევ და ყველაფერს იოლად ანგრევ.

რამდენიმე დღის შემდეგ ნინოს დაბადების დღე იყო. მეგობრების წრეში რესტორანში აღნიშნა. ყველა იქ მყოფს კარგად ვიცნობდი. წლების განმავლობაში სულ ერთი და იგივე ხალხი იკრიბებოდა. მხოლოდ ერთი „ძველი ნაცნობი“ აკლდა — ჩემი ქმარი...

— მაკა, დავლიოთ? — გვერდით ნინის ძმა მომიჯდა. ის ჩვენზე 5 წლით უფროსია. ბავშვობაში სიგარეტს ვპარავდით ხოლმე და ამის გამო სულ გვეჩხუბებოდა და გვემუქრებოდა, რომ მშობლებთან ჩაგვიშვებდა...

— დავლიოთ, — ვუპასუხე და ჭიქა მივუჭახუნე...

...დილით რომ გავიღვიძე... უფრო სწორად, გონს რომ მოვედი, „სხვის“ საწოლში ვიყავი, „უცხო“ მამაკაცის გვერდით... ლევანს მშვიდად ეძინა... ხელისგულები ერთმანეთზე მიედო და ლოყის ქვეშ ამოედო... ტანზე დავიხედე... გამჭვირვალე ღამის პერანგი მეცვა, რომელსაც „მე ვეძებ უსიამოვნებებს“ ჰქვია... ეს ღამის პერანგი ერთი წლის წინ, ლევანმა მიყიდა... ნეტავ, როდის მოვასწარი ჩაცმა?

„ქალის ცხოვრება ყოველთვის წინააღმდეგობებით არის სავსე, განსაკუთრებით თუ ის ლამაზი და ჭკუა-გონებით გამორჩეულია.

ასეთი ქალია სოფიო, მაგრამ სიყვარულში არ გაუმართლა. ის კერძო კლინიკაში ანესთეზიოლოგად დაიწყებს მუშაობას, სადაც მოულოდნელად თავის ყოფილ შეყვარებულს შეხვდება. ამავდროულად, ახალი თაყვანისმცემელი გამოუჩნდება... თავიდან ქალს გაუჭირდება არჩევანის გაკეთება, რის გამოც ინტრიგების ქსელში გაებმება...“ — ამგვარადაა მკითხველისთვის წარდგენილი „გზის“ მუდმივი ავტორის — სვეტა კვარაცხელიას რომანი — „ქარის საიდუმლო“, რომელიც პირველად ასევე, ჩვენ ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა და ბევრი გამოხმაურებაც მოჰყვა, რაც ბუნებრივია: ქალბატონი სვეტას ბელეტრისტიკა ხომ მუდამ, დღევანდელობის ამსახველ, უაღრესად საინტერესო ცხოვრებისეულ ამბებს, ცოცხალ, რეალობიდან გადმოსულ პერსონაჟებსა და ისეთ პრობლემებს ეხება, რომლებიც ჩვენი სულის სიმებს შეარხევს...

ვისაც „ქარის საიდუმლო“ ჟურნალის ფურცლებზე არ წაუკითხავს და მას წიგნად გამოცემულს შეიძენს, მას წინ დიდი სიამოვნება ელის.

საწოლიდან ძალიან ფრთხილად წამოვდექი და ოთახიდან უხმაუროდ გამოსვლა გადავწყვიტე... წინა საღამოდან მხოლოდ ის მახსოვდა, რომ ლევანს ვეუბნებოდი, თუ არ მაკოცებ, არ დავიძინებ-მეთქი. თან ვარწმუნებდი, რომ მძინარე მზეთუნახავი ვიყავი, ოღონდ — „უკუღმა“. ნეტავ, მაკოცა თუ არა? ამასთან დაკავშირებით ისტორია დუმს... ვაი, დედა, რა სირცხვილია!

ის იყო, ნახევარი ოთახი გავიარე...

— ვა, მაკა?! მშვენივრად გამოიყურები... — მომესმა ლევანის ხმა.

უდარდელი სახე მივიღე... ეს იმას ნიშნავს, რომ ნახევრად შევბრუნდი, მარჯვენა ფეხი მუხლში ოდნავ ჩავხარე, გულხელი დავიკრიბე და მზერა შორს მივმართე... ჩემი „ვიდი“ ამბობდა: „აქ საქმეზე ვარ, ვდგავარ და ფანჯარაში ვიყურები“...

არსებობს გამოთქმა — „ენა წინ უსწრებს“. ეს ალბათ ჩემზეა ნათქვამი, რადგან ჩემი ენა ხანდახან ჩემგან დამოუკიდებლად, თავისი ცხოვრებით ცხოვრობს... აი, ახლაც.

— ლევან, ვინმე გყავს? — თქვა ჩემმა ენამ.

ვინაიდან პასუხი მაშინვე ვერ მივიღე, საჭიროდ მივიჩნიე, განმემარტა:

— ქალი თუ გყავს?

— მე შენ მყავხარ, მაკა, — ლევანი ბალიშზე შესწორდა, — და მგონია, რომ ეს სულაც არ არის ცოტა.

— აა... ეეე... — კიდევ ბევრი კითხვა გამიჩნდა, მაგრამ გადავწყვიტე, აღარ მეკითხა და ოთახიდან გამოვედი. მას მე ვყავარ! მე! მე!

კარგა ხანს ლევანის ოთახის კართან ბოლთას ვცემდი... მერე სამზარეულოში წავედი და საუზმის მზადებას შევუდექი.

— რას აკეთებ? რა კარგი სუნია! — ცოტა ხანში თავზე წამომადგა.

— ისაუზმებ? — ვკითხე ჩუმად.

— კი, — და თავი დამიქნია.

— საღამოს რესტორანში დაგპატიჟებდი, მაგრამ დღეს ბევრი საქმე მაქვს, — მითხრა და სუფრას მიუჯდა.

ჰო, როცა თავის არიდება გინდა, შეიძლება, საქმეს დააბრალო... და რატომ ვიფიქრე, რომ ყველაფერი შეიცვალა?

— არა უშავს, არაა პრობლემა, — ვუთხარი და გავუღიმე. იმანაც გამიღიმა. ვიდექით და ასე, იდიოტებივით ვიღიმებოდით.

ხანდახან, როცა რაღაც გაწუხებს და მოსვენებას არ გაძლევს, უნდა დამშვიდდე და ცხოვრება გააგრძელო.

იმ საღამოს ლევანი ძალიან გვიან დაბრუნდა, მაგრამ თავს ამაზე ფიქრი ავუკრძალე. რაც უნდა, ის გააკეთოს.

ამასობაში სექტემბერი გავიდა... სოფელში დედას ჩავაკითხე. როგორც ყოველთვის, საბარგული უამრავი ქილით გამივსო და უკან ისე გამომიშვა.

ჟოლოს, მაყვლის, კომშის მურაბების ქილები ერთმანეთს ეხეთქებოდა და წკარუნებდა. მთელი გზა გული მისკდებოდა, როცა წარმოვიდგენდი, რომ შეიძლებოდა, რომელიმე ქილა გამსკდარიყო: ჩემს მანქანაში ნამდვილი საშინელება დატრიალდებოდა.

ის იყო, მცხეთას მოვუახლოვდი, რომ მანქანამ ერთი ამოიფრუტუნა და ჩაქრა. გასაღები გამოვიღე, ისევ მოვარგე, გადავატრიალე, მაგრამ — ამაოდ... გადმოვედი, კაპოტი ავხადე და ძრავას დავხედე. ჩემთვის უცნობი დეტალები კარგად დავათვალიერე, მაგრამ რას გავიგებდი?..

გამახსენდა, რომ ამას წინათ, შუქნიშანთან მდგომს, სარეკლამო ბუკლეტი შემომაჩეჩეს, სადაც სხვა მომსახურებასთან ერთად, ტექნიკურ დახმარებასაც მთავაზობდნენ. ფურცელი „ბარდაჩოკში“ მოვძებნე და მითითებულ ნომერზე დავრეკე. დახმარებას შემპირდნენ, მაგრამ მხოლოდ 2 საათის შემდეგ...

ხომ არ გაგიუებულან?! შუა ტრასაზე მარტო ვდაგავრ, ასეთი სუსტი, დაუცველი და დახმარების იმედი კი არ მაქვს... უკვე ბნელა. ხომ შეიძლება, ვინმემ ჩემი მდგომარეობით ისარგებლოს და შეურაცხყოფაც კი მომაყენოს!.. რამდენჯერმე კიდევ ვცადე მანქანის დაქოქვა, არ მინდოდა, ბედს შევგუებოდი, მაგრამ — უშედეგოდ. ისევ დალოდება ვამჯობინე. საჭეს მივუჯექი და სივრცეს გავხედე. შემდეგ ტელეფონს დავწვდი და ნომერი ავკრიბე.

— ლევან, მანქანა გამიჩერდა შუა ტრასაზე, — ჩუმი ხმით ვუთხარი ყოფილ ქმარს.

— ახლავე მანდ გავჩნდები! სად ხარ?

ჩემი კოორდინატები ვუთხარი და ლოდინი გავაგრძელე.

დრო ისე ნელა გადიოდა, წუთი საათს გაუტოლდა. თუმცა ლოდინი ახლა უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე წეღან. ის ახლა მალე მოვიდოდა და გადამარჩენდა... როგორც იქნა, მისი მანქანა გამოჩნდა.

— როგორ ხარ? — მკითხა ლევანმა.

— ცუდად, — ამოვიოხრე და ამ დროს საშინელება მოხდა — თვალები ცრემლით ამევსო და ლოყებზე ჩამომიგორდა. სულაც არ ვაპირებდი ტირილს, მაგრამ უეცრად ჩემი თავი ისე შემეცოდა, რომ თავი ვეღარ შევიკავე. დაღლილობისგან, მანქანის გამო, ლევანის გამო და საერთოდ, ამ უიღბლო დღის გამო განერვიულებული ვიყავი და იმიტომ ვტიროდი. პატარა ბავშვივით ვსლუკუნებდი.

— მაკა, ვინმემ გაწყენინა? — მკითხა ლევანმა.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

— აბა, რა მოხდა?

— ისე, უბრალოდ...

— უბრალოდ?! — გაუკვირდა ლევანს. — მიდი, ჩემს მანქანაში ჩაჯექი.

დამჯერი ბავშვივით გამოვაღე კარი და მძღოლის გვერდით, სავარძელზე მოვთავსდი.

საქარე მინიდან ვხედავდი, ლევანმა რომ სადღაც დარეკა, ვიღაცას ელაპარაკა. შემდეგ სიგარეტს მოუკიდა, ბოლომდე მოსწია და როდესაც ნამწვი მოისროლა, მხოლოდ ამის შემდეგ გამოაღო კარი და გვერდით მომიჯდა.

— მაკა, თუ გინდა, ჩემი მანქანით წადი, მე კი დაველოდები, — შემომთავაზა ლევანმა.

— არა, მეც აქ ვიქნები და შენთან ერთად დაველოდები.

ჩვენ გვერდიგვერდ ვისხედით და წინ ვიყურებოდით.

— საბარგულში რა გაქვს? — მოულოდნელად მკითხა.

— „მალინის“ მურაბა, — ვიცოდი, რომ უყვარდა.

— აუჰ, როგორ მიყვარს! 1-2 ქილას ხომ მომცემ?

თავი დავუქნიე. მე ხომ ძუნწი არა ვარ...

საშინელებაა, საშინელება! მე ის ძალიან მომენატრა... ის დრო მომენატრა, ერთად რომ ვიყავით.

— ლევან, რატომ გამეყარე?

ძალიან გაუკვირდა:

— შენ თვითონ არ იყავი განქორწინების ინიციატორი?!

— მერე რა?! ყოველთვის იმას აკეთებ, რაც მე მინდა?..

— იცი, რა?.. არსებობს ისეთი თემები, რომლებზე კამათიც არ შეიძლება. ერთ მშვენიერ დღეს შენთვის რომ მეთქვა, შენთან ცხოვრება აღარ მინდა-მეთქი, რას მეტყოდი?

— მიზეზს გკითხავდი.

— ჩემთვის კი მიზეზს მნიშვნელობა არ ჰქონდა.

— სულელი ხარ და იმიტომ, — ვუთხარი და გავჩუმდი.

— შეიძლება, — ცოტა ხნის შემდეგ გამცა პასუხი.

ორივე კარგა ხანს ვდუმდით.

— ახლა ბედნიერი ხარ? შენს ცხოვრებაში ყველაფერი ისეა, როგორც გინდოდა? — მკითხა შემდეგ.

— არა, — გულწრფელად ვუპასუხე, — ყველაფერი ისე სულაც არაა, როგორც მინდა.

— ცუდია.

სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ცხოვრებაში არაფერი შეიცვლება, თუ დაშვებულ შეცდომებს არ გამოასწორებ.

— უშენოდ ცუდად ვარ, — ვთქვი მოულოდნელად. ისე, რომ საკუთარ თავს დაფიქრების საშუალება არც მივეცი.

— მეც, — თქვა მცირე პაუზის შემდეგ და გაიმეორა: — მეც ცუდად ვარ...

— ხომ არ შევრიგდეთ? — ვკითხე ისე, რომ მისკენ არ გამიხედავს. უარყოფითი პასუხის ისე მეშინოდა, როგორც ტყვიის.

— და დავქორწინდეთ კიდეც, — გულიანად გაიცინა ლევანმა.

— კარგი, დავქორწინდეთ, — უცებ დავთანხმდი.

— არანორმალური ხარ, — ლევანმა ჩემი ხელი აიღო, — მოვიფიქრებ, ღირს თუ არა შენი ცოლად მოყვანა. ნუ, თუ ძალიან შემეხვეწები, ალბათ დამითანხმებ...

დავიხარე და ლოყით მხარზე გავეხახუნე. ადრე ხშირად ვიქცეოდი ასე.

ლევანმა თავზე ხელი მომიცაცუნა. მუდამ ასე იქცეოდა, როცა ჩემი ქმარი იყო.

ძალიან კარგი სიტყვაა „მუდამ“. სწორედ ჩემსა და ლევანზეა... უფრო სწორად, ჩვენზეა ზედგამოჭრილი. ყველაფერი კარგად იქნება... ■

მე - ფსიქოლოგი



ინგა ჯაყელი

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-48

სტუმრად მშობლიურ სახლში...

სახლზე მეტად ის ბაღი მიყვარს, სადაც ეს სახლი დგას, რომელიც ადრე უფრო პატარა იყო — პაპაჩემის, დედაჩემის მამის აშენებული. მერე მამაჩემმა ჩაუტარა რეკონსტრუქცია, ბოლოს ჩემმა ძმამ დააშენა კიდევ ერთი სართული. მიუხედავად იმისა, რომ წლების წინ წავედი, ამ სახლში მაინც მაქვს ჩემი ოთახი, რომელსაც დედაჩემი ყოველ შაბათ-კვირას ალაგებს და მერე გასაღებით კეტავს, თითქოს ვინმე წართმევით ემუქრებოდეს. ისე, ეს ოთახიც მიყვარს. იქ ჩემი ბავშვობაა თითქოს დარჩენილი — ჩემი საყვარელი სათამაშოები, წიგნები, ტანსაცმელიც კი. კიდევ რაღაც-რაღაცები, რასაც დედაჩემი დღემდე აგროვებს იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან, მაინც გავთხოვდები და მზითევში წასაღებად დამჭირდება...

პირველი რეზიკო შემომეგება, ველოსიპედით დაქროდა სახლის ირგვლივ.

— ეკა, ეკა, ეკა! — გახარებული ყვირილს მოჰყვა და ლამის დამეჯახა, ბეწვზე მოვასწარი გვერდზე გახტომა. ბავშვმა ველოსიპედი მიწაზე დაადგდო და კისერზე ჩამომეკიდა. ცხვირი ცხვირზე გამიხახუნა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ძალიან მოვენატრე.

— მიყვარხარ, დათუნია! — ჰაერში დავატრიალე ბავშვი.

— დათუნიას ნუღა დამიძახებ, რა, მსუქანი ხომ აღარა ვარ! — მთხოვა რეზიკომ. მართალი იყო. დათუნია იმიტომ შევარქვი, რომ პატარა ძალიან მსუქანი იყო და დაბაჯბაჯებდა.

— კარგი, აღარ დაგიძახებ... საჩუქარი მოგიტანე, გახსოვს, ბოლოს რას დაგპირდი?!.

— ახალი კომპიუტერული თამაშები?! — თვალები გაუბრწყინდა ბავშვს, როცა ცელოფანის პარკიდან დისკები ამოვიღე. ჩამომართვა და სახლისკენ გაიქცა.

მამაჩემი და ჩემი ძმა სამსახურიდან ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ. დედას მოსწავლეები ჰყავდა. სამზარეულოში ნინო ტრიალებდა, გოგონები ეხმარებოდნენ. მარწყვის ტორტი გამოეცხოთ...

ნინოს ვაკოცე და მერე ხელები გავშალე:

— ჩემი მზეთუნახავები — ჩემთან!

ბავშვები ჩამეხუტნენ. საოცრად გალამაზებულან და ახლავე იგრძნობა, რომ ცოტა ხანში დიდ თავსატეხს გაუჩენენ ჩემს ძმას...

— მაპატიეთ, საჩუქრები არ მომიტანია. არ ვიცოდი, რა გაგახარებდათ, ამიტომ ფულს გაჩუქებთ და როგორც გინდათ, ისე დახარჯეთ! — გავხსენი საფულე.

— მე ექსკურსიაზე მივდივარ კლასთან ერთად! — გაუხარდა ნანუკას.

— მე კი იმ ჯინსის შარვალს ვიყიდი, რა, დე! — ასკინკილა დაუარა კატომ.

— არ აკლიათ მაგათ შენგან საჩუქრები! — უფრო მადლობა მითხრა ამით რძალმა. — შენ როგორ ხარ?

— რა მიშავს. ყველა თავისას ჯიჯღინებს, მაგრამ მე ერთ ყურში ვუშვებ და მეორეში ვატარებ...

— ჩემზე ძალიან გაბრაზებულები არიან?

— უფრო დედაშენი. ამბობდა, სახლში არ შემოვუშვებო...

— გამაგდებს და წავალ...

— შენკენ რაა ახალი? — ხელი ჩაიქნია ნინომ. — ისე, მართლა ძალიან იკარგები, რომ იცოდე...

— ბევრი საქმეა და ისე მეპარება დრო, ვერაფერს ვასწრებ...

— პირადულში ხომ არ არის სიახლე?

— არა-ა! — თვალი მოვარიდე ნინოს. მასთან პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი არ შემიძლია. ასე მგონია, მისი თვალებით მთელი ოჯახი მიცქერის და ბუნებრივია, არ მინდა, ისეთი დამინახონ, როგორიც რეალურად ვარ...

შემოსასვლელში ხმაური შემომესმა. როგორც ჩანს, დედაჩემმა გაკვეთილი დაამთავრა და მოსწავლეებს აცილებს. სასოწარკვეთილი თვალებით გავხედე ნინოს. ისეთი სახით აიჩეჩა მხრები, თითქოს მითხრა, — ჩემი იმედი არ გქონდეს, ვერაფრით დაგეხმარებიო...

დამინახა თუ არა, დედამ დოინჯი შემოირტყა:

— გვიკადრე, ქალბატონო?!

— კარგი, რა, დე! — დავეღრიჯე მუდარით. — ოღონდ ისეთი რამე არ მითხრა, რომ თავის მოკვლაზე ვიფიქრო.

— წამობრძანდი ბიბლიოთეკაში, სალაპარაკო მაქვს! — ისეთი კილოთი მითხრა, შეკამათებას აზრი არ ჰქონდა და წინ წასულს საბელწაჭერილი დასაკლავი ხარივით გავედევნე უკან მორჩილად...

ძველებური საწერი მაგიდის წინ მდგარ სავარძელში ჩავჯექი და დაძაბული საუბრისთვის მოვემზადე. დედაჩემმა რატომღაც სათვალე მოირგო ცხვირზე და ყურადღებით შემათვალიერა, თითქოს ასე უფრო შემამჩნევდა ცვლილებებს:

— რას ჰგავხარ — გამხდარხარ, თვალები ამოგღამებია!.. ან ეგ შარვალი რაღა საშენოა? წელი გიჩანს — ექიმ ქალს ეგ გეკადრება?!

— კაი, რა, დე... კარგი არაფერი გაქვს სათქმელი?.. ან არ შეიძლება, ისე მომეფერო და თუ არ მაკოცებ, თავზე მაინც გადამისვა ხელი — ბოლოს და ბოლოს, 30 წლის გავხდი. ეს კი ჩვენს რთულ საუკუნეში ცხოვრების ნახევარია...

დედაჩემი შეცბა. აშკარად არ მოელოდა ასეთ საყვედურს და როგორც ჩანს, ამის შემდეგ დააფიქსირა, რომ მართლა არ მოსვლია აზრად მოფერება კი არა, მოკითხვაც კი.

მისი დაბნეულობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ისევ შემოირტა დოინჯი და ხმასაც უფრო აუწია:

— მე მეფერება და მიცოდებს ვინმე?! ჩემი სანერვიულო მეყოფა: მართლა ვერ გაგზარდე, როგორც საჭირო იყო, მეტი სიმკაცრე უნდა გამომეჩინა...

— მე თუ სიმკაცრე მაკლდა!.. — ჩავიქნიე ხელი. — სხვათა შორის, მაგ შენი სიმკაცრისა და შეზღუდვების გამოა, სახლიდან გაქცევის სურვილი რომ გამიჩნდა. რატომ ვერ ხვდები, რომ ძალიან დიდი ვარ და მაქვს პირადი ცხოვრების უფლება. ან რას ვაშავებ ისეთს — ნარკომანი მე არ ვარ, ბოზი და, სხვათა შორის, არც უსაქმური. რაც წავედი, პურის ფულიც არ მითხოვია, მე მგონი, თქვენთვის...

— საქმეც მაგაშია: რას აკეთებ

გაგრძელება იხ. გვ. 80

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37-48

გოჩა მანველიძე

გოგას რამდენიმე ნაცნობი ჰყავდა სოხუმში, მაგრამ მათგან მხოლოდ ერეკლეს ენდობოდა. მათი მეგობრობა სამი წლის წინ სრულიად შემთხვევით დაიწყო. იმხანად გოგა, თავის ორ თანაკურსელთან ერთად ისვენებდა სოხუმში. აგვისტო იდგა. ზღვისპირა ქალაქში უამრავი დამსვენებელი იყო ჩამოსული. ვის არ შეხვდებოდით პლაჟებსა და კაფე-ბარებში. რუს და უკრაინელ დამსვენებლებს, ბალტიისპირელებსა და შუააზიელ ტურისტებს. ბევრნი იყვნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების მცხოვრებნი...

გოგა და მისი მეგობრები ხალხმრავლობას გაერიდნენ და ქალაქგარეთ იქირავეს პატარა ბინა. აქ ყველაფერი იყო, რაც მათ სჭირდებოდათ. ტურბაზა, სადაც მრავლად ირეოდნენ გართობის მოსურნე ახალგაზრდა ქალები. იქვე იყო პატარა რესტორანი და ახლოს იყო ზღვაც, რომელიც მათი ბინიდან ორმოცდაათიოდე მეტრში ლივლივებდა.

როგორც წესი, გოგა და მისი მეგობრები დილაუთენია მიდიოდნენ ზღვაზე, იმ დროს, როდესაც პლაჟზე მხოლოდ რამდენიმე ადამიანი თუ იმყოფებოდა. მაგრამ იმ დღეს წესი დაირღვა. წინა საღამოს გოგას და მის მეგობრებს თბილისელი ნაცნობები შეხვდნენ. შეხვედრა რესტორანში აღნიშნეს. ქეიფი გვიანობამდე გაგრძელდა და...

მოხდა ის, რაც ყოველთვის ხდება მსგავს შემთხვევაში. გოგას მეგობრებმა ნაბახუსევზე თავები ვეღარ ასწიეს ბალიშებიდან. თავად გოგას კი „პახმელიზე“ გამოსვლის უებარ საშუალებად იოდით გაჯერებული ჰაერი და გრილი წყალი მიაჩნდა. ამიტომაც პირსახოცი მხარზე გადაიკიდა და მარტო დაეშვა პლაჟისკენ.

პლაჟის მარცხენა ნაპირი წყალში შეჭრილ კლდეებს ებჯინებოდა. ეს ადგილი განსაკუთრებით უყვარდა გოგას. აქ წყალი ყოველთვის სუფთა და გამჭვირვალე იყო. კარგად მოჩანდნენ აუჩქარებლად მხოხავი კიბორჩხალები და ფსკერს გაკრული ღორჯოები, რომლებიც ადამიანის მიახლოებისთანავე აქეთ-იქით იფანტებოდნენ.

ის იყო, ტანსაცმელი გაიხადა და წყალს მიუახლოვდა, რომ მისკენ მომავალი ახალგაზრდა შენიშნა. მისი თანატოლი იქნებოდა. მაღალი, სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა იყო. წაბლისფერი თმა მოკლედ შეეკრიჭა, სახეზე კი რამდენიმე დღის მოუპარსავი წვერი მოუჩანდა, ხელში მოგრძო ჩანთა ეჭირა.

ახალგაზრდა გოგას გვერდით შედგა, ჩანთა მიწაზე დააგდო, სიგარეტს მოუკიდა და ჰკითხა:

— როგორი წყალია?

— სველი, — გაეხუმრა გოგა.

ახალგაზრდამ სწრაფად შემოხედა.

— თბილისელი ხარ?

— ჰო, — უპასუხა გოგამ, — შენ?

— „მესანი“ ვარ... სოხუმელი, — ახალგაზრდამ ხელი გამოუწოდა, — ერეკლე მქვია.

— გოგა.

— ცურვას აპირებ?

— აბა, რისთვის მოვიდოდი აქ? — გაუკვირდა გოგას.

— რა ვიცი. ზოგს დილით სეირნობა უყვარს, ზოგსაც ზღვის ყურება.

— არა, ძმაო. შენ აქ ცხოვრობ და ალბათ მობეზრებულიც გაქვს ზღვა. მე კი თბილისელი, ზღვას მონატრებული კაცი ვარ და ასეთ დილას ხელიდან ვერ გავუშვებ!

— გასაგებია, მაშინ ერთ რამეს გთხოვ.

— რა გინდა? — ჰკითხა გოგამ.

— კლდეებისკენ ნუ გაცურავ, — თქვა ერეკლემ.

— რატომ? — გაუკვირდა გოგას.

ერეკლე დაიხარა და ჩანთიდან წყალქვეშა სანადირო თოფი ამოიღო.

— ოჰო... კარგი რამეა! — იარაღი მოუწონა გოგამ.

— კარგი იყო. ახლა კი ჯართია და მეტი არაფერი, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ერეკლემ, — ძმაკაცმა გამიფუჭა. საშიშია ამით ნადირობა. „სპუსკი“ აქვს მოშლილი და ხანდახან თავისით ისვრის. დილაობით იმიტომ გამოვდივარ ზღვაზე. არ მინდა ნადირობისას ვინმე რომ იყოს ახლოს. ვფრთხილობ. ხომ იცი, ეშმაკს არ სძინავს. ვაი და, გავარდეს!

— რამდენ მეტრში ისვრის შენი ხირიმი? — ჰკითხა გოგამ.

— ათ-თორმეტ მეტრში.

— კარგი, შეგიძლია მშვიდად ინადირო. ორმოცდაათ მეტრზე ახლოს არ მოგეკარები, — პირობა მისცა გოგამ.

— ჯიგარი ხარ. მაღარიჩი ჩემზე იყოს. კეფალს ამოვყრი. მერე ჩემთან გადავიდეთ და ერთად ვჭამოთ პური, — ამ სიტყვებთან ერთად, ერეკლემ შარვალი და პერანგი გაიხადა. მერე ლასტები და საყვინთი ნიღაბი მოირგო, წყალში შევიდა და კლდისკენ გაცურა.

გოგა ცოტა ხანს ადევნებდა თვალს და როგორც კი ახალი ნაცნობი კლდეს მიეფარა, თვითონაც ზღვაში ჩავიდა.

გოგა კარგად ცურავდა, მაგრამ იმ დღეს შორს არ წასულა. ნაბახუსევი იყო და თავის დატვირთვა არ უნდოდა. ასეთიდე მეტრით დაშორდა ნაპირს, ცოტა ხანს შეისვენა, მერე შემობრუნდა და უკან გამოცურა. ამ დროს კლდის სიახლოვეს მოცურავე ადამიანს მოჰკრა თვალი. გაუკვირდა: ასე მალე მორჩა ნადირობასო? მაგრამ მერე მიხვდა, რომ მონადირე არაფერ შუაში იყო. კლდესთან მოცურავე ადამიანი ქერათმიანი იყო. გოგას მაშინვე გაახსენდა ერეკლეს გაფრთხილება და მოცურავეს ხმამაღლა გასძახა და ხელების ქნევას მოჰყვა, მისი ყურადღება რომ მიექცია. მან მართლაც გამოხედა.

— აქეთ წამოდი, მანდ ნუ იცურავებ! — გასძახა გოგამ, მაგრამ მოცურავეს თითქოს არაფერი ესმოდა. ზურგი შეაქცია და მშვიდად განაგრძო ცურვა.

„არ ესმის, იქნებ ქართველიც არ არის“, — გაიფიქრა გოგამ და სწრაფად აამოძრავა ხელები, მაგრამ მოცურავის გაფრთხილება ვეღარ მოასწრო. მამაკაცამდე ათიოდე მეტრი რჩებოდა, როცა ის დენდარტყმულივით შეხტა და განწირული ხმით აყვირდა. ამასთან ერთად წყლის ზედაპირზე სისხლის

ლაქა გამოჩნდა, რომელიც სწრაფად იმატებდა ზომაში.

გოგამ სისწრაფეს მოუმატა და მკლავის რამდენიმე მოსმით მამაკაცის გვერდით გაჩნდა. ეს დროულიც იყო. დაჭრილს უკვე გამოლეოდა ძალა. ერთხელ კიდევ გაიბრძოლა და ქვასავით დაეშვა ფსკერისკენ. იმავდროულად მეორე მხრიდან ირაკლიმ მოცურა. მან და გოგამ ერთად ჩაყვინთეს. საბედნიეროდ, მამაკაცს ღრმა ადგილას ვერ მოესწრო შესვლა. ის სამი თუ ოთხი მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს, აქეთ-იქიდან ჩაავლეს ხელები და სასწრაფოდ ამოიყვანეს ზედაპირზე.

— დამპალი თოფი... ის მოხდა, რისიც მეშინოდა... თავისით გაისროლა... საიდან გაჩნდა ეს კაცი აქ?! — ქშინავდა ერეკლე და დაჭრილს გაშმაგებული ექაჩებოდა ნაპირისკენ.

ცოტა ხანში დაჭრილი ნაპირზე გაიყვანეს. წყალქვეშა სანადირო თოფის ისარი ბარძაყში მოხვედროდა და მეორე მხარეს გასულიყო. ჭრილობიდან ნიაღვრად მოჩქეფდა სისხლი. შიშისგან თუ ტკივილისგან, დაჭრილს გონება დაეკარგა. მოშვებული იწვა პლაჟზე და ოდნავშესამჩნევად სუნთქავდა.

— ძლიერი სისხლდენა აქვს, შეიძლება არტერია აქვს დაზიანებული, — ივარაუდა გოგამ.

— საიდან იცი? — შეხედა ერეკლემ.

— სამედიცინოზე ვსწავლობ... სასწრაფოდ უნდა ამოვაცალოთ ისარი და სისხლდენა შეჩერდება!

ერეკლემ ცალი ხელი ბარძაყზე დააბჯინა დაჭრილს, მეორე ისარს ჩაჰკიდა და ფრთხილად ამოაცალა ჭრილობიდან. ამასობაში კი გოგამ შარვალს ქამარი შეხსნა და დაჭრილს იარის ზემოდან გადაუჭირა. მერე მაისური დახია და ჭრილობაზე მჭიდრო სახვევი დაადო. სისხლდენამ მაშინვე იკლო, შემდეგ კი საერთოდ შეწყდა.

— რუსია... — ერეკლე სახეში ჩააცქერდა დაჭრილს. — ალბათ ტურბაზიდანაა. რა ეშველება ახლა ამას?

— ჯერჯერობით, არაფერი უშავს. აღარ მოკვდება, მაგრამ სასწრაფოდ უნდა გადავიყვანოთ საავადმყოფოში, — თქვა გოგამ, — შენი გამოჩენა არ ივარგებს. რაც უნდა იყოს, კაცი დაჭერი!

— მაშ, რა ვქნა, უპატრონოდ ხომ არ მივატოვებ?!

— მე მივხედავ.

ერეკლე შეყოყმანდა.

— რას ფიქრობ? რაც მოხდა, მოხდა. მთავარია, რომ გადარჩება. რამდენიმე ნაკერს დაადებენ და ერთი თვის მერე, აღარც კი ეხსომება ეს ამბავი. რისთვის უნდა გაიფუჭო საქმე. პოლიცია ერთ ამბავს ატეხს, — არიქა, დამსვენებელი დაჭრა, საქართველოში სტუმრად ჩამოსული კაციო!..

ერეკლე წამით ჩაფიქრდა და თქვა:

— კარგი... სად გნახო მერე?

გოგამ ხელით მიანიშნა სახლზე.

— იქ ვცხოვრობ. სამი-ოთხი დღე კიდევ აქ ვიქნები.

ერეკლემ თავი დაუქნია. მერე კი თავისი ტანსაცმელი წამოკრიბა და სწრაფად მოშორდა იქაურობას.

მისი წასვლის შემდეგ გოგამ დაჭრილი ზურგზე მოიკიდა და მძიმე ტვირთით წელში მოხრილი დაიძრა ტურბაზისკენ.

დაჭრილი გადარჩა. საბედნიეროდ, გოგა გზატკეცილზე მიმავალი მანქანიდან შენიშნეს და დაჭრილი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში. მოგვიანებით კი მას პოლიციელებთან მოუწია შეხვედრამ. მათ მხოლოდ ერთი კითხვა აწუხებდათ: ვინ დაჭრა რუსი ტურისტი?

— არ ვიცი, — უპასუხა გოგამ.

— როგორ თუ არ იცი?! — გაიკვირვა გამომძიებელმა, — კაცი შენ თვალწინ დაჭრეს და შენ არაფერი იცი.

— საიდან უნდა ვიცოდე, — მშვიდად განაგრძო გოგამ, — ზღვაში ვცურავდი. როცა ეგ კაცი დავინახე, უკვე დაჭრილი იყო. პლაჟზე არავინ დამინახავს.

იგივე დაადასტურა დაჭრილმაც. მან გამომძიებელს უამბო, რომ ზღვის ნაპირზე მისვლისას, გოგას გარდა არავინ უნახავს, რომელიც ნაპირიდან ასიოდე მეტრში ცურავდა. ის იმასაც კი ვერ მიხვდა, თუ რა შეემთხვა. ცურვისას მოულოდნელად იგრძნო დარტყმა და მწვავე ტკივილი. შეშინებულმა ისიც კი გაიფიქრა, რომ ზღვის რომელიმე მტაცებელი დაესხა თავს. შემდეგ შენიშნა სისხლი, რომელიც მის გარშემო ალისფერად ღებავდა წყალს. ისიც დაინახა, თუ როგორ მოცურავდა გოგა მის საშველად. მეტი არაფერი ახსოვდა. შიშისგან თვალთ დაუბნელდა და გონება დაკარგა.

ამით ძიება დასრულდა. პოლიციამ დაასკვნა, რომ დამსვენებელი შემთხვევით დაჭრა რომელიღაც წყალქვეშა ნადირობის მოყვარულმა. შემდეგ პასუხისგებას გაერიდა და ვიდრე გოგა დაჭრილის გადარჩენას ცდილობდა, იქაურობას გაეცალა. მისი ვინაობა კი ასევე გაურკვეველი დარჩა.

მას შემდეგ სამი წელი იყო გავიდა. ამის მიუხედავად, გოგასა და ერეკლეს ურთიერთობა აღარ შეუწყვეტიათ. სამი წლის განმავლობაში, გოგა მხოლოდ ერთხელ მოხვდა სოხუმში. სამაგიეროდ, ერეკლე ხშირად სტუმრობდა თბილისს და კარგადაც იცნობდა მის მშობლებსა და მეგობრებს.

საღამოვდებოდა, როცა გოგამ სოხუმის გარეუბანს მიაღწია. ერეკლეს სახლი ძალიან ლამაზ ადგილას იდგა. მწვანე ბაღში ჩაფლულ სახლს ცალი მხრიდან ენგური ჩამოუდიოდა, მერე მხრიდან კი ზღვა ესაზღვრებოდა.

ერეკლე სახლის ვერანდაზე, სარწეველაში მოხერხებულად მოწყობილიყო. მუხლებზე ხის დაფა ედო, რომელზეც ქაღალდის ფურცელი იყო დამაგრებული და გატაცებით ხატავდა. ღობესთან შეჩერებულ გოგას წამით გამოხედა, მაგრამ თვალის ერთი შევლებით ვერ იცნო. შემთხვევით გამვლელად ჩათვალა და ისევ ფანქარსა და ფურცელს მიუბრუნდა. შემდეგ კი მოულოდნელად შემობრუნდა, ყურადღებით დააკვირდა: „გოგა!..“ — წამოიყვირა ხმამაღლა, გვერდზე მოისროლა დაფა და სირბილით გამოვარდა ჭიშკრისკენ.

— საიდან სად... ყველაფერს ველოდი, მაგრამ შენს გამოჩენას — არა... ასე უნდა, ბიჭო?! კარგი, ვთქვათ ვერ ჩამოხვედი, მაგრამ ერთხელ მაინც არ უნდა დაგერეკა?! — სწრაფად ლაპარაკობდა მეგობრის ნახვით გახარებული ერეკლე. — შემოდი.. შემოდი... რისთვის ვდგავართ ქუჩაში?.. სახლში ვილაპარაკოთ.

ორი წლის განმავლობაში სახლში თითქმის არაფერი შეცვლილიყო. კედლებს ისევ ეკიდა ერეკლეს რამდენიმე ნახატი, დათვის ტყავი, ირმისა და ჯიხვის რქები. მხოლოდ ბუხრის



თავიდან გამქრალიყო თოფები და პატრონტაშები.

— გაგიმართლა. დილით წავითევზავე... ჩვენებურ კეფალზე უნდა გაქეიფო... — ლაპარაკობდა ირაკლი და თან სასტუმრო ოთახში სუფრას შლიდა.

მაგიდაზე სწრაფად გაჩნდა პური, ყველი, სალათა, რამდენიმე ოქროსფრად დაბრაწული კეფალი. ბოლოს ერეკლემ მაგიდაზე ღვინით სავსე დოქიც შემოდგა და სტუმარი სუფრასთან მიიწვია.

— მცირედისთვის ნუ დამძრახავ. ჯერ ამით დავიწყოთ, მერე კი დანარჩენსაც შემოგვამატებენ, — ლაპარაკი განაგრძო ერეკლემ.

— ვინ? — გოგამ გაოცებით მიმოიხედა. თავიდანვე შენიშნა, რომ სახლში მათ გარდა არავინ იყო.

— ბიჭები მოვლენ. კარგ დროს გამოჩნდი. საღამოსთვის პურისჭამაზე შევთანხმდით. სამწვადესაც გამოაყოლებენ... მოკლედ კაი დროს გავატარებთ, — ამ სიტყვებთან ერთად ერეკლემ ჭიქებში ღვინო ჩამოასხა, — ამ ჭიქით იმ ქარს გაუმარჯოს, რომელმაც აქეთ გადმოგაგდო!..

გოგას არ უნდოდა შეხვედრის პირველივე წუთებიდან ხასიათი წაეხდინა ერეკლესთვის. ამიტომაც არაფერი უთქვამს იმ „ქარზე“, რომელმაც სოხუმში გადმოისროლა.

— შენ გაგიმარჯოს, — ჩაილაპარაკა ყრუდ და ერთი მოყუდებით გამოცალა ჭიქა.

მაგრამ ერეკლეს არ გამოჰპარვია მისი უხასიათობა. თვითონაც დალია ღვინო. მერე ჭიქა გვერდზე გადადგა და ჰკითხა:

— რა შეგემთხვა?

— ახლა არ ღირს ამაზე ლაპარაკი, — პასუხს გაერიდა გოგა.

— რატომ?

— მოდი, მე წავალ, — გაუბედავად თქვა გოგამ.

— მაგას რატომ მკადრებ?! — მოიღრუბლა ერეკლე. — როგორ გგონია, ის კაცი ვარ, რომელიც სტუმარს სადმე გაუშვებს?! გინდაც გავგიჟდე და გაგიშვა. სად წახვალ?!

— სანაპიროზე ჩავალ. გავივლი, გამოვივლი. მანამდე შენი სტუმრებიც დაიშლებიან და...

— და შენც მოხვალ! — არ დაასრულებინა ერეკლემ. — ამის თქმა გინდა?

— ჰო, — თავი დაუქნია გოგამ, — არ გეწყინოს. ვიცი, რომ გიკვირს, მაგრამ ახლა ასეა საჭირო.

ერეკლე ადგა, ტელეფონს მიაშურა და სადღაც დარეკა.

— ჰო... მე ვარ... მოკლედ ის საქმე გადაიდო... ჰო, ვიცი, ბიჭებს რომ გაუტყდებათ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა... მერე აგიხსნი ყველაფერს... ბიჭებს შენ თვითონ გააგებინე და ჩემი სახელით ბოდიში მოუხადე... — ერეკლემ საუბარი დაამთავრა. ისევ მაგიდასთან დაბრუნდა და გოგას უთხრა:

— ყურადღებით გისმენ.

— ზედმეტი იყო მაგის გაკეთება.

— ეგ ჩემი გადასაწყვეტია, — უპასუხა ერეკლემ, — მეტყვი თუ არა, რა შეგემთხვა?

— ჩემი მშობლები დაიხოცნენ...

— როგორ? — ყრუდ იკითხა ერეკლემ.

— ამის გახსენებაც მიჭირს, მაგრამ უთქმელობაც არ გამოვა, — გოგამ საფეთქლები მოისრისა, — ყაჩაღობისას დახოცეს!

— მერე მე რატომ არ გამაგებინე?!

— რა უნდა გამეგებინებინა, ერეკლე?! მშობლები დამიხოცეს და მათ მკვლელობას მე მაბრალებენ-მეთქი?!

— შენ გაბრალებენ?! — გაოგნდა ერეკლე?!

— ოფიციალურად მე ძებნილი მკვლელი ვარ!

— რომელ იდიოტს მოუვიდა აზრად ასეთი რამ?!

— იდიოტს რა დალევს ამქვეყნად, მაგრამ ახლა ასეთ ვინმესთან არა მაქვს საქმე. იმ გამომძიებლის ადგილას რომ ყოფილიყავი, შენც მე მომაწერდი მათ მკვლელობას!

— რას ამბობ?!

— ასეა. გამომძიებელს ვერაფერში გავამტყუნებ.

— მოდი, ყველაფერი დალაგებით მიამბე და მერე გავარკვიოთ, მართალია ის გამომძიებელი თუ — არა, — თქვა ერეკლემ.

გოგა დოქს გადასწვდა და ღვინო ჩამოასხა. მერე უსიტყვოდ გამოცალა ჭიქა და ალაპარაკდა.

— გისმენ და ვერ დამიჯერებია, — მძიმედ თქვა ერეკლემ, როცა გოგამ ყველაფერი უამბო, — ამას ასე იოლად ვერ გადახარშავს კაცი!

— გადახარშვას არც ვაპირებ. ის კაცი უნდა მოვძებნო. ამისთვის ჩამოვედი აფხაზეთში, — უპასუხა გოგამ.

— როგორ თქვი, რა ჰქვია იმ კაცს?

— მის შესახებ არაფერი ვიცი. მამამისის გვარია ხიჟბა. ოცდახუთი წლის წინ გუდაუთაში სამხედრო აეროდრომზე მსახურობდა.

— ხიჟბა... ხიჟბა... მსმენია ეგ გვარი, მაგრამ ვერ ვიხსენებ, როდის და რასთან დაკავშირებით, — ჩაილაპარაკა ერეკლემ.

— ვიდრე მაგ კაცს არ მოვძებნი, უკან ვერ დავბრუნდები!

— ცუდ დროს მოგიწია აქ ჩამოსვლამ.

— ასეთმა საქმემ დრო და მომენტი არ იცის.

— მე სხვა რამ ვიგულისხმე. შეამჩნიე, თოფები რომ აღარ კიდია კედელზე? — განაგრძო ერეკლემ.

— რა შუაშია თოფები?

— დრო დადგა ისეთი, რომ დიდი და პატარა იარაღს დაეძებს. ვისაც არაფერი აქვს, თოფის შოვნაზე ფიქრობს, ვისაც თოფი აქვს, უკეთესს ეძებს.. რაც მონასტერი აირია, ჩემები სოფელში გავგზავნე. იქაურობასაც მიხედავენ და მეც უფრო მშვიდად ვიქნები. თოფებიც მათ გავატანე. დღეს იარაღის გარეშე სახლიდან არ გაისვლება. თანაც მთავრობამ ქართველებს რამდენჯერმე ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი უკვე ჩაგვიტარა. როცა ყველაზე ძალიან გვჭირდებოდა, მაშინ გვართმევდნენ იარაღს. დღეს აღარავინ დაუშვებს იმავე შეცდომას.

— იარაღი მამაშენს გაატანე და თავად ხელცარიელი დარჩი?

— ხომ გითხარი: ვისაც რაღაც აქვს, უკეთესს დაეძებს!

— სოხუმს არაფერი ეტყობა. ქალაქი დამსვენებლებითაა სავსე. ხალხი ზღვაზე ბანაობს, ერთობა...

— ეგ ყველაფერი მოჩვენებითია. ზღვას მაგონებს დღევანდელობა. ერთი შეხედვით მშვიდ, ლურჯად მოლივლივე ზღვას, რომელიც არაფრით გაშინებს. პირიქით, თავისკენ გიზიდავს და მოჩვენებითი სიმშვიდით გატყუებს. მაგრამ საკმარისია, ერთი აღელვება და ყველაფერს გამოაჩენს. ყველა იმ საშინელებას, რომელიც მის ფსკერზეა მიმალული. მოჩვენებითია

სიმშვიდე, რომელიც შენ სოხუმში იხილე. ციმბირიდან და უკრაინიდან ჩამოსული დამსვენებლისგან ვერაფერს შეიგრძნობ. მათ მარტო ზღვა და პლაჟი აინტერესებთ. ადგილობრივებმა კი კარგად იციან, რომ ისეთივე ქარიშხალია მოსალოდნელი, როგორმაც უკვე გადაუარა საქართველოს.

— ისევ ომი? — შიშით გახედა გოგამ.

— ჰო... და იმაზე უარესი, ვიდრე აქამდე გვინახავს. აფხაზები გამალებულები ემზადებიან და არც მალავენ ამას. საკუთარი თვალით არ მინახავს, მაგრამ სერიოზული ხალხისგან მომისმენია, რომ გუდაუთაში უკვე ჩამოსულები არიან ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები. ძირითადად, ჩეჩნები. ეგენი სისხლდაუდენლად აღარ წავლენ აქედან. თავისსაც დაღვრიან და ჩვენს ხალხსაც დაადენენ სისხლს! — თქვა ერეკლემ.

— მაპატიე, მაგრამ არ მესმის შენი.

— რატომ? რას ვამბობ უცნაურს ან დაუჯერებელს?! — ჰკითხა ერეკლემ, — ხომ არ გგონია, ვაჭარბებ, როცა მოსალოდნელ ომზე ვლაპარაკობ?

— არა. უკვე დავრწმუნდი, რომ ჩვენი ხალხი და განსაკუთრებით მთავრობა არანაირად არ ითვალისწინებს წარსულში დაშვებულ შეცდომებს. შენი სამზადისი მაკვირვებს. შენ ხომ მხატვარი ხარ. რა შენი საქმეა ომი და იარაღი?!

— მაშ, ვისი საქმეა?

— მაგისთვის არსებობს მთავრობა, ჯარი, პოლიცია.

— მთავრობა, ჯარი და პოლიცია, რომელმაც ომი გამოუცხადა საკუთარ ხალხს და მერე ცხინვალი რუსებს ჩააბარა.

— მაპატიე, მაგრამ არ მიყვარს ასეთ თემებზე ლაპარაკი.

— მაშინ სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, — შესთავაზა ერეკლემ, — შენი მშობლების მკვლელზე. რას იზამდი, წინასწარ რომ გცოდნოდა ის, რაც მერე მოხდა. როგორ შეაჩერებდი იმ არაკაცს?

— ტვინს დავანთხევინებდი. თუნდაც შევაკვდებოდი, მაგრამ ჩემს მშობლებამდე არ მივუშვებდი!

— უსამართლო კაცი ყოფილხარ!

— უსამართლო?! — გაუკვირდა გოგას. — რატომ?!

— ამბობ, ყველაფერს გავაკეთებდი მის შესაჩერებლად, სისხლის დაღვრასაც არ მოვერიდებოდიო. მე კი სამზადისს მიწუნებ. მეუბნები, რომ ეგ მთავრობის, ჯარისა და პოლიციის საქმეაო!.. არა გოგა. ის, რაც ჩვენს ოჯახებს ეხება, ჩვენი საქმეა. ჩვენ უნდა მოვიგერიოთ მტერი და საჭირო თუ გახდა, ტვინიც უნდა დავანთხევინოთ. ის ხალხი კი ზუსტად ამისთვის ემზადება, მარტო ჩვენს მშობლებს არ ემუქრება, ყველას მოკვლა უნდა — დედების, მამების, ძმების, დების, მეგობრების... ქართველობის!.. და საკუთარი თავის იმედი რომ არა აქვთ, მიტომაც იწვევენ აქ, ჩემს სოხუმში ათასი ჯურის ვიგინდარასა და გადამთიელს! არ გეწყინოს, მაგრამ ამის უთქმელობა არ შეიძლებოდა. რაც შეეხება იმ არაკაცს: დღეს ისეთი ვითარებაა, რომ თავის „ზემლიაკზე“ არც ერთი აფხაზი არ დაგელაპარაკება. ასე საქმეს გავაფუჭებთ. ვერც მე ჩავალ იმ კაცის საძებნელად ახალ ათონში და ვერც — შენ!

— მაშინ რა ვქნა?! უკან გავბრუნდე და ხელებაწეული ჩავბარდე პოლიცია?!

— არა... შენ ვერ გამიგე. მე და შენ არ ჩაგვესვლება ახალ ათონში, მაგრამ სხვისი გაგზავნა ხომ შეგვიძლია. მე მარტო ერთი რამ მაინტრესებს. ხელს გაძლევს თუ არა, ამ საქმეში უცხო კაცის ჩარევა?

— ვინაა ის კაცი? — ჰკითხა გოგამ.

— ჩემი ძმაკაცია. ბერძენი ბიჭია. ქართველებიც პატივს სცემენ და აფხაზებიც... სანდო კაცი რომ არ იყოს, მე თვითონ არ შემოგთავაზებდი მის დახმარებას.

— ეგ არც მიფიქრია. შარში არ გავხვიო ის კაცი.

— ეგ უკვე ჩემი და სტავრის საქმეა. შენ მხოლოდ ერთ კითხვაზე მიპასუხე. გაწყობს ეს თუ — არა?

— ისე მერჩივნა მაგ საქმის მოგვარება, მაგრამ რახან სხვა გზა არ არის... — აღარ დაასრულა გოგამ.

ერეკლეს აღარაფერი უთქვამს. ადგა, ტელეფონს მიუახლოვდა და ნომრის აკრეკას შეუდგა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



თბილისი:
რუსთაველის 40/1
აღმაშენებლის №121
იოსებიძის №49

რუსთავი:
მეგობრობის №12

ბათუმი:
მემედ აბაშიძის №62
ზ.ბამსახურდიას №18

ზუგდიდი:
რუსთაველის №92

სენაკი:
რუსთაველის №241

ფოთი:
ფარნავაზ მეფის №12

ქუთაისი:
ლ.ნუცუბიძის №1

სამტრედია:
სააკაძის №6

ხაშური:
რუსთაველის №69

დუშეთი:
რუსთაველის №11

ოზურგეთი:
9 აპრილის პარკი

აკრძალული ოცნებები

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №38-48

ნინი გაქვავებული მისჩერებოდა თვალცრემლიან ქალს და ახლა უკვე აღარ ეპარებოდა ეჭვი, რომ მის წინ თორნიკეს მეუღლე იდგა.

— იქნებ... იქნებ თქვენი ქმრის გატაცება სულაც არ არის ისეთი სერიოზული, როგორც თქვენ ფიქრობთ, — მისი დამშვიდება სცადა.

თაკომ ნერვიულად გადააქნია თავი.

— ის კი არა, აქაც დაპატიჟა. რა თქმა უნდა, არ ელოდა, მეც თუ ჩამოვიდოდი და ამან საგონებელში ჩააგდო, მაგრამ ამით რა შეიცვლება? ახლა ყველამ იცის ჩემი დამცირების ამბავი, მხოლოდ ამაზე ლაპარაკობენ ყველანი. ნეტავი მოვკვდე!

— ნუ განიცდით ასე, ძალიან გთხოვთ. კიდევ ერთხელ დაელაპარაკეთ მას. დარწმუნებული ვარ, ორივე ერთად ადვილად გადაჭრით ამ პრობლემას.

— არა, არამც და არამც. გგონიათ, ეს პირველი შემთხვევაა? იგი ადრე სხვა ქალებსაც ხვდებოდა და როცა ამის გამო სკანდალს ვუწყობდი, მეფიცებოდა, მეტჯერ აღარ მოხდება მსგავსი რამეებიო. რამდენიმე კვირის წინ ჩამოვიდა კიდეც ბათუმში და ულამაზესი ორი დღე გავატარეთ ერთად, — თაკო წამით გაჩუმდა, — მაპატიეთ... არ უნდა მომეყოლა ეს ყველაფერი. საერთოდ, იშვიათად ვტირი. — მთრთოლარე ტუჩებით გაიღიმა ქალმა, — მაგრამ მორჩა, მეტჯერ აღარ მივცემ მას უფლებას, ასე დამცინოს. ხვალვე დავბრუნდები ბათუმში და ჩემს თავს მივხედავ. ძალიან დიდი მადლობა თანაგრძნობისთვის... თქვენ რა გქვიათ?

ამ შეკითხვას, ერჩივნა, მიწა გასკდომოდა, მაგრამ მაინც გამოიჩინა სიმამაცე, თვალები დახარა და წარმოთქვა:

— მე ნინი ვარ, თაკო... ნინი.

წამით ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფდა. შემდეგ თაკომ ძალიან, ძალიან ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— ა-ა! გასაგებია... — და სააბაზანოდან გავიდა.

გოგონა კედელს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო. საშინელ სისუსტეს გრძნობდა. თურმე როგორ ატყუებდა თორნიკე! რა ნაძირალა ყოფილა! სულაც არ ჩანს თაკო ისეთი „სტერვა“ და საშინელი, როგორსაც თორნიკე უხატავდა.

„ახია ჩემზე. მივიღე ის, რაც დავიმსახურე. მის ცოლზე, როგორც ცოცხალ ადამიანზე, არასდროს მიფიქრია. არც მეგონა, ტირილი და განცდა თუ შეეძლო, ისე მიხასიათებდა ის დეგენერატი. არადა, თაკოსთვის სულაც არ ყოფილა სულერთი, ქმართან ურთიერთობა რომ უფუჭდებოდა. სამწუხაროა, რომ ჩემ შესახებ ასეთი ინფორმაცია აქვს. არადა, არც მე ვარ მასზე ნაკლებ დღეში... მე რა, განა ნაკლებად განვიცდი თოკოს გულცივობას? რა საზიზღარი ყოფილა... ვერაგი, აუტანელი!“

გიოც რა ცუდად მოქცეულა! როგორ შეეძლო, ასეთი შეუბრალებელი ყოფილიყო?! ენა როგორ მოუბრუნდა ამის სათქმელად?

ნინიმ სარკეში ჩაიხედა, დათხაპნილი თვალები სველი ხელსაწმენდით გაისუფთავა და გარეთ გამოვიდა თუ არა, პირდაპირ თორნიკეს შეეჯახა.

— მითხრეს, რომ მოხვედი, მე კი ვერ გიპოვე, — ის ნასვამი იყო, — მთელ სახლში დაგეძებ. სად დამეკარგე?

— ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თორნი, — დაიჩურჩულა ნინიმ, — არაფერს არა აქვს ახლა მნიშვნელობა, გარდა იმისა, რომ შენი დანახვაც არ მინდა. მშვიდობით და ჩემი სახელი არ ახსენო, იცოდე! — ხმამაღლა დაამატა და კარისკენ გატრიალდა.

უცებ თვალი მოჰკრა გიოს, რომელიც ხათუნას გვერდით იდგა... წამით მოეჩვენა, რომ მიუხედავად ხმაურისა, თითქოს გაიგონა, როგორ დაუძახა რობაქიძემ, მაგრამ უკან აღარ მოუხედავს, ჩქარი ნაბიჯებით დატოვა იქაურობა და კიბეზე სირბილით დაეშვა.

ქუჩაშიც გარბოდა... გარბოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თითქოს მამაკაცების მთელი არმია მოსდევდა უკან. არ გაჩერებულა, ისე მიირბინა ლელუკას სახლამდე. ჯერ კიდევ ყურებში ედგა გიოს ხმა, მას რომ ეძახდა. ახლაღა მიხვდა, რომ სწორედ მას გაურბოდა. ეგონა, დაედევნებოდა. ახლა არ შეეძლო მისი ნახვა, არც მასთან დალაპარაკება. შეურაცხყოფილი იყო, ასე ადვილად რომ გაყიდა მამაკაცმა. მორჩა, მათი ეგრეთ წოდებული შერიგება დამთავრდა და მასთან ერთად, ყველა ის სულელური იმედი და ოცნება, რაც მასთან აკავშირებდა.

უნდოდა, სადმე კუთხეში მიყუჟულიყო და ყველა და ყველაფერი დაევიწყებინა ირგვლივ. უნდოდა, ეღრიალა და ამით მოეოხებინა გული...

კარგა ხანს აფათურა აკანკალებული ხელი ჩანთაში, გასაღებს ეძებდა. როგორც იქნა, იპოვა, მაგრამ არა ბინის, არამედ პარკში გამავალი უკანა კარის. ერთხანს უაზროდ ატრიალა იგი ხელში, შემდეგ გადაწყვეტილება მიიღო და... პარკს მიაშურა.

თბილი საღამო იყო, მაგრამ შეაჟრჟოლა, როცა ნიავი მის შიშველ მხრებსა და მკლავებს მიეკარა. ისე სწრაფად დატოვა თორნიკეს ბინა, ჟაკეტის წამოღება დაავიწყდა, სააბაზანოში რომ დადო, სარეცხ მანქანაზე. ხელები მკლავებზე შემოიჭდო და ბილიკს შეუყვა.

უკვე კარგად დაბნელებულიყო. პარკის ირგვლივ მდებარე ყველა სახლში შუქი ენთო. იგი უყურებდა ფარდაგადაწეულ ფანჯრებს და იმაზე ფიქრობდა, რა მყუდროდ და ლამაზად გამოიყურებოდა ღამით ყველაფერი. არადა, ამწუთას ყველა ბინაში თავისებური ცხოვრება დუღდა — თავისი დარდით, წუხილით, ღალატით, შერიგებით თუ დათმობით. ბედისწერისგან განა ვინმეა დაზღვეული? გოგონას ისევ შეაჟრჟოლა, თუმცა ამჯერად

უფრო მარტოობისგან, ვიდრე სიცივისგან.

ფეხებმა თითქოს თავისით მიიყვანა ამოჩემებულ მერხამდე. ერთი მწარედ ამოიოხრა, დაჯდა და თავი მხრებში ჩარგო, თითქოს სურდა, უჩინარი გამხდარიყო. რა საშინელი საღამო იყო... გონებაში კადრები წარამარა ცვლიდა ერთმანეთს — რაღაცით შეშფოთებული გიო, მთვრალი ხათუნა, ტირილით თვალებაწითლებული თაკო, კმაყოფილი თორნიკე...

გიოს გახსენებაზე კვლავ წამოუარა სიბრაზემ, ბოღმა ახრჩობდა. ასე როგორ გაწირა საკუთარი ბიძაშვილი, რამ ათქმევინა, შენს ქმარს სხვა უყვარსო? ნუთუ სინდისის ქენჯნა არ აწუხებს? რაღაც ვერ შეატყო ამგვარი რამ. რაღა მაინცდამაინც ახლა მოუნდა ამის თქმა, როცა ნინიმ თითქმის დაამთავრა მის სიძესთან ურთიერთობა? ისედაც დასასრულისკენ მიდიოდა ეს ამბავი, რა საჭირო იყო?! რა უბედურია... ნეტავ, საერთოდ არ წასულიყო იქ... არასასიამოვნო დროს არასასიამოვნო ადგილზე აღმოჩნდა და მიიღო კიდეც საკადრისი... პირველი ცხელი კურცხალი ღაწვზე ჩამოუგორდა. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და... ცრემლებმა ადვილად გაიკვალა გზა მის სახეზე...

გოგონა ტიროდა, ტიროდა უხმოდ, თავჩაქინდრული, ხოლო ცხოვრება მის გარშემო თავისი გზით მიდიოდა — ნიავი იქვე, ფოთლებში შარიშურობდა, სადღაც ახლოს კატა კნაოდა, ქარის ყოველ დარწევაზე ხის ტოტი რომელიღაც გამოღებულ ფანჯარას ეხეთქებოდა, ბაყაყიც კი ყიყინებდა სადღაც...

ეჰ... დროა, შინ წავიდეს, კარგა გვარიანად აგრილდა უკვე.

ნინიმ აცრემლებული თვალები ბავშვურად მოიწმინდა მომუშტული ხელებით და წამოდგა. მოულოდნელად მის წინ მაღალი ბუჩქები შეირხა და ფარნის შუქმა თვალები მოსჭრა.

— ვიცოდი, რომ აქ გიპოვიდი, — მკაცრად წარმოთქვა გიომ.

— ძალიან გთხოვ, წახვიდე, — აკანკალებული ხმით სთხოვა გოგონამ, — თავი დამანებე, მარტო მსურს ყოფნა.

— ნუ სულელობ, რა... აქ იმისთვის მოვედი, რომ გელაპარაკო, საქმე მაქვს.

— ჩვენ არაფერი გვაქვს სალაპარაკო. შენ უკვე ყველაფერი თქვი... შენს ბიძაშვილთან. მან ახლა იცის, ვინ ვარ, რა მქვია, რისთვის ჩამოვედი თბილისში, რომ მის ქმართან რომანი მაქვს... თუმცა... შენ უნდა გცოდნოდა, რომ... უნდა მიმხვდარიყავი, რომ... — ხმა ჩაუწყდა ნინის და მხრებში ისე მოიკუნტა, თითქოს დარტყმას უპირებენო. — რა აზრი აქვს ახლა ამაზე ლაპარაკს!

— თუ შეიძლება, მომისმინე... თან ყურადღებით, — მბრძანებლური ტონი გაუხდა მამაკაცს, — მსგავსი არაფერი მითქვამს თაკოსთვის. მან ჯერაც არაფერი იცის შენი და თორნიკეს ჯერაც გაურკვეველი ურთიერთობის შესახებ და არც უნდა გაიგოს.

— მაგრამ მან იცის, ვინ ვარ და რა მქვია, — გააპროტესტა გოგონამ.

— ესე იგი, ვიღაცის საუბრიდან გაიგო, — გიომ წინადადება ვერ დაამთავრა, რომ ცა ჯერ ელვამ გააპო, მერე კი ქუხილის გამაყრუებელმა ხმამ, — მომისმინე... ამაზე აქ ნუღარ ვილაპარაკებთ, თორემ თავით ფეხამდე გავილუმპებით. წამოდი, ჩემთან წავიდეთ. სად არის შენი ჟაკეტი?

— თორნიკესთან დამრჩა, — გაბრაზებულმა უპასუხა, — შენთან ერთად არსადაც არ წამოვალ!

— მაგრამ ვერც აქ დარჩები... დასველდები და ფილტვების ანთებას აიკიდებ. გინდა ეს? — მამაკაცმა ფარანი ჩააქრო და ორი ნაბიჯი მისკენ გადადგა...

უეცრად მან მკლავი წელზე მოხვია გოგონას და ხელში აიტატა. იმდენად მოულოდნელი იყო ეს, რომ ნინიმ წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო. როცა გონს მოეგო, მხოლოდ მაშინღა აფართხალდა.

— ახლავე გამიშვი ხელი! გესმის? ახლავე ძირს დამსვი!

— სიამოვნებით, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა სახლამდე მიგიყვან! და, თუ ღმერთი გწამს, შეწყვიტე სხმარტალი, ისედაც მძიმე ხარ! — გაიცინა მამაკაცმა.

გიომ კიბის საფეხურები მსუბუქად აიარა და ზღურბლთან შეჩერდა, მხოლოდ მაშინღა ჩამოსვა გოგონა. შეცბუნებული ნინი თუ აქამდე ხმას ვერ იღებდა, ფეხქვეშ მიწა იგრძნო თუ არა, აყვირდა.

— თავხედი ხარ და მეტი არაფერი! — განრისხებისგან აკანკალებდა. — როგორ მიბედავ ასეთ რამეს, ვინ

გგონივარ?! ამას ასე არ დავტოვებ!

გიომ გასაღები გადაატრიალა, კარი გააღო და მისკენ შებრუნდა.

— მაშინ ბარემ კიდევ ერთ დანაშაულს ჩავიდენ, თუკი მაინც უნდა დამსაჯო! — შეცვლილი ხმით წარმოთქვა, ქალს თმაში ჩაავლო ხელი, თავისკენ მოქაჩა და ტუჩებზე დააცხრა.

ამ კოცნას ბრაზიანი უფრო ეთქმოდა, ვიდრე ნაზი... ორივენი ხარბად კოცნიდნენ ერთმანეთს, როგორც დამშეული ცხოველები, საჭმელს რომ დაეტაკებიან...

ნინი მალევე მოეგო გონს და მამაკაცს ხელი ჰკრა... რამდენიმე წუთის განმავლობაში თვალებით ზვერავდნენ ერთმანეთს, როგორც ორი დაუძინებელი მტერი... ელვამ კვლავ გაანათა იქაურობა და წვიმამ დაუშვა. გოგონა ისე შეშინდა, გვერდზე გადახტა. გიოს გაეცინა, შიშველ მხრებზე მკლავი მოხვია და შუბლი შუბლზე მიადო.

— როგორ გაყინულხარ... წამოდი ჩემთან.

სანამ სახლში შევიდოდნენ, ორივე გვარიანად გაილუმპა. გოგონა მორჩილად დაჰყვა მამაკაცის ნებას და მასთან ერთად მეორე სართულზე ამავალ კიბეს ნელა აუყვა.

აქ არასდროს ყოფილა... რა გემოვნებით მოუწყვია იგი პატრონს... იატაკზე გრძელი შინდისფერი ხალიჩა იყო დაფენილი, კედლები თეთრად ქათქათებდა... გიომ ერთი ოთახის კარი შეაღო და გოგონა წინ გაატარა. ხალიჩა ამ ოთახშიც ეგო ძირს, ოღონდ კრემისფერი... კედლებზეც იმავე ფერის შპალერი იყო გაკრული. ძველებური ყაიდის მოჩუქურთმებული ბუხარი შენიშნა ნინიმ, რომლის წინ ორი სავარძელი და ჟურნალების მაგიდა იდგა. ოთახის ერთი კედელი მთლიანად წიგნის თაროებს ჰქონდა დათმობილი.

— დაჯექი და ახლავე მოგემსახურები, — დახშული ხმით თქვა მამაკაცმა, კარადა გამოაღო და იქიდან სწორედ ის ხალათი გადმოიღო, მათ პირველ შეხვედრაზე თავად რომ ეცვა.

— შედი, ცხელი წყალი გადაივლე და გათბები, მე კი მანამდე სასმელს ამოვიტან, — კიდევ უფრო შეურბილდა მამაკაცს ხმა, — შენი კაბა გასაშრობია. ასე რომ, სანამ გაშრება, ეს ჩაიცვი. მე კი ცოტა ხნით დაგტოვებ, თავი უხერხულად რომ არ იგრძნო.

— თუ შეიძლება, ქოლგა მათხოვე, მე შინ წავალ.

კარისკენ წასული გიო მკვეთრად მოტრიალდა.

— ოუ! არა, ნინი, ასე არ გამოვა!.. და ჩვენ ორივემ კარგად ვიცით ეს.

ამის გაგონებაზე გოგონას შეაჟრჟოლა. მისდა უნებურად დახუჭა თვალები.

— სად არის სააბაზანო? — ესღა იკითხა ჩურჩულით.

— აი, ამ კარს გააღებ და... — რობაქიძემ საჩვენებელი თითი მარცხნივ გაიშვირა და ოთახიდან გავიდა.

ნინის უზომოდ სიამოვნებდა ცხელი წყლის ჭავლი. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს რაღაც გამწმენდ რიტუალს ატარებდა, რომლითაც ბოლომდე უნდოდა ის ჭუჭყი და წყენა ჩამოერეცხა, რომელიც ამ საღამოს უხვად „იგემა“ თორნიკეს ბინაში.

როცა ბანაობას მორჩა, ხალათი გადაიცვა და სველი თმის დავარცხნას შეუდგა... მერე სარკეში ჩაიხედა და თავის ორეულს კრიტიკული მზერა შეავლო. სახე გაჰფითრებოდა, მაგრამ ტუჩები ძველებურად წითელი ჰქონდა — ოდნავ შესივებულიც... ჯერ კიდევ შერჩენოდა მამაკაცის კოცნის კვალი. თითებით შეეხო ოდნავ გაპობილ ბაგეებს. ლამაზი ტუჩები აქვს... მართლა!

მასპინძლის ხალათი უზომოდ დიდი აღმოჩნდა მისთვის, ლამის ორჯერ შემოსწვდა ტანზე. თავისთავად, მკლავების დაკაპიწებამ მოუწია. „ნუთუ ასეთი პატარა ვარ? თუ თვითონ არის ძალიან დიდი?“ — ნეტარი ღიმილი გამოესახა სახეზე... მუქ ლურჯ ხალათს პატრონის სურნელი შერჩენოდა. ნინიმ თვალები დახუჭა და ლოყით გაეხახუნა ნაჭერს...

როცა ოთახში შემობრუნდა, გიო უკვე იქ დახვდა. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა... პატარა მაგიდაზე ორი ფინჯანი ყავა იდგა... ცხელი, არომატული... მამაკაცი კი გრძელყელიან ბოკალებში სასმელს ასხამდა.

— იცი, ეს რა არის? პორტვეინი... ცოტა დავლიოთ და შეეხურდებით, დაღლილობაც გაგვივლის და წყენაც, — ისე თქვა, მისთვის არ შეუხედავს.

ნინიმ პასუხი არ გასცა, იდგა ერთ ადგილას გაშეშებული და თვალს არ აცილებდა მის ყოველ მოძრაობას.

გიომ მოხედა.

— მინდა გაგახარო... აღარც ქუხს და აღარც ელავს, წვიმამაც გადაიღო, — მერე ყურადღებით დააკვირდა დაბნეულ გოგონას, შეუმჩნევლად ჩაიღიმა და დააყოლა: — ჩემი ხალათი ძალიან გიხდება.

ნინიმ ერთდროულად შეცბუნებაც იგრძნო და სასიამოვნო მღელვარებაც.

— რაღაც არა მგონია, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, სავარძელს მიუახლოვდა და თითები მის რბილ საზურგეს ნაზად გადაუსვა, — აქ არ უნდა მოვსულიყავი.

— რატომ? იქნებ ერთი საწინააღმდეგო არგუმენტი მაინც დამისახელო.

— პირველ რიგში, შენი ბიძაშვილი...

— თაკო თავის დაქალთან დარჩა. დღეს მას ქალის თანაგრძნობა და ნუგეში უფრო სჭირდება, ვიდრე ჩემი. კლასელები არიან, უკეთ გაუგებენ ერთმანეთს... მე კი ხვალ გავალ მასთან, მოვინახულებ და გავაცილებ. თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი ექნება.

ნინი დაჯდომას არ ჩქარობდა.

— თორნიკეს საერთოდ ფეხზე ვკიდივარ, არა? — იკითხა მოულოდნელად. — არადა, თავიდან სულ სხვანაირად იქცეოდა.

მამაკაცმა გამომცდელი მზერა ესროლა. ყოველგვარი ემოცია გაუქრა სახეზე.

— შენ კიდევ მასზე ფიქრობ? აკი...

— არა, აღარ ვფიქრობ... უბრალოდ, ვაანალიზებ იმას, რაც წარსულში დარჩა. ალბათ ადრე იმიტომაც აქტიურობდა მთელი მონდომებით, რომ ეგონა, ადვილად შემიტყუებდა საწოლში. თაკომ მითხრა, მას ყოველთვის ჰყავდა ქალებიო...

— ჰო, — ყრუდ გაისმა გიოს ხმა.

— ერთი პერიოდი გამოუვიდა და დამარწმუნა კიდეც იმაში, რომ მე მისთვის სულერთი არ ვიყავი... მაგრამ თბილისში ჩამოვედი თუ არა, ყველაფერი შეიცვალა. მე კი არ მინდოდა ეს დამეჯერებინა... სულელივით ვებღაუჭებოდი რაღაცას... — ნინიმ პაუზა გააკეთა. — მან ჩემს დაბადების დღეზეც კი ვერ მოიცალა, იმ მიზეზით, მივლინებაში მგზავნიანო... არადა, ვიცოდი, რომ მატყუებდა. მართალი ვარ?

მამაკაცმა თანხმობის ნიშნად ოდნავ დააქნია თავი, მისი გამომეტყველება უემოციო რჩებოდა.

— ის შაბათ-კვირა თორნიკემ ხათოსთან ერთად გაატარა... ბაზალეთის ტბაზე.

— ხათოსთან? — გაოცების შეძახილი აღმოხდა ნინის. — მაგრამ... ის ხომ შენი მეგობარია!

— არა, ჩემი მეგობარი არ არის, ჩემი მეგობრის საცოლე იყო ახლო წარსულში... ახლა — აღარ, რადგან... რაღაც-რაღაცები მოხდა და ყველაფერი შეიცვალა.

— შენ შეუყვარდი და იმიტომ?

— მე არაფერ შუაში ვარ. თვითონ აღმოჩნდა სულით წამხდარი ქალი... ჩემთან რომ არაფერი გამოუვიდა, თორნიკეს მიადგა... ამით კი ყველაფერი გააფუჭა. კაცი ასეთ ვერაგობას ქალს არ აპატიებს.

— მაგრამ ის დღეს საღამოსაც შენთან ერთად იყო!

— არა, ის, უბრალოდ, რაღაც დროის განმავლობაში ჩემ გვერდით იდგა და მეტი არაფერი. ხათუნა მსახიობია და ძალიან უნდა, ტელეწამყვანი გახდეს. თავისი სურვილის განსახორციელებლად ჩემი გამოყენება უნდოდა. წუხელ, მივლინებიდან დავბრუნდი თუ არა, აქ, ჩემს სახლში აღმოვაჩინე თორნიკესთან ერთად, საწოლში გორაობდნენ. ის ვაჟბატონი ეგრეევე ვიფრინე სახლიდან. დღეს თაკო მოულოდნელად ჩამოვიდა. უნდოდა, ქმარი ენახა. რაღა დამრჩენოდა? ავდექი და მოვუყევი, რაც მათ შორის ხდებოდა.

— რატომ გააკეთე ეს?

გიომ მხრები აიჩეჩა.

— იმიტომ, რომ მკითხა, სად არისო. მე მას თავიდან ყოველთვის ვარიდებდი უსიამოვნებებს, მაგრამ ამჯერად ეს არ მიცდია. არ მინდა, მოვატყუო. თანაც... სერიოზული მიზეზი ჰქონდა, დალაპარაკებოდა თავის ქმარს.

— რა მიზეზი?

— ორსულადაა.

— მართლა? ეს კარგია. იქნებ ახლა მაინც მოვიდეს ჭკუაზე, ბავშვი ურთიერთობაში ბევრ რამეს ცვლის.

— მაგრამ თაკოს არ უთქვამს მისთვის, ბავშვს რომ ელოდება. დღევანდელმა საღამომ ნათლად დაანახვა თაკოს, რომ მასთან ცხოვრება არ ღირს. ვფიქრობ, დაშორდებიან ერთმანეთს.

— მაგრამ მას ჯერ კიდევ უყვარს ქმარი, — შეწუხდა ნინი, — თან... მართომ როგორ უნდა გაზარდოს პატარა?

— არა უშავს, როგორმე გაართმევს თავს, ძლიერი გოგოა. თორნიკეს ბავშვები არასდროს უყვარდა. თაკო სიმდიდრის გამო შეირთო და არა სიყვარულით. მის ხარჯზე უნდოდა, თავისი კარიერა გაეკეთებინა. ჩემი ბიძაშვილი მისი ვალების გადახდას ვერ აუდიოდა. ხან ქალებში ხარჯავდა ფულს, ხანაც — კაზინოში. ფუქსავატი კაცია, გამოუსადეგარი.

— და სულ იტყუება, არა?

— ჰო... მაპატიე, ამას რომ გეუბნები, მაგრამ ასეა.

— შენ რა შუაში ხარ, უბრალოდ, მე ვიყავი სულელი... თაკო მეცოდება მხოლოდ.... კიდევ კარგი, მასთან სექსი არ მქონდა...

— თაკოს ცხოვრება უნდოდა, თორნიკეს — ცხოვრების სტილი. ეს არის ამბის დასასრული. შენი ყავა კი გაცივდა ამასობაში.

ნინი გიოს მოპირდაპირე მხარეს, მეორე სავარძელში მოკალათდა და ყავა მოსვა.

— როგორ თქვი? მასთან სექსი არ გქონია?.. ეს მართალია? — უეცრად იკითხა მამაკაცმა და ქალს დაჟინებით მიაჩერდა.

— ჰო... რა იყო, ეს ძნელი დასაჯერებელია?

— ესე იგი...

— ესე იგი, ქალიშვილი ვარ. ამის გაგება გსურდა?

გიომ თვალი აარიდა, მისი შეკითხვა კი უპასუხოდ დატოვა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ალმოკიდებული შეშის ტკაცატკუცი არღვევდა მყუდროებას.

— დავლიოთ? — პირველი გიო ალაპარაკდა. — კარგი პორტვეინია, გესიამოვნება.

— ერთ ჭიქას დავლევ, მეტს ვერა, — გაიღიმა ნინიმ და სავსე ბოკალი ასწია.

ერთმანეთს მიუჭახუნეს, ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოსო და დალიეს. ნინიმ იგრძნო, სასმელმა როგორ სასიამოვნოდ გაუხურა სხეული.

რაც მთავარია, გიო მას აღარ ერჩის, მის მიმართ ნამდვილად აღარ არის მტრულად განწყობილი, — გაიფიქრა თავისთვის და საკუთარ აზრებს გაუღიმა... მაგრამ შეხედა თუ არა მამაკაცს, მის თვალებში ისეთი რამ წაიკითხა, მიხვდა, რომ შეცდა. აწრიალდა.

— როგორ გგონია, ჩემი კაბა აღარ გაშრებოდა? — იკითხა დაძაბულმა და წამოდგა.

— ცოტა ხანში ვნახავ.

— უნდა წავიდე შინ... უკვე გვიანაა.

— სამაგიეროდ, ხვალ კვირაა, არსად

გვეჩქარება... თუ ერთი სული გაქვს, როდის წახვალ ჩემგან? — თვალები მოჭუტა მამაკაცმა.

— არა, ეგ რა შუაშია, — ნინიმ მზერა აარიდა, — უბრალოდ, ვერ ვხვდები, რისთვის მომიყვანე აქ.

— ხვდები, — ალერსიანად შეეწინააღმდეგა მამაკაცი.

გოგონამ თავი გადააქნია.

— სიმართლე გითხრა, არ მესმის.... არაფერი.

— შეგაშინე, როცა გაკოცე? — ჩუმად ჰკითხა გიომ.

— არა.

— მე კი შევშინდი, — თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებოდა რობაქიძე, — მივლინებაშიც შენ გამო გავიქეცი, მაგრამ თავს მაინც ვერ მოვერიე... იქაც თან მდევდა შენზე ფიქრები. ყოველთვის, ყოველ წამს ჩემ გვერდით იყავი. იმასვე აკეთებდი, რასაც მე. სიზმრებშიც კი ჩემთან იყავი და მიღიმოდი... ამ საღამოს კი ველარ მოვითმინე და გაკოცე. ისე ძალიან მინდოდა ეს, რომ არც მიფიქრია, სინაზე გამომეჩინა. ძალიან უხეშად გამომივიდა, არა?

ნინი გაოგნებული მისჩერებოდა მამაკაცს. მის მზერაში გაყინულიყო შეკითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც მხოლოდ მას შეეძლო... და მამაკაცი სუნთქვაშეკრული ელოდა ამ პასუხს.

— მე შუშისგან არ ვარ ჩამოსხმული, გიო, არ დავიმსხვრევი... — რბილად წარმოთქვა.

— ნება მომეცი, დავრწმუნდე ამაში.

ნინი წამოდგა, მაგიდას მარჯვნიდან მოუარა და მამაკაცს წინ დაუდგა... მერე ხელის ერთი გაკვრით შეიხსნა ხალათზე შემოკრული ქამარი... გიოს მისდა უნებურად ოხვრა აღმოხდა... გოგონას წელზე მოხვია ხელი, თავისკენ მიიზიდა და სახე ქალის მკვრივ სხეულში ჩამალა... საოცრად გლუვი კანი ჰქონდა ნინის... თეთრი... პრიალა...

იგრძნო თუ არა მამაკაცის ცხელი ტუჩების მუცელზე შეხება, გოგონას მუხლებში ძალა წაერთვა და წონასწორობა რომ შეენარჩუნებინა, კალთაში ჩაუჯდა. სურვილით ანთებული თვალებით მისჩერებოდა გიოს. ამ უკანასკნელს კი მეტის მოთმენა აღარ შეეძლო... წამიც და ლურჯი ხალათი იატაკს დაეფინა... ნინის ბოლომდე გაშიშვლებულმა სხეულმა უარესად გაახელა იგი... თვალების დახუჭვა ენანებოდა, სურდა, რაც შეიძლება დიდხანს დამტკბარიყო ამ საოცარი სიშიშვლის ცქერით. ვნებების ასეთი მოზღვავება დიდი ხანია, არ უგრძნია, აღარც ახსოვდა, ასეთი თავბრუდამხვევი ნეტარების წამები თუ ჰქონია ოდესმე.

მისი ხელები ხარბად დათარეშობდა გოგონას მხრებზე, ზურგზე, თეძოებზე, მკერდზე... ნინის აღარაფერი ახსოვდა იმწუთას. მთელი არსებით ეძლეოდა მამაკაცს და თითქოს ბანაობდა მის გამთანგველ ალერსში... მაგრამ როგორც კი გიომ ხელში აიტაცა იგი და საწოლზე გადააწვინა, გოგონა, ცოტა არ იყოს, დაფრთხა... იგი მამაკაცთან არასდროს ყოფილა... ერთიანად დაიძაბა, როცა უყურებდა, როგორ იხდიდა იგი... და როცა გიოს შიშველი სხეული მის მკერდს შეეხო, უცნაური კვნესა აღმოხდა.

— ცუდად ხომ არ ხარ? რამე ისე ვერ არის? — ჩურჩულით ჰკითხა სუნთქვაგახშირებულმა.

— მე... არ ვიცი... როგორ უნდა გავაკეთო ეს... — ძლივს გასაგონი ხმით ამოთქვა.

გიომ სიცილი ვერ შეიკავა და ენით გამოუთქმელი სინაზით უთხრა:

— სუულელო... უბრალოდ, იყავი ჩვეულებრივი... სწორედ ისეთი მინდიხარ, როგორიც ხარ. როცა ქალს და მამაკაცს ერთმანეთთან ყოფნა სურთ, გამოცდილებას ან გამოუცდელობას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს...

— თავი სიზმარში მგონია, გიო...

— მიყვარხარ, ნინ.... მიყვარხარ, მიყვარხარ.... მი-ყვარ-ხარ... — უგონოდ იმეორებდა ერთსა და იმავეს მამაკაცი. — მიყვარხარ, გეუბნები მეასეჯერ... მე ასე ჯერ არ მყვარებიხარ, — ბოლო სიტყვები იდიომებად დააფრქვია მამაკაცმა, მაგრამ ნინის ახლა ამის გაანალიზების თავი არ ჰქონდა...

გოგონა თავდავიწყებას მისცემოდა და რეალურ სამყაროში დაბრუნება აღარ სურდა...

გიომ მთელი ოსტატობა ჩააქსოვა ჰამბურგერების მომზადებაში, ზემოდან მაიონეზი მოასხა პომიდვრით, მწვანილით და ბეკონით გატენილ თხელ ფუნთუშებს და სინი საბანზე დაუდო გოგონას. ასე გემრიელად რა ხანია, არ უვახშმია ნინის... თვალის დახამხამებაში შესანსლა რამდენიმე ნაჭერი და ღიმილით მიაჩერდა მამაკაცს.

— დიდებული მზარეული ყოფილხარ, — შესცინა კეკლუცად.

— მთლად გადასარევი არ გამოვიდა, მაგრამ არა უშავს, ნელ-ნელა დავოსტატდები, ვარჯიში მჭირდება, — გაიცინა გიომ და შემპარავად დაამატა, — არა მარტო ამაში.

გოგონამ იგრძნო, როგორ დაუარა სასიამოვნო ჟრუანტელმა მთელ სხეულში. „მე სამუდამოდ დავიმახსოვრებ ამ სიტყვებს, ბედნიერების ამ წუთებს და გავიხსენებ მათ, როცა ძალიან ცუდად ვიქნები“, — გაიფიქრა და მოულოდნელად რაღაც უსიამოვნო აზრმა გაჰკრა გულში. რა დროს ეგ არის! — შეუწყრა თავის თავს ფიქრებში, — ჩვენ ახლა ერთმანეთს ვეკუთვნით და არაფერს შეუძლია ჩვენი ბედნიერების დამსხვრევა... არაფერს...“

როცა გაეღვიძა, უკვე კარგად იყო გათენებული. მზე საამოდ აცხუნებდა ფანჯარაში. მარტო იწვა ლოგინში, შიშველი, მოთენთილი... ოდნავ ტეხდა ტანში, კუნთები დაჭიმოდა. საწოლზე წამოჯდა, ბალიში აიმაღლა, მიეყრდნო და კმაყოფილმა გაიზმორა. ღიმილი არ შორდებოდა სახიდან, ვერა და ვერ მოუყარა ტუჩებს თავი.

უეცრად მეორე ბალიშზე ქაღალდის ფურცელი შეამჩნია. „რაღაც-რაღაცების საყიდლად გავედი, საუზმე რომ მოვამზადო, რომელსაც ლოგინში მოგართმევ. ასე რომ, ადგილზე დარჩი!“ — გაკრული ხელით წაეწერა გიოს, მაგრამ ნინის ლოგინში რა გააჩერებდა! იფიქრა, მის მოსვ-

ლამდე ყავას მაინც მოვადუღებო. ჯერ სააბაზანოში შევიდა, წყალი გადაივლო, მერე „ლეგენდარული“ ლურჯი ხალათი მოიცვა და რადგან ფლოსტების მსგავსი ვერაფერი იპოვა, პირველ სართულზე ფეხშიშველა ჩავიდა.

ამ დროს შემოსასვლელი კარი ხმაურით გაიღო. ეგონა, გიო დაბრუნდაო და ბედნიერებით სახეგაბრწყინებული ჰოლისკენ გაქანდა... მაგრამ ღიმილი პირზე შეაშრა, როცა გიოს მაგივრად თორნიკე შერჩა ხელთ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ნინი თითქოს შეეზარდა იატაკს, თავზარდაცემულმა პირის მომუწვაც კი ვერ შეძლო. თორნიკემ გამომცდელი მზერით აათვალიერ-ჩაათვალიერა იგი თავით ფეხებამდე, შემდეგ კი ირონიულად ჩაიღიმა.

— ო-ჰოოო! — ლამის დაუსტვინა. — ვინ იფიქრებდა, რომ...

— აქ რას აკეთებ? — ცივად ჰკითხა გონს მოსულმა გოგონამ. — ან როგორ შემოხვედი?

— ზუსტად იმავე შეკითხვას დაგისვამდი, მაგრამ არ მინდა, ისედაც დღესავით ნათელია ყველაფერი, — ჩაიხითხითა თორნიკემ, — ჩემთან უკარება ქალის როლს თამაშობდი, შენს ბოსთან კი სექსაობ... ეს ცუდია, პატარავ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გვ. 71

ასეთს, რომ ბინაც იყიდე, მანქანაც?!. ხალხს არც სამუშაო აქვს, არც ხელფასი — პურის ფული უჭირს... შენ ოქროს საბადო იპოვე?! ამ ხალხს პირს ამოუკერავ?! ვინ იცის, რას ჭორაობენ შენზე და მართლებიც არიან — რატომ უნდა ცხოვრობდეს 30 წლის გოგო მარტო, ოჯახისგან შორს, თუ მართლა არა აქვს რაიმე დასამალი?..

— სერიოზულად მეუბნები?! — სიბრაზე შემომეპარა.

— რა შემატყვე არასერიოზულობის?! ან ჩემი სიკვდილი გინდა?! დავიჯერო, შენი მოსაწონი კაცი არ დაიბადა?! გათხოვდი, ჩაჰბარდი პატრონს და მერე, რაც გინდა, ის ქენი. მამაშენი და შენი ძმა ვერაფერს გეუბნებიან და მე გამომიჭამეს გული..

— რა ვიცი, გაბუტული არც ერთია და არც მეორე, და თუ რაიმე აქვთ სათქმელი, მე ვერ მეტყვიან?! — ახლა მათზე გავბრაზდი.

— კაცები არიან და ისინი ჩემსავით ვერ დაგელაპარაკებიან. ვერც შენ შეუტლიკინებ ენას ასე ადვილად და იმის ეშინიათ, რაც ამას შეიძლება, მოჰყვეს.

— შემეშვით, რა!.. შემეშვით, თორემ წელიწადში ერთხელაც ვერ შემომიტყუებთ სახლში! — წამოვდექი ფეხზე. — მივდივარ... გნახეთ და მორჩა!

— ეკა, ჩემი სიკვდილი გინდა?! — ცრემლები გაუჩნდა დედას თვალებში. — ახლა რომ წახვიდე, ისევ მე გამოვალ დამნაშავე.

— ხარ კიდევაც დამნაშავე! — აღარ

დავზოგე ქალი, რომელსაც არასოდეს უცდია ჩემი გაგება და ამიტომაც წავედი ასე ადვილად სახლიდან...

წასვლით კი მაინც ვერ წავედი. კაბინეტიდან გამოსულს ბავშვები შემომეხვივნენ. ტორტის გაჭრა უფრო ეჩქარებოდათ. მათი ხათრით დავრჩი ვახშამზეც. უკვე ვისხედით, მამაჩემი და ჩემი ძმა რომ მოვიდნენ. ორივემ ერთნაირად მისაყვედურა, როცა გულში ჩამიკრეს: სახლში შემოსაშვები არ ხარო! — და არაფერი მითქვამს თავის გასამართლებლად...

ნინომ შემატყო, რომ დედაჩემთან საუბრის შემდეგ გამიფუჭდა ხასიათი და ყურში ჩამჩურჩულა: — რა ცხვირი ჩამოუშვი, დედაშენის ამბავი არ იცი, მაგას სახლშიც სკოლის დირექტორივით უნდა ცხოვრება; გულთან რომ მივიტანო მაგისი ყველა შენიშვნა, კარგა ხნის წინ დამენგრეოდა ოჯახი. თანაც, გული კეთილი აქვს და მართლა ჩვენი სიკეთით მოსდისო!..

მადლიერების ნიშნად ლოყაზე ვაკოცე რძალს, რაც დედაჩემს არ გამოჰპარვია და რადგან ჩემთან აღარ უნდოდა ურთიერთობის გამწვავება, ნინომ დაუბრიალა თვალები. მას კი — ვითომ არც შეუმჩნევია, ადგა და კომოდის უჯრიდან საიუველირო ყუთი ამოიღო:

— ეს ჩვენი საჩუქარია დაბადების დღისთვის. მაინც ოქრო ვამჯობინეთ! — თქვა და გახსნილი ყუთიდან სქელ ძეწკვზე ჩამოკიდებული კულონი ამოიღო. თავისი ხელით შემაბა...

მადლობა გადავუხადე და აღფრთოვანება გამოვხატე გემოვნებით შერჩეული კულონის გამო.

ვახშამმა მაინც დაძაბულად ჩაიარა. თითქმის არ ვლაპარაკობდით. კიდევ კარგი, ბავშვები მხიარულობდნენ და მათი სიხარული ფარავდა დაძაბულობას, თორემ კიდევ უფრო ადრე გამოვიქცეოდი.

10 საათი სრულდებოდა, წასასვლელად რომ გავიწიე:

— დარჩენილიყავი ერთი ღამით მაინც! — მისაყვედურა მამამ.

— მაპატიეთ, მაგრამ არ შემიძლია. ჩემი სახლისა და საწოლის გარდა ვეღარსად ვპოულობ სიმშვიდეს.

— ესეც შენი სახლი არაა?! — ეს ჩემი ძმა იყო...

აღარ ვიცოდი, რა მეთქვა და ამიტომ ლამისაა, მუდარაზე გადავედი:

— წავალ, რა!..

მამამ მანქანამდე გამომაცილა.

— ჭკვიანად იყავი! — მაკოცა თავზე, კარი რომ გამოვაღე. მერე გულის ჯიბიდან 100-დოლარიანი ამოიღო და ჯიბეში ჩამიდო. — ამით ჩემს სახელზე იყიდე რამე...

ლოყაზე ვაკოცე. ფულზე უარის თქმა არ შეიძლებოდა — ეწყინებოდა...

სიურპრიზი პატრულისგან

ჩემდა სამარცხვინოდ, მშობლიური სახლიდან წამოსული ციხიდან გათავისუფლებული პატიმარივით ვგრძნობდი თავს. ქალაქში გასეირნების სურვილი გამიჩნდა. თანდათან სიჩქარეს მოვუმატე. ამიტომ, არ გამკვირვებია, როცა საპატრულო პოლიციის მანქანამ გადამისწრო და გაჩერება მომთხოვა. ჯარიმას ვერ ავცდებოდი გადაჭარბებული სიჩქარით „ჯირითის“ გამო.

— ნასვამი ხართ?! — მკითხა უფრო მაღალმა და შავტუხამ.

— წვეთიც არ დამილევია! — ავიჩეჩე მხრები.

— აბა, თავს იკლავთ?! — „ჩესტი“ ამიღო „რიჟა“ და პუტკუნამ, თან საბუთები მომთხოვა.

გამეცინა და მივაწოდე. ყურადღებით დაათვალიერა და შავტუხას გადაულაპარაკა:

— ე, ბიჭო, ავშენდით: მგონი, ვიპოვეთ, ვისაც ამდენი ხანია ვეძებდით! — თან ჩემს საბუთებში ჩაახედა. შევშფოთდი. ამ ჩვენს ქალაქში და ქვეყანაში შარის აკიდებას რა უნდა?!.

— რა ხდება?! — წამოვიკნავლე ფერშეცვლილმა.

— ე.ი. თქვენ ბრძანდებით ეკა მონიავა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ 30 წლის გახდა? — გამომცდელად ჩამხედა თვალებში წითურმა...

— კი, მაგრამ არაფერი დამიშავებია, არც რაიმე გაუგებრობაში მოვხვედრილვარ, არა მგონია, ვინმეს ეჩივლოს! — კიდევ უფრო დავიბენი მე.

არაფერი მითხრეს. შავტუხამ მობილური ამოიღო და სადღაც დარეკა:

— გამარჯობათ, რაჟდენიჩ, კაპიტანი ნიკოლავა ვარ — მგონი, ვიპოვეთ, ვინც თქვენ გაინტერესებდათ. რას გვიბრძანებთ?

არ ვიცი, ვინ იყო ის „რაჟდენიჩი“ და რატომ მეძებდა, ან რა უთხრა ტელეფონში პატრულს, მაგრამ ფაქტია, რომ მან ჩემი საბუთებიდან მონაცემები ამოიწერა და ამის შემდეგ ისევ ამიღო „ჩესტი“:

— თავისუფალი ბრძანდებით!

— ჯარიმა?! — კიდევ უფრო დავიბენი მე!

— სახლში გამოგიგზავნით! — რატომღაც დამიბღვირა წითურმა და თავისი მანქანისკენ შებრუნდა.

გაოგნებული წამოვედი...

...სადარბაზოში შესულმა ჩანთაში გასაღები მოვძებნე და ლიფტი გამოვიძახე. მესამე სართულზე ასასვლელად ლიფტს არასოდეს ვიყენებ, მაგრამ ამჯერად ფეხით ასვლა დამეზარა.

მომეჩვენა, რომ სადარბაზოში ვიღაც შემოვიდა და შემკრთალმა მოვიხედე. ვერავინ შევნიშნე. კიდევ კარგი, ამ დროს ლიფტის კარი გაიღო და რატომღაც აფორიაქებულმა, კაბინას შევაფარე თავი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „გზა“, № 43-48

მარი ჯაფარიძე

თითქმის მთელი კვირის განმავლობაში ანას ბელტრანი თვალითაც არ უნახავს. კვირის ბოლოს კი მისაღებში შეხვდნენ ერთმანეთს.

— თავს კარგად გრძნობ? — ჰკითხა მამაკაცმა.

— კი, მშვენივრად. ეგაა, რომ უსაქმურობისგან დავიღალე. ასე ცხოვრება არ შემიძლია.

— მერე სტუმრად წადი, ახლობლები არ გყავს აქ?

— კი, მაგრამ ახლობლებთან წასვლა საქმე არაა.

— რას აკეთებ მთელი დღის განმავლობაში?

— ძირითადად, კომპიუტერთან ვზივარ და საქართველოში ახლობლებს ვეკონტაქტები ან ბაღში გავდივარ... ასე დიდხანს ვერ გავძლებ.

— ქალბატონივით ცხოვრობ და არ მოგწონს? — გაუკვირდა ბელტრანს.

— მე ყოველთვის მიკვირდა, ქალბატონები ასე უსაქმურად როგორ ცხოვრობდნენ...

— რა გინდა, რომ შეცვალო?

— მაგალითად, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი შენს ოფისში, რა თქმა უნდა — დამატებითი გასამრჯელოს გარეშე.

— არა, ეს არ გამოვა. თუ გინდა, ოჯახი ჩაიბარე და აქ ყველაფერი შენ განკარგე. მოსამსახურეებს მითითებები მიეცი, დღის განმავლობაში მენიუ დაგეგმე, საყიდლების სია ჩამოწერე...

— პროდუქტზეც მე წავალ, — სიტყვა გააწყვეტინა ანამ.

— პროდუქტზე? რა ვიცი, წესით, ამას მოსამსახურეები აკეთებენ...

— არა უშავს, ერთად წავალთ. ვგიჟდები, ისე მიყვარს, როცა საკუთარი ხელით ვარჩევ პროდუქტს.

— ასეთი რამ არ გამიგონია, რომ ქალს ქალბატონობას სთავაზობდნენ, ის კი მოსამსახურის საქმეს ითხოვდეს...

— ჯერჯერობით ასე მირჩევნია და მერე ვნახოთ, — გაიღიმა ანამ.

— როგორც შენ გსურს. ხვალ დილით კი მაღაზიაში წავალთ: რამდენიმე დღეში სტუმრად მივდივართ და მინდა, ამჯერად ტანისამოსი მე შეგირჩიო. ეს პირველი გასვლა იქნება და უნაკლოდ უნდა გამოიყურებოდე...

— რატომ? მე არ მენდობი? — ხმაში გაღიზიანება დაეტყო ანას.

— კი გენდობი და დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან კარგი გემოვნება გაქვს, მაგრამ მაინც ასე ჯობია... — დელიკატურად უპასუხა კაცმა.

ანას იმ დღიდან საქმე გაუჩნდა. სახლში დიასახლისივით ტრიალებდა და დროც მალე გადიოდა. თავიდან აღიზიანებდა ბელტრანის საქციელი, როცა მაღაზიაში წაიყვანდა და თავის შერჩეულ ტანისამოსს ყიდულობდა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ უზადო გემოვნება ჰქონდა და მასაც ის მოსწონდა, რაც ანას, გაღიზიანებამ გაუარა. მამაკაცს შეეძლო, ქალის ერთ კაბაში 5-6 ათასი დოლარი გადაეხადა. ამბობდა, რომ მისი პრესტიჟის საკითხი იყო, როგორ იცვამდა ქალი, რომელიც მას ახლდა. თანდათან მის ყველა კაპრიზს შეეგუა, რადგან თავი დაარწმუნა, რომ ეს მისი სამსახური იყო და მეტი არაფერი. როცა თავდაჯერებული გახდა, მას შემდეგ ის ძვირფასი ტანისამოსი უკვე „უნიფორმად“ მიაჩნდა, ბრილიანტის

სამკაულები — ატრიბუტებად.

ორივე მხარე კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებდა. ბელტრანი კმაყოფილი იყო იმით, რომ მისი თანმხლები ქალი თავისი სილამაზითა და მანერებით გარშემო მყოფებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა; ანა კი — იმით, რომ ნორმალურ საზოგადოებაში ტრიალებდა და ამაში ფულსაც უხდიდნენ.

დროთა განმავლობაში კი მიხვდა, რომ იმ დღეს, როდესაც ბელტრანს ვერ ნახავდა, გუნება უფუჭდებოდა. მამაკაცი ენატრებოდა და აუცილებლად პოულობდა საბაბს, მისთვის დაერეკა. მის გვერდით თუ ყოფილ ცოლს ან სხვა ქალს დაინახავდა, ეჭვიანობით იტანჯებოდა, მაგრამ ცდილობდა, ეს შესამჩნევი არ ყოფილიყო.

ერთ-ერთ წვეულებაზე ბელტრანს ორმეტრიანი ლამაზმანი მიეტმასნა, რომელსაც ანამ „ფიცარი“ დაარქვა. მამაკაცმა თითქმის მთელი საღამო მის გვერდით გაატარა. თუმცა არც ანა მიუტოვებია უყურადღებოდ და ნამდვილი ჯენტლმენივით იქცეოდა — ყველა ქალისთვის პოულობდა დროს, რომ ყურადღება დაეთმო. ანას მომხიბვლელი ღიმილი თანდათან ნაძალადევი გახდა. ბოლოს, ეტიკეტის გამოც აღარ იღიმებოდა. კუთხეში მიდგმულ სავარძელში ჩაჯდა და აღარც ამდგარა, ვიდრე წამოსვლის დრო არ დადგა.

— წავიდეთ, ანნა, — მკლავი გაუწოდა ქალს ხელკავისთვის.

ანას ამისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია. წამოდგა და გასასვლელისკენ წავიდა. გასვლისას კი შენიშნა, როგორ მიაწოდა მისმა თანმხლებმა მამაკაცმა იმ „ფიცარს“ სავიზიტო ბარათი. გუნება საბოლოოდ გაუფუჭდა.

„რა მინდა, რას ავიკვიატე ახლა ეს „ფიცარი“?! რაც უნდა, ის ქნას, რა ჩემი საქმეა?! მე მაქვს სამსახური, რომელიც გარკვეულ ვალდებულებებს მაკისრებს და ჩემი საქმე უნდა ვაკეთო. ბელტრანი კი ჩემი შეფია და არა — ქმარი ან საყვარელი, რომ მასზე ვიეჭვიანო. გონს მოდი, ანა! — თავს შეუძახა ქალმა, — ხომ ხედავ, ის შენ მიმართ აბსოლუტურად გულგრილია, ყურადღებასაც არ გაქცევს, თუ ამას სიტუაცია არ მოითხოვს. დილაობით ზრდილობის გულისთვის თუ მომიკითხავს და ეგაა“...

ანა საკუთარ თავზე უფრო ბრაზდებოდა, ვიდრე ბელტრანზე. თითქოს მამაკაცის დასაკუთრება სურდა, მაგრამ თან იცოდა, რომ ეს სახიფათო იყო და თუ თავის სურვილებსა და გრძნობებს გამოამჟღავნებდა, შესაძლოა, სამსახური დაეკარგა.

„ის „მათხოვარ“ როგორი ამაყი დადის?! ყოფილი ცოლია, ახლანდელი ხომ არა!.. ვერ ვიტან, ასე ამაყად რომ გადმომხედავს ხოლმე. ეჭვიანობით კვდება და არ სჯერა, რომ მისი ყოფილი ქმრის საყვარელი არა ვარ. ცდილობს, მიკბინოს და გამამწაროს. კიდევ ერთხელ უთქვამს რაიმე ისეთი, რომ არ მომეწონება და ვუჩვენებ, სადაა მისი ადგილი!“ — გაბრაზებულს, ბელტრანის ყოფილი ცოლიც გაახსენდა და მასზე ჯავრის ამოყრაც დაგეგმა...

ქალი წინ, მძღოლის გვერდით დაჯდა.



ბელტრანს არც გაუპროტესტებია...

ანამ შინ შესვლისთანავე ფეხსაცმელები გაიხადა და ფეხშიშველი, პირდაპირ საძინებლისკენ გაემართა, მაგრამ მეორე სართულის კიბეზე მიმავალს მამაკაცის ხმა წამოეწია.

— ანნა, თუ ძალიან დაღლილი არ ხართ, იქნებ ცოტა დაგველია და გვესაუბრა.

ქალმა ზევიდან გადმოხედა, ცოტათი შეყოვნდა და შემდეგ კიბეზე დაეშვა.

— რას დალევ? — ჰკითხა ბელტრანმა.

— ლუდს, — მოუჭრა ქალმა.

— ანნა, დღეს რაიმე ისეთი მოხდა, რაც არ გესიამოვნა? — ჰკითხა ბელტრანმა და ლუდი ჭიქაში ფრთხილად ჩამოასხა.

— არა, ყველაფერი კარგად იყო. უბრალოდ, დავიღალე.

— არ მჯერა.

— კი, ნამდვილად ასეა.

— კარგად დაფიქრდი, ამ კითხვას მეორედ არ დავსვამ: რა არ მოგეწონა დღევანდელ საღამოს? — მამაკაცმა ლუდით სავსე ჭიქა გაუწოდა.

— მე მომაჩნია, რომ დღეს სტუმრების თვალში დამამცირე, — მიახალა ანამ.

— ნუთუ?!. — წარბი ასწია მამაკაცმა.

— დიახ! მე თუ თქვენი თანამგზავრი ვარ, მაშინ შესაბამისი პატივიც უნდა მომაგოთ. თქვენ კი მთელი საღამო სხვის გვერდით გაატარეთ. თქვენი ცოლი ან საყვარელი რომ ვიყო, ამას ხომ დიდი სკანდალი მოჰყვებოდა?! სხვების თვალში ასეცაა — მათ თქვენი მეგობარი ქალი ვგონივარ და ამ დროს...

— ჯერ ერთი, თქვენ არც ცოლი ხართ და არც მეგობარი ქალბატონი და მე მგონი, გავიწყდებათ, რომ კონტრაქტის თანახმად, თქვენ გეკრძალებათ სხვა მამაკაცთან შეხვედრა და არა მე — სხვა ქალბატონებთან.

— დიახ, მაგრამ ეგ იმას სულაც არ ნიშნავს, რომ... რომ... — ანა ხვდებოდა, რომ ზედმეტი მოსდიოდა და თავის უფლებებს აჭარბებდა, მაგრამ მასში გაღვიძებული ქალური თავმოყვარეობა ისე ბობოქრობდა, რომ თუ სათქმელს ბოლომდე არ იტყოდა, ვერ მოისვენებდა.

— რომ?.. — ჩაეკითხა ბელტრანი.

— ...რომ უნდა დამამციროთ.

— არ მესმის თქვენი, ვერ მიგიხვდით, — სერიოზული სახით თქვა მამაკაცმა, მაგრამ მისი თვალები სულ სხვას ამბობდნენ...

ძალიანაც კარგად მიხვდა, სად „უკაკუნებდა“ ანა და რას გულისხმობდა, რატომ იყო ასე გაწიწმატებული, მაგრამ ამის გამჟღავნება არ სურდა. იქნებ იმიტომ, რომ თავის მართლება არ დასჭირვებოდა ან უბრალოდ, სიტუაციის გამწვავებას ერიდებოდა.

— ბოდიშს გიხდით, ალბათ ცოტა უგუნებოდ ვარ და ამის ბრალია ყველაფერი. წავალ, დავწვები. კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს, ვინაიდან დამავიწყდა, რომ ჩემი სამსახურებრივი მოვალეობა ჩემგან სხვანაირ ქცევას მოითხოვს... თქვენი ნებართვით, წავალ, — თქვა ანამ, მაგრამ ნებართვას აღარ დალოდებია — წამოდგა და ისევ ფეხშიშველი აუყვა კიბეს.

— ასე გაცივდებით, — ღიმილით მიაძახა მამაკაცმა, მაგრამ ანამ აღარც მოიხედა.

ქალი ლამის გათენებამდე ფიქრობდა საკუთარ საქციელზე და თავს კიცხავდა იმის გამო, რომ ასე მოიქცა. ბოლოს და ბოლოს, ის კონტრაქტით აყვანილი თანამშრომელია, რომელსაც ხელფასს სწორედ იმისთვის უხდიან, რომ შეფის გვერდით მყოფმა ყველას გაუღიმოს და გარშემო მყოფებში კარგი განწყობილება შექმნას და არა იმისთვის, რომ დაბღვერილი დადიოდეს და ბოღმას ანთხევდეს. ბელტრანის ადგილზე, ერთი კარგად გამოვლანძღავდი ჩემნაირ თავხედსო, — გაიფიქრა ბოლოს და საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ ასე აღარ მოიქცეოდა.

დილით სასადილო ოთახში ჩავიდა, მოახლეს მიესალმა და ბელტრანი იკითხა. ისინი ყოველ დილით ერთად საუზმობდნენ — ასე ისურვა შეფმა. კი არ ისურვა, უბრძანა, რომ 9-ის ნახევარზე ანა მისაღებ ოთახში ყოფილიყო. ისიც მუდამ ისეთ დროს დგებოდა, რომ საუზმეზე არ დაჰგვიანებოდა.

— ბატონი ბელტრანი ადრე წავიდა, არ უსაუზმია, — მოახსენა მოახლემ.

ანამ ყავა უხალისოდ დალია და ის იყო, თავის ოთახში დაბრუნებას აპირებდა, რომ კარზე ზარი გაისმა. ცოტა ხანში მოახლემ უზარმაზარი თაიგული შემოიტანა და ანას მიაწოდა.

„ანნა, ამ თაიგულით ჩემს გუშინდელ საქციელს ვინანიებ“, — მხოლოდ ეს ეწერა თანდართულ ბარათში.

ქალს გაუხარდა, მაგრამ ამასთანავე, უფრო დამნაშავედ იგრძნო თავი.

იმ საღამოს და კიდევ, მომდევნო 2 დღის განმავლობაში ბელტრანი არ უნახავს. შემდეგ ისე შეხვდნენ ერთმანეთს, თითქოს არაფერი მომხდარა.

— როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ანნა? — ჰკითხა მამაკაცმა, როცა საუზმობისას სუფრასთან შეხვდა ქალს.

— თავად როგორ ბრძანდებით?

— დღეს რა გეგმები გაქვთ? — ორივე მხოლოდ კითხვებს სვამდა, პასუხებს კი თავისთავად გულისხმობდა და ხმამაღლა არ ამბობდა...

— კონკრეტულად, დღის რომელი მონაკვეთი გაინტერესებთ? — ეშმაკურად ჩაიცინა ანამ.

— თქვენ რა, ბევრ რამეს გეგმავთ?

— რა ამბავია ამდენი კითხვა?! გაგვცემს თუ არა ვინმე პასუხს, ბოლოს და ბოლოს? — გადაიკისკისა ქალმა და მამაკაციც აჰყვა... — დილით პროდუქტზე მივდივარ, შუადღის შემდეგ — მაღაზიაში, საღამოს კი ალბათ ბაღში ყვავილებს დავრგავ, — უპასუხა ქალმა.

— მებაღეობასაც ითავსებთ? მაღაზიაში რისთვის მიბრძანდებით, თუ საიდუმლო არაა?

— საქმე ის გახლავთ, ბატონო ბელტრან, რომ ამ დილით გარდეროობი რომ გამოვაღე, აღმოვაჩინე — თქვენთან მუშაობის 1 წლის მანძილზე მხოლოდ „უნიფორმები“ დამიგროვდა. ჯინსის შარვლისა და ბოტასის ყიდვა მინდა.

— გასაგებია. რომ გამოგყვეთ და შეგარჩევინოთ, წინააღმდეგი იქნებით?

— ეგ თქვენს მოვალეობაში, კონტრაქტის მიხედვით, არ შედის, — წაჰკბინა ქალმა, — მაგრამ მიუხედავად ამისა, სულაც არ ვარ წინააღმდეგი, პირიქით, გამიხარდება, რადგან თქვენ მშვენივრად ითავსებთ სტილისტის საქმეს, საუცხოო გემოვნება გაქვთ და თუ შარვლის შერჩევაში დამეხმარებით, ამას რა სჯობია?!

— მაშინ შევთანხმდით: 3 საათზე შემოგივლი და წავიდეთ, — რატომღაც, „შენობით“ მიმართა ბელტრანმა და ანას ეს არ გამოჰპარვია, რადგან პირველი შემთხვევა იყო, როცა მამაკაცმა რაღაც ზღვარი გადალახა, ბარიერი მოხსნა და ქალს შინაურულად მიმართა.

მთელი დღე და საღამო ერთად გაატარეს. ანა დაიღალა ამდენი სიარულით. მაგრამ არ წუწუნებდა და არ იმჩნევდა. საღამოს კი, როდესაც შინ ბრუნდებოდნენ, მამაკაცმა რესტორანში დაპატიჟა.

— ასე წამოვიდე? — ტანისამოსზე დაიხედა ანამ.

— არა, შინ მივიდეთ და გამოიცვალეთ.

ანამ გარდეროობი გამოაღო და საკიდარზე ჩამოკონწიალებულ უამრავ კაბას, პიჯაკს, ქვედაბოლოსა და ბლუზას შეავლო თვალი. შემდეგ მოზრდილი ჩემოდანი გამოათრია და გახსნა. წითელი, შავკოპლებიანი სარაფანი ამოარჩია, რომელიც საქართველოდან ჰქონდა წაღებული. ბელტრანის ნაყიდ კაბებზე განგებ თქვა უარი. კაბა მკერდის ქვემოთ „გადაჭრილი“ და შემდეგ, გაშლილი იყო. ანამ მისი შესაფერისი, წითელი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მოირგო, თმა აიკეცა, თავზე წითელი შლაპა დაიხურა და სარკეში საკუთარი გამოსახულება კმაყოფილმა შეათვალიერა.

„მართალია, დავითმა ამ სარაფანში სულ

120 ლარი გადაიხადა, მაგრამ ამ კაბებს არაფრით ჩამოუვარდება, — გაიფიქრა და გარდერობში ჩამწკრივებულ კაბებს თვალი გადაავლო, — ჰოდა, თუ ბელტრანი ფიქრობს, რომ ჩემი სილამაზე მისი დამსახურებაა, ახლა დარწმუნდება, რომ ცდება!“

მამაკაცი მართლაც, აღფრთოვნდა მისით და უამრავი კომპლიმენტიც მოიშველია.

ამ რესტორანში ანა პირველად იყო — მყუდრო გარემო, ნახევრად ჩაბნელებული დარბაზი და არც ისე მდიდრული ინტერიერი.

— იქ დავსხდეთ, — მამაკაცმა აივნისკენ გაიშვირა ხელი, — იქიდან ულამაზესი ეზო და უმშვენიერესი ბაღი ჩანს.

ქალი მის ნებას დაჰყვა, როგორც ყოველთვის.

მართლაც, ლამაზი იყო იქაურობა. აივნის სვეტებზე „მხოხავი ვარდი“ აცოცებულიყო და ლამაზ თაღს ქმნიდა. როდესაც მიმტანმა მაგიდაზე დადგმულ სანთლებს ცეცხლი მოუკიდა და შეკვეთის მოსატანად წავიდა, ანამ მამაკაცს შესცინა:

— მე მგონი, ეს პაემანია, — პირდაპირ გამოთქვა აზრი.

— და წინასწარ რომ გცოდნოდა, ეს პაემანი იყო, წამოხვიდოდი?

— რა თქმა უნდა, — თვალი არ დაუხამხამებია ქალს.

— მომწონს ასეთი პირდაპირობა, დანარჩენი ქალებივით არ იპრანჭები. დარწმუნებული ვარ, 100-დან 99 ქალი ახლა მიპასუხებდა, რომ დაფიქრდებოდა ან არ წამოვიდოდა.

— გულახდილობას არაფერი სჯობს. არა მგონია, კარგი საქციელი იყოს, როცა ერთს ფიქრობ, მეორეს ამბობ და მესამეს აკეთებ, ასე არაა?

— ჰო, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ, მე სვანი ვარ, — გაიცინა ანამ. — ეს ალბათ შენთვის ცოტა გაუგებარია, მაგრამ მარტივად რომ ვთქვათ, ეს იგივეა, რაც იტალიაში — სიცილიელი...

— ან ესპანეთში — კატალონიელი, ხომ? — გაიცინა ბელტრანმა.

— ჰო, დაახლოებით.

კარგა ხანს ისმენდა ბელტრანი „ლექციას“ საქართველოს ისტორიის შესახებ და უამრავ კითხვას სვამდა. ანა ხალისით უყვებოდა, თავის ქვეყანას აწონებდა და გამუდმებით იმას უმეორებდა, რომ ქართველების მსგავსი ხალხი სხვაგან არსად ცხოვრობდა.

— წამიყვან საქართველოში? — ჰკითხა მამაკაცმა.

— კი, აუცილებლად, ძალიან მოგეწონება, თანაც, ესპანელები ძალიან ჰგვანან ქართველებს და თავს ისე იგრძნობ, როგორც შენს სამშობლოში, — შეჰპირდა ანა.

— იქ ყველა შენსავით ლამაზია?

— ჩემზე გაცილებით ლამაზი.

— ამ კაბაში ყაყაჩოს ჰგავხარ, — გაიღიმა მამაკაცმა.

ბელტრანმა ხელი გაიწვდინა, ვარდი მოწყვიტა, წამოდგა და ანასთვის თმაში ჩაბნევა სცადა.

ანა დამუნჯდა. მისი ხელების სითბოსა და სუნთქვას გრძნობდა საფეთქელთან და თითქოს ენა წაერთვა. არც ხმას იღებდა და არც თავს ატოკებდა: თითქოს ეშინოდა, ზედმეტ მოძრაობასა და ხმაურს მამაკაცი არ დაეფრთხო... კისერზე ბელტრანის ტუჩების შეხება მსუბუქ ნიავს ჰგავდა. მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ქალს ცეცხლი მოსდებოდა... თვალები დახუჭა და სწორედ ამის გამო ვერ შენიშნა, როგორ შეხედა მამაკაცმა სახეზე. მისი დახუჭული თვალების დანახვაზე ბელტრანს გაეღიმა.

— ანნა, — ჩასჩურჩულა ყურში და მკლავზე ხელი ჩამოუსვა.

— წავიდეთ, — დაფაცურდა ქალი. თითქოს რაღაცამ უკბინაო, ისე წამოხტა სკამიდან.

— კარგი, როგორც გინდა, — უცებ დათანხმდა მამაკაცი.

მანქანამდე უსიტყვოდ მივიდნენ. როგორც ყოველთვის, ახლაც ორივე უკანა სავარძელში მოთავსდა, მაგრამ, თითქოს ერთმანეთზე გაბრაზებულები არიანო, ისეთი სახეები ჰქონდათ... ბელტრანმა ხელი მოხვია. ქალი ბეღურასავით შეიყუჟა მის მხარქვეშ. მისი მოძრაობით გათამამებულმა მამაკაცმა ჯერ ლოყაზე აკოცა, მერე თვალები დაუკოცნა და ტუჩებს მისწვდა. ანამ მის ცხელ ბაგეს თავისი შეაგება და ლამის გული წაუვიდა...

— ასეთი „ცხელი“ ქალი ამდენ ხანს მარტო როგორ ძლებდი?! — ჩასჩურჩულა ბელტრანმა. — ნუთუ ასე იმიტომ იქცეოდი, რომ არ გინდოდა, კონტრაქტის პირობა დაგერღვია?

ანამ პასუხს თავი აარიდა.

ამასობაში მანქანა ეზოში გაჩერდა. ისინი შინ შევიდნენ.

ქალს თავი არ აუწევია, ისე გაემართა თავისი ოთახისკენ. სააბაზანოში შევიდა და სხეული გრილი წყლის ნაკადს შეუშვირა. კარგა ხანს იდგა ასე... არც არაფერზე ფიქრობდა. წყლის თითოეული წვეთის შეხებას შეიგრძნობდა და ხვალინდელი დღის გათენების ეშინოდა, რადგან არ იცოდა, რა მოჰყვებოდა ამ ყველაფერს.

შიშველ ტანზე პირსახოცის ხალათი შემოიცვა და სააბაზანოდან გამოვიდა. თითქოს შეამცივნა. შიდა ტელეფონით მოახლეს დაურეკა და სთხოვა, მისთვის ოთახში ფინჯანი ყავა ამოეტანა.

ცოტა ხანში კარზე კაკუნი გაისმა.

— შემოდი, — გასძახა ქალმა. ლოგინში ჩაწოლილს, ადგომა დაეზარა.

ღია კართან ბელტრანი იდგა და ხელში ყავის ფინჯანი ეჭირა. ანამ საბანი წაიფარა.

— გადავწყვიტე, მე თვითონ მოგემსახუროთ, ქალბატონო, — უთხრა მამაკაცმა და თვალი ჩაუკრა.

— ეჭვი მაქვს, რომ თქვენი ვიზიტი მხოლოდ ყავის მოტანით არ შემოიფარგლება...

— იცი, ახლა შენი პირდაპირობით საკმაოდ რომანტიკული სიტუაცია ჩაშალე,

— უკმაყოფილო სახე მიიღო ბალტრანმა.

— როგორ უნდა მოვქცეულიყავი? სახეზე გულუბრყვილო გამომეტყველება მიმეღო და თავი ისე დამეჭირა, თითქოს ვერ მივხვდი, რატომ გადაწყვიტე, ყავა შენ თვითონ მოგეტანა?.. — წარბი შეკრა ანამ.

— რა თქმა უნდა, — მამაკაცმა ყავის ფინჯანი ტუმბოზე დადგა და საწოლზე ჩამოჯდა.

— კარგი, რა! — ხელი ჩაიქნია ქალმა.

— ეს ლამაზი ტყუილი იქნებოდა და სიტუაციას მართლა წაადგებოდა.

— მოდი, თავიდან გაიმეორე, — გაეხუმრა ანა.

მამაკაცი წამოდგა, ყავის ფინჯანს ხელი წამოავლო და ოთახიდან გავიდა.

ცოტა ხანში კარზე ისევ დააკაკუნა.

— შემოდი, — გასძახა ანამ.

— გადავწყვიტე, მე თვითონ მოგემსახუროთ, ქალბატონო, — ბელტრანი იღიმებოდა.

— რატომ შეწუხდით, ბატონო ბელტრან?! ახლავე გამოგართმევთ ფინჯანს და შეგიძლიათ, თქვენს ოთახში მიბრძანდეთ, — ღიმილითვე უპასუხა ანამ და საწოლიდან წამოდგა. შავი, რუშებიანი, მოკლე ღამის პერანგი ეცვა და მის თეთრ კანს უფრო ქათქათას აჩენდა...

ბელტრანმა თვალი ჩამოაყოლა მის სხეულს და ყელში მომდგარი ნერწყვი ძლივს გადააგორა.

— საწოლში შავი ფერი არ მიყვარს, — ჩამქრალი ხმით თქვა მამაკაცმა.

— თქვენ რაც გიყვართ, იმ ფერის პერანგები თქვენმა საყვარელმა ქალებმა ჩაიცვან, მე კი ვგიჟდები შავზე. მით უმეტეს, მაშინ, როცა წითელი, აბრეშუმის საბანი და ზეწარი მაქვს, — ანამ მამაკაცს ყავის ფინჯანი ჩამოართვა და ტუმბოზე დადგა. — ისე, ამდენ ლაპარაკში ყავა გაცივდა კიდეც.

— ახალი ამოგიტანო?

— არა, იყოს, ცივს დავლევ მას შემდეგ, რაც თქვენ ჩემი ოთახიდან გაბრძანდებით და მარტო დავრჩები.

ანამ კარი გამოაღო, თვითონ იქვე, კედელთან დადგა და ხელები გულზე დაიკრიფა.

ბელტრანი დატუქსული ბავშვივით გაემართა კარისკენ.

— ერთს გაკოცებ წავლისას, — ბელტრანმა ორივე ხელი კედელზე მიაბჯინა და ქალი შუაში მოიქცია.

— ეს აზრი არ მომწონს, — არც ისე თავდაჯერებულად თქვა ქალმა.

მამაკაცი დაიხარა, სახე ძალიან ახლოს მიუტანა და თვალებში ჩახედა.

— ჩვენ ახლა კონტრაქტის პირობებს ვარღვევთ, — ჩურჩულით თქვა ანამ და კედელს აეკრა.

ამ დროს მამაკაცის ტუჩები ისე ახლოს იყო, რომ ჩურჩულისას, მისას ოდნავ ეხებოდა.

— კონტრაქტი აღარ არსებობს, — ჩურჩულითვე უპასუხა მამაკაცმა და მთელი სხეულით ქალს ისე მიეკრა, ლამის კედელზე მიაჭყლიტა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი“

...ბერლინში საბჭოთა დელეგაციის ჩასვლის დღეს — 1940 წლის 12 ნოემბერს ჰიტლერმა ასეთი წერილობითი განკარგულება გამოსცა: „რუსეთის პოზიციის გასარკვევად გამიზნული პოლიტიკური მოლაპარაკებები იწყება. განურჩევლად იმისა, თუ როგორ დასრულდება ისინი, საჭიროა, განვაგრძოთ აღმოსავლეთთან დაკავშირებული ყველანაირი სამზადისი. ჩემ შემდგომ მითითებებს ჩამოვაყალიბებ მაშინვე, როგორც კი ოპერაციის გეგმის ძირითად დებულებებს დავამტკიცებთ“.

დასაწყისი იხ. „გზა“, №27-48

მზადება ომისთვის

ამგვარად, ყველანაირი მოლაპარაკება, საიდუმლო შეთანხმება, ხელშეკრულების პროექტი, მსოფლიოში გავლენის სფეროების დანაწილების შესახებ წინადადება წარმოადგენდა ფიქციას, რომელიც საბჭოთა ხელმძღვანელობის ყურადღების მოდუნებას ისახავდა მიზნად. საოცარია — ათასობით სტატიისა და წიგნის ავტორები გვარწმუნებენ იმაში, რომ სტალინი ჰიტლერის ანკესზე წამოეგო და სწორედ მის გამო დაატყდა თავს საბჭოთა კავშირს უამრავი უბედურება. არადა, ეს ყველაფერი უბრალოდ, შეთხზული და ლამაზად შეფუთული ტყუილია. 1940 წლის 18 ნოემბერს ცეკას პოლიტბიუროს სხდომაზე, ბერლინში მოლოტოვის ვიზიტის შესახებ ანგარიში მოისმინეს. მოვიტან მთავრობის საქმეთა მმართველის, ჩადაევის მოგონების ნაწყვეტს, რომელსაც ამ სხდომის ოქმის შედგენა ევალებოდა, ხოლო შემდგომ, თავადაც მიყვებოდა ამ სხდომის შესახებ:

„მოლოტოვმა თქვა: — ჰიტლერის საუბრის დედააზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ინგლისი ფაქტობრივად, დამარცხებული იყო და მისი კაპიტულაცია უახლოეს მომავალში მოხდებოდა. მისი თქმით, სულ ცოტა ხანში ინგლისს საჰაერო დარტყმებით საბოლოოდ გაანადგურებდა... შემდეგ მან მოკლე სამხედრო მიმოხილვა შემოგვთავაზა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის იმპერია უკვე მთელ ევროპას აკონტროლებს. ამასთანავე, იტალიელ მოკავშირეებთან ერთად, აფრიკაშიც ახორციელებს წარმატებულ ოპერაციებს. აქედან გამომდინარე, მისი დასკვნით, „სამკუთხედის“ წევრი სახელმწიფოების (გერმანია-იტალია-იაპონია) გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევს და დროა, მსოფლიოს მომავალ მოწყობაზე ვიზრუნოთ. მით უმეტეს, რომ ბრიტანეთის დამხობის შემდეგ, მთელ მსოფლიოში მიმობნეული მისი იმპერიის ნანგრევები „უპატრონოდ“ რჩება... ჰიტლერმა უკვე იცის იტალიისა და იაპონიის პოზიცია და ახლა ამ საკითხებზე საბჭოთა კავშირის შეხედულების გარკვევა სურს... მისი თითქმის ერთსაათიანი სიტყვის შემდეგ, მივმართე პრაქტიკული კითხვებით, რომლებიც მოცემულ მომენტში გაცილებით მწვავედ დგას, კერძოდ: რა ესაქმება რუმინეთში გერმანიის სამხედრო მისიას და რატომ მიავლინეს ის ამ ქვეყანაში საბჭოთა კავშირთან კონსულტაციის გარეშე? საბჭოთა კავშირს აგრეთვე აინტერესებს — რა მიზნითაა გაგზავნილი გერმანიის ჯარის ნაწილები ფინეთში?.. ამ შენიშვნებმა ჰიტლერი შეაცბუნა, მაგრამ მსახიობურმა მონაცემებმა უშველა: მან ჯერ დრამატულად აახამხამა თვალები, შემდეგ მზერა ჭერს მიაპყრო... პაუზის შემდეგ თქვა, რომ რუმინეთში სამხედროები ამ ქვეყნის მთავრობის თხოვნით გაგზავნა, ხოლო ფინეთში ჯარის ნაწილები მხოლოდ გავლით — ნორვეგიისკენ მგზავრობისას მოხვდნენ... საბოლოოდ კი აღნიშნა, რომ დეტალებში გარკვეული არ არის და ამ საკითხებს უფრო დაწვრილებით შეისწავლის... ამის შემდეგ კვლავ სტრატეგიულ გეგმებზე ალაპარაკდა და იმაზეც, თუ რაოდენ საინტერესო შეიძლება იყოს საბჭოთა კავშირისთვის ის ტერიტორიები, რომლებიც მისი სამხრეთ საზღვრიდან ინდოეთის ოკეანის მიმართულებით მდებარეობს, კერძოდ — მოსკოვი დაინტერესებული უნდა იყოს სპარსეთის ყურეზე გასასვლელით, დასავლეთ ირანისა და ამ ქვეყანაში არსებული ნავთობსაბადოების ხელში ჩაგდებით...“

მოლოტოვის გამოსვლის შემდეგ სტალინმა თქვა:

— ბუნებრივია, საბჭოთა კავშირი ამ ანკესზე არ წამოეგება. აქ ხომ ლაპარაკია ჩვენს მეზობელზე — მასთან თბილი, კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს... წინა თვეებში ჩვენთვის გამოგზავნილ წერილებში გერმანელები გამუდმებით მიგვანიშნებდნენ იმაზე, რომ კარგი იქნებოდა, ჩვენი ქვეყნების მაღალი რანგის წარმომადგენელთა დონეზე განგვეხილა მომწიფებული საკითხები. ერთ-ერთ მათგანში კი პირდაპირ გვწერდნენ, რომ მოსკოვში რიბენტროპის ვიზიტის შემდგომ, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით სიტუაცია საფუძვლიანად შეიცვალა, ამიტომ სასურველი იქნებოდა, რომ მოსალაპარაკებლად, ბერლინში წარმომადგენლობითი საბჭოთა დელეგაცია ჩასულიყო. ამგვარად, ბერლინში ჩვენი დელეგაციის ჩასვლა გერმანული მხარის ინიციატივით მოხდა. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საბჭოთა დელეგაციის წამოსვლის შემდეგ, ჰიტლერმა ხმამაღლა განაცხადა, რომ „გერმანულ-რუსული ურთიერთობები საბოლოოდ დალაგდა“. მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით ასეთი განცხადებების ფასი. ჯერ კიდევ ჰიტლერთან შეხვედრამდე ჩვენთვის ნათელი იყო, რომ ის არად დაგიდევთ საბჭოთა კავშირის ინტერესებს. პოზიცია, რომელიც ჰიტლერმა ამ მოლაპარაკებისას გამოამჟღავნა, ნათლად მოწმობს იმას, რომ დემაგოგიური განცხადებების მიუხედავად, სინამდვილეში ის ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას ამზადებს. ბერლინური შეხვედრის მოწყობით, ნაცისტთა ფიურერი თავისი ნამდვილი ზრახვების შენიღბვას ლამობდა. ნათელია — ჰიტლერი ორმაგ თამაშს თამაშობს. ის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიას ამზადებს, ამასთანავე ცდილობს, დრო მოიგოს და შეგვიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენთან მშვიდობიანი ურთიერთობის გამყარება სურს... 1939 წელს ხელმოწერილი პაქტით ჩვენ თავიდან ავიცილეთ გერმანიის აგრესია, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო. რაიხის უმაღლესი ხელმძღვანელობა არ აპირებს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ თავდასხმაზე უარის თქმას. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს და ფაშისტური გერმანიის აგრესიის მოსაგერიებლად უნდა ვემზადოთ. უნდა განვამტკიცოთ ჩვენი ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერე. ამასთანავე, ისე უნდა წარვმართოთ საქმე, რომ რაც შეიძლება მალე გავაფორმოთ პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ იაპონიასთან. გერმანიამ ამ სახელმწიფოსთან საერთო ენა გამონახა. იაპონიამ აღიარა გერმანიის უფლება, სხვა სახელმწიფოების საქმეში ჩაერიოს. საჭიროა, მისი ნეიტრალიზება მოვახერხოთ. ამასთანავე, საჭიროა, უფრო დიდი სამხედრო-ეკონომიკური დახმარება გავუწიოთ ჩინელ ხალხს. ჩვენი მიზანია, როგორმე შევასუსტოთ ჰიტლერული კოალიცია, გადმოვიბიროთ მისი სატელიტი ქვეყნები, რომლებიც დღეს იძულებული არიან, გერმანიის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ“.

აი, ასე აფასებდა შექმნილ ვითარებას იოსებ სტალინი, რომელსაც ყურადღების მოდუნებაში ადანაშაულებენ. ყურადღება მიაქციეთ თარიღს: ამას სტალინი 1940 წლის ნოემბერში ამბობდა!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზაკვნილები

„სპრავედლივი“ ხელი

„რთული თემაა მგონი, მარი მასწ (შესავალში შენი შედარება ძალიან მომეწონა და მოვირგე კიდეც)... ამ თემაზე უფრო ის ანეკდოტი მახსენდება, ყველამ რომ ვიცით: ტრაგიკომედია რას ეწოდებაო? რას და შენი სიდედრი ხევში რომ მიფრინავს, ოღონდ შენივე მანქანით, აი, მაგასო. ახლა მეც ვითომ „შპარგალკა“ გამოვიყენე? სულაც არა, ასეთი წყალწაღებულიც არ ვარ. :) აი, თემასთან მგონი ოდნავ ახლოსაა, ეს ამბავი: ჩვენს მეზობლად მოხუცი ცხოვრობს. ცხოვრების დინებამ მის, ერთ დროს, ლამაზ სახესაც დააჩნია კვალი და ულამაზესი ქალისგან სახედამჭკნარი, მარტოხელა ქალი დარჩა, რომელსაც უსაშველოდ სევდიანი თვალები აქვს... მოკლედ, მეორე მეზობლის პატარა ბავშვი ყოველ გავლა-გამოვლაზე რატომღაც ემანჭებოდა მოხუცს. ყველას გვიკვირდა, რას ერჩოდა ზრდილობიანი ლუკა ამ საწყალ ქალს. ერთხელაც დედამისმა ამ მანჭვა-გრეხის გამო საკუთარ შვილს „სპრავედლივი“ ხელი რომ შემოსცხო, მაშინ გაირკვა სიმართლე. ლუკამ დაიწუწუნა: რას მირტყამ დეე, თვითონ სულ მეჯღანება და მეც ვპასუხობ ხოლმეო. რაო? ვინ გეჯღანებაო? შეიცხადა დედამ. აი, დედიკო, შეხედე, ახლაც დაჯღანულია და ყოველთვისაცო. ამ ამბავზე ყველას ეღიმება. მოხუცს სახე ისე დაუნაოჭდა, ბავშვს ეგონა, ემანჭებოდა. ლუკასაც, ცხადია, ეს ბავშვური გულუბრყვილობით დაემართა, მაგრამ ჩემთვის ეს ამბავი სატირალი თუ არა, სევდის მომგვრელი მაინცაა. ვინ იცის, რაღაც დროის შემდეგ ჩვენც ასე შეგვცვალოს ცხოვრებამ. აი, ამიტომაც არ მეცინება ამ ამბავზე. სენტიმენტალობაშეპარული ჩუპი“.

ირმის ნახტომი

„ამჯერად მინდა, ჩემს ბათუმურ, საქორწილო ვოიაჟზე მოგითხროთ... მოკლედ, ქორწილში ვიყავი მიპატიჟებული, თანაც — ბათუმში და უარს როგორ ვიტყოდი? მშვენიერი, ზაფხულივით თბილი ამინდი დამხვდა... პირველივე დღეს მგზავნელებთან ერთად გავვარდი, მონატრებული ზღვის სანაპირო და ბულვარი სულ ფეხით მოვიარეთ, ვიცინეთ, ვიმხიარულეთ და გვიანობამდე მაესტროს

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, მკითხველებო, მგზავნელებო, კრიტიკოსებო და მოთვალთვალენო... ტყუილად არ ჩამომითვლია, ეს „ტიტულები“. თქვენი მესიჯებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი მხოლოდ კითხულობს „გზავნილებს“ — „მარი, ძალიან დიდი ხანია, „გზავნილებს“ ვკითხულობ, მაგრამ არასოდეს დამიმესიჯებია. ახლა გწერ, მაგრამ ნუ გამოაქვეყნებ. უბრალოდ, მინდა გითხრა, რომ მგზავნელებისა და შენი ფანი ვარ. მიყვარხართ“; ზოგი მესიჯებს მიგზავნის (მაგალითს აღარ მოვიყვან, რადგან ქვემოთ გაეცნობით), ზოგიერთი კრიტიკის ქარცეცხლში გვატარებს: „საქმე გამოგლეკვიათ შენც და მგზავნელებსაც და არ იცით, დრო როგორ გაიყვანოთ (ჩემზე განსაკუთრებულად ითქმის, რომ უსაქმური ვარ) და დგახართ და ერთი ამ მესიჯებს ტელეფონზე „ჯღაბნის“, მეორე — ჟურნალში. ასი წელი არ წავიკითხავ „გზავნილებს“ (არადა, როგორ კითხულობს?!), სულელური ამბებია და ჟურნალის ფურცლებს ტყუილად იკავებთ“; ზოგიერთი კი უბრალოდ, გვითვალთვალებს და შესაფერის მომენტში, 1-2 მესიჯს „შემოაგდებს“ ხოლმე: „მე თქვენი მკითხველი ვარ, მაგრამ იშვიათად გიმესიჯებთ. მხოლოდ შორიდან გითვალთვალებთ ხოლმე. ჰოდა, დაჭამეს ერთმანეთი ბავშვებმა და მარი, მიაქციე ყურადღება, თორემ ერთმანეთის ლანძღვით გულები გაუსკდებათ და დარჩები „გზავნილების“ გარეშე“. მოკლედ, რა გითხრათ და რით გაგახაროთ?! მე თვითონაც არ ვიცი... ზემოთ მაგალითად თითო მესიჯი მოგიყვანეთ. არადა, ასეთს კვირაში, თითო „მიმართულებით“, 10-ს მაინც ვიღებ. ისე, მე ჩემი ვთქვი და ჯობია, თქვენ გადაწყვიტოთ, რომელი სტატუსი ჯობია. მით უმეტეს, რომ ახლა მთელ 4 გვერდს სწორედ მგზავნელების მესიჯებს დავუთმობ.

ამბავი, რომელიც სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს

მოკლე ჩართვა

რომელი ფილმის გმირი ვიქნებოდი?

• აუ, მარ, რა მაგარი კითხვაა! გაამიხარდა, ძაან. ფილმში თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობ. ბრიჯით ჯონსს ვითამაშებდი (ნუ, გასუქება ტეხავს, მარა, გმირს სჭირდება და...) ჯერ გადაღებებზე ვიცინებდი ძალიან, ძალიან ბევრს, მერე მაყურებელს ვაცინებდი გალურჯებამდე და სიცილით ცხოვრებას გავულამაზ-გავუხანგრძლივებდი. კიდევ, „ნოთინგ ჰილში“ ვითამაშებდი, ჯულია რობერთსის მაგივრად. ნუ, ჰიუ გრანტის პარტნიორობაზე ყველა ქალი ოცნებობს, ალბათ და კიდევ, „ექმ ჰაუსში“ ნებისმიერ როლს შევასრულებდი, თუნდაც ყველაზე უარყოფითს. ჰაუსს მაინც სხვა მუღამი აქვს და... აი, ჩემი ფილმოგრაფიული ოცნებები და კიდევ, „ჯინსების თაობაში“ (ამჯერად სპექტაკლში), თინა ფეტვიაშვილის როლს ვითამაშებდი, სიამოვნებით. მარ, საყვარელო, მადლობა, რომ ჩემს ოცნებებს გასაქანი მიეცი. P.S. დაცინვები არ იყოს ახლა, ბრიჯით ჯონსზე და სხვა გმირებზე. თქვენი ჩუბი.

• „რომაული არდადეგების“ გმირი ვიქნებოდი. რატომ? გრეგორი პეკისთანა სიმპათიური მამაკაცი რომ აგიტაცებს ხელში, პრინცესა რომ იქნები და რომში ისეირნებ, ამას კითხვა რად უნდა? პარიუანკა.

• სიამოვნებით ვიქნებოდი „ტიტანიკის“ გმირი. რამეს ვიჩალიჩებდი და იმ განძს ოკეანეში არ ჩავტოვებდი, ზვიგენების სასრავად. კიბერ მასტერ.

• რომელი ფილმის გმირი ვიქნებოდი? „კუკარაჩა“ რომ არის, აი, მაგ ფილმის გმირი ვიქნებოდი და ვიყვირებდი — კუკარაჩა მ ო კ ლ ე ს... კუკარაჩაااااა... ეშმაკისეული.

• ფილმ „სიმონადან“ შევადარებდი ჩემს თავს სიმონას, იმიტომ რომ, სიმონა არის და არც არის. ჩანს და არც ჩანს. პოპულარულია და არავინ იცნობს. არსებობს და არც არსებობს... თითქოს ყველაფერი კარგია, მაგრამ ის მხოლოდ ჩრდილია. P.S. ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, მხოლოდ სიმონას შევადარებ საკუთარ თავს. ისე კიი... აზიელი.

• რომელი ფილმის კი არა და, სერიალის გმირს განვასახიერებდი. აუ, დონა ბარბარა ვიქნებოდი. მაგარი ხასიათი აქვს. ნაინა.

88

თონეში ვჭუკჭუკებდით... მეორე დღეს კი დილიდანვე საქორწილო სამზადისს შევუდექი... ქორწილი 4 საათზე იყო და საჩქაროდ სილამაზის სალონში გავვარდი. მეგონა, 1 საათში მოვრჩებოდი, მაგრამ იქვე 3 საათი გამიხდა... სინათლის სიჩქარით გამოვვარდი სახლში, კაბის გადასაცმელად. როგორც იქნა, მოვწესრიგდი და დედასთან ერთად გზას გავუდექი. კარგა გვარიანადაც დაგვაგვიანდა. ქალაქში წყლის გაყვანილობას აწესრიგებენ და ქუჩები ისეა გადათხრილი, ჭოკით მხტომელებივით ვახტებოდით ორმოებს... არადა კაბა მაცვიააა?! გრძელი კი იყო, მაგრამ ზურგზე წელამდე „დეკოლტეთი“ და წინ — მოკლე. უცნაური ვარცხნილობითა და სუპერსაღამოს მაკიაჟით... აბა, ასეთ ფორმაში რომ სიგრძე-სიგანეზე მოხტუნავეს დაგინახავენ, ნორმალურად მიგიჩნევენ? დედაჩემიც მაგარ ფორმაში იყო და რომ მივხვდი, უკვე მთელი ქუჩა ჩვენ შემოგვცქეროდა, ტაქსიში ისეთი სისწრაფით ვისკუპე, ხელი სად მქონდა და ფეხი, უკვე რესტორანთან მისულმა ძლივს გავარკვიე... დარბაზში შევედით და მითითებულ ადგილზე დავსხედით, მაგრამ ვინ დაგაცადა? უკვე კარგად ნაჭამ-ნასვამი სტუმრები ცეკვის ხასიათზე იყვნენ და მეც რაღას ვიზამდი (იმიტომ იყო, სახლში მგელივით მშიერი რომ მივედი)? ქორწილის დასასრულს კი ყველასთვის კარგად ნაცნობი და უკვე ტრადიციად დამკვიდრებული, დედოფლის მიერ თაიგულის სროლის დრო დადგა. შეგროვდა გათხოვება-დაქორწინების მსურველთა დიდი რიგი. დედაჩემმა, გინდა თუ არა, შენც დადექიო (არა, რას ვიფიქრებდი, ასე თუ უნდოდა ჩემი გათხოვება?! ჰმ!). მეც ვიფიქრე, სხვა თუ არაფერი, ვიცინებ მაინც-მეთქი და ბოლოში დავდექი იმის შიშით, რომ არავინ დამჯახებოდა... წამიც არ იყო გასული, რომ თაიგული პირდაპირ ჩემს ხელებში აღმოჩნდა. გაკვირვებაც ვერ მოვასწარი, მაგრამ წინა მხრიდან ვიღაც ვაუბატონმა „ირმის ნახტომი“ გააკეთა და თაიგულს ისეთი ძალით ჩააფრინდა, რომ მხოლოდ ყვავილის მოსართავი ცელოფანი და ლენტებიღა შემრჩა ხელთ. გაგულისებულმა და ცოტა ალკოჰოლით გათამამებულმა, თამადას მიკროფონი გამოვართვი და ჩემი საკუთრების მიმთვისებლის გასაგონად ვთქვი: რას ვიფიქრებდი, ბიჭებსაც ასე თუ ძალიან უნდოდათ გათხოვება და ეს ლენტებიც მისთვის მიჩუქნია-მეთქი... დედამისი კი გადაირია და დამიბრიალა თვალები, მაგრამ რა ჩემი ბრალი იყო? ის მოძალადე მეორე დღეს, ე.წ. „ტორტის გაჭრაზე“ ვნახე და როგორ გგონიათ, რა ქნა? ვარდების უზარმაზარი თაიგული მომართვა, ბოდიშიც მომიხადა, თან დასძინა: შეყვარებულს ცოლობა უნდა ვთხოვო და ჰაერივით მჭირდებოდა დედოფლის თაიგულიო. მეც, მეტი რა მინდოდა? გამეცინა და მათ ქორწილში ადგილიც დავჯავშნე. იმედია, ამ გზავნილის წაკითხვისას თანხმობა უკვე მიღებული ექნება. ბედნიერებას ვუსურვებ მათ. ახალგაზრდებო, თქვენი საქორწილო ტორტის საჭმელად უკვე ვილოკავ ტუჩებს. თაიგულის სროლისას კი აუცილებლად ჩავდგები მსურველთა რიგებში და იმედია, მაშინ მაინც არავინ შემეცილება. არა, გათხოვებას ჯერ არ ვაპირებ, მაგრამ ეგ უკვე პრინციპის საკითხია. ეს ამბავი კი მგონი პირიქით გამოვიდა: სატირალი იქნებოდა, სასაცილო რომ არ იყოს. გკოცნით, თქვენი SWEET-GIRL“.

ლურჯა გაცოცხლდა

„ამ ურჯულო ბერძნებისგან გამწარებულებს, გულს გვიხალისებს თქვენი ჟურნალი. მინდა, ჩემი გულისტკივილი გაგიზიაროთ. ორი კვირაა, 76 წლის ქალბატონს ვემსახურები, საავადმყოფოში. არც მაჭმევენ, არც წყალს მასმევენ, ქირასაც მე ვიხდი და საჭმელსაც ჩემი ხელფასით ვყიდულობ. ისეთი დამწვარი და ჰყავს, ჩუმად ჩადის კაფეში, ჭამს და ამოდის პალატაში. მინდა, მეცხრე სართულიდან გადავხტე... ვუთხარი მის დას, მშია-მეთქი და იცით, რა მიპასუხა? რასაც ჩემი და ვერ შეჭამს, ის ჭამეო. ღორი კი არ ვარ-მეთქი, ვუთხარი. გარეთ გავიდა, რომ აღარ მელაპარაკა საჭმელზე. დღე-ღამეში საავადმყოფოს 500 ევროს უხდიან და ერთი ხაჭაპური რომ მიყიდონ, ის გაუჭირდათ? შვილი შვეიცარიიდან უგზავნის ჩემს ქალბატონს ფულს, ათენშიც 4 მაღაზია აქვს. ბებია 4 დღეა, გადადებული მკვდარი გვეგონა, არც ჭამდა, არც ლაპარაკობდა, შვილი რომ ჩამოუვიდა შვეიცარიიდან, გაშალა ხელები და ალაპარაკდა. ესენი ჩვენ დაგვხოცავენ და მაგდანას ლურჯასავით, საიქიოდან მობრუნდებიან. ათენიდან, ნანა ძებოშვილი“.

გაბერილი დიდებას საჭნის შუქლის შედი აქვს

ერთი დღე — სიხარულისთვის

„თბილისში, თამარ მეფის გამზირზე არის სასადილო გაჭირვებულებისთვის, სახელწოდებით — „ალავერდი“. მის ჩასასვლელ კიბეზე 30 წელს გადაცილებული, გარემოვაჭრე ქალი იჯდა და საღეჭ რეზინებს, თამბაქოსა და ტკბილეულს ყიდდა. ყოველ დილა-საღამოს მაგ ქალბატონის წინ მიწევდა გავლა და თქვენ წარმოიდგინეთ, მუდამ მის ნაღვლიან და ცხოვრებისგან დაღლილ თვალებს ვხედავდი. სახე მუდამ ჩამოსტიროდა. ამ მდგომარეობამდე ალბათ რთულმა ცხოვრებამ მიიყვანა. თუმცა, იმედსაც არ კარგავდა და ცდილობდა, ასე მაინც გაეტანა თავი. ამ გზით მაინც ეშოვა ფული და შეენახა ოჯახი... ვინ იცის, იქნებ ძილის წინ დარდობა კიდეც, ასეთი რთული ყოფისთვის. იქნებ ტიროდა კიდეც, ასეთი გაუსაძლისობისთვის, მაგრამ იქნებ იძულებულიც და ვალდებულიც იყო, რადგან ასეთი ყოფა, ცხოვრების მარწუხებიდან თავის დახსნის საშუალებას აძლევდა... თუმცა, იყო დღე, კვირაში მხოლოდ ერთადერთი დღე, როდესაც დამწუხრებული სახის შემსწრე არ ვხდებოდი და ეს დღე ხუთშაბათი იყო. დიახ, რადგან ის ქალბატონი ჟურნალ „გზას“ კითხულობდა. მხოლოდ ხუთშაბათს ვხედავდი გარკვეული დროით მის ლაღ და ხალისით სავსე თვალებს. მხოლოდ ხუთშაბათს იყო დარდისგან ცარიელი და მხოლოდ ხუთშაბათს ჰქონდა შემსუბუქებული სულიერი სიმძიმე...

მის წინ ავლილ-ჩავლილს ბევრჯერ გამიფიქრებია, რომ ადრე თუ გვიან, ცხოვრებაში გაგიმართლებს. დღესდღეობით, მაგ ქალბატონს სამუშაო ადგილი მიტოვებული აქვს და ვიმედოვნებ, მისი წასვლის მიზეზი უფრო უკეთესი შემოსავლის წყარო გახდა. მისტერ“.

ჭეშმარიტი ღმერთი

„მე და ქეთი თავის პატარის ჭირვეულობით ისე ვიყავით გადაღლილები, ოცნებად გვექცა, ზიზის ცოტა ხნით მაინც ჩასძინებოდა. ამ დროს, მეზობლის ბიჭი შემოვიდა. ქეთისი არ ვიცი, მაგრამ ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და სიხარულით გავუწოდე ბავშვი. გამომართვა და გარეთ გაიყვანა. მისი წასვლა იყო და ქეთი იმწამსვე სარეცხის გასარეცხად გავიდა, მე კი შვებით ამოვისუნთქე და იქვე, დივანზე მოვკალათდი, მაგრამ მოგასვენებს ვინმე? ვიღაცის „გაპარული“ ხმა შემომესმა. უმისამართოდ იძახდა: „ხაზეიკაა“! მოწიწებით გავძახე, მობრძანდი-მეთქი და მათკენ გავემართე. ორი ქალი შემოვიდა. ერთ-ერთს წიგნი ეჭირა. რა სასიამოვნო მოწვევა იყოო, აღნიშნა მაღალმა. დაბალმა ეზოში მიმოფანტულ, ბავშვის ნივთებს თვალი მოავლო და მკითხა — პატარა გყავს? დიახ-მეთქი, ვუპასუხე. ღმერთმა გაგიზარდოს, ქალბატონო, დაამატა მეორემ და სასწრაფოდ შეცვალეს თემა. პირველი კითხვისთანავე, რომელიც „ჭეშმარიტ ღმერთ იეღოვას“ ეხებოდა, ბიცოლას ვუხმე, რადგან ვიცოდი, ამათი თავიდან მომშორებელი არ ვიყავი. ქეთიმ იეღოვას მოწმეები გარეთ გაუძახა. ცოტა ხანში კი გია შემოვიდა, სიცილით კვდებოდა, მე შემოგიგზავნეთ, ახლა გელას მივუგზავნე და კარგი დღე არ დაადგებათ, მაგ საცოდავებსო. ახია მაგათზე, გული მოვიოხეთ მე და ბიცოლამ. ერთი იეღოველი მეუბნება, ხელებს რატომ იღლი, პირჯვარს რომ იწერო? მათი ქცევა მართლაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. თქვენი გაცოცხლებული თოჯინა“.

წვიმიანი ავტობუსი

„შემოდგომის წვიმიან დღეს ლექციებიდან გამოვედი და გაჩერებაზე, დანარჩენ სტუდენტებთან ერთად დავიწყე კანკალი. როგორც კი ჩემი „სანდრაბუსი“ გამოჩნდა, დავწინაურდი, რომ არავის აესწრო, მაგრამ რამდენიმე ყმაწვილმა ისე „ნაზად“ წამკრა ხელი, საერთოდ როგორ ავაღწიე, დღემდე მიკვირს. ის იყო, ფეხი მყარად დავდგი. ქალმა იკივლა — ვაიმე, წვიმს! უკანა რიგიდან კაცი გამოეპასუხა: — 3 დღეა წვიმს, ქალბატონო. — ყველას გაგვეღიმა, მაგრამ ქალი გაბრაზდა: — შიგნით წვიმს, შიგნით! — და ამის დასამტკიცებლად, ქოლგა დემონსტრაციულად მიუკაკუნა ჭერს. ამას აშკარად „ნაციონალი“ მგზავრის გამოსვლა მოჰყვა: — ამასაც მთავრობას ხომ ვერ დააბრალებთ? მაგ ქოლგას რომ იქნევთ, დაიფარეთ და დაწყნარდით, — ისეთი დამაჯერებელი ტონით თქვა, თითქოს სულ ასე დადიოდა თვითონ. გაწუწულმა ქალმაც ინსტინქტურად გაშალა ქოლგა და ალბათ იმაზე ჩაფიქრდა, მართლა ვისი ბრალი იყო „წყალგამტარი“ ავტობუსი. ამასობაში კონტროლიორებიც ამოვიდნენ და ატყდა ტრადიციული „გამიშვიდამაკავე“. როცა ქოლგიან ქალს მიუახლოვდნენ, სთხოვეს, ქოლგა დაკეცეთ, ხელს გვიშლითო. — თქვენ კი ნერვებს მიშლით, — ისე შეუღრინა „დაზარალებულმა“ ბიჭებს, რომ უნებურად თვალი კარისკენ გაექცათ. რომ მეგონა, ყველაფერი დაწყნარდა, უცებ დოლგარმონმა დასჭექა. მოულოდნელობისგან ისეთი მკვეთრი მოძრაობა გავაკეთე, კინაღამ ყურსასმენგარჭობილ, კიკინიან „გაუგებრობას“ ჩავეხუტე (საკარაუდოდ, ოდესღაც კაცი იყო). მუსიკოსებმა ნამდვილად გაამხიარულეს ხალხი, მაგრამ „თუ ფული გაქვს, შენი ვარ“ რომ დაიწყეს, „ოპოზიციონერ“ მგზავრს უმტყუნა ნერვებმა: — მე რას მიმღერით? წადით ეგერ და იმათ შეუსრულეთ! — კანცელარიაზე მიუთითა ბიჭებს. იმ დღეს სველი და ჩაფიქრებული მოვედი სახლში. მართლაც, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. პარიჟანკა“.

ჯიუტი

„საერთოდ, ძალიან ჭირვეული ბავშვი ვიყავი და სადაც რაიმე მომეწონებოდა, თუ არ მიყიდიდნენ, საშინელ ისტერიკაში ვვარდებოდი. ამიტომ, მშობლები ჩემს სადმე წაყვანას ერიდებოდნენ. ერთხელ მთელი ოჯახი ბებოსთან მივდიოდით. გზად, ერთ-ერთ მაღაზიაში, დიდი სათამაშო ძაღლი მომეწონა და მისი ყიდვა გადავწყვიტე. ვცდილობდი, დედა სათამაშოსთან მიმეყვანა, დანარჩენი კი მე ვიცოდი, მაგრამ დედა კარგად მიცნობდა და იცოდა, რომ თუ სათამაშომდე მიმიყვანდა, იქიდან ცარიელი აღარ გამოვბრუნდებოდი. ამიტომ პირდაპირ „მარშრუტკისკენ“ გაეშურა. როდესაც მივხვდი, რომ არაფრის ყიდვას არ აპირებდნენ, ისე ვიტირე, ყველა მე მიყურებდა, მაგრამ ამანაც ვერ გაჭრა და „მარშრუტკაც“ წავიდა. როდესაც მივხვდი, რომ ტირილს აზრი აღარ ჰქონდა, დავწყნარდი, მაგრამ დედას დიდი საყვედური გამოვუცხადე, რატომ არ მიმიყვანე, განა ყიდვა მინდოდა, უბრალოდ, ახლოდან უნდა მენახა-მეთქი. ახლა ამაზე ბევრს ვიცინი, მაგრამ მაშინ ტრაგედია იყო ჩემთვის, რადგან პირველად ვერ მივაღწიე ჩემსას. თაკო13“.

ბებიის ქელეხი

„სულ ცინცხალ ამბავს გიამბობთ: ხუთშაბათს ბებიის ქელეხი გვქონდა. უამრავი ხალხი მოვიდა. ვიღაცების მამიდაშვილის მეზობლის დისშვილის ცოლის ნათესავების ახლობლებიც კი იყვნენ, —

ბავშვობის დიდი სიღვაცე — მეღვაცეობის დაძმახუბრეშაა

მოკლე ჩართვა

რომელი ფილმის გმირი ვიქნებოდი?

86

• რა ვიცი, ბევრი ფილმის გმირი ვიქნებოდი. მაგალითად, უძლიერესი ფილმის — „ამადეუსის“. თავად მოცარტს განვასახიერებდი. კიდევ, ტერმინატორს და მის ცნობილ ფრაზასაც ვიტყოდი. კიდევ, არარსებული ფილმის არარსებულ გმირს დიდი სიამოვნებით შევქმნიდი. სუპერსთარი.

• „ნატვრის ხის“ ელიოზს მთელი ცხოვრება ვგავდი. ვეძებდი და ვიპოვნე ჩემი ნატვრისთვალი. თანაც, გიორგობის დღესასწაულზე. ეს ახლა მოხდა, გიორგი ბუკიას ნათლობაზე. გკოცნით, თქვენი ნათლიდედა.

• რომელი ფილმის და — „სამი კაკალი კონკიასათვის“. კონკია ვიქნებოდი, ჩემი პრინცი მოვიდოდა იმ „ბასაჩკუნებს“ მიპოვიდა, ვილაცას რომ ვათხოვე და აღარ მოაქვს... მახსოვდეს მაინც, ვის მივეცი?! ლიი.

• „გარიგება“ მიყვარს უზომოდ და მაროს როლს დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი. მიზეზის ჩამოთვლა რომ დავიწყო, აქ ნაღდად ვერ დავტევ. ძალიან მაგარი პერსონაჟია. ექსტაზი.

• ახლა რატომღაც „შემოდგომა ნიუ-იორკში“ გამახსენდა. როცა ცუდ ხასიათზე ვარ, ვფიქრობ, რომ სწორედ ამ ფილმის მთავარი გმირივით ახალგაზრდა მოვკვდები და ყველას გულს დავწყვეტ. ვშიშობ, რომ მანამდე ვერ მოვასწრებ ნამდვილი სიყვარულის პოვნას ან თუ ვიპოვი, ასეთი ტრაგიკული დასასრულით, მას ძალიან ვატკენ გულს. სვანის ასული.

• დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი კომედიური ან რომანტიკული გმირი. ალბათ იმიტომ, რომ ორივე ცოტა-ცოტა, ჩემს ხასიათში ჯდება. კონკრეტულად ვინ ვიქნებოდი, ამას ვერ ვიტყვი, რადგან არ მახსენდება. ლა-ლოლა.

• მე თავად დავწერდი სცენარს და გადავიღებდი ფილმს, „გასეირნება გზავნილიორკში“. აი, მანდ ვითამაშებდი დიდი სიამოვნებით, თუნდაც ეპიზოდურ როლს. ენდი.

• მარ, მთელი ცხოვრება მსახიობობაზე ვოცნებობდი და როლს ვჩივი? ფილმში ვითამაშო და... ისე, ყველაზე მეტად კეტრინ ზეტა-ჯონსი მიყვარს, მაგრამ სიამოვნებით ვითამაშებდი რიზ უიზერსპუნის როლს, „ქერათმიან ადვოკატში“. მიყვარს რა, სამართლიანობისთვის ბრძოლა, ჭკვიანი ქალები და კიდევ ერთხელ იმის ჩვენება, რომ ქალები მაგრები ვართ.

ყვავი-ჩხიკვის მამიდები. ამის გამო ჩვენ, ბებოს 5 შვილიშვილი და ჩვენი მეგობრები ვეღარ დავსხედით სუფრასთან. აღარ იყო შვილიშვილების(!) ადგილი. ბიძაჩემმა ჩვენი მეგობრებითურთ, ვაკის ერთ-ერთ რესტორანში წაგვიყვანა. სულმოუთქმელად ველოდით მაგიდის გაშლას. საშინლად გვშიოდა. როგორც იქნა, დავსხედით, მაგრამ ბიძაჩემმა დაგვირეკა, სასწრაფოდ წამოდით, გიბარებენ, შვილიშვილების სადღეგრძელო უნდა თქვანო (ხომ მაგარია?). რა გვექნა? წამოვფრინდით და მანქანით გავქანდით ვაკიდან შანხაიზე. თან გზაში აღშფოთებულნი ვჩხუბობდით, ქელეხში მყოფ ხალხზე (ახლა გავახსენდით). ჩვენი მეგობრები მივატოვეთ რესტორანში და იმის დარდი გვქონდა, საჭმელი სულ არ გადაეძოვათ. მივქანდით, გვადღეგრძელეს და ისევ უკან გამოვქანდით. ახლა მითხარით, რა ერქვა იქ მყოფთა ამ ახირებულ საქციელს? ბამბუჩა“.

მცივანა დათო

„დათო სოფლის სახლში მარტო იყო და სანთლის შუქზე, მიმქრალ კოცონს სულს უბერავდა, მაგრამ უშედეგოდ. მიუხედავად იმისა, რომ თვალები ნაცრით გაევსო, სიცივისგან შეწუხებული, მაინც მონდომებით უბერავდა სულს. ცალკე ბოლმა, ცალკე ნაცარმა ისე აუწვა თვალები, ცრემლები წამოსცვივდა. მერე ოთახში ნივთები შეათვალიერა, რამეს მაინც დავწვავო, მაგრამ ბებოს წყევლაკრულვა გაახსენდა და ისევ სულის შებერვით სცადა ცეცხლის დანთება (მე მაინც ვყოფილიყავი იქ, პირველყოფილმა ადამიანებმა თუ გააჩინეს ცეცხლი ხის ერთმანეთთან ხახუნის შედეგად, რავა, მე ხახუნი არ ვიცი, თუ?!). ჰოდა, ამ ყოფაში იყო ჩვენი (ჩემი) დათო, რომ ქალაქიდან ძმაკაცმა დაურეკა და ჰკითხა, როგორ ხარო? დათოს თავისდაუნებურად უთქვამს, აუ, ძმაო, მაგარ პონტში ვარო. ვაა, ქალები და რამეო? აღფრთოვანებულა ძმაკაცი. ჰო, ძმაო, ახლა არ მცალიაო, უთქვამს და გაუთიშია. არადა, საბრალო, როგორ პონტშიც იყო, ყველამ კარგად ვიცით უკვე. სხვათა შორის, დათო ჩვენი ერთ-ერთი მგზავნელია და ჩემთვის მის მიერ მოყოლილი ეს ამბავი ნამდვილად ამ კვირის თემას უმიზნებს. ლუნა“.

„შეხმატკბილებული“ ოჯახი

„ჩემს მეზობლად ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხოვრობს. აქამდე მეგონა, რომ ნორმალური, სრულფასოვანი ოჯახი ჰქონდათ, მაგრამ რაც ეს თავისმომჭრელი ამბავი მთელი უბნის მასშტაბით მოხდა, ოჯახის უფროსი შემეცოდა. კერძოდ, ერთ საღამოს, დათოს სახლიდან წივილ-კივილის ხმა გავიგონეთ. მეზობლები გარეთ გამოვცვივდით, ნანა ქმარს საჯაროდ უყვიროდა, ღუმელი რატომ არ დამხვდა ანთებულიო. გაგვეცინა. ერთმა მეზობელმა უთხრა: შე ქალო, მაგის გამო რა გაჩხუბებს და გაყვირებს, არ დაგხვდა და დაანთე, წვრილმანის გამო უბანი თავზე უნდა დაიმხოო? ახლა იმ მეზობელს მიადგა ნანა და დაუწყო ჩხუბი. ჩემი ოჯახის საქმეებში ცხვირს ნუ ყოფ, შენ არავინ გეკითხება ჩემს ქმარს რის გამო ვეჩხუბებიო. ნანასთან დავას აზრი არ ჰქონდა. დავიშალეთ. მათი სახლიდან ჩხუბის ხმა თითქოს მიწყნარდა, მაგრამ უეცრად ისეთი ყვირილი გავიგონეთ: მიშველეთ, მიშველეთო! რომ ისევ გამოვიშალეთ გარეთ. ამჯერად დათოს ცოლს ყვირილის მიზეზი ჰქონდა — ქმარს გვარიანად ეცემა. გაშველებაში, ნანამ დრო იხელთა და პატრულს დაურეკა. მალევე მოვიდა 2 საპატრულო მანქანა, ჟურნალისტითა და ოპერატორით. მეზობლები წამოვედით, არავის უნდოდა კამერების წინ პოზირება. ბოლომდე ვერ გავიგეთ დათოს დანაშაული რა იყო, მაგრამ გადაცემა „პატრულს“ რომ ვუყურეთ, სიცილად არ გვეყო, ისეთი ყურით მოთრეული მიზეზის გამო უჩხუბია, „მოსიყვარულე“ ცოლ-ქმარს. თურმე ქმარი ცოლს ბაზარში არ ეგზავნება, პროდუქტების საყიდლად, ბავშვებს დილით არ აცმევს და ბაღში არ მიჰყავს, სახლს არ ულაგებს. ამ მიზეზების გამო დათო კარგად დაამუშავეს წინასწარი დაკავების საკანში და ჯარიმაც გადაახდევინეს. ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ ცოლ-ქმარი დღესაც „შეხმატკბილებულად“ ცხოვრობს. ექსტაზი“.

მაღალი და დაბალი

„სოფელში ბებოს მეზობლად გივი და მერაბი ცხოვრობდა. მეგობრობენ და განუყრელად ერთად დადიოდნენ. სადაც ჭიქა გარაწკუნდებოდა, მუდამ იქ იყვნენ. ლოთი და ხუმარა ადამიანების სახელს ატარებდნენ. ყველას უხაროდა მათი გამოჩენა. სადაც მივიდოდნენ, სულ სიცილ-ხარხარი იდგა. გივი ძალიან მაღალი იყო, მერაბი — პატარა. ჰოდა, თავის პატარა მეგობარს სულ სიმაღლის გამო დასცინოდა გივი — დონკიხოტი. რამდენიმე თვის წინ ისე მოხდა, რომ გივი მეზობელ სოფელში მარტო წავიდა. უგონოდ დათვრა და უკან დაბრუნებისას, ლიანდაგზე ჩაეძინა. ტრაგედიაც დატრიალდა, მატარებელმა ფეხებზე გადაუარა. ძლივს გადაარჩინეს, მაგრამ ორივე ფეხის ამპუტაცია დასჭირდა. ნარკოზიდან გამოსულს გაფითრებულმა ახლობლებმა და ექიმმა სინანულით შეატყობინეს ეს ამბავი და მის რეაქციას ცრემლმორეულნი დაელოდნენ. გივიმ საცოდავი ღიმილით გადახედა იქვე მდგომ მერაბს და უთხრა — იმდენს დაგცინოდი, ღმერთმა არ მაპატია და შენს ზომაზე დამაყენაო. ტირილის ნაცვლად ყველა იცინოდა. ენდი“.

ნამდვილი გურული

„მოგესალმები, მარი, ხომ იცი, არ მიყვარს სევდიანი ამბების მოწერა. ამი-

ტომ, ჩემი დღევანდელი ამბავი ამ კვირის თემას ნაწილობრივ შეეფერება. ის ჩემს ლამაზ და მხიარულ ბავშვობას ეხება. სკოლამდელი ასაკი გურიაში გავატარე და ალბათ წარმოგიდგენიათ, როგორი კილო მექნებოდა. ამასთანავე, საოცრად სწრაფად ვლაპარაკობდი და ძალიან სასაცილო იყო ჩემი მოსმენა. 1994 წლის აგვისტოში ჩამომიყვანეს თბილისში. იმ წელს სკოლაში უნდა შევსულიყავი და რა თქმა უნდა, გასაუბრებაზე იმ სკოლაში მიმიყვანეს, სადაც მანამდე მამაჩემი მუშაობდა და ყველა მიცნობდა. მოკლედ, ჯერ კითხვაში გამომცადეს, მერე თვლა თუ იციო, მერე მიმატება-გამოკლებაო (სხვათა შორის, ჩემი მათემატიკური ნიჭით გავაოცე კომისიის წევრები), მერე ლექსიო და მეც ჩამოვარაკრაკე, „არწივი ვნახე დაჭრილი, ყვავყორნებს ეომებოდა“, გურულ „ტონალობაში“. მერე მითხრეს, — აბა, ახლა ერთი ზღაპარიც მოყევი და თავისუფალი ხარო. ჰოდა, მეც მეტი რა საქმე მქონდა? დავდექი და მოვყევი ზღაპარი ოქროს ქოჩრიან ბიჭზე და დედაბერზე. ჰოდა, შუა მოყოლის პროცესში რომ ვიყავი, სადაც რძალი ჩნდება ასპარეზზე, გამაჩერა კომისიის წევრმა, უმკაცრესმა პედაგოგმა და მკითხა, აბა, შენ თუ იცი, ვინ არის რძალიო? 2 წამით დავფიქრდი და... ჩემი დედიკოი, ჩემი მამიკოის დედის რძალია-მეთქი, ვუპასუხე. ამის თქმა იყო და ისეთი სიცილ-ხარხარი ატყდა სააქტო დარბაზში, ვის ვისი მუცელი ეკავა ხელით, ვერ გაარკვევდი. მოკლედ, ასეთ მხიარულ ნოტაზე მიმიღეს სკოლაში. თუმცა, „პრიკოლები“ პირველი სექტემბრის შემდეგ დაიწყო. ერთხელ, როცა დიდი დასვენება გვქონდა, კლასელების წინაშე სიტყვით გამოვედი: — ბაღნებო, ბაღნებო, მე გევიქცევი და თქვენ გამომეკიდეთ-მეთქი. შემდეგ ბავშვების გაოცებულ სახეებს მოვკარი თვალი და ვერ მივხვდი, რით გამოვიწვიე მათი გაოცება. თუმცა, როცა კიდევ რამდენჯერმე მომიხდა კლასელების გაფართოვებული თვალების ხილვა, ჩემი გულწრფელი გურული იუმორის დამსახურებით, მივხვდი, რომ მათ ჩემი „გურული ენის“ არ ესმოდათ და მეც მათ ენაზე ავმეტყველდი. შემდეგ იყო ჩემი საწყალი კლასელი ბიჭების შემოხეული და შემორღვეული ტანსაცმელი, დალილავებული ადგილები სხეულზე, სურვილი იმისა, რომ მევლო კარატეზე, რასაც ბიჭების პროტესტი მოჰყვა — ახლა როგორ გვცემს და მერე რას გვიზამსო? ამიტომ, მამაჩემმა გაითვალისწინა მათი თხოვნა და შემიყვანეს მუსიკასა და სიმღერაზე. ასევე, მამაჩემს ხშირად სთხოვდნენ მავედრებელი თვალებით — გია ბიძია, გეხვეწებით, იაკოს შარვალი არ ჩააცვათ, თორემ უფრო მაგრად გვცემსო. მოკლედ, ყველა ჩემი კლასელი ვაჟკაცის ერთი მაისური და რიგ შემთხვევაში — სვიტერები ახლაც ვალად მადევს. თუმცა, უკვე დიდი ხანია, ახტაჯანა, გურული კილოთო მოლაპარაკე პატარა გოგო აღარ ვარ. გავიზარდე, მაღალ „კაბლაჩკებზე“ შევდექი და ჩხუბის ნაცვლად, „სიმპატიჩნი“ ბიჭებს ვეპრანჭები. ახლა კი, როცა უკვე წერას მოვრჩი, არ შემიძლია, ბოლო სიტყვით არ გამოვიდე: ბაღნებო, ბაღნებო, მე დაგიბრუნდით მგზავნელის სტატუსით და აწი აღარ მოგაწყენთ“. გკოცნით ყველას, თქვენი იკუშკები“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ამას წინათ საჯარო ბიბლიოთეკაში მყოფი, მეცადინეობას მოვრჩი და წამოსვლისას შევიარე იქ, სადაც მეფეები თავისი ფეხით დადიან... მოკლედ, შევედი თუ არა, სარკესთან მდგარი გოგონასკენ თვალი გავაპარე და სარკიდან მომზირალი შავტუხა თვალები მეცნოოო... თან შემეშინდა, ვაითუ შევცდე და გიჟი არ ვეგონო-მეთქი, მაგრამ რა მომასვენებდა? ვეძგერე, ვერ მიცანი? გოგო, შენ ლიმონა არა ხარ-მეთქი? დასტურის შემდეგ კი ჩემი ვინაობაც ვუთხარი და ისე ჩავეხუტეთ ერთმანეთს, ყავის ჭიქების გასარეცხად შემოსული ქალი სულ „ზადნით“ გაბრუნდა უკან... ასე ვიცით მგზავნელებმა, მაااააშ... გენაცვალე, ლიმონჩიკ, სულაც არ ხარ ლიმონივით მუავე... SWEET-GIRL“.

„იმ დღეს მამაჩემმა თქვა, ნატურალური კომპიუტერი უნდა გიყიდოთო. მე ვუთხარი, ფრთხილად უნდა ვიყოთ, არანატურალური არ შემოგვაპარონ-მეთქი“.

„მინდა, ერთ, საკმაოდ აქტუალურ თემაზე გავამახვილო თქვენი ყურადღება. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, დღევანდელი ვითარება სკოლაში, განსაკუთრებით XII კლასში, რომლის მოსწავლეც თავად გახლავართ. ჯერ ერთი, არავინ ამოწმებს სკოლაში მოსწავლეთა დასწრებას, მეორეც, წესრიგზე ლაპარაკიც ზედმეტია. პირადად მე, 2 კვირაში ერთხელ დავდივარ სკოლაში, მაგრამ არავინ მსაყვედურობს. ეჰ, რას იზამ?! ასეთია წარმატებით რეფორმირებული განათლების სისტემა. ლი ჰარვი ოსვალდი“.

„ნამდვილად სასაცილოა ის ფაქტი, რომ ჩემს მეზობელ ვაჟას ცოლი, სიდედრი და გერი ჰყავს სახლში. სასაცილო აქ რა არისო, მკითხავთ ალბათ და მეც გიპასუხებთ, რომ სასაცილო-სატირალი ისაა, რომ ეს ვაჟა ხან ცოლთან გორაობს ლოგინში, ხან — გერთან და ხანაც — სიდედრთან. გეფიცებით, ხალხო, არაერთხელ შეუსწრიათ მეზობლებს. ყველა ამაზე ჭორაობს. ერთმანეთზეც ყველაფერი იციან, მაგრამ კრინტს არ ძრავენ! ჯერ ვკაიფობდი და ახლა სერიოზულად მეცოდება ეს ხალხი. ყველაზე მაგარი ისაა, რომ კარს არასდროს კეტავენ და ხან რომელი მეზობელი დაადგებათ თავზე, ხან — რომელი. ერთმანეთის თუ არა, მეზობლების მაინც შერცხვეთ დამავოი“.

„ეჰ, მარი, მარი, ისე მოულოდნელად მოხდა ყველაფერი, სასაცილო იქნებოდა კი არა და — არის! ჯერ გაჯიუტებული მამიკოს დაყოლიება რად ღირდა?! დღე „კის“ ამბობდა, საღამოს — „არას“. ამიტომაც ვერ გაგიმხილეთ ჩვენი სიყვარულის ამბავი. ჯერაც არ მჯერა, ჩემი ბედნიერების. ეგ კი არა, 2 დღით ადრე მამცნო ჩემმა სიყვარულმა ქორწილის ამბავი. პირველი, რაც გავიფიქრე, ის იყო — ნეტავი, ქორწილში დამპატიჟებენ-მეთქი? ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა. თუმცა, ალბად ერთადერთი დედოფალი ვიყავი, რომელიც ცხარე ცრემლით აატირა დედის გულიანმა ქვითინმა, რადგან შვილი ბუდიდან გაუფრინდა. ჩვენ კი ბედნიერების ცრემლებს დავაბრალეთ. ტირიფი73“.

„ნაცვლად იმისა, რომ დავჯდე და ხვალინდელი ჩათვლისთვის მოვემზადო, „გზას“ ვკითხულობ. ამაზეა ნათქვამი, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო. დამავოი“.

■



ბავშვობის საჩუქრებია ოცნება. ჩვენ კი ამ ჯიშისანი, ჩვენ გვიჩანს

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „შურისძიება“.
გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად გთავაზობთ კითხვას: „რას ვთხოვდი საახალწლოდ თოვლის ბაბუას“

„სიყვარული მეგობარს კი არა, ოჯახსაც დაგაკარგვინებს“

„შენს ადგილას სიკვდილი მომინდებოდა“

„გზის“ №48-ში დაიბეჭდა ჭრიჭინას მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ ბევრი დაქალი დაკარგა: „სამმა ჩაილურის წყალი დალია, მეოთხე ბათუმში გათხოვდა, მეხუთე კი... მოკლედ, უკან რომ მოვიხედე, აღარავინ დამრჩა. ახლა ის დაქალიც დავკარგე, რომელიც სიცოცხლეს მერჩივნა“. შეგახსენებთ, შეყვარებულმა ჭრიჭინა არჩევანის წინაშე დააყენა — ან მე, ან შენი დაქალიო, გოგონამ კი არჩევანი შეყვარებულის სასარგებლოდ გააკეთა და ახლა საკუთარ საქციელს ძალიან განიცდის. „ოჯახის წევრები მეჩხუბებიან: რა ამბავია ამდენი გლოვა, ხალხს დედმამიშვილი რომ უკვდება, ამდენს მაშინ არ ტირიანო. რა ვქნა, ყველაფერი მის თავს მახსენებს“.

ლიკა ქაჯაია

იკუშკები:

„როგორც ჩანს, მე და შენ საერთო ტკივილი გვაქვს — ზუსტად შენსავით, მეც უამრავი დაქალი გამომეცალა ხელიდან. რა ვქნა, არ შემიძლია მოღალატე ადამიანებთან ურთიერთობა. ამ 2 თვის წინ კი ისეთი დაქალი დავკარგე, რომელთანაც 21-წლიანი ურთიერთობა მაკავშირებდა. რატომ დავშორდით? — ვერ გეტყვი, თავადაც ვერ ვხვდები ამის მიზეზს. რაც შეგეხება შენ, არ ვიცი, შენს „ლოვეს“ ნათია რატომ არ მოსწონს, მაგრამ ალბათ, რაღაც სერიოზული მიზეზი აქვს. შენს განსჯას და მით უმეტეს, გაკრიტიკებას არ ვაპირებ, რადგან ვიცი, ახლა რასაც გრძნობ და როგორ სიტუაციაშიც ხარ. რას იზამ, ყველაფერს უნდა შეეგუო. ცხოვრება მკაცრია და ზოგჯერ ისეთი მოულოდნელი საქციელისკენ გვიბიძგებს, თავადაც გვიკვირს, ეს როგორ ჩავიდინეთ. სიმშვიდე შეინარჩუნე და ყველაფერი მოგვარდება. დამიჯერე, როცა დაქალი დავკარგე, მეც იმდენი ვინერვიულე, ლამის, ამ ამბავმა გადამიყოლა, მაგრამ ამით მხოლოდ საკუთარ თავს და ჯანმრთელობას ვავნე. დამიკავშირდი და გავიცნოთ ერთმანეთი. სალაპარაკო ნამდვილად, ძალიან ბევრი გვაქვს. აბა, შენ იცი, წარმატებას და ბედნიერებას გისურვებ!“

GOLD GIRL:

„გენაცვალე, დიდი შეცდომა დაუშვი, დაქალს რომ დაშორდი. მერწმუნე, უმეგობრო ადამიანი ყველაზე ცოდვაა. ორი დაქალი მყავს და მათ არავის გამო არ დავკარგავ! „ლოვეს“ არ უნდა მისცე უფლება, ულტიმატუმი წამოგიყენოს და არჩევანის წინაშე დაგაყენოს. პირიქით, თუკი მართლა უყვარხარ, შენთვის ძვირფასი ადამიანებიც უნდა შეიყვაროს. „ლოვეს“ დაელაპარაკე, მას შენით მანიპულირების უფლებას ნუ მისცემ. წარმატებებს გისურვებ!“

შოკოლადა:

„არ ვიცი, რატომ გააკეთე ეს, მაგრამ რადგან საკუთარ საქციელს ასე განიცდი, ალბათ, მის გარეშე ცხოვრება ძალიან გიჭირს. დაქალს პატიება უნდა სთხოვო და დაიბრუნო. პირდაპირ გეტყვი იმას, რასაც ყოველთვის ვამბობ (და ვაკეთებ კიდეც): ვინც არჩევანის წინაშე დამაყენებს, მას დავკარგავ! საყვარელი ადამიანის აზრი გასათვალისწინებელია, მაგრამ მან არ უნდა გმართოს. თუკი დაქალი მართლა გიყვარს, „ლოვეს“ სთხოვე, მასთან შერიგების უფლება მოგცეს, თორემ მუდამ გექნება გრძნობა, რომ შენ გამო ვიღაც იტანჯება. მოგვწერე, რას იზამ. უფალი შეგეწიოს!“

ა(მ)ო:

„კარგია, საკუთარ დანაშაულს რომ ხვდები. ვფიქრობ, მეგობარს პატიება უნდა სთხოვო, მაგრამ თუ არ გაპატია, არც ეს გაგიკვირდეს. ისე, ცნობისთვის, ჩემო ჭრიჭინა, მეგობარს ასე არ ექცევიან“.

ქეთი:

„იცი, რა, არჩევანი შეყვარებულის სასარგებლოდ არ უნდა გაგეკეთებინა. ეგეთ მეგობარს მერწმუნე, ვეღარ იშოვი. ასე რომ, შენს ადგილას დაქალს არ დავთმობდი. ხომ გაგიგონია: ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო“.

GRAZY GIRL:

„საყვარელო, რატომღაც, ვერ გავიგე, არჩევანის გაკეთება რაში დაგჭირდა? ამის მიზეზი უფრო კონკრეტულად რომ აგეხსნა, კარგი იქნებოდა. რა ვიცი, სიხარულო, ჩემთვის მეგობარი პირველ ადგილზეა და ვხვდები, ის შენთვისაც ძვირფასი იყო. მაშ, რატომ დაგჭირდა მისი მიტოვება? გთხოვ, დამიკავშირდი. გაკოცეეე“.

გრუზინკა:

„ძალიან რთული ამბავია. მიუხედავად იმისა, რომ შენი „ლოვე“ მართალი იყო, ისე უნდა მოქცეულიყავი, რომ არც მწვადი დაგეწვა და არც — შამფური. ვიცი, დაქალი გენატრება და ალბათ, მასაც ენატრები. ჰოდა, თუ ის „გზაში“ გამოქვეყნებულ შენს სატკივარს წაიკითხავს, აუცილებლად დაგიკავშირდება. ნამდვილი მეგობრობა ასე მალე არ ქრება. არაფერზე იდარდო, გთხოვ“.

ვუზა:

„არ აკონკრეტებ, თუ რატომ გთხოვა შეყვარებულმა ასეთი არჩევანის გაკეთება და ამიტომაც, ბევრს გაუჭირდება რჩევის მოცემა. მესმის, რომ ახლა ძლიერ მონატრებას განიცდი, თან, სინდისიც გქენჯნის და თავს დამნაშავედ გრძნობ, რადგან საკუთარი საქციელით დაქალს გული მოუკალი. ეჰ, კარგი მეგობრის პოვნა არც ისე ადვილია. იქნებ, შეყვარებულს დაელაპარაკო, აუხსნა, რომ დაქალი ძალიან გენატრება, რომ მის გარეშე თავს მარტოსულად გრძნობ და რატომღაც მგონია, „ლოვე“ გაგიგებს“.

პაწია:

„ჩემო კარგო, არ მინდა, გისაყვედურო, მაგრამ... მიმაჩნია, რომ არასწორად მოიქეცი. ვიდრე დაქალს ხელს ჰკრავდი, კარგად უნდა დაფიქრებუ-

ლიყავი იმაზე, თუ ვინ იყო ის შენთვის და მერე საქმე ისე უნდა მოგეგვარებინა, რომ არც ერთი არ დაგეკარგა“.

პაწუ 17:

„რაშია შენი შეყვარებული მართალი? — ეს რომ დაგეკონკრეტებინა, უკეთესი იქნებოდა. დაქალს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავკარგავ, თუკი ის ჩემს შეყვარებულს დაადგამს თვალს... ისეთი სიტუაციებიც არის, როდესაც ბიჭს ჩვენი მეგობრის საქციელი, მისი ჩაცმის სტილი და ცხოვრების წესი არ მოსწონს, მაგრამ ამის გამო დაქალის დაკარგვა ჩემთვის მიუღებელია!.. 3 წლის წინ ჩემსა და ჩემს მეგობარს შორის ბიჭი ჩადგა, მის გამო ვკარგავდი დაქალს, რომლისთვისაც გულსაც არ დავიშურებდი და მაშინ თავის მოკვლაც კი ვცადე“.

სვანის ასული:

„რადგან შეყვარებულმა ასეთი არჩევანის წინაშე დაგაყენა, ალბათ, საკმარისი მიზეზი ჰქონდა. მით უმეტეს, რომ ამბობ, — ის კარგი ადამიანიაო და ახლაც გიყვარს. საინტერესოა, ნათიამ ისეთი რა დააშავა, ორივემ რომ უარყავით? ვერც იმას გირჩევ, ჩუმად შეხვდი-მეთქი, რადგან ასეთი საქციელით შეყვარებულს აუცილებლად დაკარგავ. გირჩევნია, მეგობრის ამბები შორიდან, საერთო ნაცნობების მეშვეობით შეიტყო და შეეგუო საკუთარ, უკვე გაკეთებულ არჩევანს... და კიდევ, ისწავლე ცხოვრება ნათიას გარეშე“.

ურჩი გოგო:

„კარგია, საკუთარ საქციელს რომ ნანობ, ეგ ყველას როდი შეუძლია. სამწუხაროდ, ვერაფერს შეცვლი. ოდესმე, შენი შეყვარებული მიხვდება, რომ შეცდა, როცა ასეთი არჩევნის წინაშე დაგაყენა და საყვარელი ადამიანი დაგაკარგვინა. მოდი, „ლოვეს“ დაელაპარაკე და უთხარი, თუ რას გრძნობ ნათიას დაკარგვის გამო... წარმატებებს გისურვებ!“

ლუნა:

„იმაზე ცუდი არაფერია, როცა არჩევანის წინაშე გაყენებენ. ერთი შეხედვით, ძალიან ცუდად მოქცეულხარ, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი მიზეზი აქვს... იცი, რატომ მესმის შენი? — იმიტომ, რომ ვიცი, რაა სიყვარული. ეს გრძნობა მეგობარს კი არა, ოჯახსაც დაგაკარგვინებს... ძალიან მაინტერესებს, ისეთი რა მოხდა, რომ დაქალს სამუდამოდ დაშორდი? თუ შეყვარებულს გულწრფელად უყვარხარ, დაქალისთვის ხელი რომც არ გეკრა, მაინც არ მიგატოვებდა, შენ კი ეს ვერ გაითვალისწინე, შეცდომა დაუშვი და ნათიას გული მოუკალი. შენ გამო ძალიან ვწუხვარ. გაკოცე“.

სიკვდილა:

„ვიცი, თუ როგორ გიყვარს შენი დაქალი, მოსმენილი მაქვს, როგორი გულისტკივილითაც ლაპარაკობ მასზე. სამწუხაროა, რომ ორივეს შენარჩუნება ვერ შეძელი... მიჰყევი ცხოვრების დინებას. „დამგრუზე“.

დამავოი:

„გაოგნებული ვარ. შენი ამბავი ისე გამიკვირდა, რამდენჯერმე გადავიკითხე, რამე ხომ არ მეშლება-მეთქი?! არ შეგიძლია, გვითხრა, რატომ გაიძულა შეყვარებულმა ასეთი არჩევანის გაკეთება? ჭრიჭინ, თუ მეგობრის ფასი მართლა იცი, მაშინ გთხოვ, დაქალს დაელაპარაკე. „გული მწიწკნის კი არა“, შენს ადგილას სიკვდილი მომინდებოდა. ჩემი რჩევაა, მეგობარს შეურიგდე, მერე კი ნათიასა და ლაშას შორის ურთიერთობაც გაარკვიო. ვიცი, კარგი გოგო ხარ და ასეთი საქციელი არ გეკადრება“.

ნაინა:

„მესმის შენი, მეც ვიყავი ასეთ სიტუაციაში, მაგრამ არჩევანი მეგობრის სასარგებლოდ გავაკეთე. მერწმუნე, ამქვეყნად მეგობარზე ძვირფასი არავინაა. შენს შეყვარებულს ვერანაირად ვერ გავამართლებ — რაც არ უნდა მომხდარიყო, თქვენი დაშორების უფლება არ ჰქონდა. გირჩევ, შეყვარებულს აუხსნა, რომ ნათიას გარეშე ვეღარ ძლებ. თუ ვერ გაგიგებს, ე.ი. ეგოისტია... ისე, შენი მეგობრის ადგილას ასეთ საქციელს ვერასდროს გაპატიებდი. რა ვქნა, ასეთი ვარ. წარმატებები!“

მარიშკა, *21 წლის:*

„გამარჯობა. სიმართლე გითხრათ, პირველად გიკავშირდებით და არ ვიცი, სად ან როგორი ფორმით უნდა მოგაწოდოთ ჩემი მოსაზრება. ცნობისთვის, ბავშვობიდან ვაგროვებდი ასეთი სახის სტატიებს, რადგან ყოველთვის მქონდა სურვილი, მეც შესანიშნავი ჟურნალისტი გამოვსულიყავი და მომეთხრო ამა თუ იმ ადამიანის ცხოვრების საინტერესო დეტალებზე. ყველას ცხოვრებაში დგება ეტაპი, როცა მან უნდა გააცნობიეროს, რაა ნამდვილი მეგობრობა და რა — სიყვარული. ჰოდა, კარგია, ასეთ დროს ადამიანს სხვადასხვანაირი აზრის მიწოდებით რომ ეხმარებით. ის საუკეთესოს ამოირჩევს და გადაწყვეტს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს მომავალში მაინც. ძალიან მინდა, ჭრიჭინას რჩევა მივცე და ამიტომაც მსურს, საკუთარი ჩანაწერი მოგაწოდოთ. იმედია, თავი არ შეგაწყინეთ. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, თითქოს, ადამიანებისთვის ჭკუის დარიგება მომწონს, უბრალოდ, მე ნამდვილად ვიცი მეგობრის ფასი და არ მსურს, ჭრიჭინამ დაქალი საბოლოოდ დაკარგოს (*ალბათ, მარიშკამ ჩვენი P.S. ყურადღებით არ წაიკითხა, თორემ აუცილებლად მიხვდებოდა, რომ ჭრიჭინასთვის რჩევა ამ ნომერზე უნდა მოეწერა. — ავტ.*)“. ■

თინეიჯერები გვწერენ

EKO BOY:

„მოგესალმებით ყველას. მინდა, უცნობს გამოვეხმაურო. ჩემო კარგო, აქ ზუსტადაც, რომ გართობის მიზნით ვამესიჯებ. ხალხნო, აბა, როგორ უნდა შევიბრალო ის ადამიანი, რომელსაც ბიძაშვილთან ფიზიკური ურთიერთობა ექნება? ასეთ ადამიანებს ჭკუის სწავლება და კრიტიკა სჭირდება!“

იკუშკები:

„ჩემო კარგო უცნობო, თუ რაიმე პრეტენზია გაქვს, შეგიძლია, დამიკავშირდე და გავარკვიოთ, რა გინდა? ჯერ ერთი, ცნობისათვის, კრიტიკა და სხვის ცხოვრებაში ჩარევა ერთმანეთისგან განსხვავდება და შენ რომელში უფრო მდებ ბრალს? ვერ გავიგე, შენ რა პრეტენზიები გაქვს? მიმაჩნია, რომ ყველას ისეთ რჩევას ვაძლევ, როგორიც იმ მომენტში სჭირდება, იმაზე მეტს არასდროს ვამბობ, ვიდრე საჭიროა. არაა პრობლემა, დავილაპარაკოთ და აგიხსნი ყველაფერს, რაც გაინტერესებს, თუ რა თქმა უნდა, მანამდე შენ მეტყვი, კონკრეტულად რაში მდებ ბრალს და რას ემყარება შენი პრეტენზიები. P.S. ლიკა, ძალიან გთხოვ, გამოაქვეყნე ეს ნომერი: 8(74)00.76.49 და დამირეკოს. უცნობო, გელოდები“.

„მინდა, ახლობელზე შური ვიძიო!“

უცნობი:

„გამარჯობა, ლიკა. ამ წერილს ციხიდან გწერთ და თქვენი დახმარების იმედი მაქვს. ციხეში იმის გამო მოვხვდი, რომ ახლობლის თხოვნით, პატიმარს საჭმელი შევუტანე, რომელშიც ნარკოტიკი აღმოჩნდა და რა თქმა უნდა, დამიჭირეს. ნერვიულობის შედეგად, მამაჩემი ინფარქტით გარდაიცვალა, დედას თრომბი დაეცა. ახლა სადაცაა, უნდა გამოვიდე. მინდა, შური ვიძიო და ის ახლობელი მოვკლა, ვის გამოც ამ ჯოჯოხეთში მოვხვდი. იქნებ, მირჩიოთ, როგორ მოვიქცე?“ ■

P.S. ***მაშ ასე, თუ უცნობის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.***

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 33 წლის, მაქვს სუფთა წარსული. არ ვარ გათხოვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დასაქმებულ, პატიოსან, ერთგულ, ბინით უზრუნველყოფილ, 39 წლამდე ასაკის მამაკაცს.

2. ვარ 33 წლის, მაქვს სუფთა წარსული, არ ვარ გათხოვილი. ოჯახის შექმნის მიზნით დამიკავშირდეს თბილისში მცხოვრები, პატიოსანი, ერთგული, დასაქმებული მამაკაცი.

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ, ყურადღებიან, მოწესრიგებულ მამაკაცს, 40 წლამდე.

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-50 წლის მამაკაცს, საბერძნეთში მცხოვრებს. ვარ 35 წლის.

5. ვარ 21 წლის, ლამაზი გოგო. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ დასავლეთში მცხოვრებ, სერიოზულ, 20-30 წლის ბიჭს.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

კაცები

6. ვიტყვი მარტივად: მინდა გავიცნო სიმპათიური გოგონა ან ქალბატონი, მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით. თბილისელი, 185/75. სხვა დეტალები — პირადად.

7. ვარ 20 წლის, ბათუმელი, ამჟამად კი თბილისში, სამშობლოს სამსახურში მყოფი ახალგაზრდა. დიდი სიამოვნებით გავიცნობდი გემრიელ მგზავნელებს. FILIPPO.

8. მე-7 მესიჯის ავტორის ნომერი, თუ შეიძლება?

9. თბილი, ყურადღებიანი, ვნებიანი, მოსიყვარულე კაცი ვეძებ ბუნებით კეთილსა და საყვარელ მდედრს. გელით, თბილი კაცი.

10. გავიცნობ თბილისელ გოგოს, 20 წლამდე.

სხვადასხვა

• თვალში თითის მტაკებელ-გამომაფხიზლებელი რეალობა არავის მოგწონთ. არადა, დედას გეფიცები, ბოღმით არ ვწერ! არ მსიამოვნებს, რასაც ვხედავ და ხმამაღლა აღვნიშნავ. თურმე თვალი უნდა დავხუჭო და თავი უნდა დავუკრა ზოგიერთების ცილისწამებებს. ბოღმიანი და შურიანი იმიტომ ვარ, რომ ახალმოსულ მგზავნელს არ ვეუბნები, თუ გინდა „მობილი-ზაციაში“ მოგიხსენიო, ანგარიში შემივსე-მეთქი? იმიტომ, რომ სხვისი სიკეთე და მხიარულება არ მაღიზიანებს და ჭორებს არ ვუყრი? იმიტომ, რომ ადამიანს არ ვლანძღავ და ამ ადამიანს მხოლოდ მაშინ არ ვიხსენებ, როცა მჭირდება? ზოგიერთებს ბოზობას რომ არ ვწამებ, იმიტომ? ჩემი ბოროტებისა და ბოღმიანობის მტკიცებას ის გირჩევნიათ, კონტრარგუმენტები დამიპირისპიროთ! დამიმტკიცეთ, რომ რაც დავწერე, ტყუილი იყო! ნინი, ვერ გავიგე რა გინდა, საერთოდ თუ იცი რა ხდება აქ? იქნებ, ისიც ამიხსნა, როგორ დამსჯი? შენა და, რაღაც, ძალიან მოგეწვა კუდი, ა?! აქ იმიტომ არ ვწერ, რომ მგზავნელების ტაში დავიმსახურო, მით უმეტეს, თქვენს ლანძღვა-გინებაზე იმუნიტეტი მაქვს! ეს ბოლო მესიჯია, რომლითაც ჩემს მლანძღველებს პასუხს ვცემ. ყოველთვის ფაქტებით ვსაუბრობ და თქვენც ამასვე გირჩევთ. თეთრი ყვავი.

• ყვავუკ, გამაკვირვე... მართალია, ელეს ადრე, სანამ „გზაში“ მუშაობას დაიწყებდა არ ვიცნობდი, მაგრამ ახლა ისეთი თბილი და მოსიყვარულეა, რომ ამაზე მეტი რაღა უნდა ყოფილიყო? ველარ წარმომიდგენია... რაც შეეხება შენ მიერ დაიგნორებად წოდებულ მესიჯზე პასუხგაუცემლობას, ელეს სიტყვებითვე გიპასუხებ, რომ ქრონიკული უდეპოზიტობა სჭირს... არ გაგიტყდეს, ყვავუნია...

• აუ, მააარ, შენი შეფასება ძალიან კი არა, უუუძალიანესად მომეწონა... როგორც ყოველთვის, ორიგინალურ რაღაცებს მოიფიქრებ ხოლმე... უჰ, რა ცელქები ყოფილვააართ?! მაგრამ მაინც ხომ გიყვარვართ, მააარ? შენი ცუგრუმელები ვართ და ხომ არ გადაგვყრი? გენაცვალე შენაო... SWEET-GIRL.

• შენი სუნთქვა ჩემს სიცოცხლეს აფერადებს... უშენობას ვერ ვუძლებ და რა ვქნა? თუ ამქვეყნად მხოლოდ ჩემთვის დაიბადე, მაშინ მოდი, ჩამეხუტე მაგრად! SWEET-GIRL.

• მამუკა, მე ვიცი, შენ წახვალ, წახვალ და დამტოვებ და როცა ეს წუთი ნამდ-

ვილად დადგება, მე არ ვიტირებ, სხვას არ მივბაძავ, ამაყად შეგხვდები და გამეცინება. რატომ გავიცინებ? ამას არ გეტყვი და ვიცი, ვიცი, რომ გული დაგწყდება. შენ ცრემლებს ელოდი, მე კი გავიცინებ და გულიც არ დამწყდება. ლ.77.

• როგორ ხართ, მგზავნელებო? მე ვარ, რა... ჩემი ორი გიჟი ბავშვის ხელში, თან ათენის სკოლები ისვენებს და გაგიჟებას ცოტა მიკლია. მინდა გამოვეხმაურო ანტალიაში ახალწასულ ონისე ფხაკაძეს. გასაგებია, იმერეთიდან ხარ, მაგრამ საიდუმლო თუ არ არის, სადაური ფხაკაძე ხარ? მე სადაც მაქვს სოფელი, იქ ცხოვრობს ონისე ფხაკაძე. ათინა55.

• ASHLEY PCD, კარგი, თანახმა ვარ. ასე რომ, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. გაიხარე. უფალმა დაგლოცოს. გაკოცე. ლ.77.

• გეხუტუნე, ლამაზო. ჩემო სიცოცხლევ, ძალიან მიყვარხარ. ცუდზე არაფერზე იფიქრო, ყველაფერი მოგვარდება. ჩემი იმედი გქონდეს, მუდამ შენ გვერდით ვიქნები, როგორც შემეძლება. გკოცნი. ლ.მ.

• იცი, რაო? მოგიტაცებო და ესპანეთში წაგიყვანო? კაი, რა... რად მინდა გეხუტუნე მოტაცება? შენ გადაწყვიტე და ფეხშიშველი გამოგყვები. გაიგე? გეხუტუნე, ლამაზო. ამ სიტყვებით იცი, ვინც ვარ.

• მარი, გამარჯობა. მინდა, ერთი რამ გთხოვო. ვწერ ძალიან კარგ და ლამაზ ლექსებს. გთხოვ, მითხარი, იქნებ „გზავნილებს“ დაამატო და გამომიქვეყნო? გთხოვ, რა. მაო.

• ბრავო, ქალბატონო ლია! მართალი ხართ. აქ, საბერძნეთში რა ცხოვრებაც არის, ეს შენი თვალით თუ არ ნახე, ვერ დაიჯერებ. ვინც საბერძნეთში არ ყოფილა, არც ეცოდინება საბერძნეთის მწარე ცხოვრება. ალბათ ის თამროც არ არის ნამყოფი, თორემ ასე არ ილაპარაკებდა. გენაცვალე ხელებში, იმ ბერძნის ცემისთვის. გაიხარე. ქართველებო, მინდა გითხრათ, რომ საბერძნეთში როგორც ადამიანი, ისე ვერ იცხოვრებ. აქ ძალიან ცუდი ხალხი ცხოვრობს, 95%. ამათ ჰგონიათ და ასეც უნდათ, ფულს რომ გიხდიან, ყველაფრის გაკეთების უფლება აქვთ. ხელი არ დაურტყამთ, მაგრამ ცუდი სიტყვები და დამცირება ბევრი ამიტანია. აბა, სხვა რა გზა გვაქვს? თიკუნია999.

• პაწუ17, მინდა შენთან მეგობრობა. თიკუნია999.

• ახლა შუაღამეა. მე გვიან მომიტანეს ჟურნალი. მოვკალათდი ლოგინში და სულმოუთქმელად ვკითხულობ. თქვენ გაიხარეთ, გვიხალისებთ ამ გადმოკარგულში ცხოვრებას. მინდა, იმ ადამიანს ვუთხრა, ვინც ბერძნებს ლანძღავს: ნუ ვიქნებით უმადურები. ამ ხალხმა ჩვენი ოჯახები შიმშილისგან და ყველა გაჭირვებისგან იხსნა. აქ ქართველები ისეთ საქმეს სჩადიან, რაღა გაქვთ ბერძნებზე ცუდი სათქმელი? ასე რომ, კარგი და ცუდი ყველგანაა. ახალგაზრდა ბებია.

• ბერბიჭავ, შენი გაცნობა მინდა. თუ წინააღმდეგი არ იქნები, ვიმეგობროთ? თიკუნია77.

• არა, არა, მე ხომ ვიცი, გავგიჟდები,/ იმ ქალივით მეც გავიწეწ შენს ნაფერებ თმას,/ თავს მოვიკლავ თუ არ მოხვალ,/ გეფიცები, გეფიცები, მეც მასავით, არ დავინდობ თავს./ მე ხომ ვიცი, ვერ გავუძლებ, ვერ ავიტან მე შენ გვერდით ქალს.../ გავგიჟდები, გავგიჟდები, არ გაგატან მაგ უცხო ქალს თან./ გარდასულა დღე ახალი, ისევ ისე ვეფერები/ შენს ნაჩუქარ, ტკივილსა და დარდს,/ ქარი ისევ შენს მაგივრად ამიწეწავს,/ შენს საყვარელ თმას,/ მე ხომ ვიცი, უშენობა გამაგიჟებს.../ ქარს გავანდობ, ჩემს ტკივილსა და დარდს,/ შენს სიყვარულს მე არ გავცვლი სხვაში,/ არ გავტეხავ მე ჩემს სიტყვას, მწამს!/ გარეთ ისევ გაზაფხულის სურნელია,/ ისევ ისე ვეფერები შენკენ სავალ გზას,/ აღარ მათბობს სურნელება შენი,/ აღარც შენი შემოხედვა მწველი,/ მე ხომ ვიცი, შენს ლოდინში გავგიჟდები/ და მოვიკლავ უშენობით თავს. გაცოცხლებული თოჯინა.

• უსიყვარულოდ, ყმაწვილო კაცო, ნუ შეეხები ქალის ბაგეებს, თუკი არ გიყვარს ქალი ლამაზი, ნუ დაუკოცნი თვალებს და სახეს, პირველი კოცნა ნაზ გოგონასთვის, არის წმინდა და ალერსიანი, თუკი არ გიყვართ, ნუ გააღვიძებთ, სიყვარულს პირველს, მის არსებაში. თქვენ არას კარგავთ თუკი აკოცებთ, კოცნა ხომ თქვენთვის არაფერია, მაგრამ ოდესმე თუ გიფიქრიათ, პირველი კოცნა თუ რა ძნელია. ქალი იმ კოცნას ვერ დაივიწყებს, კიდეც რომ სცადოს გადავიწყება, მისთვის ხომ პირველ კოცნას და ალერსს მოაქვს ნარნარი, ნანატრი გრძნობა. ქალი ცოდვაა, როცა ტყუილით, მის გრძნობას ფეხქვეშ გათელავს ვინმე, ნუღარ დასცინებთ, ნუ მიატოვებთ, არ გაპატიებთ ღმერთი შეცდომებს... მიყვარხარ, გოჩი... იმედია, მიცანი ვინ ვარ. შენი ცხოვრება. გაკოცე და ჩაგეხუტე. მიყვარხარ...

• მოგესალმებით, ქალბატონო მარიამ!

ვინც ყაჩაღებს, ის უკეთესად ხედავს ყველაფერს

უმორჩილესად გთხოვთ, დაბეჭდოთ ეს მოკლე ტექსტური შეტყობინება: ვეხმაურები ნადინკას. ნადინკა, შენნაირ თავისუფალ და ჭკვიან გოგონებს ძალიან ვაფასებ. ვიმედოვნებ, გამომეხმაურები. არისტოკრატი.

• უნდა აღვნიშნო, რომ „გზა“ და „გზავნილები“ დღითი დღე საინტერესო ხდება. SWEET-GIRL-ს ვერ დავეთანხმები, როცა თქვა, მგზავნელები ყველა ერთი სასტავი ვართო. ეგრე არაა და ეს ჩანს კიდეც. არ გიცნობ და არც სურვილი მაქვს. ჯერ ერთი, მაშინ გამიცრუვდა შენზე იმედი, ხაშურზე რომ ღადაობდი, შენი ჭკუით. არადა, ხაშურის არც ერთ პარკში ორი სკამი არაა. მერე კი, ვითომ ზრუნავდი ქალაქზე. რაც შეეხება თეთრ ყვავს, თავისი ჭკუით გვაბნევს, მაგრამ რამდენად გამოსდის, ჯერ კიდევ საკითხავია. ნამდვილო მამაკაცო, აზრის გამოთქმის უფლება გაქვს და ძალიან მიხარია, ბოდიშის მოხდა რომ შეგიძლია. რაც შეეხება GREEN GIRL-ს, მაგ გოგოზე კამათიც კი არ ღირს. აი, ეს მინდოდა მეთქვა. ნინო.

• ცხოვრებაში გახსოვდეს ეს 6 რჩევა: 1. ნუ დაემდურები, ვინც ვერ შეგიყვარა, სიყვარული ხომ გრძნობაა და არა თანაგრძნობა. 2. სიკვდილამდე ეცადე, რომ არ დაკარგო ნამდვილი მეგობარი. 3. სჯობს ჯერ გაიცნო და მერე შეიყვარო, ვიდრე შეიყვარო და მერე ინანო. 4. ადამიანში სილამაზეს განა ფასი აქვს? ადამიანში უნდა ცნობდე ხასიათს. 5. არ ეძებო სიმართლე სხვებში, თუ იგი არ არის შენში. 6. ცხოვრებაში რაც არ უნდა დიდი გახდე, გახსოვდეს, რომ შენ პატარა დაიბადე. ეს ყველას ეძღვნება, მგზავნელებო... გაიხარეთ... დიდი სიყვარულით, პატარა ცხოვრება...

• მარი, როგორ ხარ, ჯიგარო? მაგრად მიხარია მგზავნელების გაცნობა. სოფი, ASHLEY და შავტუხა, ეშმაკუნა, გაიხარეთ! ნინო, არ გინდა, მზეჭაბუკს გაუღიმო? SWEET, ნეკი ნეკისა, შევრიგდეთ? ბოდიში რა, გოგონებო, მაპატიეთ, თუ გული გატკინეთ, რომელიმეს. მართლა არ მინდოდა. ჩემს ანგელოზს კი მადლობა იმისთვის, რომ ხუთი წუთით მაინც მომცა უფლება, მისი ლამაზი სახე დამენახა. ვასას, მე დავითი მქვია. მაპატიე მაშინდელი ქალო, რა იყო? აუ, მარი, მაგარი ლომკა მჭირს თქვენი. გოგონებო, ჩაგეხუტეთ თბილ გულებში. ნამდვილი მამაკაცი.

• აზიელო, მადლობა იმისთვის გადაგიხადე, რომ მოხვედი და მიყურე. დამავიო, შენც მადლობა, მაგრამ მე არ მინახავხარ. იქ იმდენი მგზავნელი იყო, ახლაც მეშლება, ვინ იყო და ვინ — არა. სვანის ასულო, „ოდნოში“ ჩვენს გრუპაში ბევრი მგზავნელია. რომელიმე მოძებნე და დაგიმატებთ, არა მარტო შენ. ვინც ხართ „ოდნოში“, შემოგვიერთდით, გრუპა „გზავნილებში“. სუპერსთარი.

• სარეცელში გათანგული წევხარ, ფიცულობ და ქალწულობას ჩემობ, წუხელ ბევრი გიტირია, გატყობ, მიტომ დაგკრავს მლაშე ცრემლის გემო. შიშველ ტერფზე

გეხები და გტოვებ, ჩემო ცის და ჩემო თვალის ფერო, თოლიები გაგვჭორავენ, თორემ, როგორ მინდა, მკერდზე მოგეფერო... შემოვევლე, ვის? ვის და ყველა მგზავნელს. 9717.

• საბნის ქვეშ შეცურდა ცისფერი პენუარი,/ დუმილი... ჩახვევა... წამით გარინდება.../ ერთის ხშირი სუნთქვა, ნელი ნაბიჯები,/ მეორის — საბნის ყურის პირზე აფარება.../ ოთახში სინათლე ქრება და.../ მეზობლის ბიჭები იცინიან,/ ნანატრი წუთები დგება და.../ მეტი რა დავწერო, სირცხვილია... მენატრებით... მიყვარხარ... 9717.

• მარი, მაგარი ხარ. შენი თაყვანისმცემელი ვარ. მაგრად მიყვარხართ შენ და „გზავნილები“. ნეტავ, იმის ბედნიერება მექნება ოდესმე, რომ პირადად გაგიცნო?

• სვანი, მე ვარ სვანი, გენაცვალე, ოღონდ ნაღდი სვანი, ორივე მხრიდან.

• SWEET-GIRL, სულ ვკითხულობ შენს გზავნილებს. მაგარი ადამიანი ჩანხარ. მპა. ნაინა.

• მარიამულ, ჩემო ტკბილო, ძალიან მომეწონა, შესავალში რაც დაწერე. საუკეთესო ადამიანი ხარ, ჩემო გულის გამხარებელო. გულში მყავხარ და იცოდე, სულ აქ იქნები. შენი ლუნა.

• გამარჯობა, მარიამულო. ღვთის წყალობა ნუ მოგკლებოდეს, ჩემო ტკბილო და მურაბა ადამიანო. მინდა, მთელი სატანკო ბატალიონის სახელით უზარმაზარი მადლობა გითხრა. მართალია, ძალიან მიჭირს ჟურნალის ყიდვა (აკრძალულია), მაგრამ მაინც ყოველთვის ვახერხებ. წარმოიდგინე, 1 ჟურნალს მინიმუმ 60 ჯარისკაცი კითხულობს ხოლმე. :) ისე, სამშობლოს სამსახურში მყოფ ახალგაზრდას კვირაში 10 წუთით (არც კი) გარეთ გამოსვლა არ უნდა მერგებოდეს? ესაა ცხოვრება? ბაზიდან ვიპარები ხოლმე, ვინაიდან არ გვიშვებენ. ჰოდა, ამას წინათ დამწვეეს... ეს ჩემი საყვარელი „გზა“ კი 4 დღით ადმინისტრაციულ პატიმრობად დამიჯდა. მინდა ნაგლს ვუთხრა, რომ ენას კბილი დააჭიროს. სხვის, კერძოდ კი ASHLEY-ს ძაგებას დაუმსახურებლად შეეშვას, თორემ ისე მოვაქცევ, საკუთარი სახელი და გვარი დაავიწყდება. ჰო, კიდევ, ვისაც პარიჟანკას, თეთრი ყვავის, SWEET GIRL-ის, ოსი ლიასი და ASHLEY PCD-ს საწინააღმდეგო გაქვთ რამე, გამოექანეთ და მომაკითხეთ სატანკოში. რას ერჩიან ამ ხალხს, ვერ გამიგია. მართალია, ზემოთ ხსენებულთაგან მხოლოდ ASHLEY-ს ვიცნობ, მაგრამ დანარჩენებსაც ძალიან ვაფასებ. შემოგევლეთ! მაარ, მაპატიე, არ მიყვარს ხოლმე ეგეთი რაღაცები, ვიცი, რომ არც შენ, მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს. პატივისცემით, FILIPPO.

• ისევ ვგრძნობ წვიმის ნესტიან ხელებს და გულზე მაწევს ღრუბლები ლეგა, მე ავიტანდი წვიმიან დღეებს, შენ რომ არ იყო ასე შორს ჩემგან! მარი, მიყვარხაარ! ენდი.

• მარი, ჩემო კარგო, ამ ერთს მოგწერ თუ დამიბეჭდავ, ხომ კარგი, თუ არადა, შენც კარგად, მეც და მგზავნელებიც. ჰოდა, რა მინდოდა მეთქვა: თემაა ისეთი, მგზავნელების ახლანდელ მდგომარეობას რომ შეეფერება. რომ ვკითხულობ, როგორ ხოცავენ ერთმანეთს, მეცინება. არადა, სატირალია, აშკარად. მოდი, მე ჩემსას ვიტყვი და მერე, ვისაც არ დაგეზარებათ, გამლანძღეთ. :) თქვენა, რა არ მესმის, იცით? ზოგი ვაიმაგარი სხვას რომ ლანძღავს და სხვაზე ჭორაობს, თავი უკეთესი ჰგონია? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ბოღმისგან გულდახეთქილებს მეტი საქმე არ გაქვთ, უაზრობებს თხზავთ და მერე თქვენვე ავრცელებთ. ვინმე ერთი-ორჯერ გაგრძნობინებთ, ზედმეტი რომ მოგდით და მერე სულ გიჟდებით. სიმართლეს ვაფასებ ადამიანში, ყველაზე მეტად! მე მაპატიეთ, მაგრამ ვერავის წავეპადხალიმები. ყოველთვის იმას ვწერ, რასაც ვფიქრობ! P.S. არ მაქვს იმედი, რომ დამიბეჭდავ. ამ ბოლო დროს აღარ მწყალობ რატომღაც, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო და... ფეშენა.

• ახლა შენი გრძნობა, ისე ხალასია,/ როგორც ჩემი სულის სიხატოვნე,/ ალბად მარტოობაც ლამაზია,/ როცა ღმერთის სწორი მიგატოვებს,/ ამ დროს უსასრულო სევდა მიაქვს,/ განცდილს ხელმეორედ ვინღა ჰპოვებს,/ ალბათ სიყვარულზე სპეტაკია,/ ასეთი საოცნებო სიმარტოვე./ ჰეი, ჩემი გულის სალოცავო,/ რაიმე გასაოცრად წმინდა მთხოვე,/ მოდი, ერთხელ კიდევ გამწირე/ და მოდი, ერთხელ კიდევ მიმატოვე. ლუნა.

• ვაშა, ნინი შერმადინს! ჟიურის ნინისთვის საქებარი სიტყვები არ ჰყოფნის, ფეხზე დგებიან, თავს უხრიან, ტაშს უკრავენ, კოცნიან და მოკრძალებით შესცქერიან. ნინი, გაიხარე. თამრო.

• ხანმოკლეობა მხოლოდ სიცოცხლეში არ არის. თუმცა, რადგან ადამიანი წარმავალია, ეს ყველას გვავიწყდება... მაინც ვერ შევძლებ, რაც მინდა, იმას. გკოცნით. მ.

• თაზო, ხათუნა ვარ, შენი დაიკო, ჩემო ერთადერთო ძამიკო. მენატრები. ლიზიკო და ანა-მარია სულ გკითხულობენ. იმედები დიდია. გელოდებით და გკოცნით ბევრს, მე და დედიკო.

• აზიელი, თეო, შენ ხარ? თუ შენ ხარ, იქნებ შემეხმიანო. ქალ, ძალიან მომენატრე. ვთქვი, წავედი-მეთქი, მაგრამ ვერ შეგელიეთ. ძალიან შემყვარებიხართ. ეს ვიცოდი. ედელვაისი.

• ჩემს მესიჯებს მოწყენილი თვალებით ვეძებდი. რომ დავინახე, გავბრწყინდი და კინაღამ ვიყვირე სიხარულისგან. ლუნა, 9717, მაესტრო, მანაველი, მაკა, ყველას მოკითხვა. ედელვაისი.

• როცა სიცოცხლეს დავუბრუნდები და ისევ დარეკს გრძნობების ზარი, მე შენთან მოვალ და გეტყვი ამას: ეს ჩემი გული კვლავ შენი არის... მიყვარხაააართ... მპუა... ედელვაისი.

• გამარჯობა მარ, მიმიღებ? მე ახალი ვარ, პირველად გწერთ. ისე, დიდი ხანია, „გზის“ მკითხველი ვარ, მაგრამ დღეს გადავწყვიტე, მომეწერა. შემიყვარდით, ბავშვებოოო. :) ბაჭია.

• ყველა ბოროტად განწყობილს ეშმაკი ახალისებს. სიკვდილი არ აკეთილშობილებს, სიკვდილი — ახარისხებს! დათო.

• შემოდგომა. ფერთა მრავალფეროვნება, სავსე მთვარე ღრუბლებში გახვეული, ფოთოლთა შრიალი, ჩუმი, ცივი სიო, მდინარისკენ მიმავალი ქალის სილუეტი, წვიმის წვეთებს შერეული ცრემლები, ბაგიდან ჩუმად წარმოთქმული ვედრება: უფალო შემიწყალენ მე ცოდვილი... ელი.

• ვითომ ნინოვ, შენი ნიკით სათქმელს ვერ ბედავ და ჩემსას იპარავ? მე თეთრი ყვავი მომწონს და სხვა ფავორიტებიც მყავს. მემე, რა საყვარელი ხარ. ნამდვილი ნინო.

• თაყვანისმცემელს: მგონი, გასაგებად გითხარი, შენი გაცნობა არ მინდა და შენთან ურთიერთობის სურვილი არ მაქვს. ვერ გავიგე, ვინ ხარ და რა გინდა. ცოტა ფრთხილად, ვინმეში არ შეგეშალო. გითხარი, არ მაინტერესებ და შენ მაინც შენსას ლაპარაკობ? ეგრე არ გამოვა, როგორც შენ გინდა. მით უმეტეს, პატიმარი ყოფილხარ და უმჯობესია, შენს პრობლემებს მიხედო. მე ვინც მიყვარს, ის ჩემ გვერდითაა. ასე რომ, ნურაფერს მაძალებ, ნაძალადევი კაცი კი არა, მეტროც არ მიყვარს. გაიგე? იდუმალი-ქალი.

• სალამი მგზავნელებს! როგორ ხართ, ჩემო კარგებო და გემრიელებო? მიყვარხართ და მუდამ თქვენთან ვარ. გეფერებით და გესიყვარულებით. თქვენი იდუმალი ქალი.

• როგორ ხართ? ვერ გწერთ ხოლმე. ძალიან დატვირთული ვარ. ცოტა მიკლია და ტოპოლინასავით მეც დამავიწყდება მესიჯის წერა. ნოემბერში დაბადებულებს იუბილეს გილოცავთ. აბეზარა.

• იდუმალ-ქალს: შენი საიდუმლოს ყველა ასლი მინდა, შენ თუ სხვას ეკუთვნი, მაინც შენთან მინდა, ჩვენ რომ შეგვახვედრებს ის მანძილი მინდა, ჩემო სიხარულო, შენთან ყოფნა მინდა. მომწონხ-

ვისაც ძალოსა თქენა ონდა, ჯერ თქენში ონდა შეისხას

იღე ჩემგან კეთილი გული, ამ ცხოვრებისგან ეს დამრჩენია. ეძღვნება ლევან კაზალიკაშვილს, დიდი სიყვარულით, ანისგან... მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ... შენი პატარა ცხოვრება.

• ლევან კაზალიკაშვილს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. მიყვარხარ, ჩემო გოჭუნიავ, სიცოცხლეზე მეტად და მუდამ მეყვარები. შენი პატარა ცხოვრება.

• ჩემს ბუბუკას მინდა ვუთხრა, რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს და ამ ხნის განმავლობაში, რაც მის ლამაზ თვალებს ვეღარ ვხედავ, ლამაზ ტუჩებს ვეღარ ვკოცნი, უფრო სიგიჟემდე შემიყვარდა. მინდა იცოდეს, მისთვის სიცოცხლეს დავთმობ, არასოდეს დავივიწყებ და მისი სიხარულით გავიხარებ. ბუბუკა, მიყვარხარ და ჩემსავით ვერავინ შეგიყვარებს, შენ ხომ ჩემი სულელი ხარ. მალე ერთად ვიქნებით. მტირალა.

• უჩა ხისფეხიშვილო, მიყვარხარ უზომოდ. დუშეთი.

• მიყვარხარ! მიყვარდი! მეყვარები! აუ, არ მჯეროდა ერთი ნახვით სიყვარულის, მაგრამ... 13 ბედნიერების ნიშანია ჩემთვის. ეშმაკისეული. მპუაჩები.

გილოცავ!

• GREEN-ს და ქუთათურს დაგვიანებით ვულოცავ იუბილეს. ასევე დიდი მადლობა ყველას, დაბადების დღის მოლოცვისთვის. გაიხარეთ, საყვარლებო, გაკოცეთ. იკუშკები.

• ეთერ ფურცხვანიძეს ვულოცავ 55 წლის იუბილეს, 11 დეკემბერს. გაიხარე ლამაზი ოჯახით. იმრავლე, უფლის წყალობით. ჯანმრთელობა და დღეგრძელობა, დედიკო. შვილი, ეკა.

• სანდორინში ჩემს საყვარელ ნოდიკო ჩეჩელაშვილს 30 ნოემბერს ვულოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობასა და ბედნიერებას გისურვებთ, გვარის გამგრძელებელო. გეხუტე, მამიდა ეთო, მამიდაშვილი, ეკა.

• ჩემს მონატრებულ მეგობარს, ფიქრია გედენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 დეკემბერს! გისურვებ ჩემო კარგო, ყველაფერს საუკეთესოს ცხოვრებაში. სულ გახარებული და ბედნიერი მენახე! გისურვებ, ისეთი პიროვნება გეპოვოს, ვინც უბედნიერეს ქალად გაქცევს. უახლოეს მომავალში კი გაბედნიერებაც მომელოცოს! ელზა.

• მანანა ჭულუხაძეს 2 და ეკა ჯიხვაძეს 4 დეკემბერს ვულოცავ დაბადების დღეს, საყვარელ ხალხთან ერთად. ინეზა და ბესო.

• დიდი სიყვარულით დაბადების დღეს, 30 ნოემბერს ვულოცავ ზაირა მამასახლისს... გისურვებ მანამ სიცოცხლეს, სანამ დიოდეს რიონი, სანამ არ დაინგრეოდეს დიდი მთა, კავკასიონი. დიდი სიყვარულით, მზია მამასახლისი.

• ჩვენს საყვარელ ლენა ქორიძეგაგუას ვულოცავთ 70 წლის შესრულებას. ვუსურვებთ ყოველივე კარგს და ჯანმრთელობას. გაიხარე! არ მოგკლებოდეს უფლის წყალობა და მფარველობა. დიდხანს გეცოცხლოს ოჯახისა და ჩვენს იმედად. გკოცნით და გეფერებით, ოჯახის წევრები.

• ნათია ჯალაღანიას ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა დაგლოცოს. გაიხარე და ბედნიერ მომავალს გისურვებ. გკოცნის შენი ლამაზი დედიკოს მეგობარი, ლიკა.

• ქუთაისში, ანა-მარია გეგუცაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 2 დეკემბერს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულსა და ბედნიერ ბავშვობას, ძამიკო მათესთან ერთად. გფარავდეთ წმინდა ღვთისმშობლის კალთა. მზია, ლალი, ძაკო, ალეკო.

• ქუთაისში მცხოვრებ ჩემს რძალს, ცისანა სუნათაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 11 დეკემბერს. ჯანმრთელობა და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. გაიხარე, შენს ლამაზ ქმარშვილთან ერთად. თინა და ლია.

• საბერძნეთში დროებით მყოფ ნანუჩი ტყეშელაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. მირონისა და მრწამსის ძალა სულში ჩაგეღვენთოს, ანგელოზის ჩირაღდანი შინ და გარეთ გენთოს, რასაც სიყვარული ჰქვია, შენ გულს სრულად ერგოს, იების და ენძელების ბილიკებით გევლოს. ინეზა.

• ჩემს უსაყვარლეს და ულამაზეს ძმისშვილიშვილს, ელენე ალავერდაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო ფერიავ, გილოცავ ამ ლამაზ დღეს. გაიხარე და გაიზარდე სასახელო გოგო, დედიკოსა და მამიკოს გასახარად. უფალი იყოს შენი მფარველი. მიყვარხარ და გკოცნი ბევრს. მზია ბებო.

• ჩემს საყვარელ ძმისშვილს, დავით ალავერდაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გილოცავ ჩემო საყვარელო, დაესწარი მრავალს და გაიხარე, შენი ლამაზი ოჯახით. გისურვებ წარმატებებს. უფლის მფარველობა არ მოჰკლებოდეს შენს საყვარელ ოჯახს. გკოცნი, მზია.

• რუსთავში, ჩემს საყვარელ დას, ზინა კოჭლამაზაშვილ-კანტროშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიკეთეს და ულევ სიხარულს. გაიხარე, შენს ლამაზ ქმარშვილთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. ძალიან, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. გკოცნის შენი დაიკო, დალი.

• ჩემს ერთადერთ და მონატრებულ შვილს, იაგო კირთაძეს დაბადების დღეს ვულოცავ. იგო, მრავალი დღე გაგთენებოდეს ბედნიერად, ჯანმრთელობა და უფლის მფარველობა არ მოგკლებოდეს. გამრავლდი და გაიხარე, მრავალჟამიერ. ძალიან, ძალიან მენატრებით. შენი დედიკო.

• წყალტუბოს რაიონის სოფელ ტკაჩირში, ჯონი ჩხობაძეს 4 და ხუტა ჩხობაძეს 14 დეკემბერს, ვულოცავ დაბადების დღეს. ვარსკვლავი ბევრია, მთვარე კი ერთი, სიცრუე ბევრია, სიმართლე ერთი, ამ ქვეყანაზე ხართ ერთადერთი, ჩემო მეგობრებო, გფარავდეთ ღმერთი. გვრიტების ციალა.

• ლია ბაბუნაშვილსა და ლევან კირთაძეს შვილის, იაგო კირთაძის დაბადების დღეს ვულოცავთ. ღმერთმა გაგიმრავლოთ და ერთი — ათასად გიქციოთ. მალე მთელი ოჯახი ერთად შეხვედროდით ამ დღეს. დიდი სიყვარულით, მარინა აბესაძე.

• ჩემს საყვარელ ძამიკოს, კაკო ნიქაბაძეს და მონიკას ვულოცავ პატარა ნიკუშას შეძენას. ღმერთმა სულ ასეთი გახარებულები გამყოფოთ. შოკოლადა.

• ჩემს საყვარელ ადამიანს, ნინო ლომინაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 დეკემბერს. ულევ სიხარულსა და ბედნიერებას გისურვებ, ნინ, გაკოცე ბევრი-ბევრი. შოკოლადა.

• ჩემს სიცოცხლეს, შოთა ბექაურს 2 დეკემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. მიყვარხარ, პუსკუნ. ASHLEY PCD.

• თაკო ლაბაძეს: ცუცული, გილოცავ 4 დეკემბერს, დაბადების დღეს. დაბადების დღის იმ ლამაზ ღამეს, შენი აკვნისთვის ღმერთს უკოცნია. დიდხანს სიცოცხლე და სიხარული, შენთვის სუყველა დამილოცნია. ლალი. თინიკო. ნათია. თემუკა. ზვიადი.

• მადოოოოო, გილოცავ დაბადების დღეს, სიხარულო, ყოველივე საუკეთესოს გისურვებ. მუდამ შენ გვერდით მიგულე. მიყვარხარ მთვარემდე. ნათია.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი. ■

ტაიმ-აუტი

გამდიდრების მარტივი ფორმულა

მიშელ ფერერო
(10 მლრდ დოლარი)

ფერეროს ოჯახის უფროსი ყოველ დილით რძით, შოკოლადითა და ფუნთუშით საუზმობდა. ცოტა ხანში მას გაუჩნდა იდეა — დაამზადა შოკოლადის კარაქი, რომელსაც პირდაპირ ქუჩაში ყიდდა. მისი ბიზნესი ნელ-ნელა გაფართოვდა და დღეს ის ევროპაში შოკოლადის მწარმოებელი ყველაზე მსხვილი კომპანიის მფლობელია — „ფერერო როშე“, „ნუთელა“, „ტიკტაკი“ და „ქინდერის კვერცხი“ თითოეული ადამიანის საყვარელი ნუგბარია.

ბრედ ჰიუზი
(5,3 მლრდ დოლარი)

შემნახველი საკნების ავტოსტრადებზე განთავსებამ ჰიუზს მილიონები მოუტანა. იგი ამერიკის ერთ-ერთი მსხვილი ქველმოქმედიცაა. მაგალითად, ცოტა ხნის წინ მან ლეიკემიასთან მებრძოლ ბავშვთა ორგანიზაციას, რომელიც მისი შვილის — პარკერ ჰიუზის სახელს ატარებს, 20 მლნ დოლარი გადაურიცხა.

რალფ ლოურენი
(5 მლრდ დოლარი)

ბრონქსში დაბადებული რუსი ემიგრანტი ჰალსტუხების დიზაინს ქმნიდა. როცა 50 ათასი დოლარი დააგროვა, საკუთარი ბიზნესიდეა განახორციელა — მამაკაცის მაისურებს პოლოს მოთამაშის ემბლემა მიაკრა და თითო 50 დოლარად გაყიდა.

ჯეფ ბიზოსი
(4,4 მლრდ დოლარი)

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ის პროგრამისტად მუშაობდა, 30 წლისამ კი ინტერნეტით წიგნების გაყიდვა დაიწყო. მას ოფისი საკუთარ ავტოფარეხში ჰქონდა გახსნილი. 1997 წელს იგი მილიარდერი გახდა.

თაი უორნერი
(4,5 მლრდ დოლარი)

1986 წელს მან პლუშის დათუნიების გაყიდვა დაიწყო. ცოტა ხანში მილიონერი გახდა და საკუთარი სასტუმრო — „ოთხი სეზონი“ ააშენა, სადაც ერთი ღამის გათენება 30 ათასი დოლარი ღირს.

კალეო იუვიდიხი და დიტრიხ მატეშიცი (3,4 მლრდ დოლარი)

მეგობრებმა აქტიური და სპორტით გატაცებული ახალგაზრდებისთვის ახალი ენერგეტიკული სასმელი — „რედ ბული“ დაამზადეს. მათმა ყოველწლიურმა შემოსავალმა მალე 3,4 მლრდ დოლარს გადააჭარბა.

მარიო მორეტი პოლიგატო
(3 მლრდ დოლარი)

Geox Shoes-ის შემქმნელი 1994 წელს, ნევადის მთებში მოგზაურობდა. ფეხებისთვის „სუნთქვის“ საშუალება რომ მიეცა, კედს ძირი დაუჩხვლიტა. მარიო იდეის მიყიდვას NIKE-სთვის ცდილობდა, მაგრამ სპორტული კომპანია ნოვაციით არ დაინტერესდა. ახლა მარიოს კომპანია ყოველწლიურად 16 მლრდ სპორტულ ფეხსაცმელს ყიდის. სხვათა შორის, რომის პაპიც კი მისი მომხმარებელია. გამდიდრებულმა ბიზნესმენმა ოცნება აისრულა — საკოლექციო მანქანები და 5 არაბული ჯიშის ცხენი შეიძინა.

ჯეიმს დაისონი
(1,6 მლრდ დოლარი)

ინგლისური სწრაფშემწოვი მტვერსასრუტი იაპონიაში ადგილობრივ წამყვან ელექტროფირმებზე უკეთესად იყიდება.

ჰანს და პოლ რაიგელები
(1,5 მლრდ დოლარი)

II მსოფლიო ომის შემდეგ ძმებმა ოჯახური საკონდიტრო აამუშავეს (საოჯახო ბიზნესს ახლა მათი შვილიშვილები უძღვებიან) და სხვადასხვა ფორმის საღეჭ კანფეტს ამზადებდნენ. ტკბილეულის 200-მდე სახეობა ჰანსმა შექმნა. ამბობდა, მათი ფორმის იდეები მულტფილმებისა და კომიქსების ნახვის შემდეგ გამიჩნდაო.

ჰოვარდ შულცი
(1,1 მლრდ დოლარი)

ყავის მეფე და ყავახანა Starbucks-ის ქსელების მფლობელი ახალგაზრდობაში სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებში შვედურ ჭურჭელს ყიდდა. იტალიაში ყოფნისას, ყავახანის გახსნის იდეა გაუჩნდა, რომელიც 1985 წელს განახორციელა. დღესდღეობით შულცი 12 ათასი ყავახანის მფლობელია, რომელიც ყოველ კვირას 40 მლნ ამერიკელს ემსახურება.

■

სამედიცინო კურიოზები

მაღალი ტემპერატურა

ატლანტის (აშშ, ფლორიდის შტატი) საავადმყოფოში 52 წლის პაციენტი მიიყვანეს. მზეზე გადახურების შედეგად, პაციენტს 46,5 გრადუსი ტემპერატურა ჰქონდა. მას მკურნალობა 24 დღე უტარდებოდა.

დაბალი ტემპერატურა

2 წლის კარლი კოზოლოვსკი შემთხვევით, 22-გრადუსიან ყინვაში, 6 საათს ქუჩაში აღმოჩნდა. საავადმყოფოში მიყვანის დროს ბავშვის ტემპერატურა 14,2 გრადუსი იყო.

სლოკინი

ამერიკელ ჩარლ ოსბორნს სლოკინი 1922 წელს დაეწყო და გარდაცვალებამდე (ის 1990 წელს გარდაიცვალა) არ შეუჩერდა. ნაკლის მიუხედავად, ის ჩვეულებრივად ცხოვრობდა. ჩარლი ორჯერ იყო დაქორწინებული და 8 შვილი ჰყავდა.

ცემინება

ბრიტანელ დონა გრიფიტს ცემინება 1981 წლის 13 იანვარს დაეწყო და ერთი წლის განმავლობაში დაახლოებით, მილიონჯერ დააცემინა.

ხვრინვა

შვედეთის რაიონული საავადმყოფოს პაციენტი, კარე ვალკერტი ყველაზე ხმამაღალა ხვრინავდა — 93 დეციბელი.

ჩაყლაპული ნივთები

42 წლის ქალბატონი საავადმყოფოში მუცლის ტკივილის ჩივილით მიიყვანეს. ქირურგებმა მისი მუცლიდან 2533 უცხო სხეული, მათ შორის, 947 ინგლისური ქინძისთავი ამოიღეს.

სხეულიდან ყველაზე დიდი ნივთი, 2,35-კილოიანი ბეწვის გუნდა 20 წლის გოგონას ამოუღეს.

■

ოსკარ უაილდი და ქირომანტია

მწერალმა ოსკარ უაილდმა ერთ-ერთ წვეულებაზე ქირომანტი ლუის ჰამონი გაიცნო. ლუისი გაოცდა, როცა მწერალს მარჯვენა და მარცხენა ხელისგულებზე სრულიად განსხვავებული ხაზები აღმოუჩინა. ჰამონმა იწინასწარმეტყველა: „ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მარცხენა ხელი მეფეს ეკუთვნის, მარჯვენა

კი — მეფეს, რომელიც გადასახლებას ნებაყოფლობით თანხმდება; მარჯვენა ხელი ტრიუმფულ წარმატებას გპირდებათ, რომელსაც 40-42 წლის ასაკში მიაღწევთ, ხოლო მარცხენა ყველაფრის ერთ დღეში დასრულებას გიქადით“.

რამდენიმე წლის შემდეგ უაილდი და ჰამონი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. გამხდარ, ცხოვრებისგან გატეხილ ადამიანში ლუისმა ძლივს შეიცნო მწერალი. მისალმების შემდეგ, ოსკარი ქირომანტს გამოუტყდა: „ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მიწინასწარმეტყველეთ — თავდაპირველად ბედმა წარმატება და აღიარება მარგუნა, შემდეგ შეცდომები, ციხეში გატარებული დრო, მეგობრებისგან ზურგშექცევა. სამწუხაროდ, ძველი ცხოვრების დაბრუნება აღარ შემიძლია, მაგრამ ვიცი, მომავალში კვლავაც შევხვდებით ერთმანეთს“. გამომშვიდობებისას ჰამონმა კიდევ ერთხელ დახედა მწერლის ხელისგულებს და უთხრა: „შევხვდებით, მაგრამ ეს ჩვენი შეხვედრა უკანასკნელი იქნება“. მალე მწერალი გარდაიცვალა. უკანასკნელ გზაზე რამდენიმე ახლობელი და ლუის ჰამონი მიაცილებდნენ.

■

ცრურწმენები და იუბილე

* იუბილარს არ მიართვათ შამპუნი, საპონი, სარეცხი საშუალებები, ბასრი და წვეტიანი ნივთები. მათ უბედურება მოაქვს.

* თუ არ გსურთ, იუბილარი საყვარელ ადამიანს დასცილდეს, ნუ მიართმევთ მას ყვითელი ფერის ყვავილებს.

* ნაჩუქარ ცხვირსახოცს ცრემლი და ნაღველი მოაქვს.

* იუბილარს არ მიართვათ წყვილი ყვავილი.

* გაფრთხილდით, დაბადების დღეს ჭურჭელი არ გაგიტყდეთ. აგრეთვე, უბედურების მომტანია დაღვრილი წყალი, სასმელი, ჩაი, დაბნეული მარილი.

* არასდროს აღნიშნოთ დაბადების დღე საიუბილეო თარიღამდე ადრე. ამბობენ: რამდენი დღით ადრეც აღნიშნავ დაბადების დღეს, იმდენი წლით დაიმოკლებ სიცოცხლესო.

* არასდროს დაპატიჟოთ წვეულებაზე 9, 13, 18, 21, 50, 90 და 100 კაცი. და თუ მაინც, სტუმართა ასეთ რაოდენობას ვერ ასცდით, მაგიდაზე ერთით მეტი თეფში და ჭიქა დადეთ.

* იუბილარის წინ არ დადოთ ბრინჯიანი კერძი, ბლინები, ღვეზელი და ღორის თავი, რადგან ასეთ კერძებს გარდაცვლილის სულის მოსახსენიებლად ამზადებენ.

■

ქართულ-იტალიური თანამშრომლობის ნაყოფი
და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები „ველოდოროში“

უკვე 3 წელია, რაც კულტურის, მოდისა და ტექსტილის დიზაინის ნაციონალური ცენტრი — „ველოდორო“ არსებობს, რომლის პარტნორებიც საერთაშორისო ორგანიზაცია — „მედმოდა“ და იტალიაში, ტექსტილის დარგში მომუშავე ასოციაცია არიან. დაახლოებით 1 წელია, რაც „ველოდოროში“ ახალგაზრდებს სწავლების კურსის გავლაც შეუძლიათ. ცოტა ხნის წინ „ველოდორომ“ ქართველი ავტორების დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა მოაწყო, სადაც კურსდამთავრებულებს სპეციალური სერტიფიკატები გადასცეს.

ეთო ყორღანაშვილი

ლიკა ოქრუაშვილი, *16 წლის, „ველოდოროს“ კურსდამთავრებული:*

— მცხეთაში ვცხოვრობ. მოგეხსენებათ, იქ ძალიან ლამაზი ბუნებაა. ხშირად ვხატავდი პეიზაჟებს, ეკლესიებს, ასევე — მოქეიფე კაცებს (*იცინის*). მოკლედ, ხელოვნება ბავშვობიდანვე მაინტერესებდა.

— შენი ნამუშევრებიდან ჩანს, რომ მხოლოდ აქსესუარების დამზადებით არ შემოიფარგლები.

— ნელ-ნელა გობელენზე ქსოვაც ვისწავლე და რამდენიმე ნამუშევარი შევქმენი, მათ შორის — ხალიჩებიც. გამოფენაზე 10 ნიმუში წარვადგინე, ერთ-ერთი მათგანი კი „პატარძალი“ გახლავთ: გობელენზე ქსოვისას, ბევრი ძაფი მქონდა. ჰოდა, ვიფიქრე, — მოდი, ამ ძაფებისგან რაღაცას გავაკეთებ-მეთქი. საბოლოოდ, ძალიან საყვარელი თოჯინა გამომივიდა, თეთრი კაბითა და შავი კიკინებით. სახლშიც ბევრი ნამუშევარი მაქვს. ჩემს ნახელავს საყვარელ ადამიანებს ვჩუქნი ხოლმე — მათთვის არაფერი მენანება. სწავლის გაგრძელებას სამხატვრო აკადემიაში ვაპირებ.

მასიმო პასტორელის ქართული ნამუშევრები ძალიან მოეწონა

მარი ჩეკურიშვილი, *15 წლის:*

— ჩვენი მასწავლებელი — ქეთი ბურჯალიანი სკოლაში გვეწვია და თავისი ნამუშევრები წარმოგვიდგინა — უბრალო ყუთისგან დამზადებულმა ორიგინალურმა ზარდახშამ აღმაფრთოვანა.

— სწავლების 9-თვიანი კურსის გავლისას რა შეისწავლე?

— მარაოს, ჩარჩოს, აბაჟურის, თიხის ნაკეთობების დამზადება. ასევე, ქეთომ ექსკლუზიურად მასწავლა, თუ როგორ უნდა გავაკეთო თიხისგან ნაძვის ხე. რაც ხელოვნებას უკავშირდება, ყველაფერი მაინტერესებს. მომავალი წლიდან, ბატიკაზე მუშაობას და ვიზაჟის ხელოვნების შესწავლას ვაპირებ.

— ნამუშევრებში ეროვნული ელემენტების გამოყენებას თუ ცდილობ?

— მხოლოდ სამაჯური მოვქარგე ხევსურული ორნამენტებით — ძალიან ლამაზი გამოვიდა.

ელენე ლიჩელი, *მხატვარ-დიზაინერი, „ველოდოროს“ კრეატიული დირექტორი:*

— რამდენიმე წლის წინ დიზაინერების საერთაშორისო კონკურსზე — „მედმოდა“ — 3 საქორწინო კაბა გავიტანე და ვინაიდან ჩემმა ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა, საქორწინო კაბების თემას ვაგრძელებ; უკვე 6 კოსტიუმი შევქმენი და მინდა, კიდევ რამდენიმე დავამატო. ეს საკმაოდ რთული საქმეა: მაგალითად, თუ კაბას თექისგან ვკერავ, ჯერ ქსოვილი უნდა დავამზადო, რასაც 2-3 კვირა სჭირდება, შემდეგ დიზაინზე ვმუშაობ, ამას კი კერვისა და გაფორმების პროცესი მოსდევს.

— ელენე, საქართველოში დეკორატიული ხელოვნებით ბევრი ადამიანია დაინტერესებული?

— მძიმე სოციალური პირობების ფონზე, დეკორატიული ხელოვნებით ხალხის დაინტერესება რთულია. თუმცა, ეს სფერო ნელ-ნელა მაინც ვითარდება და ეს ნამდვილად, ძალიან სასიხარულოა. ჩვენთან ნიჭიერი, მონდომებული ბავშვები სწავლობენ. გვაქვს „ველოდოროს“ საავტორო პროგრამა, რომლითაც ლექციებსა და პრაქტიკულ სამუშაოებზე ვხელმძღვანელობთ. დღეს კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები გადავეცით, იანვრიდან კი მოსწავლეთა ახალ ნაკადს ველით.

— საზეიმო საღამოზე აღნიშნეთ, რომ „ველოდორო“ ქართულ-იტალიური თანამშრომლობის ნაყოფია.

— 2006 წელს, ქართველ დიზაინერთა ჩვენებაზე სამხრეთ იტალიიდან პრომოუტერი — მასიმო პასტორელი ჩამოვიდა, რომელიც „მედმოდის“ ყოველწლიური საერთაშორისო კონკურსის ორგანიზატორია. მას ქართული ნამუშევრები ისე მოეწონა, რომ გაუჩნდა იდეა — მოდის ქართულ-იტალიური ცენტრი შექმნილიყო. ამასთანავე, მან ქართველ დიზაინერებს ხელი შეგვიწყო, ჩვენი ნამუშევრები უცხოეთში რომ გაგვეტანა.

ია ხუბაშვილი, *„ველოდოროს“ პრეზიდენტი:*

— იტალიელების მხრიდან იყო მოთხოვნა, რომ ასოციაციისთვის ისეთი სახელი შეგვერჩია, რაც უცხოელებისთვისაც გასაგები იქნებოდა. ამიტომ დავარქვით Vello d`oro ანუ „ოქროს საწმისი“. ჩვენი მიზანია ნიჭიერი, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი დიზაინერების ნამუშევრების იტალიაში პოპულარიზაცია. იტალია მაღალი მოდის ქვეყანაა, „ველოდორო“ კი ქართულ-იტალიური ურთიერთობის „ხიდია“. საშობაოდ, 9-დან 16 წლამდე ასაკის ნიჭიერი ბავშვების ნამუშევრების გამოფენის მოწყობას ვგეგმავთ და მასში უფრო პატარებსაც ჩავრთავთ, თუკი ლამაზ ნახატებს მოგვაწვდიან. ■

„ომი და მშვიდობა“ თიკო ნატროშვილის პირად ცხოვრებაში

ქართველი მოდელებიდან თიკო ნატროშვილი ერთადერთია, ვისაც მაგისტრის დიპლომი აქვს. მან საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპას) მედიისა და კომუნიკაციის მენეჯმენტის 2-წლიანი სამაგისტრო პროგრამა უკვე დაამთავრა. უყვარს პოეზია. როცა 13 წლის იყო, ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა გალაკტიონის „ცამეტი წლის ხარ“ წაუკითხა. იმ ბიჭზე რა მოგახსენოთ, მაგრამ იმ დღის შემდეგ, თიკოს გალაკტიონის შემოქმედება ძალიან შეუყვარდა. მისი საყვარელი ავტორები არიან: მუხრან მაჭავარიანი, ლადო ასათიანი, გაბრიელ მარკესი და თეოდორ დოსტოევსკი, ნოდარ დუმბაძე კი ის მწერალია, რომლის მოთხრობების კითხვა არასდროს ჰბეზრდება.

თაყვანისმცემელი, რომელმაც მოდელს გალაკტიონი შეაყვარა

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— თიკო, შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— მშვიდობაა.

— „ომი“ როდის იყო?

— (*იცინის*) „ომი“ არა, მაგრამ ქაოსი ნამდვილად იყო.

— ახლა შეყვარებული ხარ?

— ერთი ადამიანის მიმართ სიმპათიით ვარ განწყობილი. დღეს ასეა და ხვალ როგორ იქნება, არ ვიცი, ჯერჯერობით შეყვარებული ნამდვილად არ ვარ.

— შენს ყურადღებას როგორი მამაკაცები იქცევენ?

— კაცს ცხოვრების შნო უნდა ჰქონდეს, ის ჩემთვის დასაყრდენი უნდა იყოს. რაც შეეხება გარეგნობას, დედაჩემს რომ ჰკითხო, გეტყვის, რომ მე გემოვნება არ მაქვს (*იცინის*). შეიძლება, მამაკაცმა ჩემი ყურადღება გრძელი თითების გამო მიიქციოს. სიმართლე გითხრათ, ლამაზი კაცები არ მომწონს, გარეგნობაში ცოტა სიუხეშეც საჭიროა.

— რომელი რომაელი სახელმწიფო მოღვაწის გვარი იქცა ქველმოქმედების სიმბოლოდ?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებ, იგი იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის ახლო მეგობარი იყო და რომის კულტურულ ცხოვრებას მისი დავალებით წარმართავდა.

— მაინც ვერ გიპასუხებ.

— გაიუს ცილნიუს მეცენატის. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად ზედიზედ რამდენჯერ შეიძლება აირჩიონ?

— 2-ჯერ.

— ერთ-ერთი ლექსის მიხედვით, მერამდენე კაცად შევიდა ლუდოვიკო XIV-სთან სულხან-საბა ორბელიანი?

— „ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან ალოდინეს და მეთხუთმეტე კაცად შევიდა“. ჩამეთვალა?

— დიახ. რას უწოდებენ ადამიანებს, რომლებიც გაეროს მსოფლიოში მშვიდობის დამყარებაში ეხმარებიან?

— კეთილი ნების ელჩებს.

— ეს ლათინური სიტყვაა და ნიშნავს უაზროს, უთავბოლოს.

— ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებ.

— აბსურდი. თამარ მეფე უფრო დიდხანს მეფობდა თუ დავით აღმაშენებელი?

— აუცილებლად გიპასუხებ, მადროვე (*ფიქრობს*) დავით აღმაშენებელი.

— მარმარილოს ზღვასთან რომელ ზღვას აერთებს დარდანელის სრუტე?

— გეოგრაფია კარგად არ ვიცი.

— ეგეოსის ზღვას. ალექსანდრე დიუმამ რომელ რომანში აღწერა მსოფლიოს ისტორიაში საყოველთაოდ ცნობილი ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი, ბართლომეს ღამე?

— „დედოფალი მარგო“.

— რა ჰქვია ამერიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს?

— თეთრი სახლი.

— თიკო, დაფიქრდი, კითხვას გაგიმეორებ.

— (*გამეორების შემდეგ*) სირცხვილია, ეს რა ვთქვი! სწორი პასუხია — კონგრესი.

— რომელ პოეტს ეკუთვნის შემდეგი სტროფი: „...და ქორწილს ზეცის სუფრაზე გავშლი,/ ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,/ როგორც გაზაფხულს ელიან მთაში/ შენი ლამაზი თრთოლვა მელოდეს“?

— ვერ ვიხსენებ.

— მირზა გელოვანს. რომელი ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოა „იტარ-ტასი“?

— რუსეთის.

— ეს მითური ფრინველი თავს იწვავდა და კვლავ აღდგებოდა ფერფლიდან, რის გამოც, მუდმივი განახლების და აღორძინების სიმბოლოდ იქცა.

— ფენიქსი.

— მან პიანისტის კარიერა ხელის თითების დამბლის გამო მიატოვა, შემდეგ კი მთელი ცხოვრება მუსიკის კრიტიკოსობას მიუძღვნა. ერთხელ, როცა შოპენის ვარიაციები მოისმინა, განაცხადა: „ქედი მოიხარეთ, თქვენ წინაშე გენიოსია!“ დაასახელე ეს პიანისტი.

— ე.ი. შოპენის თანამედროვე იყო (*ფიქრობს*), ვერ გიპასუხებ.

— შუმანი. ვინ იყო გერმანიის იმპერიის პირველი რაიხსკანცლერი?

— ბისმარკი.

— პირველად ამ კალენდრის გამოშვება ინგლისელ-

მა ფრენსის მაიერმა, 1700 წელს დაიწყო. დღეს ეს კალენდარი საქართველოში ძალზე პოპულარულია.

— ლაპარაკია ასტროლოგიურ კალენდარზე.

— შენი ზოდიაქოს ნიშანი რომელია?

— კურო ვარ. ასტროლოგიურ პროგნოზს ვეცნობი ხოლმე, მაგრამ ნაკლებად ვითვალისწინებ.

— „მშობლები, რომლებიც შვილებს ანებივრებენ, მათ უბედურებისთვის ამზადებენ“, — ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?

— არ ვიცი.

— ბუასტი. რა ერქვა ავაზაკთა ქალაქს გურამ დოჩანაშვილის რომანში — „სამოსელი პირველი“?

— კამორა.

— ალჟირი, კაირო, ნაირობი, ჯაკარტა — ჩამოთვლილთაგან, რომელი არ მდებარეობს აფრიკის კონტინენტზე?

— მგონი, ჯაკარტა, არა?

— გამოიცანი. აკაკი წერეთლის რომელი ნაწარმოების პერსონაჟია ბათუ?

— „გამზრდელის“.

— 1852 წელს გიორგი ერისთავის თაოსნობით გამოვიდა ჟურნალი, რომელსაც პოლიტიკური ხასიათის მასალის გამოქვეყნება ეკრძალებოდა. ის წმინდა ლიტერატურულ ორგანოს წარმოადგენდა. ჟურნალმა სულ რაღაც, 2 წელი იარსება და 1853 წლის ბოლოს დაიხურა.

— შემდეგ კი მისი გამოცემა ივანე კერესელიძემ განაახლა, არა?

— დიახ.

— ჟურნალი „ცისკარი“.

— ვრანგელის კუნძულს თეთრი დათვების „სამშობიარო სახლსაც“ უწოდებენ. სად მდებარეობს ეს კუნძული?

— არ მახსოვს.

— სავარაუდო პასუხებს ჩამოგითვლი: არქტიკაზე, ისლანდიაში თუ ავსტრალიაში?

— ალბათ, არქტიკაზე.

— დიახ. რომელი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს კურორტები ნიცა და კანი?

— ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

— სამხედრო გზა, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან აერთებს, ჯვრის უღელტეხილზე გადის. რომელ მდინარეთა ხეობებს შორის მდებარეობს ჯვრის უღელტეხილი?

— ვერ გიპასუხებ.

— არაგვის და თერგის ხეობებს შორის, ზღვის დონიდან 2379 მეტრზე მდებარეობს. ვინ ასრულებს ბიჭიკოს როლს ფილმში „ჭრიჭინა“?

— დოდო აბაშიძე.

— ორმა კაცმა 900 ლარი გაიყო. მათგან ერთ-ერთს 500 ლარით მეტი შეხვდა. რამდენი ლარი შეხვდებოდა მეორეს?

— (*ფიქრობს*) ვერ გამოვიანგარიშე... 400 ლარი შეხვდებოდა?

— ცდები, 200 ლარი. რისი ერთობლიობაა არქიპელაგი?

— კუნძულების.

— რომელი სახელმწიფოს დედაქალაქია ბეირუთი?

— არ მახსოვს.

— ლიბანის. რა სახელი ერქვა ალექსანდრიის ბიბლიოთეკას?

ლამაზი კაცები არ მომწონს, გარეგნობაში ცოტა სიუხეშეც საჭიროა

— არც ეს მახსოვს.

— მუზეიონი.

— „ცოდვაა ქართველი ქალი, რადგან მამაკაცები ტირანები ხართ, სულერთია, მამა იქნებით, საქმრო თუ ქმარი, თქვენ არ იცით, რა მოითხოვოთ ქალისგან... თქვენ უკიდურესი ევროპელის და აზიელის კაპრიზები ურთიერთში გაქვთ არეული. როცა ქალი საყვარლად გინდათ, მისგან თავისუფალ ქცევას მოითხოვთ, როცა მას ცოლად გაიხდით, მერე აზიურ კარჩაკეტილობას“, — კონსტანტინე გამსახურდიას რომელ რომანში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

— „მთვარის მოტაცებაში“.

— 1800 წლამდე რომელი ქალაქი იყო ამერიკის დედაქალაქი?

— ვერ გიპასუხებ.

— ფილადელფია. ის ყველაზე დიდი სახელმწიფოა, რომელსაც მთელი კონტინენტი უკავია. მისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი ზღვის დონიდან 300 მეტრზე დაბლაა და მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე მხრიდან ოკეანის წყლები აკრავს, მაინც ერთ-ერთ მშრალ კონტინენტად მიიჩნევა. რომელია ეს სახელმწიფო?

— (*ფიქრობს*)...

— კონტინენტები გაიხსენე.

— ავსტრალია, არა?

— დიახ. რომელი ქალაქი დაიმარხა ფერფლით, ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის დროს?

— არ ვიცი.

— პომპეი. მას ეს ფსევდონიმი ძლიერი ხასიათის გამო უწოდეს. მიაჩნდათ, რომ ის ფოლადივით მტკიცე იყო. დაასახელე ეს პოლიტიკოსი.

— ქართველი იყო?

— დიახ.

— სტალინი.

— დაბოლოს, დაასრულე გერმანელი მწერლის, რემარკის ცნობილი გამონათქვამი: „ვინც მეტისმეტად ხშირად იხედება უკან, იოლად წაჰკრავს რამეს ფეხს და...“

— „...დაეცემა“. ■

ერუდიტი +

მუზეუმი

მრავალი ასეული წლის განმავლობაში ქალაქი ალექსანდრია ძველი სამყაროს კულტურული და სავაჭრო ცენტრი იყო. იგი ალექსანდრე მაკედონელმა ააგო იქ, სადაც თავს იყრიდა ევროპის, აზიისა და აფრიკის სავაჭრო გზები. ალექსანდრიაში არსებობდა უძველესი ბიბლიოთეკა, რომელშიც თითქმის 700 ათასი ხელნაწერი გრაგნილი ინახებოდა. ცოტა მოგვიანებით, ეგვიპტის მეფეებს იქ „მუზეიონი“ (მუზების ტაძარი) ანუ მუზეუმი დაუარსებიათ. მისი პირვანდელი დანიშნულება ცხადია, ისეთი არ იყო, როგორიც დღეს მუზეუმებს აქვთ. დროთა განმავლობაში, ხელნაწერებისა და იარაღის სახით, მსოფლიოს ყველა კუთხიდან იქ უამრავ მნიშვნელოვან ნივთს მოუყრია თავი. ამ მუზეუმის კედლებში გამოჩენილი ასტრონომები, მათემატიკოსები, გეოგრაფები და ფილოსოფოსები მუშაობდნენ, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს ანტიკური მეცნიერების განვითარებაზე.

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. დაასახელეთ წყალში მობინადრე ძუძუმწოვარ ცხოველთა შორის ერთადერთი ვეგეტარიანელი.

2. 1933 წელს, ვირჯინიის შტატში დაარსებულ თეატრს ბარტერულს ეძახიან. რატომ?

3. როდესაც თბილისში ჩამოსულმა პიტერ ბრუკმა ამ ქართველი რეჟისორის მიერ დადგმული „დონჟუანი“ ნახა, მიულოცა და უთხრა: — ამ სპექტაკლისთვის თავად მოლიერიც კი მადლიერი დაგრჩებოდათო. ვინ შეაქო პიტერ ბრუკმა?

4. პოლინეზიელები ქოქოსის კაკალს ნავიგაციაში იყენებდნენ. ისინი მას ხვრეტდნენ და ანძაზე კიდებდნენ. კონკრეტულად, რა დანიშნულება ჰქონდა ამ პრიმიტიულ მოწყობილობას?

5. შეეკითხეთ ნებისმიერი ეროვნების ადამიანს, რამდენი იქნება 100 გრამი გამრავლებული ათზე და ყველა გეტყვით, რომ ნამრავლი 1 კილოგრამს უდრის. რას გიპასუხებთ რუსი?

6. დაასრულეთ მსახიობ რობი უილიამსის სიტყვები: „მამაკაცს ღმერთმა უბოძა ტვინიც და სასქესო ორგანოც, სისხლი კი, სამწუხაროდ, მხოლოდ იმდენი, რომ...“

7. ავსტრალიელი აბორიგენები მხოლოდ 1967 წელს აღიარეს ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქეებად და არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც მისცეს. რა სტატუსი ჰქონდათ მათ 1967 წლამდე?

8. 1299 წელს ფლორენციის მოქალაქეებს მთავრობამ კომერციული გარიგებებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შედგენისას არაბული ციფრების გამოყენება აუკრძალა. რატომ?

9. როგორ ადამიანს ეძახიან ხბოყვირიას?

10. რა არის ქივქივი?

11. დაასახელეთ ცხოველი, რომელიც ძველ ეგვიპტეში ნათესების პირველ მტრად მიიჩნეოდა?

12. რომელ ქალაქში ცხოვრობდა ბეტმენი?

* * *

საღამოს პოლიციელი სახლში ბრუნდება. ხედავს, ლოგინი ანგრეულია, ცოლიც რაღაც უჩვეულოდ აფორიაქებულია.

— სად არის, მოვკლავ ადგილზე! — ღრიალებს ქმარი. — ალბათ, ლოგინის ქვეშ იმალება! — შეიხედავს, არ არის. — მაშინ აივანზე იქნება! — გაიხედავს, არც იქაა. — ნაღდად, კარადაში იქნება დამალული! — აღებს კარადის კარს და იქიდან აკანკალებული ხელი ასლარიანს აწვდის. — ვაჰ, არც კარადაში ყოფილა!..

* * *

გამომძიებელი დაქვრივებულ ქალს ეკითხება:

— მაინც, რა გითხრათ სიკვდილის წინ ქმარმა?

— რა და, მაგ თოფით ტყუილად მემუქრები, შიგნით ტყვიები არ დევსო!

* * *

ახალგაზრდა ცოლ-ქმრის დიალოგი:

— ძვირფასო, შენ ისევე გიყვარვარ, როგორც რომეოს ჯულიეტა?

— არ ვიცი, არ წამიკითხავს.

— იეჭვიანებ, როგორც ოტელო დეზდემონაზე?

— არც ეგ წამიკითხავს.

— აბა, რა გაქვს წაკითხული?

— ტურგენევის „მუმუ“ და გული ნუ გამიწყალე, თორეეე...

* * *

— აუ, ბენზინი როგორ გაძვირდა! — აღშფოთებულია მოშე.

— შენ რა გადარდებს, მანქანა მაინც არ გყავს და...

— სანთებელი მაქვს, ბენზინზე!..

* * *

სამსახურიდან დაბრუნებულ ქმარს ცოლმა ტირილით შესჩივლა:

— ნამცხვარი გამოგიცხვე და სამზარეულოდან როგორც კი გამოვედი, ჩვენმა ძაღლმა შესანსლა.

— ნუ ტირი, ძვირფასო, — დაამშვიდა ქმარმა. — თუ ვერ გადარჩა, უკეთესი ჯიშის ძაღლს გიყიდი.

* * *

— ნიკუშა გაურიცხავთ ალპინიზმის სექციიდან!

— რატომ?

— თურმე, ზუსტად იმ დროს წაასწრეს, როცა მეექვსე სართულზე ლიფტით ადიოდა.

* * *

სოფო დაქალს უყვება:

— რა მხეცია ეს ჩემი ქმარი!.. გუშინ შოთიკომ გამომაცილა სამსახურიდან. მოვედით სახლში, ვდგავართ სადარბაზოსთან და არ გამოვარდა ეს ცხოველი და არ ამოარტყა წიხლი ფეხებშუა?!. კინაღამ თითები მომამტვრია, მაგ დეგენერატმა!

* * *

აფთიაქში ახალგაზრდა მამაკაცი შევიდა და ჰიგიენის განყოფილებაში რაღაცას ათვალიერებს. გამყიდველი ეკითხება:

— დაგეხმაროთ? ალბათ, პრეზერვატივი გნებავთ.

— არა, უკვე გვიანია, — ამოიოხრა მამაკაცმა. — ბავშვის საფენები მომეცით.

* * *

— მე სად გთხოვე ავტობუსის გაჩერება და შენ სად გამიჩერე?! — ეჩხუბება ქალი მძღოლს.

— ქალო, შენ ორასგრამიანი ენა ვერ გაგიჩერებია და მე ასეთ მოძრაობაში ხუთტონიანი მანქანა როგორ გავაჩერო?!

* * *

— ამ პოეტს რატომ არ აკრიტიკებთ?

— ძალიან სუსტია!

— სამაგიეროდ, ფიზიკურადაა ძლიერი.

* * *

ბებიაქალს ხელში სამი ახალშობილი უჭირავს და შეცბუნებულ მამას თანაგრძნობით ეკითხება:

— ხომ არ შეგეშინდათ, ერთბაშად ამდენი ბავშვი რომ შეგეძინათ?

— არა, რას ბრძანებთ?! — დაბნეულად პასუხობს კაცი.

— მაშინ ჯერ ესენი გამომართვით და დანარჩენებსაც ახლავე მოგიყვანთ.

* * *

ოთახში გაფითრებული მსახური ქალი შემორბის:

— ქალბატონო, თქვენი ქმარი იატაკზე გდია და ძლივს სუნთქავს, ხელში ქვითარი უჭირავს, იატაკზე კი რაღაც ფუთა აგდია!

— მადლობა ღმერთს, ჩემი ქურქი მოუტანიათ...

* * *

— ბონდო, გაიგე, შენი პროფესორი მეზობელი ცისფერი რომ ყოფილა?

— ეჰ, რას აღარ გაიგებს კაცი! ამდენი წელია, ვხმარობ და ახლა გავიგე, რომ პროფესორი ყოფილა.

* * *

მასწავლებელი მოსწავლეს ეჩხუბება:

— მარტო ათამდე რომ ისწავლე დათვლა, ვინ გინდა, გამოხვიდე?!

— მსაჯი ვიქნები, კრივში!

* * *

ბანქოს მოთამაშე გამუდმებით აგებს.

— არა უშავს, — ამშვიდებს მეორე მოთამაშე. — ბანქოში თუ არ გიმართლებს, სიყვარულში გაგიმართლებს!

— მოიცა, ერთი! 40 წლისა ვარ და ჯერ ცოლი არ მომიყვანია!

— აი, ხომ ხედავ, როგორ გიმართლებს!..

* * *

მარო დაქალებში ჭორაობს:

— რაც მიხო საფრანგეთიდან ჩამოვიდა, ლოგინში დაწოლისთანავე მეწვება!

— რა გეწვება, ქალო?

— რა და, გაზზე დადგმული ლობიო!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ლამანტინი (მეორენაირად მას ზღვის ძროხას ეძახიან).
2. დიდი დეპრესიის დასასრულს დაარსებულ ამ თეატრში ღარიბებს უფლება ჰქონდათ, ბილეთის საფასური პროდუქტის სახით გადაეხადათ.
3. მიხეილ თუმანიშვილი.
4. ნახვრეტებში ქარის ზუზუნის ტონალობის ცვლილების მიხედვით პოლინეზიელები გემის კურსს საზღვრავდნენ.
5. რომ ნამრავლი 1 ლიტრის ტოლია.
6. „კონკრეტულ მომენტში ამ ორი ორგანოდან მხოლოდ ერთ-ერთს შეუძლია მიაწოდოს“.
7. ამ დრომდე ისინი ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ნაწილად მიიჩნეოდნენ.
8. მათი გადაკეთება ადვილი იყო.
9. ვისაც ყველაფერი ენაზე ადგას და არაფრის დამალვა არ შეუძლია.
10. კოხტა სირბილი, ხტომით სიარული.
11. ბეჰემოთი.
12. გოთჰემში.

ჩვენი ფოტო გაღვრეა



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ვოროსკოპი

(3-9 დეკემბერი)

ვერძი:
ახალი საქმე ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. მიუხედავად ამისა, ნუ დაივიწყებთ ოჯახის წევრებს. დასვენების დღეები შემოქმედებით საქმიანობას დაუთმეთ.

კუჭი:
ყველა საქმეს ერთდროულად ნუ წამოიწყებთ. კვირის ბოლოს იმიჯის შეცვლაზე იზრუნეთ. კარგი იქნება, თუ მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გაემგზავრებით.

ტყუპი:
უცხო ადამიანებს სახლში ნუ მიიყვანთ. კარგი იქნება, თუ მთელ დროსა და ენერგიას ახალი იდეების განხორციელებას დაუთმობთ. უქმე დღეები ქალაქგარეთ გაატარეთ.

კიბიჩხიტი:
ეს კვირა სიურპრიზებით იქნება სავსე, ყველგან და ყველაფერში გაგიმართლებთ. კარგი დროა იდეების განსახორციელებლად. კვირის ბოლოს ძველ მეგობრებს შეხვდებით.

ლომი:
ოჯახის წევრებისგან ძალიან ბევრს მოითხოვთ. ეცადეთ, მათ ყველაფერში შეუწყოთ ხელი. კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად, ახალი ხელობის შესასწავლად.

ქალწული:
თუ დროს სწორად გადაანაწილებთ, ყველაფერს მოასწრებთ. მთავარია, ცუდი ფიქრები თავიდან მოიცილოთ და გამხიარულდეთ. მშობლების დახმარების იმედი გქონდეთ.

სასწორი:
განწყობილებას ახლობლებთან ურთიერთობა და მათი მხარდაჭერა გამოგიკეთებთ. კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. კვირის ბოლოს საქმიანი შეხვედრა გელით.

ბრიტიანი:
არ გაგიკვირდეთ, თუ რჩევისთვის ხშირად მოგმართავენ. დასახულ მიზნებს იოლად მიაღწევთ. თუ არ გსურთ, ახალ წელს ეულად შეხვდეთ, საყვარელ ადამიანს ნუ აწყენინებთ.

მშვილდოსანი:
ამ პერიოდში ახალი საქმეების წამოწყებას არ გირჩევთ. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. მეტი დრო გაატარეთ ბავშვებთან და საყვარელ ადამიანებთან.

თხის რქა:
თუ არაფერში გიმართლებთ, მიზეზი საკუთარ თავში ეძიეთ. დროა, დამთმობი და ლოიალური გახდეთ. ხშირად ისეირნეთ ბუნებაში და მეტი დრო გაატარეთ მეგობრების წრეში.

მეთევზე:
ახალი საქმეების დაწყებისას, რჩევა პროფესიონალებს ჰკითხეთ. შუა კვირაში ნუ გაასესხებთ ფულს. ურთიერთობის გასამყარებლად, მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან.

ღვეზელი:
სამსახურში დაძაბულობა მოიმატებს. ეცადეთ, ყველა საბუთი წესრიგში გქონდეთ. ნუ წამოიწყებთ ახალ საქმეებს. განტვირთვის მიზნით, რამდენიმე დღით დაისვენეთ.

პატარები გენიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

5 წლის სანდრო აფხაიძეს ხატაურა ფისო ჰყავს. ერთხელ ბებო ეუბნება:
— შენი კატა ისე გამოიყურება, ალბათ მალე მოიგებს.
— რა უნდა მოიგოს?
— კითხულობს სანდრო.
— კნუტები, ბებო.
— ეჰ, მე კი მინდოდა, ტელევიზორი მოეგო, — ინატრა ბიჭმა.

ძილის წინ პატარა დიტოს დეიდა ზღაპარს უყვება:
— იყო ერთი დედა ღორი, ჰყავდა ხუთი...
დიტომ აღარ აცადა დეიდას ზღაპრის გაგრძელება, წამოხტა და გაბრაზებულმა მიაძახა:
— არ მინდა შენი ზღაპარი, შენ თქვი დედა ღორიაო...

დედამ 5 წლის სალომეს უსაყვედურა:
— რა გინდოდა ნინოსთან (მეზობელია), რატომ შეაწუხე, ხომ იცოდი, რომ დღეს სტუმრები ჰყავდა?
— დედა, პირიქით, როცა მივედი, ისე გაუხარდათ, მითხრეს, — შენღა გვაკლდიო.

მამა დედას იმის გამო გაუბრაზდა, რომ ჯიბიდან ფული ამოაცალა:
— რას მისუფთავებ ყოველ საღამოს ამ შარვალს?
— რა გაყვირებს, მამიკო, შარვალი რომ გისუფთავდება, არ უნდა გიხაროდეს? — გაუკვირდა პატარა ნათიას.

პატარა ლუკას დედა ძილის წინ წითელქუდაზე ზღაპარს უყვება. ლუკამ უსმინა, უსმინა და სერიოზულად ჰკითხა დედას:
— დედიკო, წითელქუდა ძილის წინ ქუდს რომ იხდიდა, ნამდვილ სახელს რას ეძახდა დედამისი?

4 წლის სანდრო დედას ეკითხება:
— ყოველდღე რომ მიჩიჩინებ, დილით რძიანი ჩაი უნდა დალიოო, კუჭმა რა იცის, დილაა თუ საღამო, იქ ხომ ყოველთვის ბნელა?..

3 წლის მარიამ არჯანია მამამ კუთხეში დააყენა, — დაიკო რატომ ატირეო?! ცოტა ხანში მამა მიუბრუნდა პატარას და შერიგების ნიშნად, დაიკოსთვის ბოდიშის მოხდა მოსთხოვა. გაიბუტა მარიამი, მაგრამ რაღას იზამდა, ძლივს ამოილუღლუღა:
— ბოდიში, ანანო, შე ცუდო, შენა!



ზინა ნოემრის სკანვორდის პასუხები 1. დეზდემონა; 2. ზურგი; 3. დუმა; 4. მეფე; 5. მელანქოლია; 6. ანოდი; 7. მარმელადი; 8. აგნი; 9. ბერინგი; 10. პალო; 11. ლიბერია; 12. ამერიკა; 13. ვექილი; 14. იგრიკა; 15. ბარაკუდა; 16. რენე; 17. დაშნა; 18. რომი; 19. ბოლი; 20. ჩოკინა; 21. ნივეა; 22. კეკე; 23. ინტერესი; 24. ალაგე; 25. გაგრა; 26. რუმბა; 27. რეტი; 28. ივანოვიჩი; 29. აბი; 30. კიი; 31. ნუგა; 32. ფრაუ; 33. კოკა; 34. რომეო; 35. სირია; 36. მიკ; 37. ყვარელი; 38. პერიოდი; 39. კუტი; 40. დეუ; 41. სოჭი; 42. იუტა.
სურათებზე: 1. დემი მური; 2. ეშტონ კატჩერი.

სპეციალური კროსვორდი

გ	ა	ე	რ	თ	ე	თ	დ	ა	დ	ა	ი	ს	ვ	ე	ნ	ე	თ	გ	ზ	ა	ს	თ	ა	ნ	ე	რ	თ	ა	დ
ა	ა	კ	ლ		ე	ვ	ი	ო	ი	ა	ბ	ლ	ლ	ი	ს	ო	ს	ე	ე	ი	რ	ი	დ	ი		რ	ძ	ი	ი

შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე; **ა**. სამცხის მმართველთა ტიტული; **ე**. ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **რ**. კარდინალი და საფრანგეთის პირველი მინისტრი ლუდოვიკო XIII-ის მმართველობის დროს; **თ**. გამხმარი ბალახი; **ე**. რა ერქვა ქალს, რომლის გულისთვისაც დაიწყო ტროის ომი; **თ**. ქალაქი, სადაც ერეკლე II-ის ქანდაკებაა აღმართული; **დ**. ორი შემსრულებლისგან შემდგარი ანსამბლი; **ა*** ინგლისის ძველი სახელწოდება; **დ**. მუსიკალური ნიშანი, რომელიც ნახევარი ტონით ამაღლებს ბგერას; **ა*** ქვითკირის სამარე; **ი*** ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც საკუთარმა ძმებმა მონად მიჰყიდეს ეგვიპტელებს; **ს*** მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „თეთრი ...“; **ვ*** იტალიელი კომპოზიტორი; **ე*** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **ნ*** მდინარე ეგვიპტეში; **ე*** დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **თ*** დებულება (ლოგიკაში), რომლის ჭეშმარიტება უნდა დამტკიცდეს; **გ*** გერმანელი მწერალი, „ფაუსტისა“ და „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანის“ ავტორი; **ზ*** მდინარე აფრიკაში, რომელზეც მდებარეობს ჩანჩქერი ვიქტორია; **ა*** სიმინდისა და ლობიოს სამშობლო; **ს*** პლანეტა მზის სისტემაში; **თ*** მცენარე, რომლის გათლილი ტოტისგანაც ამზადებენ ჩიჩილაკს; **ა*** სამხედრო გემების დიდი შენაერთი; **ნ*** ქართული-ხალხური „ანტიბიოტიკი“; **ე*** სილამაზე, სიტურფე, მიმზიდველობა; **რ*** ლითონის ფულის ან მედლის უკანა მხარე; **თ*** ანსამბლ „ივერიის“ ყოფილი სოლისტი ქალი, ქეთევანის როლის შემსრულებელი მიუზიკლში „ჩხიკვთა ქორწილი“; **ა*** რა ერქვა ანარქისტს მხატვრული ფილმში „ლაზარე“ (მღვდელს რომ უშრობდა სისხლს, — ქრისტე ღმერთი გამხდარი იყო, შენ რამ გაგასუქაო); **დ*** ღვინისა და დროს ტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჩ. ჩივაძე; **ვ*** ვუალი; **ე*** ებრაელი; **ნ*** ნადეჟდა; **ი*** ილიადა; **ჟ*** ჟიური; **უ*** ურემი; **რ*** რიკოთი; **ნ*** ნილოსი; **ა*** ამონალი; **ლ*** ლონდონი; **ი*** იღუმენი; **ს*** სიგელი; **ა*** ანგარი; **უ*** უთო; **კ*** კენტი; **ე*** ეტიკეტი; **თ*** თხა; **ე*** ელდა; **ს*** სვანეთი; **ო*** ოსკარი; **ა*** ალაფი; **რ*** რეცეპტი; **ჩ*** ჩხიკვი; **ე*** ერუდიტი; **ვ*** ვენდეტა; **ა*** ალარიხი; **ნ*** ნიკე; **ი*** იალაღი; **ა*** ატოლი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ვარდი უეკლო ნუ გგონია და კაცი უნაკლო

იაპონური სენსაციის სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

6	9	2	8	3	7	5	4	1
5	8	4	2	1	9	3	7	6
7	1	3	6	4	5	8	9	2
3	7	5	1	8	4	6	2	9
2	4	9	3	7	6	1	8	5
1	6	8	5	9	2	4	3	7
4	2	1	7	6	8	9	5	3
9	3	7	4	5	1	2	6	8
8	5	6	9	2	3	7	1	4

7	8	2	4	3	1	5	6	9
5	3	9	7	6	8	4	2	1
4	1	6	5	2	9	3	7	8
1	9	7	8	5	4	6	3	2
8	5	3	2	9	6	1	4	7
2	6	4	3	1	7	8	9	5
3	2	8	6	7	5	9	1	4
9	7	5	1	4	3	2	8	6
6	4	1	9	8	2	7	5	3

9	5	8	6	7	2	3	4	1
3	4	2	9	5	1	8	6	7
7	6	1	3	4	8	9	5	2
1	9	7	4	6	5	2	8	3
4	8	6	1	2	3	5	7	9
5	2	3	8	9	7	4	1	6
8	7	5	2	1	9	6	3	4
2	1	4	5	3	6	7	9	8
6	3	9	7	8	4	1	2	5

* მარტივი

4	7		5	8				2
	6				4		5	3
		1	9			4		
	1			4		9		
3		2	7			8		5
		5	3	1			2	
		6			2	3		
5	3		6				8	
1				9	3		4	6

** საშუალო

	7			9		2		
				4			6	
8					2	3		
6				7	1		3	
		7			8	6		
	1		3					2
		1	7					9
	5			3				
		4		1			2	

*** რთული

6			4			7		
1			5			2		
		3			2			
		2		8			4	9
		8		6		1		
8	6					5		
			9			4		
		4			1			5
		9			3			6

ფოტოკუჩიოზები



ხომ გიყვართ კითხვა?

ჩაერთეთ აქციაში

„ჩვენ გჩუქნით წიგნებს!“

გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა“ და მედია სახლის კიდევ ერთი გამოცემა, აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L“-ის 3 ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„დედამიწა“

„ცხოველები!

„მსოფლიოს დიდი ატლასი!

ავტომატურად თქვენ ხდებით **„დიდი მხატვრების“** სერიის ხელმომწერი



მედია სახლ „პალიტრას“ გამოცემები:

დასახელება	1 ეგზ. ფასი	ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე	ფასი 1 წლით
კვირის პალიტრა	1.00	52	52.00
სიტყვა და საქმე	1.00	260	260.00
სიტყვა და საქმე (კატალოგი)	2.00	52	104.00
ყველა სიახლე	1.00	52	52.00
გზა	1.00	52	52.00
რეიტინგი	1.00	52	52.00
არსენალი	1.50	26	39.00
კარიბჭე	1.00	26	26.00
ოჯახის მკურნალი	1.00	26	26.00
კარუსელი	0.60	52	31.00
საბავშვო კარუსელი	1.00	52	52.00
ბომონდი	5.00	12	60.00
ლელო	0.60	312	187.20
ათიანი	5.00	12	60.00
ოსკარი	1.00	52	52.00
ლიტერარული პალიტრა	2.00	12	24.00
Georgian Journal	2.00	52	104.00

დამატებითი ინფორმაციისთვის:
პრესისა და წიგნების გავრცელების საამქროს „ელვა.ჯი“

www.elva.ge

T: 38 26 73; 38 26 74

elva@kvirispalitra.com

ადგილზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში. რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი“-ს საბითუმო ვაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.